




# აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი

საქართველოს  
შესახებ



## არტანუჯის წყაროები

8

თბილისი, 1991 წელი  
(1792-1816)

ISBN 1075-4433

ISBN 075-0041-451-20-1

© 1991 წელი, თბილისი

© 1991 წელი, თბილისი



იანვარი 2011 წლის კვირეული

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ნესტან ბაგაური, ეთერ ბაიდოშვილი, თამარ გეგია,  
შალვა გლოველი, ლევან თაქთაქიშვილი, ბონდო კუპატაძე,  
ნინო მინიშვილი, გოჩა საითიძე, თეა ქართველიშვილი,  
მაია შაორშაძე, თემო ჯოჯუა

11 292.899

ISSN 1512-4452

ISBN 978-9941-421-29-7

© გია გელაშვილი, 2011.

© გამომცემლობა არტანუჯი, 2011.



საპარტოვოს კვლავიანთის  
ეროვნული ბიბლიოთეკა



აუგუსტ პავლტკაუზენი  
(1792-1866)

# აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი

## საქართველოს შესახებ

XIX საუკუნის პირველი ნახევარი

გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და  
საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**



გამომცემლობა არტანუჯი  
თბილისი

წიგნი მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს გააცნოს XIX საუკუნის 40-იანი წლების გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის ცნობები საქართველოს შესახებ.

კავკასიაში იგი 1843 წელს იმყოფებოდა. ამ მოგზაურობის შედეგია ორნაწილიანი წიგნი „ამიერკავკასია“ (ლაიფციგი, 1856). ნაშრომი ძალზე საინტერესო წყაროა იმდროინდელი საქართველოს ისტორიის შესასწავლად, რადგან მეცნიერის თვალით დანახული და შეფასებული ამბები და ფაქტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

Im vorliegenden Buch sind die Nachrichten des deutschen Reisenden, des berühmten Volksliedsammler und Agrarhistoriker der XIX Jahrhunderts August von Haxthausen in georgischer Übersetzung dargestellt.

Im Jahre 1843 reiste er durch Kaukasus. Als Ergebniss dieser Reise entstand sein Buch „Transkaukasia“, I-II B, (Leipzig, 1856).

Vielseitig und glaubswürdig sind seine eigene Beschreibung des Alltags.

Sein Werk ist eine wichtige Quelle für Erforschung der georgischen Geschichte des ersten Hälfte des XIX Jh.

# AUGUST von HAXTHAUSEN

## ÜBER GEORGIEN

ERSTE HÄLFTE DES XIX JH.

Die Georgische Übersetzung, die Einleitung, Kommentationen  
und Register von **Gia Gelaschwili**



Verlag **ARTANUJI**  
TBILISSI

## სარჩევი

შესავალი.....	7
პირველი თავი .....	31
მეორე თავი.....	40
მესამე თავი .....	63
მეოთხე თავი.....	92
მეხუთე თავი.....	131
მეთორმეტე თავი.....	154
მეცამეტე თავი.....	192
<b>საძიებლები</b>	
პირთა სახელები.....	203
გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები.....	213
საგნობრივი საძიებელი.....	222
August von Haxthausen über Georgien (Zusammenfassung)....	226



## შესავალი

### ა) ბიოგრაფიული მემოსილვა

აგრარული ურთიერთობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი და სახალხო სიმღერებისა და ლეგენდების შემკრები აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი<sup>2</sup> დაიბადა 1792 წლის 3 თებერვალს ბოეკენდორფის მშობლიურ მამულში, პადერბორნის მხარეში (სათავადოში). ის იყო თოთხმეტთაგან მეთერთმეტე შვილი მამის მეორე ქორწინებიდან. მამა – ვერნერ ადოლფ ბარონი ფონ ჰაქსტჰაუზენი იყო პადერბორნის საერო-სასულიერო დროსტი (მხარის მმართველი – გ. გ.) და კამერჰერი; დედა – ბარონესა მარია ანნა ფონ ვენდტი პაპენ-ჰაუზიდან. ჰაქსტჰაუზენის გვარი ეკუთვნოდა ვესტფალიის ძველ კათოლიკურ თავადაზნაურობას (არისტოკრაციას) და პადერბორნის ანგლიკანური კათედრალური ეკლესიის „ოთხ ნარჩინებულთაგანს“. პადერბორნის მხარის ჰოფმაისტერობა (მსახურთუფროსობა – გ. გ.) ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟზე.

პირველი აღზრდა ჰაქსტჰაუზენმა მიიღო ოჯახში აღექსიუს ურბანის სულიერი მეთვალყურეობით, რომელიც გარდაცვალებამდე

<sup>1</sup> ჰაქსტჰაუზენის ბიოგრაფიის ნარმოსაჩენად ჩვენ ვისარგებლეთ შემდეგი ლიტერატურით: „Allgemeine Deutsche Biographie“, ტ. 11; ბროკჰაუზი და ეფრონი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 14; განსაკუთრებით გამოგვადგა მარტინა სტოიანოვ-ოდოის მიერ უამრავ წყაროსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით ვისბადენში 1991 წელს გამოცემული ნაშრომი – „რუსეთის დიდი მთავრინა ელენე და ბარონი აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენი (ორი კონსერვატორი რეფორმატორი რუსეთის გლეხთა განთავისუფლების პერიოდში) [„Die Großfürstin Helene und August Freiherr von Haxthausen (zwei konservative Reformer im Zeitalter der russischen Bauerbefreiung)“].

<sup>2</sup> მოგზაურის სრული სახელია აუგუსტ ლუდვიგ მარია ბარონი ფონ ჰაქსტჰაუზენი – გ. გ.



იყო მისი ოჯახის მოძღვარი და მდივანი. მამისთვის სამსახურად, აუგუსტი ძმებზე ნადირობით კი არ ერთობოდა, არამედ თავისი ნათესავებისა და იქაური გლეხებისგან ისმენდა მშობლიური მხარის ზღაპრებსა და გადმოცემებს. ამას გარდა ყმანვილი აგროვებდა ქვებსა და მცენარეებს ბოეკენდორფის შემოგარენში.

1811 წლის გაზაფხულზე მშობლებმა ის გაგზავნეს კლაუსტალ-ცელერფელდის სამთო აკადემიაში, რომელიც დაუმთავრებლად მიატოვა 1813 წელს, რათა შესულიყო გიოტინგენის უნივერსიტეტში კამერალური მეცნიერებების (სახელმწიფო მეურნეობების - გ. გ.) შესასწავლად. მაგრამ ამას ხელი შეუშალა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ჟერომ ბონაპარტეს მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც ნაპოლეონმა გაამეფა 1807 წლის შექმნილ ვესტფალიის სამეფოში, სადაც პადერბორნის მხარეც შევიდა. აუგუსტი წერდა პატრიოტულ ლექსებს, რომლებშიც მოუწოდებდა თანამოქალაქეებს ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. 1813 წელს, კასელში ყოფნისას, მეფე ჟერომი გაიქცა და შემოვიდნენ რუსული ჯარები გენერალ ჩერნიშევის მეთაურობით. შემოდგომაზე მთელი გერმანია გასუფთავდა ფრანგული ნაწილებისგან. ჰაქსტჰაუზენმა გენერალ გრაფ ვალმოდენის შენაერთებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჰამბურგსა (დავუს წინააღმდეგ - გ. გ.) და ჰოლშტინიაში ფრანგთა და დანიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბოლო ბრძოლებში. პადერბორნის მხარე, ისევე როგორც მთელი ვესტფალია, 1815 წლიდან პრუსიის კუთვნილება იყო. 1815 წლის 29 სექტემბერს საკუთარი თხოვნით განთავისუფლდა არმიიდან ჰანოვერის სამეფო ლეიტენანტის წოდებით. 1818 წლის 18 თებერვალს მიიღო მინდენის სახალხო ლაშქრის პორუჩიკის წოდება.

სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ ჰაქსტჰაუზენმა დაიწყო სამართლის შესწავლა გიოტინგენის უნივერსიტეტში. იგი იცვამდა ძველ გერმანულ მოდაზე; ტანსაცმელს იკერავდა ლუდვიგ ემილ გრიმის ნახატების მიხედვით.<sup>1</sup> სწავლაზე მეტად მას საუნივერსიტეტო ქალაქის სულიერი ცხოვრება აინტერესებდა.

<sup>1</sup> ემილ გრიმი ხშირად ჩადიოდა ბოეკენდორფში და ჰაქსტჰაუზენის ოჯახის წევრთა მრავალი სურათი დახატა. მათ შორის აუგუსტისა ძველ გერმანულ სამოსში.



ჯერ კიდევ 1811 წელს ბოეკენდორფში აუგუსტი გაეცნო იაკობ, ვილჰელმ და ლუდვიგ გრიმებს, ჰოფმანს და სხვებს. ითქვა, აუგუსტი ბავშვობიდან იყო დაინტერესებული ზღაპრებითა და ლეგენდებით და ყველგან აგროვებდა, იწერდა მათ. სწორედ ამან დააახლოვა ის ცნობილ მეზღაპრეებს და მონაწილეობაც კი მიიღო მათი წიგნის გამოცემაში: აუგუსტის შეკრებილი ზღაპრები მათ მრავლად შეიტანეს თავიანთ „ზღაპრების“ კრებულებში, რისთვისაც მადლობას უხდიდნენ.

1817 წელს აუგუსტმა გიოტინგენში თანამოაზრეები შემოიკრიბა და დააარსა „პოეტური ხარაზთა გილდია“, რომლის მიზანიც იყო ხელოვნების ყველა განხრის, განსაკუთრებით პოეზიისათვის ხელშეწყობა.

რომანტიული სამეგობროს მიერ გამოცემულ ჟურნალში – „ჯადოსნური კვერთხი“ („Wünschelrute“ – 1818 წ. იანვარ-ივლისი) ჰაქსტჰაუზენმა, ბოეკენდორფის საარქივო აქტებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა „ალჟირელი მონის ისტორია“, რომელიც საფუძვლად დაედო ა. ფონ დროსტეს ნოველას – „ებრაული წიგნი“.

ჯერ კიდევ ადრე, სწავლისას ჰაქსტჰაუზენმა დაიწყო ხალხური სიმღერების შეგროვება და გააგრძელა უფროსი ძმის ვერნერის საქმე. მან მოისურვა მის დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი ხალხური სიმღერების გამოქვეყნება, რომლის ისტორიული გამოკვლევა ალუთქვეს ძმებმა გრიმებმა. მაგრამ ეს მცდელობა მას ჩაუშალეს<sup>1</sup>.

1819 წელს ბოეკენდორფში ჰაქსტჰაუზენი შეუდგა მამისეული ქონების მართვას. მის ინტერესს ამიერიდან წარმოადგენდა კონსტიტუციური სამართლის, განსაკუთრებით აგრარული ისტორიის კვლევა, რაც მან დაუკავშირა ხალხთმცოდნეობის (ეთნოლოგიის) შესწავლას. 1820 წლიდან მომრიგებელ მოსამართლე პაულ ვიგანდთან ერთად დააარსა „ვესტფალიის ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის არქივი“.

1829 წლის შემოდგომაზე ჰაქსტჰაუზენი გადავიდა ბერლინში, სადაც ამავე წელს გამოვიდა მისი პირველი ნაშრომი – „აგრარული

<sup>1</sup> 1879 წელს ალექსანდერ რაიფერშაიდმა გამოსცა ჰაქსტჰაუზენის დანატოვარიდან „ვესტფალური ხალხური სიმღერები“. მისი კოლექციის უდიდესი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა.



წყობის შესახებ პადერბორნისა და კორვეის სამფლობელოებში („Über die Agrarverfassung in den Fürstenthümern Paderborn und Corvey“), რომაც მიიქცია პრუსიის მაშინდელი ტახტის მემკვიდრის ყურადღება, რომელიც გაიცნო 1830 წლის დასაწყისში. 1830 წლის 17 მარტს მისგან მიიღო დავალება შეესწავლა ალტმარკისა და მაგდებურგის, 1831 წელს კი რაინ-ვესტფალიის მხარეები. რადგან ჰაქსტჰაუზენი ვერ ეგუებოდა მოხელეთა უვიცობა-თვითნებობას, რაც მას ხელს უშლიდა მუშაობაში, ამიტომ ტახტის მემკვიდრის დახმარებით 1824 წელს დაინიშნა საიდუმლო სამმართველოს მრჩეველად, რითიც განიმტკიცა თავისი პოზიციები. მომდევნო წლებში, წელიწადის თბილ დროს ის ეწეოდა ინსპექციურ მოგზაურობებს პრუსიის სხვადასხვა მხარეში, ზამთრობით კი მონაწილეობდა ბერლინის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აწესრიგებდა თავის მიერ მოპოვებულ მასალებს და ხვეწდა მოსაზრებებს. მიუხედავად თავისი კონსერვატული შეხედულებებისა, მას მთელი სიცოცხლის მანძილზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა სხვაგვარად მოაზროვნებთანაც.

ამ კვლევის შედეგი იყო მისი ნაშრომის პირველი ტომი - „სამამულო წყობა პრუსიის მონარქიის ცალკეულ პროვინციებში“ („Die ländliche Verfassung in der einzelnen Provinzen der preussischen Monarchie“, Königsberg, 1839).

ფრიდრიხ ვილჰელმ IV 1840 წელს ავიდა პრუსიის ტახტზე და ჰაქსტჰაუზენმაც გამოიყენა თავისი პირადი კარგი ურთიერთობა მასთან.

ჯერ კიდევ 1837 წელს მან პრუსიულ ლიტვაში პირველად გადაკვეთა რუსეთის საზღვრები და იყო კურლანდიაში აგრარულ საკითხთა შესასწავლად. თავისი მოგზაურობისას ჰაქსტჰაუზენმა შეამჩნია, რომ გერმანიაში, სადაც ძველად სლავებს უცხოვრიათ, დამკვიდრებული იყო „უცნობი ურთიერთობები, რომლებიც არ იყო ნმინდა გერმანული“, რომელთა ასახსნელად აუცილებლად ჩათვალა „სლავური ტომების აკენის“ - რუსეთის შესწავლა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Über den Ursprung und die Grundlagen der Verfassung in den ehemals slavischen Ländern Deutschlands im Allgemeinen und des Herzogthums Pommern im Besonderen. Berlin, 1842.





1842 წლის მაისში რუსეთის ელჩმა ბერლინში წერილობითი მიმართა სახელმწიფო ქონების მინისტრს პ. დ. კისელიოვს, რომ ჰაქსტჰაუზენის რუსეთში მოგზაურობა სასარგებლო იქნებოდა. ამ წერილს დაურთო ჰაქსტჰაუზენის აღფრთოვანებული გამოხმაურება 1842 წლის 2/14 აპრილის საიმპერატორო ბრძანებულებაზე „დროებითვალდებული გლეხების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 3 მაისის ბერლინის „შტატსცაიტუნგში“ (Preußische Staatszeitung). ნიკოლოზ I-მა არათუ თანხმობა, 1500 მანეთიც კი დაუნიშნა ჯამაგირად.

ვილჰელმ IV-მ ერთწლიანი შვებულება მისცა ჰაქსტჰაუზენს მთელი მისი ხელფასის შენარჩუნებით. 1843 წელს სარეკომენდაციო წერილებითა და სახელმწიფო იურისტისა და სამეურნეო ექსპერტ დრ. ვილჰელმ კოზეგარტენის თანხლებით ჰაქსტჰაუზენი გაემართა რუსეთისკენ. გაზაფხულზე ის ჩავიდა პეტერბურგში, სადაც გაიცნო კარის საზოგადოება, მინისტრები და მაღალი სამხედრო მოხელეები.

სახელმწიფო ქონების სამინისტროდან მას მიანოდეს მრავალი დაბეჭდილი თუ ხელნაწერი მასალა. სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის წევრს ა. პ. ზაბლოცკ-დესიატოვსკის დაევალა შეედგინა ჰაქსტჰაუზენისთვის მოკლე მიმოხილვა საბატონო გლეხების მდგომარეობის შესახებ 1842 წლის 2 აპრილის ბრძანებულებამდე და განემარტა სახაზინო გლეხთა იურიდიული და საშინაო ყოფა. კისელიოვმა ჰაქსტჰაუზენს მიამაგრა გერმანული ენის მცოდნე მოხელე ადერკასი<sup>1</sup>, რომელსაც დაევალა ყოველნაირად შეეწყოს ხელი მოგზაურისთვის სამეცნიერო კვლევისას, ხოლო ამასთან „შეუმჩნევლად აერიდებინა ყოველივე, რაც საბაბს მისცემდა ამ უცხოელს გაეკეთებინა არასწორი და უადგილო დასკვნები...“ ჰაქსტჰაუზენს მიეცა ექვსი თვის ვადა სამოგზაუროდ.

1843 წლის 27 აპრილს ჰაქსტჰაუზენი გაემართა მოსკოვისკენ. მას თან ახლდნენ დრ. კოზეგარტენი, თარჯიმნებად და გიდებად მაიორი ფონ ადერკასი და დრ. ვილჰელმ შვარცი რიგიდან; აგრეთვე

<sup>1</sup> მაიორი კ. ვ. ოტოკარ ფონ ადერკასი (1806-69) ჯერ მსახურობდა სემიონოვკის გვარდიულ პოლკში; 1845 წელს ჰაქსტჰაუზენის მოგზაურობის შემდეგ მიიღო სახელმწიფო ქონების სამინისტროს გენერალური შტაბის პოლკოვნიკობა.



ახალგაზრდა თავადი პაულ ლივენი<sup>1</sup>, რომლის ოჯახიც ძალზე დაახლოებული იყო იმპ. ნიკოლოზთან. თუ რამდენად იყო ნიკოლოზი ამ მოგზაურობით დაინტერესებული, ჩანს გავლენიანი თანმხლებების დანიშენიდანაც, რათა ყოველგვარი დაბრკოლებები გადაელახათ.

მოსკოვიდან მან ჯერ ჩრდილოეთით მოინახულა ვოლოგდა და იაროსლავლი, იქიდან დაუყვა ვოლგას ყაზანამდე და სარატოვამდე; შემდეგ მოიარა პენზა-ტამბოვი-ვორონეჟი-ხარკოვი და ჩავიდა ქერჩში, ყირიმში. აქედან საქართველო-სომხეთის მოვლის შემდეგ დაბრუნდა ყირიმში და შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ გემით ჩავიდა ოდესაში. იქიდან პოდოლიასა და ვოლინის გავლით, კიევ-ორიოლტულას გზით 17/29 ნოემბერს დაბრუნდა მოსკოვში, სადაც დარჩა 1844 წლის თებერვლამდე. თებერვალში ის ჩადის პეტერბურგში და კისელიოვს აბარებს წერილობით ანგარიშს. პეტერბურგში ყოფნის მწვერვალად, გარდა დიდმთავრინა ელენეს<sup>2</sup> ბალზე დასწრებისა და

<sup>1</sup> პაულ ლივენი იყო შვილიშვილი იმპერატორ პავლეს შვილების აღმზრდელის, გრაფინია შარლოტა ფონ ლივენისა, რომელსაც ნიკოლოზი და მისი და-ძმები ეძახდნენ „გრანდ მამან“-ს – დიდდას. ნიკოლოზმა ლიფლანდიელი გენერლის ქვრივს თავადობა უბოძა. თავადი პაულ ლივენი (1821-81) 1866 წლიდან გახდა სასახლის ობერცერემონმაისტერი – უმაღლესი საერო თანამდებობა კარზე.

<sup>2</sup> დიდი მთავრინა ელენე (1807-73), ვიურტემბერგელი პრინცესა და დიდი მთავრის მიხეილის, ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის უმცროსი ძმის ქვრივი. ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს მან შემოიკრიბა „ლიბერალური“ ძალები და მომავალი რეფორმატორები. მის სალონს თანამედროვენი უწოდებდნენ „ოახის უდაბნოში“. აქ იმართებოდა პოლიტიკური და მეცნიერული დებატები, რომელშიც თვითონაც იღებდა ცხოველ მონაწილეობას. განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა მისი მოღვაწეობა, როცა მას 1853 წელს დაუმეგობრდა სეფექალი ბარონესა ედიტა რადენი (გარდ. 1885 წ.). ამ სალონს დაუკავშირდა ვესტფალიელი ბარონი აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენიც. ელენემ იცოდა ჰაქსტჰაუზენის მიერ წარმოებული კვლევის შესახებ პროუსიასა და რუსეთში. ამიტომ 1857 წელს მიმართა ჰაქსტჰაუზენს დახმარებოდა რუსი გლეხის ბატონყმობისაგან განთავისუფლების საქმეში, რაზეც მიიღო თანხმობა და სიცოცხლის ბოლომდე ჰაქსტჰაუზენი ემსახურა დიდ მთავრინას. ჰაქსტჰაუზენის სტატიის თარგმანით, რომელიც ეხებოდა პროუსიაში მემამულური უფლებების გაუქმებასა და გამოსყიდვას („Русский Вес-





დედოფალთან საუზმისა, ჰაქსტჰაუზენი თვლის ხანგრძლივ აუდიენციას ნიკოლოზ I-თან, რომლის პიროვნებითაც მოჯადოებული ჩანს<sup>1</sup>.

პეტერბურგში ჰაქსტჰაუზენი დაესწრო ორი დიდმთავრინას ქორწილს და 1844 წლის აპრილში, ვარშავა-ვენის გავლით, დაბრუნდა სამშობლოში. ვენაში მას აუდიენცია ჰქონდა მეტერნიხთან ნიკოლოზის დავალებით, რომელსაც უკვე ჰქონდა გადანყვებილი თავისი ქალიშვილის ოლგას გათხოვება ერცჰერცოგ სტეფანზე. რომანოვებისა და ჰაბსბურგების დინასტიათა დაახლოება გაამყარებდა „ღვთაებრივ კავშირს“, ამასთან ოლგა მიიღებდა პაპის ნებართვას, დარჩენილიყო მართლმადიდებლად...

მომდევნო წლებში ჰაქსტჰაუზენმა დაამუშავა თავისი სამოგზაურო ჩანაწერები და 1847 წელს გამოსცა ორტომეული „ნარკვევები რუსეთის საშინაო მდგომარეობის, ხალხის ცხოვრებისა და განსაკუთრებით სასოფლო მოწყობის შესახებ“<sup>2</sup>. ამ ნაშრომის გამოსაცემად რუსეთის მთავრობამ გამოუყო 6000 მანეთი. 1851 წელს ჰაქსტჰაუზენმა ითხოვა შუამდგომლობა, დაენიშნათ მისთვის ახალი თანხა, რათა ფრანგულად გამოეცა შრომის ბოლო მესამე ტომი, რომლის გერმანული ტექსტი ბერლინში 1852 წელს გამოიცა. რადგან ეს ტომი შეიცავდა „საყურადღებო მსჯელობას“ საგარეო პოლიტიკის, არმიისა და ფლოტის, ეკლესიისა და თავადაზნაურობის შესახებ, გრაფმა კისელიოვმა მოითხოვა თითოეული ამ ნაწილის

тник“, 1857, XII), დაიწყო რუსულ ლიტერატურაში გლეხთა საკითხის განხილვა-განსჯა.

ჰაქსტჰაუზენი იცნობდა მედასავლეთეებსა და სლავოფილებს, ჰერცენს, აქსაკოვს და მრავალ მოწინავე პიროვნებას, აწარმოებდა მათთან მიმოწერას.

<sup>1</sup> აი, რას წერს ჰაქსტჰაუზენი ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ: „ნიკოლოზი იყო კაცი, რომელსაც უყურებდი როგორც ბრინჯაოს ქანდაკებას! მე ის წერილად შევიცანი; არ მგონია, რომ ათი კაცი მაინც იცნობდეს მას ისე ახლოს და აფასებდეს, როგორც მე. ის იყო კეთილშობილური, ძლიერი ხასიათის, როგორიც ამ დროში არ აქვს ერთიორს, ამასთან პირდაპირი, სამართლიანი, გულკეთილი და ღვთისმოსავი, როგორებიც ცოტანია“.

<sup>2</sup> Studien über die innere Zustände, das Volksleben und insbesondere die ländlichen Einrichtungen Russlands (I-II, Hannover u. Berlin, 1847).



განხილვა დაევალებინათ სათანადო დანესებულებებისათვის, რასაც იმპერატორიც დაეთანხმა. დართეს ამ ნაშრომის გავრცელების ნება, ოღონდ მესამე ტომიდან უნდა ამოეღოთ სამი „საძრახისი ადგილი“ და აკრძალეს წიგნის რუსულად გადათარგმნა.<sup>1</sup> მესამე ტომის ფრანგულად გამოცემისათვის (ბერლინი, 1853) დამატებით გაიცა 3000 მანეთი. ამ ნაშრომში დახასიათებულია რუსული თემი („მირ“-ი), მისი პატრიარქალური ბუნება. ჰაქსტჰაუზენი მხარს უჭერს სათემო წყობის შენარჩუნებას რუსეთში, როგორც პროლეტარიატისგან მისი დაცვის ერთადერთ საშუალებას. ბატონყმობის გაუქმებას ჰაქსტჰაუზენი უყურებს როგორც თანდათანობით პროცესს, რას შეიძლება მოხდეს მხოლოდ შეზღუდვებით, ყმასა და ბატონს შორის ურთიერთობის მონესრიგებით. ჯერ კიდევ 1842 წელს გრ. კისელიოვისადმი წერილებში ის გამოდიოდა გლეხთა უმინოდ განთავისუფლების წინააღმდეგ და მიუთითებდა პომერანიის მაგალითზე, სადაც „გლეხობა აქციეს მანანალებად“. მისი აზრით რუსეთში არ შეიძლებოდა მეურნეობის წარმართვა „თავისუფლად დაქირავებული“ შრომის პირობებში.

რუსეთში მოგზაურობისას ის შეეხო მისთვის ცხად და მოულოდნელ მოვლენას, როგორიც იყო „რასკოლი“. მან პირველმა აღწერა ის და გამოამზეურა მრავალი სექტა. ჰაქსტჰაუზენის აზრით, თუკი ეკლესიას არ სურდა მთლიანად დაშლილიყო სექტებად, სასწრაფოდ უნდა შეერთებოდა საფუძველში მყარ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას. რუსული ორთოდოქსული და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების აზრის დასაბუთებას ის შემდგომშიც მრავალჯერ ცდილობდა.

ჰაქსტჰაუზენის დასკვნებს აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი. შერცენი (მას ჰაქსტჰაუზენი გაეცნო მოსკოვში და შემდგომშიც ჰქონდა მიმონერა) და ჩერნიშევსკი მას უწოდებდნენ იეზუიტსა და პატრიარქალურ ბარონს, მონარქისტს, რომელიც ამართლებდა

<sup>1</sup> მოგვიანებით ლ. რაგოზინმა გამოსცა რუსულად პირველი ტომი – „Исследование внутренних отношений народной жизни и в особенности сельских учреждений России“, Москва, 1869. უფრო ადრე კი „Современник“-ში 1857 წ. № 7-ში გამოქვეყნდა ნაწყვეტი, რაც თემს ეხებოდა.



ნიკოლოზის დესპოტიზმს. მაგრამ ფაქტია, რომ ჰაქსტჰაუზენის ნაშრომის შემდეგ დაიწყო რუსულ ლიტერატურაში მსჯელობა გლეხთა საკითხებზე.

როგორც ჰაქსტჰაუზენის დანატოვარი მასალებიდან ჩანს, იგი დაინტერესებული იყო არა მარტო აგრარული ურთიერთობებით, არამედ ვაჭრობა-ხელოსნობით, წეს-ჩვეულებებით, ენებით და დი-ალექტებით, მხარეთა არქიტექტონიკული მახასიათებლებით, რე-ლიგიებით, რუსული სამხედრო ცხოვრებით და თავისი საყვარელი საქმიანობით – ხალხური სიმღერებითა და ზღაპრებით.

ჰაქსტჰაუზენმა დატოვა ეს სამოგზაურო აღწერილობანი. 1856 წელს ლაიფციგში გამოაქვეყნა ორნანილიანი წიგნი „ამიერკავკასია. შენიშვნები ოჯახური და საზოგადოებრივი (თემური) ცხოვრების, ასევე სოციალურ ურთიერთობათა შესახებ შავ და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრებ ზოგ ხალხებში“<sup>1</sup>; მან ეს ნაშრომი დაუგზავნა იმ-პერატორს, დიდ მთავრინას, რუსეთის მაღალჩინოსნებს; 1856 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა კარლ ნესელროდემ წერილობით შეუთვალა ჰაქსტჰაუზენს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მადლობა „ტრანსკავკასიის“ გამოგზავნისთვის.

გარდა შესავალში ზემოთ აღნიშნული ნაშრომებისა, ჰაქსტ-ჰაუზენს ეკუთვნის კიდევ „Geistliche Volkslieder mit ihren ursprünglichen Weisen gesammelt aus mündlicher Tradition und seltenen alten Gesangbüchern“, Paderborn, 1850 და „Die ländliche Verfassung Rußlands. Ihre Entwicklung und ihre Festsetzung in der Gesetzgebung von 1861“, Leipzig, 1866.

ჰაქსტჰაუზენის მიერ დანატოვარი მრავალფეროვანი მასალა ძირითადად დაცულია გერმანიის ქ. მიუნსტერის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ესაა მემუარები, სამო-

<sup>1</sup> Transkaukasien. Andeutungen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meere. Reiserinnerungen und gesammelte Notizen von August von Haxthausen, I-II. Leipzig, 1856. ამავე წელს ითარგმნა რუსულად – „Закавказский край. Заметки о семейной и общественной жизни и отношениях народов, между Черным и Каспийским морями“, СПб., 1856.



გზაურო ჩანანერები, კორესპონდენციები ქვეყნის მმართველ ნარკობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მწერლებთან და სხვა მრავალ პიროვნებასთან და სხვა.

გარდაიცვალა აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი 1865/66 წლების ახალი წლის ღამეს ჰანოვერში თავისი დის ანნა ფონ არნსვალდის სახლში. დაკრძალულია ბელერზენის სასაფლაოზე.

ჰაქსტჰაუზენის ბიოგრაფიას და მოღვაწეობას საკმაო გამოკვლევები მიეძღვნა. გარდა ჩვენს შესავალში ზემოთ მითითებულისა, შეიძლება აგრეთვე სარგებლობა შემდეგი გამოცემებით:

Genealogisches Handbuch des Adels, Freiherrliche Häuser, Band 8, Limburg, 1971, გვ. 231.

Lenz Wilhelm, Deutschbaltisches Biographisches Lexicon 1710-1960, Köln, Wien, 1970.

Hizen, Eichi. Biographie von und über August von Haxthausen (Slavonic und East European Studies 3, 1982, გვ. 91-199).

Beer Knust, Bettina – August Haxthausen, a Conservative Reformer. Nashville-Tennessee, 1976.

Bobke, Wolfgang – August von Haxthausen. Eine Studie zur Ideengeschichte der politischen Romantik, München, 1954.

Cohausz, Alfred – August von Haxthausen – Editha von Rahden. Ein Briefwechsel im Hintergrund der russischen Bauernbefreiung von 1861. Paderborn, 1975.

Družinin, N. M. – August von Haxthausen und die russischen revolutionären Demokraten, Berlin, 1966.

Starr, Frederick, – August von Haxthausen and Russia (in Slavonic and East European Review 46, 1968, გვ. 462-478).





1202:899

როგორც ზემოთ ითქვა, ჰაქსტჰაუზენმა დაგვიტოვა ორნანილიანი წიგნი „ამიერკავკასია“. როგორც თვითონ ამბობს წიგნის წინასიტყვაობაში 1855 წლის ივნისში, ეს ნაშრომი მას უკვე 1849 წელს ჰქონია დასაბეჭდად მზად, მაგრამ ზოგიერთი ხელისშემშლელი გარემოების გამო ის ჯერ ინგლისში გამოქვეყნდა. თუმცა ეს დრო ჰაქსტჰაუზენმა გამოიყენა მის შესავსებად და სრულყოფისათვის. ამ ორტომეულიდან საქართველოს შესახებ მასალა მოცემულია პირველი წიგნის I-V თავებში, ასევე მეორე წიგნის XII-XIII თავებში და ზოგიერთ დამატებაში (ვახტანგ VI-ის შეგროვებული სამართლის ძეგლების გერმანული თარგმანი). მოგზაური საქართველოში იმყოფებოდა 1843 წლის 3 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე. აი, საქართველოში მისი მოგზაურობის მარშრუტი: ზღვით – ბიჭვინთა, ბამბორა, რედუტ-კალე; ცხენებით – ანაკლია, ზუგდიდი, ხონი, ქუთაისი, ყვირილა, სამთავისი, მცხეთა, ტფილისი; აქედან – გერმანული კოლონიები, მარტყოფი. შემდეგ გასვლა კახეთში. მომდევნო მოგზაურობა ჯერ სომხეთში, შემდეგ ოსებით დასახლებულ ქართლის რაიონებში; დაბოლოს, უფლისციხე-მარანი-რიონი-ფოთი-რედუტ-კალეს გავლით გადის საქართველოდან.

ჰაქსტჰაუზენის ცნობები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი ეხება ცხოვრების ყოველ მხარეს – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, ტრადიციებს; ახასიათებს მოსახლეობას, მათი საცხოვრებლის ტიპებს, სოციალურ ფენებს, საამქრო წყობას, რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას. ჰაქსტჰაუზენი არ კმაყოფილდება ფაქტების უბრალო გადმოცემით – გვთავაზობს თავის დასკვნებსა და სურვილებს. მართალია, ესენი არაა ყოველთვის გასაზიარებელი, მაგრამ ნაშრომის ღირებულებას არ ამცირებს. ჰაქსტჰაუზენის ცნობათა სანდოობა შეგვიძლია შევამოწმოთ იმავე პერიოდის სხვა მოგზაურ-ავტორთა მონაცემებითაც (კარლ კოხი, მორიც ვაგნერი, კოცებუ და სხვები), რომლებმაც ასევე ვრცელი აღწერილობები დაგვიტოვეს საქართველოს შესახებ.

საინტერესოა ის მეთოდი, რომლითაც ჰაქსტჰაუზენი იკვლევს ამა თუ იმ ხალხის ყოფას. თუ დაუუჯერებთ ავტორს, იგი, ჩვენი აზრით, პირველია მოგზაურთა შორის, რომელიც ამბობს, რომ ჯერ





მოივლის უცხო ქვეყანას და მხოლოდ შემდეგ ეცნობა ამ ქვეყნის ისტორიას, მის შესახებ სხვათა ცნობებსა და გამოკვლევებს, რათა არ მოექცეს სხვისი აზრების გავლენის ქვეშ და იყოს მიუკერძოებელი. მხოლოდ შემდეგ ავსებს თავის ხელნაწერებს საჭირო შენიშვნებითა და ამონარიდებით. მაგალითისთვის დავესვსხოთ ავტორს: „... ოსების შესახებ ნარკვევი ისე დავწერე, რომ არაფერი წამეკითხა ამ ხალხის შესახებ... მერე შევისწავლე კავკასიის მხარე... კერძოდ ოსები... ბოლოს დიუბუა დე მონპერეს ნაშრომში ვნახე ნარკვევი ოსების შესახებ. ბევრი რამ ჩემს დაკვირვებებს ადასტურებდა და ავსებდა..., ზოგიც ჩემს მონაცემებს აშკარად ეწინააღმდეგებოდა“.

ჰაქსტჰაუზენის **წყაროებზე** საუბრისას პირველ რიგში გადავხედოთ, თუ, საკუთარი თვალით ნანახის გარდა (გეოგრაფიული აღწერილობები - ქალაქები, გზები, ხიდები, ბუნება; მეურნეობის დარგები; საზოგადოებრივი დაწესებულებები, ბაზრები; მოსახლეთა კარ-მიდამოები და საცხოვრების ტიპები; მოსახლეობის წეს-ჩვეულებები, გარეგნობა, ხასიათი, ჩაცმა; სუფრა, ცეკვა-სიმღერა; ცალკეული ისტორიული პირები და სხვა მრავალი), ვის მონათხრობ-მონაცემებს იყენებს მოგზაური, ვინ წარმოადგენს მის პირველწყაროს, ვის ენდობა ის. ასეთები მრავლადაა დასახელებული ნაშრომში, ზოგან კი მათ დახასიათებასაც იძლევა. ესენია: 1) ქართველი თავადები - ორბელიანი, ციციანოვი (ამათ მიანოდეს ცნობები ქართველ თავადაზნაურთა ურთიერთობების შესახებ), აფხაზოვი (სილნალის მხარის უფროსი - აცნობს მეურნეობის გარდაქმნა-განახლების გეგმებს; მისი სვანი მეულლე კი - სვანეთის ცხოვრებას და ა. შ.), ანდრონიკოვი (თელავის მხარის მმართველის მოადგილე - აწვდის სტატისტიკურ ცნობებს და სხვა), ზაქარია ფალავანდიშვილი (გუბერნატორმა ის მეგზურად გააყოლა), გურამოვი (მარტყოფში სალოცავად მსვლელობისას ამან უმასპინძლა მოგზაურს და უჩვენა სადღესასწაულო მრავალი რიტუალი).

2) რუსი დიდმოხელეები - ნაიდჰარდტი (საქართველოს მთავარმართებელი, რომლის კარზეც დაესწრო სპარსეთის ელჩის სტუმრობას და სხვა), კოცებუ (მიანოდა ვრცელი ცნობები გერმანელი კოლონისტების შესახებ), ქუთაისის მხარის მმართველი (იცოდა ფრანგული და გერმანული ენები და ესაუბრა მხარის შესახებ).







3) განათლებული გერმანელი კოლონისტები და პიროვნებები: ზალცმანი (ტფილისში სასტუმროს პატრონი, რომელთანაც ჩერდებოდა თითქმის ყველა უცხოელი), პეტერ ნოი (მოგზაურის გამყოლი და თარჯიმანი; იცოდა 12 ენა, იყო ნამყოფი მრავალ ქვეყანაში და მცოდნე უამრავი ზღაპრისა და გადმოცემებისა. ეს ორი უკანასკნელი საუკეთესოდ იცნობდნენ საამქრო ცხოვრებასა და წესებს); შმიდტი (აფთიაქარი და კოლეგიის ასესორი); ლენცი (კახეთში ევროპულად მოაწყო ღვინის ქარხანა და ზალცმანთან ერთად გააცნო მევენახეობა-მელვინეობის ვითარება); დადიანის ზუგდიდის რეზიდენციის სასახლის მმართველი (წარმოშობით ფრანგი, მისგან ეცნობა სამეგრელოს მთავრის კარის ცხოვრებას).

4) განათლებული სომეხი პიროვნებები - საბალოვი (ახლდა შაქსტჰაუზენს ოსებში მოგზაურობისას, როგორც მათი ცხოვრების კარგი მცოდნე); აბოვიანი (მიანოდა ცნობები სომხების შესახებ და ა. შ.).

5) რუსი ოფიცრები - მათგან იღებს ცნობებს რუსული სამხედრო ძალის საქართველოში ყოფნის, მოქმედების, ცხოვრების პირობების და სხვათა შესახებ.

6) ებრაელები - მათი საშუალებით იგებს ებრაელთა სხვადასხვა მიმდინარეობათა ცხოვრების წესებს.

ასეთია ძირითადად შაქსტჰაუზენის ცოცხალ წყაროთა სია, რომელთა მიერ მიწოდებულ ცნობებს ადარებს და აჯერებს თავისი თვალით დანახულთან და ავსებს სხვა მკვლევართა თუ მოგზაურთა დანატოვარი მასალით და პირიქით. აი, რას ამბობს შაქსტჰაუზენი თავის წინასიტყვაობაში: „მხოლოდ ზოგმა ბუნებისმკვლევარმა, როგორებიც არიან კოხი, ვაგნერი და დიუბუა, უახლოეს ხანებში მიუძღვნეს ამ მხარეს კეთილსინდისიერი გამოკვლევები... ასევე მეცნიერული ღირებულებისაა შარდენის, გიულდენშტედტის, კლაპროტის, გამბას, დიუბუას, ბროსეს, ასევე ლინგვისტების სიოგრენის (Sjogren) და როზენის ნაშრომები, მაგრამ მათ ნაკლები ყურადღება მიაქციეს ხალხთა საოჯახო და სოციალურ ურთიერთობებს, ტრადიციებსა და ჩვეულებებს, მათი სიმღერებისა და ლეგენდების შეკრებას. ამის საფუძვლიანად შესწავლით კი შეიძლებოდა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის წარსულისთვის გარკვეული ნათელის მოფენა (მაგ., ოს-



ებისა და გერმანელების ნათესაობისა თუ ტრადიციათა მსგავსების დასადგენად)... ხალხი, რომელიც ცხოვრობს ამ რეგიონში (კავკასიაში - გ. გ.), განთქმულია (უნდა ამაცობდეს) თავისი თქმულებების, მითების და ტრადიციების სიმდიდრით, როგორც მთელ დედამიწის ზურგზე არსად მოიძებნება“.

როგორც აღინიშნა, ჰაქსტჰაუზენი საქართველოში იმყოფებოდა 1843 წლის აგვისტო-სექტემბერში; ესაა ამიერკავკასიაში გენერალ ნაიდჰარდტის მმართველობის პერიოდი, რომელსაც მოგზაური პირადადაც შეხვდა. მის ჩამოსვლას წინ უსწრებდა ნიკოლოზ I-ის მიერ გამოგზავნილი სენატორებისა და შემდეგ ბარონ პაულ ფონ ჰანის ე. წ. სარევიზიო ყოფნა, რათა გარკვეული რეფორმების გატარებით მოეგვარებინათ მმართველობის სისტემა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. ჰაქსტჰაუზენის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია საქართველოში **რუსული მმართველობისა** და რუსთა ყოფნის ნამდვილი სურათი. მართალია, მოგზაური რუსეთის იმპერატორის მიერაა გამოგზავნილი და მისი პიროვნების მაქებარია, მაგრამ არსებულ სინამდვილეს გვერდს ვერ უვლის. ამასთან ვითარების გამოსასწორებლად ზოგჯერ თავის შეხედულებებსა და აზრებსაც გვთავაზობს.

ჰაქსტჰაუზენი აღნიშნავს, რომ მის დროს, ქართლსა და იმერეთში, რომლებიც უშუალოდ შევიდნენ რუსეთის მფლობელობაში, გავრცელებული იყო რუსული კანონმდებლობა და მმართველობა. სამეგრელომ, აფხაზეთმა და სვანეთმა მხოლოდ აღიარეს რუსეთის უზენაესობა, მაგრამ შეინარჩუნეს თავისი მმართველობა და კანონმდებლობა, გარდა კრიმინალური სამართლისა, რაც დაუქვემდებარეს რუსულ საიმპერიო იურისდიქციას. მოგზაურს ისიც უთხრეს, რომ რამდენიმე წლის წინ დადიანს შესთავაზეს 2½ მლნ ვერცხლის მანეთი, რათა ჩამოსცლოდა რუსულ მთავრობას, მაგრამ დღემდე ეს არ გადაუნყვეტიანო; აგრეთვე დადიანმა თავისი ორდენი დაანესაო (გვ. 43; 45).

როგორც ჰაქსტჰაუზენი ამბობს, კავკასიის გენერალ-გუბერნატორს უკავია ვიცე-მეფის თანამდებობა, რაც აზიელ მეზობლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ახლად დანიშნული ყოველთვის აცნობებს თეირანში შაჰს თავის დადგინებას ოფიცრებისგან შემდგარი მცირე ელჩობის საშუალებით. შაჰიც საპასუხოდ თავის ელჩს გზავნის ტფილისში მისალოცად და სპარსული „მზის“ ორდენის გადმო-

საცემად. სწორედ ამ ელჩის საზეიმო დახვედრას დაესწრო **ჰაქსტაუზენი** (გვ. 98).

თუ როგორ კარგად ხედავს ჰაქსტაუზენი რუსული მმართველობის არსს, მივმართოთ მის ცნობებს. ინტერესმოკლებული არაა ჰაქსტაუზენის დაკვირვება, რომ „მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმების ცენტრალიზაცია სავსებით შეესაბამება სახელმწიფოს მაღალ ფენებში ველიკორუსულ ხასიათს... ის, რაც ველიკორუსიისთვის სავსებით მისაღებია სისტემის თვალსაზრისით, მიუღებელია ან სულაც დამღუპველი ბალტიისპირა გერმანული პროვინციებისა და კავკასიის ქვეყნებისთვის... ყველგან უხეშად ესმოდათ კანონები და ადმინისტრირება, რომლებსაც თვითონ შეჩვეული იყვნენ... ამასთან მთელი მმართველობა გასამხედროებული იყო; ყოველგვარი საჩივარი გამგებელ გენერალთან მიდიოდა... რუსები ერეოდნენ ადგილობრივთა ცხოვრების წესებში და არ იყო გამორიცხული, რომ ეს ინვევდა ზიზღს თითქმის ყველა კავკასიურ ხალხში რუსული მმართველობის მიმართ“ (გვ. 75-76).

„რუსულ არმიას ამიერკავკასიაში განსხვავებული პოზიცია უკავია, ვიდრე საკუთრივ რუსეთში; ის მრავალი წელია უცვლელად გარნიზონის მდგომარეობაში **დაპყრობილ ქვეყანაში!** მთელი მმართველობა სამხედრო ძალას ემყარება, რის გამოც **ქვეყანა ოხრავს**, მაგრამ არმია, განსაკუთრებით კი ოფიცრები, ჯიუტად იცავენ მას, რადგან ეს მათ ინტერესებშია!“ (გვ. 99).

ჯერ კიდევ გენერალი ციციანოვი და შემდეგ პასკევიჩი ამბობდნენ, რომ საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების განცალკევება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუდამ მოხდება დიდი დანაშაულებებიო. პასკევიჩის დროს ვითარების გასარკვევად პეტერბურგიდან გამოგზავნილმა ორმა სენატორმა „დიდი სისაძაგლეები“ ნახეს, ამის შემდეგ საგანგებოდ ჩამოსულ ბარონ ფონ ჰანსაც არაფერი გამოუვიდა და „ყოველივე ძველებურად დარჩა“. როგორც ჰაქსტაუზენი ამბობს, მმართველ სამხედროთათვის ტკბილი იყო განუკითხავად ემართათ მილიონები. შედეგები კი საკმაოდ სავალალოა: ნაყოფიერი საქართველო, მშვიდობის მიუხედავად, წინ არ მიდის“. ამასთან ჰაქსტაუზენი ნუხს, რომ ჰანის მიერ შეგროვებული უამრავი მასალა უქმად იდო ტფილისში და რუსულის უცოდინარობის გამო

ვერავინ შეძლო მათი გამოყენება და არც არავინ აღმოჩნდა მათი თარგმნის მსურველი. ჰაქსტჰაუზენმა იცის, რომ ძველი და ახალი მოგზაურები ბევრს ლაპარაკობენ ამიერკავკასიაში გაბატონებულ ბოროტმოქმედებებზე, მოსყიდვებზე, ძალადობაზე, ყოველგვარ ინტრიგებზე. „მეც საკმაოდ მესმა ამის შესახებ, მაგრამ არც დრო, არც განწყობა, არც დავალება და მოწოდება არ მაქვს, რათა დავადგინო სინამდვილე“. როგორც ბიოგრაფიული ნარკვევიდან ვიცით, მას თან ახლდნენ პიროვნებები, რომლებსაც ევალებოდათ მისი საქმიანობის თვალთვალი. ჰაქსტჰაუზენი მაინც იმედოვნებს – თუკი თავადი ვორონცოვი შეიძლებს თვალშისაცემ ბოროტმოქმედებათა ნაწილობრივ მოსპობას მაინც, ამას დრო გვიჩვენებსო. როგორც ჩანს, მოგზაურს არა მარტო სმენია, არამედ თვალშიც სცემია მრავალი სისაძაგლე და ბოროტმოქმედებაც.

საინტერესოდ აღწერს ჰაქსტჰაუზენი რუსი ჯარისკაცების ცხოვრებას. მან ნახა პოლკებში მუშათა რაზმები, რომ ჯარისკაცებს იყენებდნენ და აჩვენებდნენ ყოველგვარი სახის ხელობას. „რუს ჯარისკაცს აიძულებენ ცოლის შერთვას... მათი ცოლები ბევრ ფულს შოულობენ რეცხვით, კერვით და ა. შ. დაოჯახებული სამხედროები იშვიათად ბრუნდებიან სამშობლოში; ისინი მეტწილად აქვე სახლდებიან პოლკის კოლონიაში. ყოველ პოლკს აქვს საკუთარი კოლონია... აქ დასახლებულ ჯარისკაცს უფლება აქვს თავისი ცოლშვილი, თუკი ასეთი მას სამშობლოში ჰყავს, ხაზინის ხარჯებით ჩამოიყვანოს; ასევე და-ძმაც, თუკი მათი სურვილია“ (გვ. 101-102).

სამეგრელო-იმერეთის გზაზე ჰაქსტჰაუზენმა იხილა კაზაკთა პოსტები, რომლებშიც კაზაკებს მეტწილად 3 წლით აგზავნიან. „რასასარგებლონი არიან ეს მშვენიერი ყმანვილები! რა კარგად იკვლევენ გზას უცხო მხარეში! ესენი აქ ყველგან გაშინაურდნენ... ისინი უბრალოდ ცხოვრობენ“. ამ ცნობებში ძალიან კარგად ჩანს რუსული მთავრობის პოლიტიკა და გეგმები ადგილობრივ დემოგრაფიაში გარკვეული ცვლილებების შეტანის თაობაზე. რუს სამხედროთა დასახლებები, ე. წ. „ვოენნი გოროდოკები“, ხომ ფაქტობრივად XX საუკუნის ბოლომდე შემორჩა.

ჰაქსტჰაუზენი ასახელებს ერთ კრიმინალურ ფაქტს: როცა თავადი გურამიშვილი მოსალოცად იმყოფებოდა მარტყოფში, მას სახლი



მთლიანად გაუქურდეს. დამნაშავეებად რუს ჯარისკაცებს მიიჩნევენ დნენ.

ჰაქსტჰაუზენი ხედავს, რომ ამიერკავკასია, რომელიც რუსეთისგან გამოყოფილია თავისუფალი მებრძოლი ხალხებით დასახლებული მაღალი კავკასიონით, ჯერ კიდევ დიდი ტვირთია და ამ მშვენიერი მხარიდან მიღებული მოგება ვერ ფარავს ხარჯებსა და დანაკარგებს. „ამბობენ, ყოველწლიურად არმია კარგავს შემადგენლობის 1/6-ს“. მიუხედავად ამისა, რუსული ხელისუფლების მსგავსად, ჰაქსტჰაუზენსაც მიაჩნია, რომ „რუსები მხსნელებად მოევლინენ თურქეთისა და სპარსეთის მაჰმადიანური ძალადობისგან თავდასახსნელად და რომ ქრისტიანობის გავრცელებასა და ცივილიზაციას კვლავ გზა გაესხნა“, რომ „ამ მხარის დაკავებით, დამორჩილებით და კულტურებით მთელი წინა აზიისთვის შესრულდება კულტურული და სამომავლო მისია!“ ამ მისიის განხორციელების ერთ-ერთ მაგალითად ჰაქსტჰაუზენს ტფილისის შენება მოჰყავს: „იმ მხარიდან, საიდანაც ტფილისში შედიხარ, მას მთლად ევროპული იერი აქვს. ქალაქის ეს ნაწილი რუსების მიერაა აგებული; სწორი ქუჩები, თანამედროვე სახლების მწკრივები, ელეგანტური მაღაზიები, აფთიაქები, კაფეები, საჯარო დანესებულებები, გურებნატორის სასახლე... ქუჩებში – მრავალფეროვანი სამხედრო ფორმები, ფრანგული კოსტიუმები, ფრაკები და ა. შ., ყოველივე ამას ევროპაში გავყავართ“ (გვ. 58).

ყველაზე მეტ ყურადღებას ჰაქსტჰაუზენი აქცევს ქვეყნის სოციალურ ცხოვრებას. ის ხომ რუსეთში საგანგებოდ საგლეხო საკითხის შესასწავლადაა ჩასული. იგი ვრცლად ეხება სხვადასხვა სოციალურ ფენას – თავადებს, აზნაურებს, გლეხებს და მათ ურთიერთობებს. ჰაქსტჰაუზენი კარგად ხედავს, რომ თავადაზნაურობა მრავალრიცხოვანია და უმრავლესობა გაღარიბებული – „გვიჩვენებს სოფელი, სადაც 120 თავადს ერთდროულად 30 გლეხური კომლი ეკუთვნოდა“ (გვ. 50), ანდა „ბევრი სახაზინო გლეხი ხდება გაღარიბებული და თავქარიანი აზნაურების მიწების შემსყიდველ-მესაკუთრე“. იგი გლეხებს ყოფს სახაზინოდ, საეკლესიოდ და მემამულეთა ყმებად. გლეხებში გამოყოფს სრულფუძიანს, წვრილს, ღარიბს და ბოგანოებს. მიუთითებს მათ გადასახადებზე – სახაზინოდ და საეკლესიოდ გლეხები ფულით, საბატონო კი – მემამულის მოთხოვნის მიხედ-



ვით, თუმცა სახელმწიფო გადასახადზე მემამულეა პასუხისმგებელი საერთოდ ძალზე საინტერესო სტატისტიკას იძლევა სხვადასხვა სახის გადასახადთან დაკავშირებით (მარტყოფისა და სხვა სოფლების მაგალითზე). ასახელებს სავალდებულო ძღვენსა და საჩუქრებს.

ჰაქსტჰაუზენი ამბობს, რომ 30-100 კომლი შეადგენს თემს, რომელსაც სათავეში უდგას ნაცვალი; საეკლესიო თემს კი მოურავი განაგებს, რომელსაც ირჩევენ სამხარეო თემის სოფლები და ამტკიცებს მხარის რუსი მმართველი. ჰაქსტჰაუზენი გვაცნობს მოსახლეობის მიერ ტყით, საძოვრებითა და ყანებით სარგებლობის უფლებებს. გვაცნობს მერუეთა ვალდებულებებს. საუბრობს მემკვიდრეობის წესებზე, კომლის წევრთა გაყრაზე, საკომლო დავის შესახებ, გამზითვებაზე; არ ავინწყდება მოჯამაგირეთა და დღიური მუშების არსებობა და მათი სარგო. ჰაქსტჰაუზენს მიაჩნია, რომ ბატონყმობა ადმინისტრირების გზით მკვიდრდება რუსეთიდან. საინტერესოა ერთი ცნობაც, რომ რუსულმა მთავრობამ ქართლ-იმერეთში სომხური მემკვიდრეობითი სოფლისთავის გვარები თავადებად ჩათვალა, სომხეთში კი არც ერთი.

ჰაქსტჰაუზენი ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოთვლის ეროვნებათა მიხედვით (ქართველები, სომხები, თათრები, გერმანელები, რუსები, ოსები, ებრაელები), ახასიათებს მათ, ეხება მათ საქმიანობას (ქართველები - მიწათმოქმედნი, მებაღეები; თათრები - ხელოსნები, მჭედლები; სომხები თითქმის ყველა ვაჭარია, გერმანელები - ხელოსნები, მხატვრები, ვაჭრები). ჰაქსტჰაუზენი ამბობს, რომ ყველანაირი სარწმუნოების მიმდევრები აქ გვხვდება: რომაული, ბერძნული, სომხური ეკლესიის ქრისტიანები, ყველა ჯურის პროტესტანტი, სუნიტი და შიიტი მაჰმადიანები, ებრაელთა სხვადასხვა სექტები და თვით ნარმართებიც. საინტერესოა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ბუნების ავტორისეული შედარებითი დახასიათება (ქართველებისა და სომხების, გერმანელებისა და თათრების, რუსების და ოსების). ჰაქსტჰაუზენი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სომხები ეუფლებიან ქართველთა ქონებას, რაც სიძულვილს იწვევს“. ცალკე თავს უძღვნის ჰაქსტჰაუზენი საქართველოში მცხოვრები ოსების აღწერას.

ჰაქსტჰაუზენი მეურნეობის დარგებიდან ჩამოთვლის და ახასიათებს მემინდვრეობას, მევენახეობა-მელვინეობას, მესაქონლეობას,





ტექნიკური კულტურების მოყვანას (მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, შაქრის ლერწმის, ბამბის მოშენება). განსაკუთრებით ვრცელად აღწერს ყანებსა და მათი მორწყვის და დამუშავების საშუალებებს. საერთოდ, დიდ ადგილს უთმობს წარსულ საირიგაციო სიტემების არსებობას, ასევე ხვნას, ლენვას (გუთანის, კევრის), ნისქვილებს. კახეთში ყოფნისას ახლოს გაეცნო ღვინის დაყენებისა და მისი რეალიზაციის საშუალებებს და დანვრისლებით გვაცნობს მათ. უყურადღებოდ არ ტოვებს მეფუტკრეობას, ლუდის ხარშვას. ჰაქსტჰაუზენი საუბრობს აგრეთვე შევარდნებით ნადირობაზე.

დიდი ყურადღებით ეკიდება ჰაქსტჰაუზენი **ვაჭრობას** და თავის შეხედულებებსა და რეკომენდაციებს სთავაზობს რუსულ მთავრობას. „რუსული მფლობელობის პირობებში ტფილისის წარმოუდგენლად გაიზარდა და განვითარდა და კიდევ უფრო მოიმატებდა, რომ არ შეზღუდულიყო თავისუფალი ვაჭრობა და არ შემოეღოთ რუსული ბაჟი ევროპიდან შიდა აზიაში ვაჭრობაზე, რის გამოც საქონელი ტრაპიზონზე გავლით მიემართება თავრიზისკენ მაშინ, როცა ბუნებრივი გზა ტფილისზე გადის“ (გვ. 62). როგორც ჰაქსტჰაუზენი გვამცნობს, ამ წელს დადიანმა ერთ თურქ სპეკულანტს 200 ვერცხლის მანეთად უფლება მისცა იმდენი გემსაშენი მასალის მოჭრისა, რამდენის ნათრევასაც შეიძლება. „მე მიკვირს (ამბობს ავტორი), რომ რუსული მთავრობა დადიანისგან არ შეისყიდის ტყის გამოყენების რენტას ოდესის ფლოტისათვის“-ო (გვ. 46).

როგორც ჰაქსტჰაუზენი ამბობს, ის ბევრჯერ იყო ბაზარში, რადგან აღმოსავლური ბაზარი არაჩვეულებრივად საინტერესოა. კვირა დღეს ქრისტიანები არ ვაჭრობენ, მხოლოდ თათრები. გარდა სხვადასხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო საქონლით, ხელოსნური ნაწარმით და ღვინით ვაჭრობისა, ბაზარმა მისი ყურადღება იმითიც მიიქცია, რომ აქ მან იხილა და მოუსმინა მომღერალს დამკვრელთან ერთად, რომლებიც სიყვარულს და წარსულ გმირებს უმღერდნენ, ... ასევე ზღაპრებისა და ლეგენდების მთქმელს, რომელთაც ბევრი მსმენელი შემორტყმოდათ გარს.

ჰაქსტჰაუზენი აგრეთვე ამბობს, რომ თურქეთში ქართველი ქალიშვილები იყიდებოდნენ 10.000 ტალერად, რომ ახალციხეში, ტყვეთა ბაზარზე, ძირითადად სომხები ეწეოდნენ ამ სახის ვაჭრობას.



იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამაყ მეომარ ქართველებს ვაჭრობა არ უყვართო.

ჩვენ ძალზე საინტერესოდ ჩავთვალეთ მოვიტანოთ ორიოდ ამონარიდი, რომელიც, მართალია, ჩერქეზეთში ვაჭრობას ეხება, მაგრამ შაქსტჰაუზენის დასკვნა და შეთავაზება საქართველოში მთავრობის მოქმედებასაც არაპირდაპირ უნდა გულისხმობდეს. რუსულმა მთავრობამ ჩერქეზებს აუკრძალა მათთვის ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება – ქალებით ვაჭრობა. შაქსტჰაუზენის აზრით, ასეთი ვაჭრობის ნებადართვა მეტ სიმშვიდეს მოიტანდა ამ ხალხებში და ასარგებლებდა რუს მეზღვაურებსა და კაზაკებს. რუსები რომ ჩერქეზებს შეირთავდნენ, „ჩერქეზული წარჩინებული სისხლი რუსულს ნამდვილად არას ავნებდა“-ო (გვ. 36).

შაქსტჰაუზენი ურჩევს რუსეთის მთავრობას – ჩერქეზებთან ვაჭრობა უშუალოდ საკუთარ ხელში აიღონ, შესაფერი საქონელი მტკიცე ფასებში მიჰყიდონ, ხოლო მათ მიერ ჩამოტანილი, თუნდაც ძვირად, მაგრამ მაინც გამოართვეან, რადგან ეს იქნებოდა კარგი პოლიტიკური ღონისძიება!.. „ეს ვაჭრობა არ შეიძლება ჩააბარო რიგით რუს მედუქნეს, ჯარისკაცებს, კაზაკებს – ისინი ყოველთვის ეცდებიან სპეკულაციას. ჭკვიანური იქნებოდა, მოეძებნათ პატიოსანი გერმანელი ტფილისთან მდებარე კოლონიიდან (რომლებიც ისედაც ვაჭრობდნენ ჩერქეზებთან ცხენებით), მათ მიეცემოდათ ჯამაგირი, როგორც მთავრობის სამსახურში მყოფ გამყიდველებს“ (გვ. 39).

უალრესად საყურადღებოა შაქსტჰაუზენს ცნობები **საამქრო ნყობისა** და ცხოვრების შესახებ. გარდა პირადი დაკვირვებისა, მას ამ სფეროს შესწავლის საქმეში ჰყავდა საუკეთესო კონსულტანტები ზალცმანისა და ნოის სახით. ყველა ხელობის წარმომადგენელი ქმნის საკუთარ ამქარს; ქართველი, რუსი და სომეხი ხელოსნები ამქრებად ერთადაც ცხოვრობენ, თათრები ცალკე. შაქსტჰაუზენი საუბრობს ამქრის შემადგენლობაზე – ოსტატებზე, ქვეოსტატებზე, შეგირდებზე – მათ უფლებებზე, არჩევნებზე, გადასახადებზე, სალაროზე. საუბრობს ამქრის სასამართლოზე; თუ საქმე კრიმინალს ეხება, ის გადაეცემა პოლიციას, კრიმინალურ სასამართლოს ან ქალაქის თავს. საინტერესოა ამქრის წევრის დასაფლავების წესი (გვ. 122-126).



შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საამქრო ცხოვრებაზე ასეთი დანვრილებითი ცნობები სხვა მოგზაურებთან არ მოიძებნება.

საკმაოდ ვრცელია ცნობები გერმანული ახალშენების შესახებ. გარდა იმისა, რაც საკუთარი თვალით იხილა (მათი საცხოვრებლები, მეურნეობის დარგები, მათი მნიშვნელობა ტფილისისთვის, შედარება ქართული ყოფის ზოგ მხარეებთან და სხვა), ჰაქსტჰაუზენი ავსებს მონაცემებს კოცებუს, ზალცმანის და ნოის მონაყოლიდან. ამათგან პირველი, როგორც რუსული ხელისუფლების მაღალი მოხელე, კოლონიების საქმიანთა იყო დაკავებული; დანარჩენი ორი კი იყვნენ ყოფილი კოლონისტები და უალრესად განათლებული პიროვნებები. ამდენად, ჰაქსტჰაუზენის ცნობები გერმანული ახალშენების შესახებ ავსებს და აგრძელებს სხვა გერმანულ მოგზაურთა (მაგ., აიხვალდი, ვაგნერი) მონაცემებს.

უხვად გვანვდის ჰაქსტჰაუზენი ეთნოგრაფიულ მასალას. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ კარმიდამოებისა და სახლების ტიპები (მეგრული, ქართლური, კახური, იმერული, გურული) თავისი ღობეთა მრავალსახეობითა და შიდა მონყობილობით. აკი ამბობს ავტორი - „მუდამ ყურადღებით ვათვალისწინებდი ხალხების საცხოვრებლის ტიპს“ (ბინები, კარ-მიდამოები, საოჯახო ინვენტარი, სახნავი იარაღი). ქუთაისსა და ტფილისში მიუთითებს ევროპულ სასტუმროებზე, ასევე ახალ ნაგებობებზე, რასაც რუსული ხელისუფლების დამსახურებად თვლის.

ჰაქსტჰაუზენი აღწერს სატრანსპორტო საშუალებებს (ეტლებს, ურმებს, ნავს); წარმოგვიდგენს სუფრას, ღვინის სმის რიგს, სიმღერას და კაცთა და ქალთა ცეკვას, სუფრის დროს და მის შემდეგ - საკრავებს (გუდა-სტირი, დუდუკები). გვისახელებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში და ხალხში მიღებულ საკვებს.

ეხება რა ჩაცმას, ჰაქსტჰაუზენი, სხვა აღწერილობებთან ერთად, ორ საინტერესო თვალსაზრისს გვთავაზობს: 1) კაპუცინებს თავსაბურავი მეგრული ყაბალახისგან უნდა ჰქონდეთ გადაღებულიო და 2) ტანსაცმლის მოდერნიზება ქართველებში, განსხვავებით გერმანელებისგან, ფეხიდან დაიწყო; რომ პირველად ქუჩის ქალებმა ჩაიცვეს თეთრი წინდები და ევროპული ფეხსაცმელები. ჰაქსტჰაუზენი რუსების დამსახურებად თვლის ევროპული სამოსის შემოღებას.



ჰაქსტჰაუზენი აგვიწერს **გარეგნობას** (აფხაზის, მეგრული, ოსის, ქართლელის), აქებს ქართველ ქალთა სილამაზეს და საერთოდ ამბობს, რომ „ეს ხალხი ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერია დედამიწის ზურგზე თავისი დიდებული, მეტყველი, გაცისკროვნებული გარეგნობით“ (გვ. 51).

ჰაქსტჰაუზენმა მოინახულა ტფილისის ცხელი აბანოები და ამბობს, რომ მექისის წყალობით იქიდან გაახალგაზრდავებული გამოდიხარო.

უყურადღებოდ არ ტოვებს ავტორი **ნიშნობის, ქორწინებისა და დასაფლავების** წესებს, გამზითვებას და ქალთა საქორწილო ასაკსაც (12 წელი), რასაც მიიჩნევს ახალგაზრდა ქალებში ადრეული სიკვდილიანობის მიზეზად.

ცხადია, ჰაქსტჰაუზენი გვერდს ვერ უვლის **სამართალწარმოებას**, ვრცლად ახასიათებს მას და კარგად ხედავს, რა სიძნელებსაც აწყდება როგორც რუსული ხელისუფლება, ისე ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ძირითადად ვახტანგის სამართალს იყენებდა. იგივე ითქმის შარიათის გამოყენებაზეც. ჰაქსტჰაუზენი არ ხუჭავს თვალს აგრეთვე კანონდარღვევებზე, განაჩენსა და ჯარიმის სახეებზე სხვადასხვა დანაშაულისას.

რაც შეეხება **სწავლა-განათლებას**, ჰაქსტჰაუზენმა იცის, რომ იყო ხანა, როდესაც საქართველოში ყვაოდა ხელოვნება და მეცნიერება, აგრეთვე შესაფერი განათლება, რომლითაც არაფრით ჩამორჩებოდა შუა საუკუნეების ევროპას. ჰაქსტჰაუზენი თვლის, რომ რუსებმა განათლების ახალი ჩანასახი შემოიტანეს, რომ, თუ ვინმეს აქვს განათლება, არის რუსული. ის ამბობს, რომ „ტფილისში უკვე არსებობს დიდი აღმზრდელობითი დანესებულება, სადაც ქართველი ქალიშვილები ფრანგულად ლაპარაკობენ და ბალზაკის რომანებს კითხულობენ“ (გვ. 96). ჰაქსტჰაუზენი მოუწოდებს მთავრობას, დააარსოს და აღადგინოს სასულიერო სკოლები, ხოლო საერო მეცნიერებების დასაუფლებლად ადგილობრივი ახალგაზრდობა გაიგზავნოს გერმანიის გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში.

ჰაქსტჰაუზენს გაუკვირდა ის გარემოება, რომ მეგრულ თავად გრიგოლს და მის თანმხლებებს, რომლებმაც მოგზაური ნავით გააცილეს ფოთამდე, არაფერი გაეგოთ კოლხეთის ძველი მეფის



აიეტისა და მედეას შესახებ, თანამედროვე ამბებში კი საუცხოოდ იყვნენ ჩახედულები.

**გეოგრაფიული აღწერისას** ის ეხება ზოგ ქალაქს (ქუთაისი, ტფილისი, გორი); სოფლების და მდინარეების სახელებს ხშირად არ ასახელებს. ეკლესიათაგან გეთავაზობს სამთავისს, სვეტიცხოველს, ბოდბეს; ვრცლად აღწერს უფლისციხეს, ზუგდიდის დადიანის რეზიდენციას და სხვა. ამასთან იძლევა ტფილისის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას, მათი რაოდენობის მითითებით. გვაცნობებს მუშტაპიდის მიერ ტფილისში სასმელი წყლის გამოყვანაზე ავჭალიდან, ქალაქიდან 16 ვერსზე. ასევე ეხება გზებსა და ხიდებს, რომელთა მეტი წილი რუსების გაყვანილიაო.

ჰაქსტჰაუზენი მოხიბლულია საქართველოს **ფლორით**, განსაკუთრებით კოლხეთის ტყეებით და საუკეთესო ხის ჯიშებით. ასევე ხაზს უსვამს მოგზაური **ნიადაგების** ნაყოფიერებას.

ჰაქსტჰაუზენი ყურადღებას აქცევს საქართველოში (განსაკუთრებით დასავლეთში) გავრცელებულ **ციებას**, რაც გრძელდება 15 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე და რასაც შეუჩვეველი უცხოელები – რუსი ჯარისკაცები დიდი რაოდენობით ეწირებიან. ჰაქსტჰაუზენი მის გამომწვევ მიზეზებსაც ასახელებს (გვ. 44; 202).

როგორც ზემოთ ითქვა, ცალკე თავს უძღვნის ჰაქსტჰაუზენი საქართველოში მცხოვრები **ოსების** ყოფას, ტრადიციებისა და ა. შ. მდგომარეობის ვრცელ აღწერას. ჰაქსტჰაუზენი ოსების ნეს-ჩვეულებებში, გარეგნობაში, სამედიცინო სასამართლოსა და მემკვიდრეობის წესის შესრულებაში, საოჯახო ინვენტარში, სამინათმოქმედო იარაღში, ვახშმობისა და ქორწინების ზოგ წესში, მათ სახლებშიც კი ხედავს მსგავსებას გერმანულთან. ამიტომ ცდილობს მიმოიხილოს ამ ორის ხალხის „საერთო“ წარმომავლობისა და მიგრაციის საკითხები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტერმინების – **საქართველო, ქართველი, ქართულის** ხმარება. ჰაქსტჰაუზენი ყველგან წერს Grusien, Grusinisch. „გრუზიენის“ ქვეშ ის აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს (კერძოდ ქართლს), რადგან იმერეთს, სამეგრელოს, სვანეთს, გურიას, კახეთს ამ კუთხეთა სახელებით მოიხსენიებს. რაც შეეხება ტერმინ „გრუზინიშ“-ს, ხან ქართლურის (სახლის ტიპები, ქართლელი ქალბატონი), ხან ზოგადად ქართულის მნიშვნელობით (ქა-





რთული დამწერლობა) ხმარობს. ეს ყოველთვის კონტექსტით უნდა გავიგოთ.

რაც შეეხება **თქმულებებსა და ლეგენდებს**, იგი სიამოვნებით ისმენდა და აგროვებდა მათ. ბევრი მათგანი ცალკე თავად მოათავსა თავის წიგნშიც, რაც ჩვენ აღარ ვთარგმნეთ (ისინი არაა ქართული).

ცხადია, ჰაქსტჰაუზენის ეს უამრავი მასალა ვერ იქნება ყოველთვის დაცული უზუსტობებისგან. ეს უმთავრესად ეხება მის მიერ მოტანილ ისტორიულ პასაჟებს ქრონიკებიდან, ასევე ბევრი ეკლესიის მოხატვასა თუ შენებაში უცხო ხელის (გენუელების, იტალიელების თუ სხვათა) დამსახურებას. რაც შეეხება მის თანამედროვე ვითარებას, ის ძალზე საყურადღებოა და საინტერესო უნდა იყოს როგორც დაინტერესებული მკვლევარებისთვის, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც.

დაბოლოს დავუმატებთ, რომ ტექსტის სქოლიოებში ავტორისეული კომენტარები პირდაპირაა გადმოცემული, ხოლო ჩვენსას ბოლოში ყოველთვის ვუთითებთ ჩვენი ინიციალებით (გ. გ.).

**გია გელაშვილი**

თბილისი, 2011 წ.

## პირველი თავი

გამგზავრება ქერჩიდან. - ანაპის ციხე. - ჩერქეზთა სამხედრო ვარჯიშობანი. - სუჯუკ-კალე. - ბორა. - რიყის ქვები. - ზღვის სანაპირო. - ბიჭვინთა, მისი მშვენიერი ეკლესია. ბ-ნი ფონ მიუნხჰაუზენი. - ბამბორი, ჩერქეზი ტყვეები; ექვსი ჩერქეზი ქალიშვილი, რომლებიც კონსტანტინოპოლში უნდა გაეყიდათ; აღმოსავლური წარმოდგენა ქალების სყიდვის შესახებ ევროპული შეხედულების სანინააღმდეგოდ. - რუსეთის მოქმედება ქალებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. - ჩერქეზთა ბაზრები რუსულ ნავსადგურებში. - 17 რუსული ციხე შავ ზღვაზე; მათი დანიშნულება; როგორ იყენებენ მათ ჩერქეზებთან სავაჭრო ურთიერთობათა მოსაგვარებლად. გერმანელები, რომლებსაც ამ საქმეში იხმარენ...

1843 წლის 1 აგვისტოს დილის 10 საათზე მე და ჩემი სამი ლიფლანდიელი თანმხლები - პაულ ლივენი, ბ-ნი ადერკასი და ბ-ნი ვ. ფონ შვარცი შავ ზღვაზე მდებარე ქერჩის ნავსადგურში ნავით მივცურდით რუსულ სამხედრო ხომალდთან, რომელიც ჩვენ თვალნინ ირწეოდა ტალღებზე. რუსმა გენერალმა ფონ ბუდბერგმა (ის იყო შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს სიმაგრეთა ხაზის მეთაური, რის გამოც ყოველთვისად ამონმებდა იქ მდებარე რუსულ პატარა სიმაგრეებსა და ნავსადგურებს)<sup>1</sup>, მეგობრულად და სტუმართმოყვარულად შემოგვთავაზა ნავყოლოდით საინსპექციო მგზავრო-

<sup>1</sup> კავკასიის სანაპიროს გასწვრივ მცირე აზიამდე რუსეთი ფლობს 20 გამაგრებულ პუნქტს, რომელთა დასაცავად გამოყოფილია 15-18000 კაცი. ისინი არ წარმოადგენენ ნესიერ სიმაგრეებს, მაგრამ საკმარისია ყაჩაღური თავდასხმების შესაკავებლად. სიმაგრეთა გარეთ ყველგანაა ბაზრები, სადაც თავისუფალ ხალხებს შეუძლიათ ყიდვა და თავისი ნაწარმის გაყიდვა.

ბაში, ხოლო შემდეგ გადმოგვსხამდა სამეგრელოს სანაპიროზე...  
 (გამოვტოვეთ ქერჩის აღწერა ზღვის მხრიდან - გვ. 2. - გ. გ.).

3 საათისათვის მივალწიეთ ანაპის ციხის ნავსადგურს,<sup>1</sup> მნიშვნელოვან სამხედრო პუნქტს, რომლის ხელში ჩასაგდებად რუსები და თურქები დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს. წინათ აქედან იღებდნენ ჩერქეზები თურქთაგან იარაღსა და ტყვია-წამალს, სამაგიეროდ ჰყიდდნენ თავიანთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს და ტყვე რუსებს... [გამოვტოვეთ ანაპის ზოგადი აღწერა; მიღება კომენდანტ ფონ როტთან და მის სამსახურში მყოფი ჩერქეზი მოლაშქრეების აღწერა-ვარჯიში. ჩერქეზებს თვლის სხვადასხვა ხალხთა ნარევიად - გ. გ. (გვ. 3)].

სალამოს გავედით ანაპიდან და დილით ადრე ჩავედით ნავსადგურ სუჯუკ-კალეში (ძეხვის ციხე). ესაა თურქული სახელი, რომლებმაც ააშენეს აქ (ისევე როგორც სხვაგან სანაპიროს გასწვრივ) პატარა ციხე (ყალა-კალე). ეს პუნქტი თანდათან რუსებმა იგდეს ხელთ. ჩერქეზულად ადგილს ჰქვია ტემესი, რუსები კი უწოდებენ ნოვოროსიისკს... [გამოვტოვეთ ნავსაყუდელისა და სანაპიროს აღწერა - გვ. 3 - გ. გ.].

შუადღისით გზა განვაგრძეთ. შემდეგი პატარა ნავსადგურია კაბარდინსკი, სადაც ნაპირზე არ გადავსულვარ... [გამოვტოვეთ სანაპიროს ლამაზი ბუნების აღწერა - გვ. 4 - გ. გ.].

შემდგომი ნავსადგური გელენჯიკი ძალზე გამოსაყენებელი ჩანს, მაგრამ ისიც სუჯუკ-კალესავითაა გაუბედურებული. ერთმა გენუელმა, ბ-ნმა ფონ სკასიმ 1813 წელს სამხრეთ რუსეთის გენერალ-გუბერნატორს ბ-ნ ფონ რიშელიეს გადასცა პროექტი, რომლის მიხედვითაც კარგად მოწყობილი ცხოველი ვაჭრობის საშუალებით ჩერქეზები უნდა ეზიარებინათ ცივილიზაციისა და ევროპული კულ-

<sup>1</sup> რუსების მიერ ტამანის დაკავების შემდეგ თურქებმა 1784 წელს დააარსეს ანაპა როგორც საბაზრო პუნქტი ჩერქეზებთან სავაჭროდ. აქედან უნდა დაკავშირებოდა კონსტანტინოპოლი კავკასიაზე გავლით ბუხარას. სუნიტურ ბუხარაში ფადიშაჰი მიაჩნდათ თავიანთ რელიგიურ მეთაურად - ხალიფად და, როგორც ამბობენ, მას სამ წელიწადში ერთხელ ხარკს უხდიდნენ.

ტურისათვის; მანვე აქ, გელენჯიკში დააარსა სავაჭრო. მაგრამ, როგორც მითხრეს, საქმე ჩაიშალა.

მეორე დილას მივალწიეთ ბიჭვინთას (ალბათ ძველი პიტცხი). ამტკიცებენ, რომ შუა საუკუნეებში ის იყო განულების მნიშვნელოვანი სამოსახლო. ეს იყო აღმოსავლური იმპერიის ბრწყინვალე ადგილი. ბიზანტიური სტილის ეკლესიის ულამაზესი ნანგრევები (ნანილობრივ თაღებად გადარჩენილი და მთლად ვაზით დაფარული) იმსახურებს უფრო დანვრილებით გამოკვლევას, ვიდრე მე მას მივუძღვენი. - თაღებსა და კედლებზე ძველი ფრესკები ჩანდა... აქედან ახლოს ჩრდილოეთით, მთაში ყოფილა სომხური ეკლესია და პატარა მონასტერი, საითაც აფხაზები ხშირად მიდიან სალოცავად. თქვეს აგრეთვე იქ არსებული ბიბლიოთეკის შესახებ... [გამოვტოვეთ ცნობა ვინმე მიუნხჰაუზენის შესახებ - გ. გ.].

ბამბორის ნავსადგურში დამალულიყო პატარა თურქული გემი, რომლის დასაკავებლად და მოსაყვანად რუსული სამხედრო ხომალდიდან ნავებით გაიგზავნენ შეიარაღებული კაზაკები. ამ გემზე, გარდა ერთი თურქი მეპატრონისა და რამდენიმე მატროსისა, იმყოფებოდა სტუმრად მოსული ჩერქეზი თავადი თავისი ორი წარჩინებული ქვეშევრდომით და რამდენიმე მსახურით, აგრეთვე ერთი ახალგაზრდა ქალი და ექვსი ჩერქეზი გოგო 12-15 წლისანები. ალბათ, გემის პატრონი კონტრაბანდისტი იყო, რომელმაც ჩერქეზებს მოუტანა ტყვია-ნამალი და სურსათი, სანაცვლოდ კი კონსტანტინოპოლის ტყვეთა ბაზრისათვის ჩერქეზი გოგოებით დაიტვირთა. ჩერქეზ თავადს კი, ალბათ პოლიტიკური მოსაზრებებით, სურდა კონსტანტინოპოლში გამგზავრება. ტყვია-ნამლის და სხვათა კონტრაბანდით შემოტანას თურქი უარყოფდა, ხოლო ქალიშვილების აკრძალული სყიდვა ნათელი იყო და გემის კონფისკაცია, რუსული კანონების მიხედვით, გამართლებული. მე ვკითხე გენერალს, თუ რას უპირებდა ჩერქეზებს; მან მიპასუხა: რადგან ისინი ეკუთვნოდნენ რუსეთთან მშვიდად განწყობილ გვარს, ამიტომ გარკვეული შეხურებისა და გაფრთხილების შემდეგ გაუშვებდა. მე ვთხოვე გენერალს, ეთქვა მათთვის, რომ ჩემი მადლიერნი ყოფილიყვნენ განთავისუფლებისათვის, რაც მომავალში გამომადგებოდა. მან სიამოვნებით დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და დაავალა რუს ოფიცერს, წარმოშობით





ჩერქეზს (რომელსაც განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული და, რა თქმა უნდა, ჩერქეზულიც საკმაოდ კარგად იცოდა), თავისი თვისტომებისათვის მოეხსენებინა ყოველივე. ამასობაში მოვიდა ამ თავადის ვაჟი მამის გამოსახსნელად. მშვენიერი სცენა გათამაშდა და მე გავეყვი ჩერქეზებს ციხის მიდამოებამდე. გენერალმა, სანამ თავისუფლებას გამოუცხადებდა, მიმართა ქალიშვილებს, აერჩიათ თავისუფლების ერთ-ერთი გზა: „თავადთან ერთად დაბრუნებულიყვენ სამშობლოში; მისთხოვებოდნენ რუსებს ან კაზაკებს თავისუფალი არჩევით; გამყოლოდნენ მე გერმანიაში, სადაც ყველა ქალი თავისუფალია; ანდა გაჰყოლოდნენ თურქ მენავეს, რომელიც მათ კონსტანტინოპოლის ტყვეთა ბაზარზე გაჰყიდდა“. – ვერც მიხვდებოდით, რაც მათ აირჩიეს! – ერთხმად და დაუფიქრებლად უპასუხეს: „კონსტანტინოპოლისკენ! გასაყიდად!“

არ არსებობს ჩერქეზებზე უფრო თავისუფლებისმოყვარე ხალხი და ასეთი პასუხი მათი ქალებისა?!

მაგრამ, თუკი ამ აღმოსავლელი ხალხის აზრებს, განწყობას და ჩვევებს უფრო ღრმად ჩაუვკვირდებით, მათი პასუხი ბუნებრივი და გამართლებულია. ქალების ყიდვა-გაყიდვა ამ ხალხის ჩვევებში ფესვგადგმულია. ყოველი კაცი ყიდულობს თავის ცოლს მამის ან ოჯახისგან.<sup>1</sup> ამდენად, გაყიდვა არაა სასირცხვო მოვლენა ქალთა სქესისათვის, პირიქით, საპატიოა. ქალიშვილები მონურ დამოკიდებულებაში არიან თავიანთ მამებთან და ძმებთან. ერთგვარად ამამაღლებელია ქალიშვილისთვის, როცა კაცი მის დაუფლებას ცდილობს და თავის ქონებას დებს, რათა ის დაისაკუთროს. ამდენად მამაკაცი გამოისყიდის მას ოჯახური მონობიდან. როცა ჩვენთან, ევროპელებთან მდიდარი ირთავს ღარიბ ქალიშვილს, მას მეტწილად უთანაგრძნობენ; აქებენ ქალის ბედნიერებას; ეს ერთგვარად შეურაცხმყოფელია ქალისათვის. როცა ჩვენში მდიდარი ქალიშვილი თხოვდება ღარიბზე, ის ყიდულობს თავისთვის ქმარს, რაც კაცისთვისაა ერთგვარად დამამცირებელი. როცა თანაბარი შეძლებისანი ქორწინდებიან, ეს მეტწილად გამოიყურება როგორც სოლიდური ვაჭრული სპეკულაცია.

<sup>1</sup> ჩერქეზი თავის მომავალ ცოლს ყიდულობს, მაგრამ, ფორმალურად, უნდა მოიტაცოს.



ამდენად, კეთილშობილი საფუძველი – ნამდვილი სიყვარული უნდა დავუტოვოთ მხოლოდ ღარიბ მექორწინეებს. ამ შემთხვევაში უმეტესად არის მხოლოდ უხეში გრძნობათა ლტოლვა ან მოთხოვნა ურთიერთ ზრუნვისა და დახმარების, რათა საკუთარი მეურნეობა დააფუძნონ. აღმოსავლელი ქალიშვილი გასაყიდ თანხაში ხედავს თავის ფასს: რაც მაღალია, მით მეტს! – ჩერქეზებში ქალების სყიდვა ოდითგან ჩვეულებაა, ამიტომ მათ ჰყიდიან ტყვეებით მოვაჭრეებზე (თვალში რომ არავის ეცეს), რომლებიც მხოლოდ შუამავლები არიან; ისინი ქალიშვილებს იმიტომ ყიდულობენ, რომ შემდგომ თურქეთში გაყიდონ, სადაც ისინი ცოლები ხდებიან.<sup>1</sup> მშობლებმა იციან, რომ მათ იქ უკეთესი ხვედრი ელით, ვიდრე სახლში; ქალიშვილებიც სიამოვნებით მიდიან თურქეთში. საუკუნეებია, რაც წარმოებს ვაჭრობა; ამდენად, თურქეთში ყველგან პოულობენ ნათესავებს. ამასთან ჩერქეზები თავიანთ ქვეყანაში არიან უხეშები და ამპარტავანი ქმრები; ცოლები ენევიან ყოველგვარ მონურ სამუშაოსა და საქმეს. თურქი კი წარმოადგენს მომთმენ თავაზიან მეუღლეს და მოსიყვარულე მამას!<sup>2</sup>

მე მეჩვენება, რომ რუსთა მხრივ ქალიშვილების სყიდვის აკრძალვა და ხელის შეშლა მცდარი ფილანთროპიაა, რაც თუმცა არც

<sup>1</sup> ფასი, რასაც ჩერქეზ და ქართველ ქალიშვილებში იძლევიან თურქეთში, ხშირად აღის 10. 000 ტალერამდე და ეს განპირობებულია არა მხოლოდ სიღამაზით, არამედ დიდებულის ჰარემის შესაფერისი განათლების მიღებით. ახალ ქვეყანაში ველურად გაზრდილ ასეთ ქალიშვილებს რომ ასწავლონ, ტყვით მოვაჭრე მას მიაბარებს ჰარემში, სადაც გარკვეული საფასით ხდება ასეთი გოგონების აღზრდა. მსგავსი ჰარემები თურქეთის დიდ ქალაქებში მრავლადაა. როცა მათი აღზრდა დასრულდება, ე. ი. როდესაც ისინი დაეუფლებიან ქარგვას, კერვას, ცეკვას, სიმღერას, ზღაპრების მოყოლას, რომელიმე საკრავზე დაკვრას, კითხვასა და წერას, მას ჩუმად ჰყიდიან. ჩერქეზ და ქართველ გოგონებს ტყვეთა ბაზარზე არასოდეს აშკარად არ გამოიყვანენ გასაყიდად, როგორც აბისინელ და ზანგ მონა ქალებს.

<sup>2</sup> გობონი ამბობს: „რაც უნდა ის ითქვას ტყვის სყიდვაზე, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ აზიელი ხალხები გაღამაზდნენ; თურქები – პუნთა შთამომავლები, რომლებიც შეუხედავები იყვნენ, ამჟამად ძალზე ღამაზი ხალხია კავკასიელებთან შერევის შედეგად“.



გამოსდით. ეს აკრძალვა განაპირობებს მეტ უბედურებას. <sup>ქანსელი</sup> დობრ, ვაჭრობა ახლა ზამთრის თვეებში ნარმოებს, როცა რუსული სამხედრო ხომალდები ზღვაში არ გადიან. ამბობენ, რომ ქალიშვილებით დატვირთული ყოველი მეექვსე ან მეშვიდე გემი იძირება! ნელინადში 25-35 რეისი ენყობა, რომლებითაც, ალბათ, 500-600 ქალიშვილი გადაჰყავთ. გემები მეტწილად სინოპიდან ან რიშადან გადიან. უფრო ჰუმანური და პოლიტიკურად გამართლებული მგონია, თუ რუსეთი დაბრკოლებებს კი არ შეუქმნის ამ ვაჭრობას, პირიქით, მას ორგანიზებულს გახდის და ზედამხედველობის ქვეშ მოაქცევს. ჩერქეზები ღარიბები არიან, მათი ქვეყანა მეტწილად უნაყოფოა; მუშაობენ უხალისოდ (საამისოდ ზედმეტად ამაყები არიან). ამავე დროს, ძალიან მრავლდებიან, რის გამოც უმცირდებათ საარსებო საშუალებანი. რომ იარსებონ, ან უნდა ივაჭრონ თავიანთი პროდუქტებით, ანდა იყაჩაღონ. რუსეთი ცდილობს შეუზღუდოს ან მოუსპოს ვაჭრობის მთავარი საშუალება; რალა რჩებათ ყაჩაღობის მეტი? ამიტომაც ყოველწლიურად იზრდება სიძულვილი ირგვლივ მყოფი რუსების მიმართ! დაინყეს ყველა პატარა ციხესა და ნავსადგურთან ღია ბაზრების მოწყობა, სადაც ჩერქეზებს ყოვლად თავისუფლად და უხიფათოდ (თვით რუსთა მონვევითაც კი) შეუძლიათ მოსვლა და ვაჭრობა. იქ რომ ნებადართული იყოს ქალიშვილებით ვაჭრობა გემების მიმოსვლისათვის უხიფათოდ და შესაფერის დროს, თურქულ გემებს შეუშვებდნენ ნავსადგურებში, რაც თვით რუს მეზღვაურებსა და კაზაკებს მისცემდა სტიმულს გემის დატვირთვისა და შემდგომ თურქეთში ვაჭრობის საქმეში. ამით ჩერქეზებთან დამკვიდრდებოდა მეგობრული ურთიერთობანი; მაშინ, ალბათ, უფლება მიეცემოდათ რუსებს, განსაკუთრებით კაზაკებს, თვით გამოსულიყვნენ ქალიშვილების მსყიდველებად, რასაც აქამდე ისინი ზიზლით უარყოფენ. ჩერქეზული წარჩინებული სისხლი რუსულს ნამდვილად არას ავენებდა! კაზაკთა გარეგნულ და სულიერ უპირატესობას კაკასიის ხაზზე ნანილობრივ მიანერენ სისხლის აღრევას ჩერქეზ ქა-

<sup>1</sup> მე მახსენდება გაზეთში წაკითხული, რომ ამჟამად თავად ვორონცოვის მმართველობისას შეღავათები და დათმობები შემოიღეს ჩერქეზებთან ვაჭრობაში.



ლებთან. უხსოვარი დროიდან კაზაკები იტაცებდნენ და ირთავდნენ ჩერქეზ ქალიშვილებს. ნაყიდი ჩერქეზი ქალიშვილები შიდა რუსეთში რომ თხოვდებოდნენ და ქრისტიანდებოდნენ, ერთ-ერთი მიზეზია ამ ვაჭრობისთვის ხელის შეწყობისა. თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუშლიდა ტყვია-ნამლითა და იარაღით კონტრაბანდას, რასაც თურქი მეზღვაურები ენევიან ზამთრობით ჩერქეზებთან ქალიშვილებით ვაჭრობის საბაბით. უწინდელი ვაჭრობა ბიჭებით თითქმის მთლად მოისპო, რადგან დაეცა მამლუქობა. რუსეთს ასეთი ვაჭრობა კვლავ უნდა აღედგინა და ბიჭები შეესყიდა, აგრონომიულ სკოლებში (პოდოლიეში) აღეზარდა და შემდეგ საქართველოში, გურიაში ან სომხეთში დაესახლებინა.

მე ჩამოვედი სუხუმ-კალეს ციხესთან. ეს უნდა იყოს ძველი დიოსკურია. დანგრეული ციხე თურქებმა ააშენეს და იქ არის ფაშას ე. წ. სასახლე – საცოდავი ხის შენობა.

4 აგვისტოს ჩვენ დავდექით რეიდზე რედუტ-კალესთან. მშვენიერმა ამინდმა ხელი შეგვიწყო მოგზაურობაში. ზღვა წყნარი იყო; ჩვენ გემს ირგვლივ დელფინები ეთამაშებოდნენ; ნაპირი, რომლიდანაც 400-600 ნაბიჯის დაშორებით მივცურავდით, თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა. ბევრჯერ დავინახეთ სანაპიროს გასწვრივ გზებზე ან მთებზე მიმავალი თითო-ოროლა ჩერქეზი მთელი თავისი გარეგნული ბრწყინვალეობით (ლამაზად ჩაცმული) ცხენზე ამხედრებული. ბოლო ორ საღამოს გვესმოდა ტურების კივილი, რაც ძალზე წააგავს ბავშვის ტირილს. ხანდახან ვხედავდით აფხაზებს; ესაა ხალხი, რომელიც ცხოვრობს ჩერქეზების სამხრეთ-დასავლეთით. ისინი არიან პატარა ტანის, გამხდარი, აქვთ შავი თმა, მაგრამ ცისფერი თვალები; ცხვირი არწივისებური და მუქი სახის ფერი. მათი წარჩინებულები (აზნაურები) და თავადები (მთავრები) თითქოს სხვა წარმოშობისანი არიან, რადგან აქვთ დიდი, ძლიერი, დიდებული (არისტოკრატიული) ფორმები.

რუსეთს ამ სანაპიროზე, ქერჩიდან მცირე აზიის საზღვრებამდე, აქვს ჩვიდმეტი გამაგრებული ადგილი („კრეპოსტი“). სიმაგრეთა უმრავლესობა უმნიშვნელოა, მხოლოდ „პალისადებია“ და გარშემორტყმულია არა ღრმა (უმეტესად უწყლო) თხრილებით. მეციხოვნეთა რა-



ოდენობა 500-1000 კაცს შეადგენს.<sup>1</sup> ჯერჯერობით ეს 10-25000-იანი გარნიზონი ძვირი მსხვერპლია, რადგან ამჟამად რეალური სარგებელი არ ჩანს, თუმცა ის რუსეთის პოლიტიკასა და მომავალს ქმნის.<sup>2</sup> ჩერქეზებში თანდათან რომ შემოსულიყო ევროპული კულტურა, ეს სიმაგრეები გადაიქცეოდა აყვავებულ ქალაქებად და სავაჭრო ადგილებად, როგორებიც ადრე ორჯერ უკვე იყვნენ: პირველად, როცა აქ ბერძნული ახალშენები დააარსა და შემდეგ, შუა საუკუნეებში, როცა გენუა შავ ზღვაზე გაბატონდა. თურქთა დამკვიდრებისას ისინი დაეცა და მთლად დაკნინდა. ამის მიუხედავად, თურქები ჯიუტად იცავდნენ მათ რუსთაგან, რადგან აქედან ხდებოდა მათი ჰარამხანებისა და მამლუქთა რაზმების შევსება.

ერთი პატარა სიმაგრესთან, სადაც გადმოვედი, ვნახე, რომ ქიშკრის წინ გაშლილ სავაჭრო მოედანზე ბაზრობა გამართულიყო.<sup>3</sup> ჩერქეზთა საკმაოდ დიდი რაოდენობა უსაქმოდ დაეხეტებოდა იქ, თუმცა ნაკლებად იყო ისეთი საქონელი, რაც მათ საყიდლად მიიზიდავდა. თავისი მხრივ, მათ მხოლოდ ნადირის ტყავი ჰქონდათ

<sup>1</sup> ყველა ამ სიმაგრეში მრავლად ჰყავთ ქოფაკები. ისინი საუცხოოდაა განვრთნილი და არაჩვეულებრივად ფხიზლები არიან; აქვთ თავისი განკუთვნილი საგუშაგოები. ისინი ჩერქეზებს ზუსტად ცნობენ. მითხრეს, რომ ბევრჯერ ნამდვილი ბრძოლა იმართება მათსა და ჩერქეზულ ძალებს შორის, რომლებიც სხვა ჯიშისანი არიან და ხშირად საბრძოლოდ განწყობილნი სიმაგრის წინ გროვებად ჩნდებიან.

<sup>2</sup> ტრანსკავკასიის პროვინცია, რომელიც რუსეთისაგან გამოყოფილია თავისუფალი მებრძოლი ხალხებით დასახლებული მაღალი კავკასიონით და მასთან მხოლოდ სამხედრო გზითაა დაკავშირებული, ამჟამად ჯერ კიდევ დიდი ტვირთია. ამ მშვენიერი მხარიდან მიღებული მოგება ვერ ფარავს ხარჯებსა და დანაკარგებს. არმიის გარდა, რომლებიც მთიელებს მუდმივ მუქარის ქვეშ ჰყავთ, ამ პროვინციის დასაჭერად საჭიროა კიდევ 25-30000 კაციანი რუსული ძალა. ამტკიცებენ, რომ არმია დაძაბვისა და ავადმყოფობებისაგან წლიურად კარგავს თავისი შემადგენლობის 1/6-ს. ამ მხარის დაკავებით, დამორჩილებითა და კულტივირებით მთელი წინა აზიისათვის სრულდება კულტურული და სამომავლო მისია.

<sup>3</sup> გავიგე, რომ ამ პუნქტებში ყველგან ყოველ დილით სიმაგრის გარეთ ასეთი ბაზარი იმართება. კვირადღეობით ჩერქეზებს სიმაგრეში სავაჭროდ შესვლის ნება ეძლევათ, ოღონდ უიარაღოდ.





გასაყიდად ჩამოტანილი. - რუსეთის მთავრობამ ვაჭრობა უშუალოდ თავის ხელში უნდა აიღოს; ჩერქეზებისათვის შესაფერი საქონელი იქ უნდა გამოიტანონ და მტკიცე ფასებში მიჰყიდონ. ხოლო მათ მიერ ჩამოტანილი ყოველი სურსათი თავდაპირველად, თუნდაც ძვირად, გამოართვან. მე არ ვამტკიცებ, რომ მთავრობისთვის ეს სარფიანი სავაჭრო გარიგებაა, მაგრამ ეს იქნებოდა კარგი პოლიტიკური ღონისძიება! ჩერქეზებში გავრცელებოდა ევროპული კულტურა და ჩვევები, ასევე ფუფუნება; ისინი ისწავლიდნენ ფულის ყადრსა და მის მოხმარებას წვრილმანებშიც კი, თანდათან შეეჩვეოდნენ ურთიერთობებს და, ალბათ, მალე რუსი მედუქნეები თავიანთ ქვეყანაში მათვე დაასაქმებდნენ. როცა თანამედროვე კულტურა თავისი აკარგით მათში შეიჭრება, ისინი, თუ უცბად არ გახდებიან ქვეშევრდომები, რუსების მშვიდი მეზობლები მაინც იქნებიან. რამდენიმე წელიწადში, როცა ვაჭრობა ფეხს მოიკიდებს, შეიძლება თანდათან დაუთმო კერძო ტრანსპორტირება ქერჩიდან და ოდესიდან.

რა უნდა გაკეთდეს, როცა მთავრობა რამდენიმე წელი წლიურად 100000 მანეთს კარგავს ამ ვაჭრობაში? ვის უნდა ჩააბარო ეს ვაჭრობა და მისი მართვა? რიგით რუს მედუქნეს, ჯარისკაცებს, კაზაკებს? ვაჭრობაში ყველა ესენი წარმოადგენენ უხეშ გაქნილებს; ისინი მოატყუებდნენ მთავრობასაც და ჩერქეზებსაც; მათ მობეზრდებოდათ მტკიცე საქმიანი ფასების დაწესება და ყოველთვის და ყველგან ეცდებოდნენ სპეკულაციას! ალბათ, უფრო ჭკვიანური და შესაფერი იქნებოდა, მოექებნათ პატიოსანი გერმანელები, სახელდობრ, ტფილისთან მდებარე გერმანული კოლონიიდან, რომლებიც ჩერქეზებთან ისედაც ვაჭრობენ ცხენებით. ამავე დროს, აქ ისინი უნდა წარმოსდგნენ როგორც მთავრობის სამსახურში მყოფი (ჯამაგირიანი) გამყიდველები. ამ საქმის სათავეში კარგი იქნებოდა ისეთი კაცის დაყენება, როგორცაა ტფილისელი კოლონისტი ზალცმანი, რომელიც აქ გავიცანი.



## მეორე თავი

რედუტ-კალეში ჩასვლა. - მსგავსება პოლანდიურ სოფელთან. - ცხენებით გამგზავრება. - ანაკლია; მშვენიერი წიფლის ტყეები; ცალკეული სამოსახლოები. ზუგდიდი, სამეგრელოს მთავრის დადიანის რეზიდენცია. - ფრანგი ეზოსმოდღარი. - მეგრელთა წყობა, ვასალები, გლეხები, ორი კლასი, ბატონყმობა. - დადიანის შემოსავალი, მისი ცხოვრების წესი. - გამგზავრება; ხის ძველი ეკლესიები, კაზაკთა პოსტები. - მუავე ხორბლის პური. - ხონი. - ქუთაისი; მხარის მმართველი; ცალკეული სამოსახლოების განაშენება; თემი და მათი ნაცვალი; გლეხები, მათი გადასახადები; დიდი და მცირე აზნაურები. იმერეთი, ადგილობრივი ურემი (ოთხთვალა); ციხეთა ნანგრევები. - გრუზია (Grusien), მეგრელებისა და იმერლების ხასიათი. - ქალაქი ხოფი; სასახლის ნანგრევები; ხალხური თქმულება. - მშვენიერი ეკლესია სამთავისი (Samtawisi). - მინათმოქმედება. - ხილი, ლენვა; მცხეთა. - მეფის რეზიდენცია; კათედრალი. - ტფილისი; შთაბეჭდილება ქალაქის ხასიათით. - გაჩერება ბ-ნ ზალცმანთან; სტუმრობა ბ-ნ ფონ კოცებუსთან, ფონ ჰურკასთან და ა. შ. - ხარაზი (ფეხსაცმლის ოსტატი) პეტერ ნოი. - დოქტორი ვაგნერი მიუნხენიდან.

რედუტ-კალეს საკმაოდ კარგ ნავსადგურში ჩვენ გადმოვედით ხმელეთზე. ადგილის სანახაობა ძალზე თავისებურია. ის მდებარეობს სანაოსნოდ გამოყენებული მდინარე ხოფის ნაპირზე, შესართავთან. სახლების ერთი წყება თავისი უკანა მხარით დგას წყალში ჩასმულ ბოძებზე და მიცურვა შეიძლება ხის აივნებამდე, რომლებიც ამ მხარეზე სახლების გაყოლებაზეა ჩამწკრივებული. სახლებს შორის ხშირია ხეები და ბუჩქები; ადგილის გარეგნული სახე ქმნის პოლანდიური სოფლის შთაბეჭდილებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შიგნით აკლია ამ უკანასკნელთა დამახასიათებელი მოხდენილობა და სისუფთავე.

სომეხ ვაჭართან საუზმის შემდეგ, როცა გენერალი ამაღლასთან ერთად ხომალდით უკან გაბრუნდა, მე ჩემს თანმხლებ პირებთან ერთად გავემზადე ქვეყნის შიგნით სამოგზაუროდ. ჩვენ მოგვცეს კაზაკთა ცხენები და რამდენიმე კაზაკი მცველად. თავდაპირველად მივემართებოდით ზღვის ნაპირის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ ანაკლიამდე. ესაა თურქების მიერ აშენებული პატარა ციხე, ამჟამად კაზაკთა სადგური (პოსტი), რომლის მეზობლად მდებარეობს მეგრული ულამაზო სოფელი. აქ ჩვენ შეგვიცვალეს კაზაკთა დაცვა და გავუხვიეთ მარჯვნივ, ქვეყნის სიღრმეში. გზა თითქმის მთელი დღე მიდიოდა ტყეებზე – როგორ მშვენიერ ტყეებზე! კავკასიონის სამხრეთი კალთები აერთებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფლორას. იშვიათად მინახავს უკეთესი ნიფლის, მუხის, თელის, ნაძვის ხეები შერეული ჭადართან, ნაბლთან, კაკალთან, ზეთისხილთან, დაფნასთან და ალუბალთან, რომელთა სამშობლო სამეგრელო უნდა იყოს. განსაკუთრებით გამახარა ნიფელამ, რომელიც სილამაზით ჰოლმტინიურს აჭარბებს! ნიფლის გავრცელების არე (ჩემის აზრით ყველაზე მშვენიერი ხისა) ჩრდილოეთით აღწევს შვედეთსა და დანიას... უკვე პრუსიაში ის იშვიათია; მათ მაგივრად ხშირად გვხვდება ცაცხვი, რაც ლიტვის უღრან ტყეებში ჭარბობს მაშინ, როცა გერმანიაში არსად არ გვხვდება როგორც ტყის ხე. პოლონეთში ნიფლის ტყეები საკმაოდ იშვიათია; კარპატების განშტოებებზე კი უკვე ხშირად გვხვდება. მთელ რუსეთში არათუ ნიფლის ტყე, ცალკეული ხეც კი არსად შემხვედრია. პირველად ყირიმის მთებში შევხვდი ნიფლას მშვენიერ ტყეებში, რომლებსაც ამჟამად ხშირად ჩეხენ. ნამდვილი სიხარული მომგვარა, როცა ცხრა თვის შემდეგ კვლავ დავინახე მშობლიური ხე და თანაც ასე მშვენიერ და საუკეთესო გარემოცვაში.

იქ, სადაც ეს ტყეები მეჩხერია და მათ შორის ბუჩქნარია, განსაკუთრებით თელის გავრცელების არეში, ყველა ხეს შემოხვევია ვაზი, რომლის მეშვეობითაც მათი ტოტები ერთმანეთზეა გადაბმული. ამაზე ბრწყინვალე სანახაობა ნარმოუდგენელია! საათობით სავალზე ყველა ხეზე კენწერომდე ეკიდა მოწითალო მტევნები (მათ შორის თეთრი არ შემხვედრია). სხვათა შორის, მითხრეს, რომ ესენი მუდამ მჟავა და ძნელი საჭმელი. ეს ვაზი, როგორც ჩანს, აქ ველუ-



რად იზრდება; არავინ ზრუნავს მის მოშენებაზე, არავინ აცნობებს ამ ქონებაზე პრეტენზიას!

გზა ერთხანს მიჰყვებოდა მდინარე ენგურს, რომელიც სანაოსნო იქნებოდა, რომ არა წყალვარდნილები, კლდეები, ჩახიდული ხეები, რაც ცურვას სახიფათოს ხდის. ჩვეულებრივი სოფლები მთელი დღის მანძილზე არ შემხვედრია, მხოლოდ აქა-იქ ცალკეული კარმიდამოები დავინახე. ყველა მეგრელს თავისუფლად შეუძლია ამ უღრან ტყეში სადაც სურს დასახლდეს. იგი ჩეხს ან წვავს ტყის ერთ ნაწილს, აშენებს სახლს ერთმანეთში ჩასმული ძელებისგან, შემოლობავს შენობასა და სახნავად გამოსაყენებელ მიწის ნაკვეთს და იწყებს მეურნეობას. ნიადაგი ნაყოფიერია; მასზე მოყავთ მშვენიერი სიმინდი და ფეტვი. თამბაქოც საუკეთესო მოდის სამეგრელოში, მაგრამ მისი მოვლა არ იციან. შვრია არსად მოჰყავთ; მის მაგიერ პირუტყვს კვებავენ ქერით. თავის ბატონს – სამეგრელოს მმართველ მთავარს – ის უხდის ნატურით სიმინდს, შვრიას (ფეტვს?), პირუტყვს, რამდენსაც ეს უკანასკნელი დაუდგენს.

ტყე ყველგან გაკაფულია საკარმიდამოებისათვის, რომლებიც უმეტესად შემადლებებზე დგანან. სახლები, როგორც ითქვა, ყველგან ძელურია, გადახურული სიმინდის ჩალით; მათ აქვთ ორი, ერთმანეთის პირისპირ გაჭრილი კარი, არც ფანჯრები და არც საკვამლე მილი. შიგნით არის მხოლოდ ერთი სათავსი, რომლის შუაშიც კერაა მოთავსებული. ავეჯი არ აქვთ; მხოლოდ ცოტა შეძლებულთ ხშირად დაგებული აქვთ სპარსული ან თათრული ნოხები.<sup>1</sup>

აქა-იქ ვხვდებოდით ადგილობრივებს, ყველას ცხენზე მჯდომს. მათი გარეგნობა ძალიან ავანტიურისტულია. ყავისფერი, ქამარშემოკრული ქურთუკი და თავზე ნამოხურული ყაბალახი მათ საოცრად ამსგავსებდა კაპუცინებს. წმინდა ფრანცისკო ასიზელმა თავისი სამ-

<sup>1</sup> ქალები დადიან ფეხშიშველა, მაგრამ აქვთ ოქროს ფარჩის თავშლები; ამგვარად, სახლებში არც მაგიდები, არც სკამები, სამაგიეროდ ნოხები! მონურ უღელქვეშ მცხოვრებ ყველა აზიელს აქვს ლტოლვა ფუფუნებისაკენ. თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზები გერმანელებივით ფუფუნებას ხედავენ იარაღში და საომარ ტანსაცმელში (აბჯარი, ჩაჩქანი და ა. შ.).

ნესოსათვის განკუთვნილი სამოსი ალბათ ამ მეგრელებისაგან დაიღო, რაც არ უნდა იყოს შეუძლებელი, რადგან იმ ხანებში გენუ-ელები მთელ ამ სანაპიროზე ფლობდნენ ფაქტორიებს. - შიგადაშიგ ვხედავდით მოშავო ნაბადს (ბურკას) - სქელ პალტოს, რაც მარტო სიცივისა და ნესტისაგან კი არ იცავს, არამედ დიდ სიცხეშიც, როცა გარე სითბო ადამიანის შიდა ტემპერატურას აღემატება. ეს უნდა იყოს ძველების ქლამიდა. - კაპიუშონის მსგავს ქუდს ჩერქეზებში ჰქვია ბაშლიკი, აფხაზებში კი - ლეტაპკ.

დღევანდელი მთელი ჩვენი გზა მიდიოდა უმნიშვნელო ბორცვე-ბიან დაბლობზე. საღამოს 5 საათისთვის ჩავედით ზუგდიდში, სამე-გრელოს მთავრის რეზიდენციაში, რომელსაც მუდამ დადიანი ჰქვია (ალბათ გვარია). ის სუვერენულია და ამჟამად აღიარებს მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას. მე-16 საუკუნეში სამეგრელოს მაშინდელი ქართველი ერისთავი განთავისუფლებულა ქართლის ბა-ტონისაგან (გამოყოფია ქართულ სახელმწიფოს). მან დღემდე შეინ-არჩუნა დამოუკიდებლობა და ხელმწიფის (ანუ მეფის) ტიტულიც კი მიიღო. მე მითხრეს, რომ რამდენიმე წლის წინ მას შეაძლიეს 2 ½ მილიონი ვერცხლის მანეთი, რათა რუსულ მთავრობას ჩამოცლოდა, მაგრამ დღემდე მას ეს არ გადაუწყვეტია. ამ საუკუნის დასაწყისში ქართლი და იმერეთი თავიანთი მეფეების გადადგომის შემდეგ უშუ-ალოდ შევიდნენ რუსეთის მფლობელობაში. აქ გავრცელებულ იქნა რუსული კანონმდებლობა და მმართველობა. სამეგრელომ, აფხაზეთ-მა, სვანეთმა, მაჰმადიანურმა ავარიამ და ტარკიმ აღიარეს მხოლოდ რუსეთის უზენაესობა, მაგრამ შეინარჩუნეს თავიანთი მმართველე-ბი და საკუთარი კანონმდებლობა და მართვა, გარდა კრიმინალური სამართლისა, რაც თავიანთი მოსახლეობის დასაცავად დაუქვემდებ-არეს რუსულ საიმპერიო იურისდიქციას.

სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია ძვეს საშუალო სიმაღლ-ის ზეგანზე, რომლის ერთი ფერდი ქვემოთკენ, პატარა ხეობამდე (საიდანაც ჩვენ მოვედით) დაფარულია 200-მდე სახლითა და პა-ტარა სამოსახლოებით, სადაც მთავრის კარისკაცები და მოხელეები ცხოვრობენ. მეორე მხარე არის გაშლილი ვაკე ადგილი, რომელზეც ჯგუფ-ჯგუფად დგას მშენიერი ძველი ხეები. აქ, მოედნის შუაგულ-ში, მდებარეობს მთავრის რეზიდენცია. მაგრამ ამ ამპარტავნული



სახელის ქვეშ ბევრი არაფერი იმალება. ესაა ყოვლად ჩვეულებრივი სახლი, როგორც ევროპის სოფლებში ათასობით გვხვდება; ის ოთხკუთხა სწორი ნაგებობაა – 70-მდე ფუტი სიგრძისა და 35-მდე ფუტი სიღრმის; ორსართულიანია, აქვს ათი ფანჯარა წინა მხარეს და ხუთი, გვერდით; იგი დახურულია კრამიტით და კირითაა შელესილი. ერთადერთი საკუთარი იყო ხის განიერი აივანი, რომელიც მეორე სართულს მთელ წინა მხარეს გაუყვება. აივანზე გარედან ადის კიბე, აქედან კი სხვადასხვა კარებით შეისვლება მეორე სართულის ოთახებში, რომელთაც სხვა არაფერი აკავშირებს ქვედა სართულთან (არა აქვს შიდა ჩასასვლელი კიბე). ქვედა სათავის შესასვლელი ჩაკეტილი იყო და ზემოთ ყველაფერი ოთახებად იყო ქცეული. ქვედა სართული გამოყენებული იყო მხოლოდ მომსახურეთათვის; აქ იყო სამზარეულო და სურსათის სარდაფი და ა. შ. ზედა სართულზე კი ცხოვრობდა მთავრის ოჯახი.

მთავრის ოჯახი აქ არ დაგვხვდა. ნელინადის ცხელ დროს, როცა აქ ციება ბატონობს, ყველა შეძლებული ამ დაბლობიდან მთებში ადის. მთავრის ოჯახი ჯერ არ დაბრუნებულიყო თავისი საზაფხულო რეზიდენციიდან.<sup>1</sup> – მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალზე მეგობრულად და სტუმართმოყვრულად მიგვიღო მთავრის ეზოსმოდვარმა თუ ფინანსთა მინისტრმა. ჩვენდა გასაოცრად, ეს იყო მოხუცი ფრანგი. მოგვიანებით შევიტყუეთ, რომ ის 1812 წელს, მოსკოვიდან უკანდახევისას, ტყვედ ჩავარდნილა. ადრე იყო ერთი ფრანგი გენერლის მზარეული; ტყვეობაში დაიწყო სამსახური რუს გენერალთან, რომელსაც ტფილისში ჩამოჰყვია; დაბოლოს, მოეწყო სამეგრელოს მთავართან. აქ ის მარჯვენა ხელი უნდა იყოს; ამასთან, მანერები (გარეგნობა)

<sup>1</sup> მთელი ეს ზოლი არაჩვეულებრივად ნაყოფიერია. ნიადაგი თუმცა არაა ჭაობიანი, ციება მაინც გაბატონებულია, განსაკუთრებით ყველაზე ცხელ დროს – 15 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე. ამას იმითი ხსნიან, რომ მოსახლეობისა და საქონლის სიმცირის გამო ბალახეული არ იცვლება, არ იხვნება, არ იძოვება; ამიტომ ლპება და ზედაპირზე ხმება, განსაკუთრებით ტყის ჩრდილში. მათი ანაორთქლი არის მიზეზი ციებისა. უმეტესად ის ვნებს უცხოელებსა და მიწის მუშებს. განსაკუთრებით ხშირად რუსი ჯარისკაცი ეწირება მას. ჩაცმას, კვებას, ხანგრძლივ მარხვას ეს ჰავა არ უხდება.



მიუღია ძველი ყაიდის ფრანგი მარკიზის: გაპუდრული და ნანნავით, აბრეშუმის წინდებითა და ბალთებიანი ტუფლებით, ის მართლაც საყვარლად გამოიყურებოდა ამ მხატვრულ გარემოში. ერთს კი ვერ ვაპატიებ მას, რომ ყოველივე, რაც დამახასიათებელია აღმოსავლელი მმართველისათვის, ალბათ მისი გავლენით, აქედან გამქრალია. მან შეგვიყვანა მთავრის ოჯახის ოთახში. კედლებზე გაკრული იყო მდარე მოსკოვური შპალერი; მაგიდები, სკამები, დივანი მოუხერხებელი და ცუდად დამუშავებული იყო, როგორც ეს 30-40 წლის წინათ იყო ხმარებაში; იდგა კურანტები (საათი), როგორც ყველა რუსულ სასტუმროში და ა. შ. ერთ კედელზე ეკიდა ორი დროშა. ერთ მაგიდაზე ეწყო წიგნები: ერთი – ფოლიანტებად წარმოადგენდა ქართულ ხელნაწერს შესრულებულს დახვეწილი ხელით; ეს, ალბათ, იყო ლექსად დაწერილი საგმირო ამბავი. სამწუხაროდ, ჩვენმა მოხუცმა ფრანგმა არ იცოდა ქართული კითხვა; მან მხოლოდ თქვა, რომ მთავარს ეს წიგნი დიდად უყვარდა.

ჩვენ გაგვიმასპინძლდნენ მშვენიერი ჩაით, მოგვიანებით კი მთლად ფრანგულად დამზადებული და განყობილი სუპით (წვნიანით); არ დაგვკლებია შამპანურიც. მოხუცი ფრანგის გარდა შემოვიდა კიდევ მთავრის ერთი ვასალი, მეგრელი აზნაური, რომელიც ჩვენ მოგვიჯდა და ჩაი მიირთვა. რადგან მან საკუთარი ენის მეტი არაფერი იცოდა, ამიტომ ვერც ერთს სიტყვა ვერ გაგვცა. მიუხედავად ამისა, ის სერიოზულად და მდუმარედ რამდენიმე საათი იჯდა კედელთან.

მოხუცმა ფრანგმა გვითხრა, რომ ქვეყანაში ცხოვრობდა რამდენიმე თავადური გვარი და დიდი რაოდენობით აზნაური, რომლებიც ცნობდნენ დადიანის ბატონობას. ყველანი მოვალენი არიან ლაშქრობაში გამოვიდნენ. არის გარკვეული გარემოებები, როცა მთავარი მამულსაც კი ართმევს მათ, თუმცა ამისთვის, შეთანხმების თანახმად, არსებობს ვასალური სამართალი (?).<sup>1</sup> დადიანს, ისე როგორც მის ქვეშევრდომებს, ჰყავს დამოკიდებული გლეხები, რომლე-

<sup>1</sup> ჩვენ გავიგეთ, რომ დადიანმა, ევროპელთა და განსაკუთრებით რუსების წაბაძვით, საკუთარი ორდენი დაანება, რომლითაც ის თავის ქვეშევრდომებს ახარებდა და რომლის ვარსკვლავსაც თვით ატარებდა. რუსები ამას ყურადღებას არ აქცევენ.



ბიჯ ორ კლასად იყოფიან. ერთია კარის მსახურები (კარის ნაღბნი) ისინი ცხოვრობენ თავიანთი ბატონის ეზოს ირგვლივ, უნდა დაამუშაონ მისი ყანები და შეასრულონ ყველა სხვა სამუშაო, რის სანაცვლოდ ბატონმა ისინი და მათი ოჯახები უნდა გამოკვებოს. მეორე კლასია ჩვეულებრივი მიწათმოქმედნი, რომლებიც თავიანთ ყანებს საკუთარი ძალით (ხარჯით) ამუშავებენ და ნატურით (სიმინდი, ქერი, პირუტყვი) უხდიან ბატონს. ვერ დავადგინე, ეს გადასახადები ძველი წესების მიხედვით მუდმივმოქმედია, თუ ბატონები თავიანთი სურვილისამებრ და გარემოების მიხედვით აწესებენ მათ; ისევე როგორც ვერ გავიგე, ბატონყმობა არის თუ არა აქ. უნინ ეს არ უნდა არსებულებო, მაგრამ ამჟამად ბატონობს რუსული კანონები და ბატონებიც მას მიმართავენ შიგადაშიგ, რათა ბატონყმობა დაამკვიდრონ. ადრე მეგრელები და იმერლები ჯგუფებად გადადიოდნენ ქართლში, რომ დღიურ მუშებად ანდა მოჯამაგირეებად ემსახურათ. ესენი უფრო მუყაითები და საქმიანები არიან, ვიდრე ქართლები. ბოლო ხანებში მათ დაბრკოლებები შეუქმნეს (აუკრძალეს), რათა ისედაც მცირედ დასახლებული მხარე მთლად არ გაუკაცრიელებულიყო. მოჯამაგირის საზღაური, გარდა მისი კვებისა და ჩაცმისა, არის 20 ვერცხლის მანეთი. – მარცვლეულის დატვირთვისას, ისევე როგორც ყველა სამუშაოთა შესრულებისას, რაც მოითხოვს ძალის წუთიერ დაძაბვას (მაგ.: მორის აწევა, გადათრევა, ხის გადაგორება), ისინი გამამხნეველ ხმას გამოსცემენ.

დადიანის შემოსავალი თითქმის მხოლოდ ნატურითაა; ამიტომ, რადგან მათი რეალიზაცია აქ ძნელია, ფულზე გადაყვანილი ძალიან მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვეყანა 100 კვადრატულ მილს შეადგენს და ნაყოფიერია. ხშირად მას თვეობით არა აქვს 25 მანეთიც კი მცირე საჭიროებებისა და ხარჯებისათვის. მხოლოდ ტყეები იძლევა ერთგვარ ფულად შემოსავალს, მაგრამ მისი გამოყენებისას აურაცხელი ფლანგვა წარმოებს. ასე მაგალითად, ამ წელს დადიანმა ერთ თურქ სპეკულანტს 200 ვერცხლის მანეთად მისცა იმდენი გემსაშენი მასალის მოჭრის უფლება, რამდენის ნათრევასაც შეიძლებდა. მე მიკვირს, რომ რუსული მთავრობა დადიანისაგან არ შეისყიდის ტყის გამოყენების რენტას ოდესის ფლოტისათვის.

რაც მე ტფილისში დადიანის (კერძოდ, გარდაცვლილის) შვილები ვაზიგე, ძალზე მაგონებს მე-15 საუკუნის გერმანელი თავადებისა და ბატონების ცხოვრებას. მოხუცი დადიანი ცხოვრობდა ჩრდილოეთის მეომარ, ყაჩაღ, თავისუფალ ხალხებთან ქიშპსა და მტრობაში. ის თავისი ამალით, რომელსაც შეადგენდნენ ახალგაზრდა აზნაურები და თავადები, მუდამ სალაშქროდ გადიოდა; მშვიდობიანობის დროს კი თავისი ასი თავადით სანადიროდ მიდიოდა.<sup>1</sup> ასეთ დროს მწყემსები ერთმანეთს ატყობინებდნენ მისი მოძრაობის მიმართულებას, რათა დაეცვათ პირუტყვი: რადგან, თუკი ამაღა ფარას შეხვდებოდა, ულაპარაკოდ წაართმევდა რამდენიმე ცალს, დაკლავდა, ღია ცეცხლზე შეწვავდა და შეექცეოდა. როცა დადიანს ესტუმრებოდა უცხო, ან მოგზაური ანდა, თუ ასეთი ნადირობისას შეხვდებოდა, ის მაშინვე აჩუქებდა საუკეთესო ცხენს, ვისიც არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ ცხენის პატრონი სტუმარს ჩაუსაფრდებოდა და ნაჩუქარ ცხენს ართმევდა.

მეორე დილას, 6 საათზე შესანიშნავ დარში კვლავ შევსხედით ცხენებზე. გზა სულ ტყეებში მიდიოდა, ოღონდ მთიდან მთაზე. ყოველ წუთს საუცხოო სანახაობა იძლებოდა ჩვენს თვალწინ. მწვერვალებიდან ჩრდილოეთით კავკასიონს ვხედავდით, ხოლო სამხრეთით მზერა იკარგებოდა მცირე აზიის (ანატოლიის) ქედებში. ჩვენ მრავალ პატარა მდინარეში მოგვინია გასვლა, რადგან ამ გაზაფხულზე თითქმის ყველა ხიდი წალებული იყო. ამ ტყეებში, მეტწილად შემადლებულ ადგილებში, იდგა ხის ძველი ეკლესიები (ჩვენს გზაზე ოთხ ასეთს ჩავუარეთ). ერთი-ორჯერ კიდევ მივადექით მას. ეს იყო დაახლ. 20-25 კვადრატული ფუტი ფართის, ძელურად ნაშენი 15-20 ფუტი სიმაღლის კაპელა. მასზე დადგმული სახურავი (გუმბათი) ყოველი მხრით 10 ფუტზე იყო წინ გამოწეული და ეყრდნობოდა პილარებს, რომლებიც გარსშემოვლებულ გალერეას ქმნიდნენ; კაპელას ფანჯრების ნაცვლად ჰქონდა ვიწრო გრძელი ჭრილები. კარები მოჩუქურთმებულია (მორთული იყო არაბესკების მსგავსი ჩუქურთმებით). ეკლესიას არ ჰქონდა გუმბათი, სამაგიეროდ მისგან

<sup>1</sup> ჩვენ ვნახეთ საუცხოოდ განვრთნილი შევარდნები, რომლებიც უმთავრესად ხობებზე იყვნენ დაგეშილი.

ათიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა უშნო ნაგებობა ორი ზარით (სამეცნიერო ცენტრი - გ. გ.). მართალია, ეკლესიები მოქმედებდა, მაგრამ ვრცელ მანძილზე მათ ირგვლივ არ შეინიშნებოდა ადამიანთა სამოსახლო, თუნდაც ცალკე ქოხი მღვდლისა თუ ეკლესიის მსახურთათვის. უღრანი ტყის მარტოობა ერტყა გარს საცოდავ ეკლესიას!

აქ არ იყო ჩვეულებრივი საფოსტო სადგურები, მხოლოდ კაზაკთა პოსტებია ერთმანეთისგან 2-3 მილის დაშორებით. კაზაკებს აქეთ მეტწილად სამი წლით აგზავნიან. რა სასარგებლონი და გამგებნი არიან ეს მშვენიერი ყმანვილები! რა კარგად იკვლევენ გზას უცხო მხარეში! ესენი აქ ყველგან გაშინაურდნენ. ჩვეულებრივ, ერთ სადგურში 6-10 პოსტია ერთად. ისინი უბრალოდ ცხოვრობენ; მათგან ხანდახან შეგვეძლო მიგველო პური, კვერცხი, რძე. მთელ გზაზე ტფილისამდე პური მეტწილად ხორბლისა გვხვდებოდა, ოღონდ დამწვავებული და უგემური იყო. სამოვარი კაზაკებს ყველგან ჰქონდათ და ამდენად, შეგვეძლო ჩაი ყოველთვის მოგვემზადებინა.

სალამოს ჩვენ საკმაოდ სახიფათოდ გავედით ცხენისწყალზე, ძველთა ჰიპოსზე, და მთლად დაღამებულზე მივალწიეთ საბაზრო პუნქტს - ხონს. ბაზრობის დღე აქაც, როგორც ყველა აქაურ ქალაქში, არის პარასკევი (შაბათის წინა დღე). ებრაელთა ჩვევები და წესები მთელ აღმოსავლეთშია დამკვიდრებული, რაც ჯერ კიდევ შარდენმა შეამჩნია. აქ დაგვხვდა წესიერი საფოსტო სადგური, სადაც დამქანცველი მგზავრობის შემდეგ შევძელით მოსვენება.

აქედან ტფილისამდე მიდის დიდი შარაგზა, სადაც ყველგან რეგულარული საფოსტო სადგურებია, რომელთა დასაცავადაც კაზაკთა რაზმებია გამოყოფილი. აქ ჩვენ კვლავ მივიღეთ ფორანი და თუმცა რუსულ ტელეგაზე ბალანსირება (განსაკუთრებით უსწორო გზაზე) დიდ სიამოვნებას არ გვკრის, მაინც ვარჩიე ჩემი მომავალი დამქანცველი მგზავრობისათვის.

ხონიდან ადრე გავედით და 9 საათისთვის კოკისპირულ წვიმაში ქუთაისის მივალწიეთ, სადაც, ასე ვთქვათ, ევროპულ სასტუმროში შედარებით კარგი თავშესაფარი ვნახეთ. მას განაგებდა ფრანგი მზარეული, რომელსაც ჰყავდა ჰოლანდიელი ცოლი. მხარის მმართველმა, რომელმაც იცოდა ფრანგული და მცირე გერმანული, გვინახულა და მომანოდა ზოგიერთი ცნობა მიდამოს შესახებ, რაც ჩემი შემდგომი მოგზაურობისას დადასტურდა.



ქუთაისი, რიონზე (ძველების ფაზისი) მდებარე უძველესი ქალაქი, არის იმერეთის დედაქალაქი, რომელიც ამჟამად, მფლობელობის პირობებში ქმნის ქართული გუბერნიის განსაზღვრულ მხარეს. ეს უნდა ყოფილიყო მედეას მამის ქალაქი, ოქროთი მდიდარი კოლხეთის დედაქალაქი. ძველი ქალაქი მდებარეობდა რიონის მაღალ მარჯვენა მხარეზე, სადაც ახლა მონასტრისა და ეკლესიის ნანგრევებია. უძველესი ნარჩენები და კვალი დღეს არ ჩანს. დღევანდელი ქალაქი ძვეს რიონის მარცხენა ნაპირზე.

ეს მხარე მეტწილად შედგება ცალკე მდებარე სამოსახლოთაგან. თუ ახალ ეკლესიათა გარშემო მთლიან სოფლებს ვხვდებით, უძველესი ეკლესიები კი განმარტოებით დგანან; ამათ მღვდლებს ეკუთვნიან სწორედ ის ცალკეული კომლები. 30-დან 100-მდე რაოდენობის ეს სამოსახლო ძველთაგან შეადგენს საზოგადოებას (თემს), რომელსაც სათავეში უდგას ნაცვალის ანუ ათისთავი. – ბევრი სამოსახლო კი ქმნის საეკლესიო თემს, რომელსაც მოურავი მეთაურობს. მას ირჩევენ სამხარეო თემის სოფლები და ამტკიცებს მხარის რუსი მმართველი. მის ხელთაა ადგილობრივი პოლიცია და 5 ვერცხლის მანეთის ფარგლებში სასჯელის დადების უფლება. ყოველ კომლს აქვს თავისი გარკვეული შემოსაზღვრული ფართი, მაგრამ ამ სამფლობელოთა შორის მოქცეული საძოვარი, ტყეები და ა. შ. ამ კომლთა თუ თემთა საზოგადო საკუთრებაშია. აქ დამკვიდრება და სახლის აშენება შეუძლიათ მხოლოდ თემის წევრთა შვილებს და არასოდეს უცხოთ. გლეხები არ არიან თავისუფალი მესაკუთრენი ან დამოუკიდებელნი. ისინი ეკუთვნიან ან ხაზინას, ან ეკლესიას, ანდა მემამულეებს. ეს უკანასკნელნი ითვლებიან ყმებად (ალბათ რუსთა შემოსვლის შემდეგ), პირველი ორი კი არა. მათი მეექვსედი სახელმწიფო გლეხია. ისეთი გლეხური კომლი, სადაც სამი ან ოთხი სული ცხოვრობს, ხაზინას უხდის 80 კაპიკს ვერცხლით (ერთი მოხელე ამტკიცებდა – 1 ვერცხლის მანეთითაო); თუკი მემამულეთა რიცხვი ნაკლებია, მაშინ რამდენიმე კომლს ამ მიზნით აერთიანებენ. ამას გარდა მიწიდანაც იღებენ მეთედს, თუკი ეს სახაზინოა (უმრავლესობას საკუთარი მიწა აქვს). მეთადი ნატურით არ აიღება; მოურავი და ორი მფლობელი ყოველ მიწის ნაკვეთს უდგენს მას. საეკლესიო გლეხები ამავე გამოსაღებსაც იხდიან (ალბათ გუბერნიის მმართველობამ გადასახადთა ეს სახე გადაიღო სასულიეროთაგან) და აგრეთვე სანთელს (ცვლის)



და ღვინოს. მემამულეთა გლეხები თითქმის უუფლებონი არიან და უნდა გადაიხადონ ყოველივე, რასაც ბატონი მოითხოვს. მმართველობას მემამულეთაგან ხაზინისთვის მიაქვს ყოველ საგლეხო კომლზე ერთი ვერცხლის მანეთი. მემამულეები იყოფიან აზნაურებად (დაბალი წარჩინებულნი) და თავადებად. ეს უკანასკნელნი ისე მრავალრიცხოვანნი და გაღარიბებულნი არიან, რომ, მაგალითად, გვიჩვენებს სოფელი, სადაც 120 თავადს ერთდროულად 30 გლეხური კომლი ეკუთვნოდა. არიან აგრეთვე თავადები, რომლებსაც ჰყავთ გარკვეული რიცხვი ყმა აზნაურებისა; ესენი თავიანთი საკარგავიდან გარკვეულ გადასახადს უხდიან თავადს. თავადებს შეუძლიათ ეს ვასალები, ანდა, უფრო უკეთ, თავიანთი ფეოდალური უფლება და აქედან გამომდინარე შემოსავალი (გადასახადები) სხვებს მიჰყიდონ ან გაუცვალონ... ახალ დროში რუსულმა მთავრობამ სამღვდელოებას ყველგან მისცა მიწები; სასულიერონი შემოსავალს იღებენ თავიანთი სამსახურიდან (მონათვლა, ჯვრისწერა და ა. შ.), გადასახადს ან ძღვენს, რასაც ჩვენ ევროპაში ვუნოდებთ *jura stolae*-ს.

ქუთაისიდან გზა მიემართებოდა იმერეთის მთებში, ძირითადად პატარა მდინარეების გაყოლებით; მიდამო საოცრად რომანტიკულია. მალა კლდეზე დავინახეთ კიდევ ერთი პატარა ეკლესია და მის ახლოს განმარტოებული სამრეკლო. ტყეებში ყველგან გვხვდება ერთი ხიდან მეორეზე გადასული ვაზი. აქ უძველეს დროს ნამდვილად უნდა დაერგოთ და ეხარებინათ ვაზი, რომლიდანაც იღებდნენ სასმელად კარგ ღვინოს. აქ იყო საუცხოო თაფლი – თეთრი და ისე მაგარი, როგორც შაქარყინული. მას აკეთებენ გარეული ფუტკრები; ცვილი და თაფლი საკმაო რაოდენობითაა. მწვანე თაფლი, რომელსაც ასევე გარეული ფუტკრებისგან იღებენ, ძლიერ მათრობელა უნდა იყოს.

ჩვენ ვუახლოვდებოდით ქართლს (გრუზიას). სადგურ ყვირილადან ჩვენი გზა 60 ვერსზე მიდიოდა ღრმა ხეობებში პატარა მდინარეების გაყოლებით. ორი მთის წვერზე დავინახეთ მთის ციხეთა ნანგრევები. შემდეგ გადავედით მაღალ მთაზე, საიდანაც იშლება მთიანეთი და გზა ფართო ვაკეზე ეშვება, რომელზეც მტკვარი (ძველი კიროსი) მიიკლაკნება. შიგადაშიგ გვხვდებოდა ადგილობრივ მკვიდრთა საზიდრები (ურმები) – მოუქნელი, უხეში; მათი ბორბლები

შუაში გახვრეტილი მრგვალი დისკოა. თივით დატვირთულია ერთი  
ორი ურემი იყო გერმანულ ყაიდაზე ნაგები და ალბათ კოლონისტებს  
ეკუთვნოდა. ორიოდ დიდ მორს მიათრევდა. ამ საქმისათვის ურმის  
წინა ორთვალა ნაწილს კი არ იყენებენ, არამედ მხოლოდ ჯაჭვითა  
და ღვედებით იყო დაბმული. ერთში შებმული იყო 17 წყვილი ხარი!  
გერმანიაში ხეს კარგ გზაზე ორ ცხენშებმული საზიდრით მიათრე-  
ვენ, ცუდ გზაზე კი ოთხი ცხენით!

როცა ჩავედით ვაკეზე, სურამის სადგურიდან 4 ვერსზე, ვაკე  
ადგილზე განმარტოებით აზიდულ ციცაბო ბორცვზე იყო საუცხოო  
ციხის ნანგრევები, რომელიც ადრე უეჭველად წარმოადგენდა  
აქ განლაგებული სამხედრო დაცვის სისტემის მთავარ გასაღებს.  
სახელდობრ, მის წინ, ერთმანეთისგან 1000 ნაბიჯის დაშორებით  
იყო მთელი რიგი ცალკეული კოშკებისა. მე ისინი 5 დავთვალე ციხის  
ირგვლივ. ციხის უკან იყო ასევე რამდენიმე მალლობი სიმაგრეთა  
ნაშთებით. მსგავსი კოშკები თითქმის ყველა ქართლურ სოფელში  
და მემამულეთა სამფლობელოშია. რამდენიმე წლის წინათ მათ  
ჯერ კიდევ თავშესაფრად იყენებდნენ სოფლის მცხოვრებნი (განსა-  
კუთრებით მოხუცები, ქალები და ბავშვები) ლეკების, ჩერქეზების,  
ოსებისა და სხვათა ყაჩაღური თავდასხმებისას.

ყველა პუნქტში, რომლებიც კი გავიარეთ, ვეცნობოდი რუს  
მოხელეებსა და ოფიცრებს. ყველა ერთხმად ამბობდა, რომ აქაური  
ხალხი, განსაკუთრებით იმერლები, მორალურად წარმოუდგენლად  
დეპრავირებულია, რომ არიან... ორპირი, მატყუარა, მოჩხუბარა.  
ჩივიან აგრეთვე, რომ, როცა რუსულმა მთავრობამ რამდენიმე წლის  
წინ შემოიღო კადასტრები საკუთრების დასადგენად, მათ შექმნეს  
საკმაო რაოდენობის ყალბი საბუთები, წარმოადგინეს ცრუ მონ-  
გებები, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია მამულებში... დადიანის  
ფრანგმა ეზოსმოდღვარმაც დამიდასტურა ეს. მაინც, ეს ხალხი ერთ-  
ერთი ყველაზე მშვენიერია დედამიწის ზურგზე თავისი დიდებული,  
მეტყველი, გაცისკროვნებული გარეგნობით! ამიტომ არ შემიძლია  
დავიჯერო, რომ ეს დაცემულობა საყოველთაოდ გავრცელებული  
იყოს; სადაც ასეა, მაშინ ხალხი, რა თქმა უნდა, მხოლოდ წამხდარია,  
მაგრამ არა დასაბამიდან; უეჭველია ამაში ზედა ფენები და ეკლე-  
სიის დაცემაა დამნაშავე.



ჩვენ რამდენიმე საათი წავიძინეთ და 9 აგვისტოს, დღით სწრაფად ჩავედით პატარა ქალაქ გორში.<sup>1</sup> რუსული ბანაკი (სადგური) ქალაქს გარეთ მდებარეობს. ირგვლივ მშვენიერი სანახაობაა: ჩრდილოეთით – კავკასიონის დიდებული ყინულოვანი მწვერვალების ჯაჭვი დილის მზით აელვარებული, რომელთაგან იალბუზი და ყაზბეგი<sup>2</sup> ყველაზე მაღლაა აზიდული; სამხრეთით – ახალციხის მაღალი მთიანეთი. მთისწინეთზე ყველგან რომანტიკული ციხის ნანგრევებია.

უშუალოდ ჩვენს წინ აღმართულ მარტოხელა ციცაბო მაღალ ბორცვზე არის გორის ძლიერი ციხის ნანგრევები, რომელიც ქალაქს ამფითეატრისებურად ადგება. ციხის მთის ძირას მოედინება ველური მთის მდინარე. მიმდებარე არემარე იყო ნაყოფიერი და მცენარეულით მდიდარი. ხეებსა და ბუჩქნარებს შორის შეფარებული პატარა სოფლები ძლიერი კოშკებით ნიშანია ბეჯითი მიწათმოქმედებისა...<sup>3</sup>

ძველ დანგრეულ ციხეს აქვს ორი ასასვლელი; ერთი ქალაქის მხარეს, რომლითაც მე ავედი, მეორე – წყლის მხრიდან, საითაც კოშკებიანი და ქონგურებიანი კედელი მიემართება, რათა იქიდან შეიძლებოდეს წყალზე ჩასვლაც და გარეთ გასვლაც. ზევით აღმართულია ორი მრგვალი გალავანი და კოშკები. ყველა დანარჩენი მთლად ნანგრევებია: თაღების, საკნებისა და ჭების (მინისქვეშეთის

<sup>1</sup> გორი ადგილობრივ ენაზე მთას უნდა ნიშნავდეს. რუსულადაც გორა მთას ჰქვია. გორი უნდა იყოს სტრაბონის ხორძენა.

<sup>2</sup> იალბუზი არის კავკასიის ქედისა და წინა აზიის უმაღლესი მწვერვალი – 18500 ფუტი სიმაღლის, ე. ი. ვეროპის უმაღლეს მთაზე მონბლანზე 4000 ფუტით მაღალი! მას ბევრი სახელი აქვს: თათრებში მას ჰქვია იალდუზ დალ (მოოქერილი მთა), ასევე ელბორუსი; სომხებთან – იალბუზი, ჩერქეზებთან – უაშჰამაკო ან ოშგა-მახვა (წმინდა ანუ ბედნიერი მთა); ყარაჩაელები მას მინგი-თაუს ეძახიან, აბაზები – ორსი-იფგუბ ან იტუბს; სვანები – ფასას; კაზაკები – შატ-გორას უხმობენ.

ყაზბეგმა სახელი რუსთაგან მიიღო მმართველის პატივსაცემად, რომელიც ცხოვრობს მთის ძირა სოფელ სტეფანწმინდაში და რუსების დიდად ერთგულია. მთას ეძახიან კაზბექსკაია-გორა-ს, ქართველები უწოდებენ მას მყინვარს (ყინულოვანი მთა), ოსები ცერისტი-იუბ (ქრისტეს მთა), ჩერქეზები – ურს-ხოხს (თეთრ მთას).

<sup>3</sup> აქ ჩვენ ვტოვებთ ყაზბეგისა და იალბუზის სურათებს და მითებს მათ შესახებ. გვ. 30-36 – გ. გ.

მსგავსი) შესაცნობია. გორის მცხოვრებლები თავიანთ ქონებას აფარებდნენ ხიფათის დროს; ზოგიერთებს აქ ზემოთ პატარა სახლებიც კი ჰქონდათ (ეს სამოსახლო ადგილები ძვირი ღირდა).

ერთმა გორელმა სომეხმა, რომელმაც აქ ყველაფერი მომატარა, მიამბო მშვენიერი ლეგენდა: „ერთ დროს, ათასი წლის წინათ, მთელი ეს ვაკე წყლით იყო დაფარული, რომლიდანაც ახლანდელი ციხის მთა უპატრონო კუნძულივით ამოზიდულიყო. დედოფალი თამარი სანადიროდ წამოსულა აქეთ მხარეში. მას ხელზე ეჯდა საუცხოო და საყვარელი მიმინო. მიმინო მტრედს გამოუდგა, მაგრამ ვერ დაიჭირა; პატრონის ძახილის მიუხედავად, ტბისკენ გაფრინდა და დაეშვა კუნძულზე – ახლანდელი ციხის მთაზე. დედოფალმა მიმინოს უკან მომყვანს აღუთქვა ნახევარი საბრძანებლო. მამაცი ახალგაზრდა მხედარი ცხენდაცხენ შევიდა ტბაში და მიცურდა კუნძულთან, დაიჭირა მიმინო, მაგრამ უკან გამოსვლისას ცხენი, მხედარი და მიმინოც ტალღებმა შთანთქეს. დედოფალმა ბრძანა ტბის წყლის გადაგდება მტკვარში; ამის შემდეგ მთაზე ააგო ციხე და მარტოკამ მწუხარებაში აღასრულა იქ ცხოვრება“...<sup>1</sup>

შემდეგი სადგურიდან – ჭალიდან (?) 9 ვერსზე გზის მარცხენა მხარეზე კვლავ შევამჩნიე მნიშვნელოვანი ნანგრევები. ერთი პატარა სოფლის ახლოს არის ორი მორგენი<sup>2</sup> სიდიდის ფართი ჯერ კიდევ საკმაოდ შენახული გალავნით შემორტყმული,<sup>3</sup> ჩრდილოეთით აღმართულია ჭიშკრიანი კოშკი, ტერიტორიის შიგნით ყრია პატარა შენობის ნანგრევები. მითხრეს, რომ ეს მთლიანად იყო მნიშვნელოვანი მონასტერი და ერქვა სამთავისი (Samtawisi).<sup>4</sup>

<sup>1</sup> გამოვტოვეთ აბზაცი, სადაც საუბარია ლეგენდების წარმოშობაზე, გვ. 37 - გ. გ.

<sup>2</sup> მიწის გერმანული საზომი = 2500-დან 9700 მ<sup>2</sup> - გ. გ.

<sup>3</sup> აზნაურთა ყველა დიდი სახლი, თავადთა სასახლეები, ასევე მონასტრები ამ მხარეში შუა საუკუნეებში და დღესაც გამაგრებულია. როგორც წესი, ესაა მაღალკედლებიანი ოთხკუთხედი, კუთხეებში კოშკებით; შუაში კი დგას მტკიცე მასიური კოშკი. შენების სტილი და კონსტრუქცია გენუელეებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომლებმაც თავიანთი ვაჭრობის დასაცავად ბევრი ასეთი გამაგრებული პუნქტი ააგეს.

<sup>4</sup> კლაპროტი მას უწოდებს „სამთავისს“, რაც ნიშნავს სამი მთავრის (მეთაურის) მონასტერს.



მოედნის შუაგულში დგას ეკლესია, რომელიც, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ დაზიანებასა და აქა-იქ სახურავის ჩამოქცევას, საკმაოდ კარგადაა შენახული. ეს ეკლესია უნდა ეკუთვნოდეს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უმშვენიერეს და საინტერესო ნაგებობათა რიცხვს; ფორმა მთლიანად და შიდა მორთულობა ბიზანტიურია. ოთხ მძლავრ სვეტზე დგას ნავის მაღალი გუმბათი, რაც სრულყოფილ სწორკუთხედს ქმნის... თუკი მთლიანი სტილი ბიზანტიურია, ზოგიერთი ნაწილის აგების წესსა და მორთულობაშიც შეიმჩნევა შერევა ბიზანტიურის, გოთურისა და მავრიტანულის. ასე მაგალითად, ოთხი მთავარი სვეტი მთლიანად გოთურია; სვეტებისა და თაღების ლამაზი შეერთება ბიზანტიურია; ფანჯრები – მავრიტანული; ასევე საოცრად ნატიფი ქანდაკებებიცა და არაბესკები. ერთი კია საერთო – მთლიანად ძალზე მდიდრული და მშვენიერია. ეკლესია საგულდაგულოდ მტკიცედაა ნაგები კვადრატული ქვიშაქვით; მას აქვს სამი შესასვლელი. დასავლეთის მხარეზე არის სამი მინაშენი, ალბათ საძვლე. კედლები ფრესკებითაა დაფარული. ქორო, სადაც საკურთხეველია, რამდენიმე რიგადაა მოხატული, გუმბათში (როგორც ხშირად ბერძნულ ეკლესიებში) მლოცავი მხსნელი (ქრისტე). მხატვრობა აშკარად არაა ძველი; არ ჩადის მე-17 საუკუნის ბოლოზე დაბლა; ალბათ, საშუალო დონის იტალიელი მხატვრების მიერაა შესრულებული, რომლებიც ბედმა საქართველოში გადმოაგდო. თვით ეკლესია კი გაცილებით ადრინდელია და ეკუთვნის სხვა დროს, როცა დასავლეთთან, რა თქმა უნდა, თვით რომთანაც უფრო ახლო ურთიერთობა არსებობდა. მსურს მოსაზრება გამოვთქვა, რომ ეს ეკლესია, ისე როგორც კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოთავსებული მხარის სხვა ეკლესიებიც, ეკუთვნის გვიან შუა საუკუნეებს და კავშირშია გენუასთან, რომელიც მაშინ ბატონობდა შავი ზღვის სანაპიროებზე.

გორში ვნახე ამავე სახის სომხური ეკლესია, მაგრამ ბევრად ჩამორჩებოდა მას სილამაზით და უფრო გვიანდელი ნაგები იყო; მხატვრობა მასში აშკარად დასავლური იყო – წმინდა სტეფანეს ჩაქოლვა, მარიამი თეთრი სახის ფერით და არა მუქით, როგორც ყველა ბერძნულ მადონას ახასიათებს და ა. შ. ბევრი ფრესკა მოხატული იყო ახალ ხანებში ერთი პოლონელის მიერ. ეკლესია კვადრატული ქვიშაქვით კი არ იყო ნაგები (მას აკლდა სკულპტურები და არაბესკები), არამედ, ქართლის სხვა ეკლესიებისა და შენობების მსგავსად, ერთმანეთში



შერეული რიყის ქვითა და აგურით და ძალზე მტკიცე, ნაცრისფერი, მსხვილ ქვიშაშერეული კირით (კირ-დულაბით?).

მთელ გზაზე ტფილისამდე, ისევე როგორც ყველგან ამ მხარეში (კავკასია - გ. გ.), ყოველ ბორცვსა თუ მთაზე გვხვდება უამრავი ციხისა და სიმაგრის ნანგრევები, რაც მიანიშნებს ომებითა და ისტორიით მდიდარ და ღირსშესანიშნავ შუა საუკუნეებზე. მტკვრის ნაპირები ამ თვალსაზრისით, მოგვაგონებს რაინისას, მაგრამ ისტორია დუმს, საბუთები და ცნობები არაა ამის შესახებ, ანდა ჯერ არ აღმოჩენილა.

იმერეთში რამდენჯერმე ვნახე მოუქნელი ოთხთვალა ურემი (საზიდარი), ქართლში კი მხოლოდ ორთვალა, კამეჩშებმული. - აქ ყველგან, ყანებში, გზებზე, მაღლობებზე გვხვდება ამოშენებული ოთხკუთხა ქვის ყუთები - 8 ფუტი სიგრძის, 3 ფუტი სიგანისა და 2 ფუტი სიღრმის. ესაა უძველესი ყურძნის სანურები; თუმცა ამჟამად ვენახები იშვიათადაა. აქ, ისევე როგორც ბევრ გაჩანაგებულ სოფლებთან, მრავლად ჩანს სახნავები, რომლებიც ან ტყეებშია, ან ბუჩქნარითა და ეკალბარდებითაა დაფარული;<sup>1</sup> ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ქვეყანა უნინ გაშენებული და დასახლებული ყოფილა და გაცილებით ბრწყინვალე დროება ჰქონია.

სამეგრელოსა და იმერეთში თითქმის მხოლოდ სიმინდი და ფეტვის მშენიერი სახეობა - ღომი შემხვდა, რაც ჩრდილოეთით, ხერსონში უკვე აღარსადაა. ქართლში, მტკვრის დაბლობზე, ჯერ უპირატესად ქერი ვნახე, შემდეგ ტფილისისკენ უფრო იმატა ხორბლის ვრცელმა ყანებმა. სიმინდი აქ ცოტაა, ჭვავი და ფეტვი საერთოდ არ მოჰყავთ. ხორბალს ლენენ გარეთ, სახლის ახლოს, სამკუთხედის ფორმის საკუთარი იარაღით (მანქანით), რომლებიც წარმოადგენს ერთმანეთზე მიჯრილ ფიცრებს; ამათ კი ქვემო მხრიდან პატარა ქვები და ბლაგვი რკინის შტიფტები აქვთ ჩაჭედილი (კევრი - გ. გ.). ამ სამკუთხედში შებმულია ცხენი ან კამეჩი, ხოლო მასზე დგას კაცი, რათა თავისი სიმძიმით გალენვას ხელი შეუნყოს.

<sup>1</sup> ტფილისთან არსებული უკანასკნელი სადგურის Gorzis-kales-ს (ღართისკარი - გ. გ.) ახლოს იყო მთელი ზოლი გაუდაბურებული მხარისა მხოლოდ აქა-იქ ხეებით. მასში გარკვევით შეიცნობოდა სახნავი.



10 აგვისტოს დილას ჩავედით მცხეთაში. ესაა ქართლის მეფეთა ძველი რეზიდენცია, ამჟამად საბრალო ღარიბი პუნქტი. წარსული დიდებულების მარჯვენებლად შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია. გადმოცემის მიხედვით, ის დაარსებულია ნოეს შთამომავლის (შვილთაშვილის), ქართლოსის შვილის მცხეთოსის მიერ. ის მდებარეობს მტკვრისა და არაგვის შესაყარზე. 1489 წელს (?) ქართლის მეფეებმა თავიანთი რეზიდენცია აქედან ტფილისში გადაიტანეს. ეს პუნქტი საკმაოდაა აღწერილი მოგზაურთა მიერ, განსაკუთრებით დიუბუა დე მონპერეს მიერ. ამიტომ უკვე ცნობილს აღარ გავიმეორებ. პირველად მოვინახულე კარგად შენახული ეკლესია, რომელიც მოთავსებულია გალავანშემორტყმულ ეზოში; მასში ცხოვრობდა თორმეტი მონაზონი (ქალი); თუმცა ის არაა მოწესრიგებული მონასტერი. ნამდვილი კანონიკური დედათა მონასტრები არ მოქმედებენ არც ქართულ, არც სომხურ საეკლესიო ეპარქიებში. ეკლესიის ერთ კუთხეში ვნახე ოქროს გრუნტზე შესრულებული სურათი, რომელიც ნამდვილად ძველი გერმანულია. ნეტავ რა შემთხვევამ მოიტანა ის აქ? – შემდეგ წავედით ქართლის ეგზარქატის ძველ კათედრალურ მთავარ ეკლესიაში, რომლის რესტავრაციასაც ამჟამად ეწეოდნენ. დღესაც აქ წირავს ქართლის კათალიკოსი; აქ აკურთხებდნენ ქართველ მეფეებს და ბევრი მათგანი აქაა დასაფლავებული.<sup>1</sup> ისიც მდებარეობს დიდ გალავანშემოვლებულ ეზოში, სადაც რამდენიმე დანგრეული საცოდავი შენობაც დგას; ესაა საცხოვრებლები მომსახურე მღვდლებისა. ეკლესია, როგორც მითხრეს, აგებული ყოფილა მე-10 საუკუნეში, შემდგომ თემურს დაუნგრევია და 1414-1424 წლებს შორის კვლავ აღუდგენიათ; იგი ნაგებია მომწვანო ქვით, იმავე სტილით, როგორც სამთავისი. კედლები დაფარულია საშუალო დონის ფრესკებით (როგორც მე მეჩვენება, მოგვიანო ხანებში ევროპელი

<sup>1</sup> ამ ეკლესიაში, როგორც განსაკუთრებულ წმინდა რელიკვიას, ინახავენ პერანგის ნაჭერს, რომელიც თითქოს ქრისტეს უტარებია (არავითარ შემთხვევაში ეს არაა ე. წ. შეუკერავი მოსასხამი, ჯვარცმის დროს წილხედომი). მოსკოვში, მიძინების ტაძარში, ისევე როგორც სანქტ-პეტერბურგში, საიმპერატორო კარის ეკლესიაში არის აგრეთვე ნაწილები ამ წმინდა რელიკვიისა. შაჰ აბასმა ქართლის დაპყრობის შემდეგ ის აჩუქა მეფე მიხეილ თევდორეს ძეს.



მხატვრების მიერაა შესრულებული).<sup>1</sup> რუსული ხატი (წმინდანის ხატით) საქართველოში პირველად 1750 წელს გაჩნდა. ზემოაღნიშნული ეკლესიის კედელში ჩაშენებული იყო მრგვალი, დაახლოებით

<sup>1</sup> ამიერკავკასიაში გვხვდება კაცობრიობის ისტორიის ყველა ეპოქის ნაგებობა (ძველები). გამოქვაბულები, ტროგლოდიტები - წინაისტორიული პერიოდის. კავკასიის კედლების ნანგრევები, რომლებიც ალბათ ძველი დიდი მსოფლიო მონარქიების (ძველ სპარსული) დროსაა წარმოქმნილი და რომლებზეც შემდგომ ქრისტეს აქეთ 1000 წლამდე აშენებდნენ. ქრისტეს წინ და შემდგომ საუკუნეებში მშენებლობაში რომაული გავლენა ვრცელდება. კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში ვნახე უჩვეელი რომაული ორნამენტი. მე-5 საუკუნიდან იწყო გავრცელება ქრისტიანობამ, არქიტექტურაში კი ბიზანტიურ-ქრისტიანული სტილის შემოჭრამ. შავი ზღვის სანაპიროსკენ არის მთლად ბიზანტიური სტილის ნაგებობანი; პირველყოვლისა, ბიჭვინთის მშვენიერი ეკლესია, რომელიც ააგო იუსტინიანე იმპერატორმა მე-6 საუკუნის შუაში (მე ის ზემოთ აღვწერე. თაღებქვეშ დიდი რაოდენობით ხელუხლებლად დევს შემონირულებანი, რადგან ქართველებს, აფხაზებს და თვით ჩერქეზებსაც განსაკუთრებული შიში აქვთ ყოველივესი, რაც ეკლესიაშია). ქუთაისის მშვენიერი კათედრალური ეკლესიაც ალბათ ამ დროისაა. გალაგნის საშენებლად აგურისა და ქვის ფენა-ფენად გამოყენება ამასვე უნდა მიუთითებდეს, რადგან მე-11 საუკუნიდან ასეთი რამ აღარ გვხვდება. ზუგდიდის ახლოს არის მარტვილის მონასტერი ლამაზი ეკლესიით, რომლის აგების სტილი წარმოადგენს გადასვლას საკუთრივ ქართულზე. შესასვლელის ფასადზე ლამაზი სკულპტურაა, რომელზეც ქრისტეა გამოსახული ზეაღმართული ორი თითით და რელიეფური წარწერით: „მე ხელს აღვაპყრობ ზეცისკენ და დავიფიცებ და ვიტყვი: მე უკვდავი ვარ (გცხოვრობ მარადისობაში)!“ ბაგრატ III-ის დროს, რომელიც მთელი ქართლის გარდა აფხაზეთსაც ფლობდა (1000 წ.), დაიწყო საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანა, რომლის უმაღლეს მწვერვალს დედოფალი თამარის (1206 წ. - ქართველები ამ დიდ მბრძანებელს ყოველთვის „მეფეს“ უწოდებენ!) მმართველობა წარმოადგენდა: ამ დროს იწყება საკუთარი ნაციონალური კულტურის ეპოქა (ჯერ კიდევ 1064 წელს ითარგმნა ქართულად პლატონი და არისტოტელე!) და საეკლესიო მშენებლობის საკუთარი სტილი, რომლის საფუძველი მაინც ბიზანტიური იყო. მცხეთის ეკლესია ამ პერიოდშია აგებული, მაგრამ თემურ ლენგმა დააქცია. მე-15 საუკუნეში ძველი გეგმის მიხედვით, ხელახლა ააშენეს. ლეგენდა ამბობს, რომ მცხეთის სამიტროპოლიო და სტეფანწმინდის ეკლესია აგებულია - პირველი უცხო ხუროთმოძღვრის, ხოლო მეორე - მისი მოწაფის მიერ. ხუროთ-

3 ფუტი განივკვეთის ქვა, რომელზეც წრეში ჯვარი იყო ამოკვეთილი, როგორც ხშირად მინახავს ძველ ეკლესიებზე და ტამპლიერთა (რაინდები) შენობებზე. აღმოსავლურ ეკლესიათა ჯვრებს ყოველთვის სხვა ფორმა აქვთ.

მცხეთა მდებარეობს ორი ხეობის შეერთების კუთხეში. მის მოპირდაპირე მთაზე (არმაზი) არის ნანგრევები მძლავრი სიმაგრისა, მრავალი კოშკებით და ქონგურებით; ირგვლივ მდებარე ყველა მაღლობზე (მთაზე) დგას მაღალი სათვალთვალეები. გზა ტფილისისკენ გადადის ხიდზე, რომლის აგებაც პომპეუსს მიენერება; შემდეგ გზა მიჰყვება მტკვარს, რომელიც აქ კლდის კედლებშია მოქცეული. ამ კლდეებში ხშირად 20-40 ფუტის სიმაღლეზე ჩანან ხელოვნური გამოქვაბულები – უხსოვარ დროში ტროგლოდიტური მოსახლეობის სადგომები – მოგვიანო ხანებში ომიანობის დროს, თავშესაფრად გამოყენებული.

11 საათისათვის ჩავედით ტფილისში. ქალაქი თავისებურ შთაბეჭდილებას ახდენს. იმ მხრიდან, საიდანაც ქალაქში შედიხარ, მას მთლად ევროპული იერი აქვს. ქალაქის ეს ნაწილი რუსების მიერაა აგებული. სწორი ქუჩები, თანამედროვე სახლების მწკრივები, ელევანტური მაღაზიები, სახელდობრ, წიგნის, საგალანტერეო, აფთიაქები, კაფეები, ბევრი საზოგადოებრივი დაწესებულება, გუბერნატორის სასახლე, ეკლესიები<sup>1</sup> გუმბათებითა და კოშკებით, ქუჩებში მრავალფეროვანი რუსული სამხედრო ფორმები, ფრანგული კოსტიუმები, ფრაკები და ა. შ. – ყოველივე ამას ევროპაში გადავყავართ. მაგრამ ამ ევროპული ქალაქის ბოლოს იწყება ნამდვილი აზიური ნაწილი ბა-

---

მოდღვარმა როცა დაინახა, რომ მოწაფემ მას აჯობა, საკუთარი ხელი მოიკვეთა. მეორე გადმოცემის მიხედვით, სტიფანწმინდის გუმბათიდან სამიტროპოლომდე უხილავი ჯაჭვი ყოფილა გაბმული, რომლითაც ამ ორი ეკლესიის წმინდანები ერთმანეთთან მიდიოდნენ. ზუსტად ასევე დაკიდული ჯაჭვი აკავშირებდა გერგეტის მონასტერს (დგას ქვენემის მთაზე 6674 სიმაღლეზე) ყაზბეგზე მდებარე აბრამის კარავთან, რომლის საშუალებითაც ბერები მიდიოდნენ იქ სალოცავად. ყველასათვის თვალში საცემია ევროპულ თქმულებებთან მათი მსგავსება.

<sup>1</sup> ტფილისში უნდა იყოს 22 რუსულ-ქართული ეკლესია, 15 სომხური, ერთი კათოლიკური; აგრეთვე ერთი სპარსული მეჩეთი, ერთი თათრული მეჩეთი და ერთი ებრაული სინაგოგა. გერმანელ კოლონისტებს თავიანთ სოფელში, ტფილისს გარეთ, აქვთ პროტესტანტული ეკლესია.





ზრებით, ქარვასლებით, გრძელი ქუჩებით, სადაც ღია დუქნები მისდევნენ ყოველგვარ ხელობას. აქ ქუჩაში ხედავ სამჭედლო ქურების მთელ რიგს, სადაც ხელოსნები ნყნარად ჭედენ (ურტყამენ უროს) და ქუჩაში გამვლელებს არც კი ამჩნევენ. გვხვდება სახლების რიგი, სადაც მკერავები უსხედან თავიანთ სამუშაოს: იგივენაირ პოზაში, ისეთივე მოძრაობებით და შესტიკულაციით, ისეთივე შიშით, როგორც ჩვენთან. შემდეგ მოდიან ხარაზები, ტყავის ოსტატები და ა. შ. ახლა კი გარეგნობა და ხალხები, რომლებსაც შევხვდით! აქეთ თათრები თავიანთ სამოსში, რომლიდანაც უეჭველად წარმოსდგება ე. ნ. პოლონური; იქით გამხდარი, მზით გარუჯული სპარსელები განიერი ჩამოშვებული (ფრიალა) სამოსით (კაბებით); ქურთები თამამი სახეებით; ცხენით მოვაჭრე ლეკები და ჩერქეზები; დაბოლოს, ქალები – მშვენიერი ქართველები, გრძლად ჩამოშვებული მანდილებით (მოსასხამებით – ლეჩაქებით – გ. გ.). და მაღალქუსლიანი ტუფლებით! და ყველა ეს ადამიანი, თითოეული თავისებური სილამაზით, როგორც არც ერთ ქვეყანაში და ხალხში არ გვხვდება მსგავსი სიჭარბით და მრავალფეროვნებით! ამასთან ეს ჭრელი, მრავალნაირი და უკლებლივ თვალწარმტაცი, ლამაზი ტანსაცმელი! არსად გვხვდება ევროპისა და აზიის კონტრასტები და თანხვედნა ისე ახლოს ერთმანეთთან, როგორც ტფილისში!

მე შესანიშნავად მიმიღეს შვაბი კოლონისტის, ბ-ნი ზალცმანის სახლში, რომელსაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე სასტუმრო აქვს. დიდი ხნის შემდეგ კვლავ ვნახე გერმანული სიმყუდროვე და შინაური სუფრა. ამას გარდა, ბ-ნი ზალცმანი აღმოჩნდა მახვილი პრაქტიკული გონებისა და საუცხოო დაკვირვების უნარის მქონე პიროვნება. არავინ იცოდა კავკასიის ხალხები და მხარეთა ურთიერთობები მასზე კარგად, რადგან ნამყოფი იყო ყველგან და ყველას იცნობდა. არავისგან არ შემეძებია უფრო მეტი ცნობები ადგილობრივი მდგომარეობის შესახებ. მის გარდა კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაცნობი გავიჩინე ტფილისში. ბ-ნი ფონ კოცებუ იყო დიდად განათლებული, მაგრამ ნაკლებად შედიოდა სხვასთან ურთიერთობაში. იგი თვალყურს ადევნებდა რუსულ სამსახურში მყოფ გერმანელთა დიპლომატიურ თავშეკავებულობას. მე მქონდა სარეკომენდაციო წერილი სამოქალაქო გუბერნატორ ფონ ჰურკასადმი. ეს იყო ძალ-



ზე თავაზიანი ადამიანი, რომელმაც ყოველგვარი დახმარება და ცნობები მომანოდა, რაც ხელენიფებოდა; მაგრამ ის დიდხანს არ დარჩენილა იქ. აფთიაქარი, კოლეგიის ასესორი შმიდტი, ითვლებოდა დიდად განათლებულ პიროვნებად, მაგრამ მე ის მხოლოდ ცოტა ხნით ვნახე. ყველაზე დიდი ნაცნობობა ჩემთვის იყო ჩემ გამყოლსა და თარჯიმანთან, ხარაზ პეტერ ნოისთან. ეს იყო ნამდვილი ორიგინალი! ჯერ კიდევ ყმანვილი პეტერ ნოი თავის ნათესავეებთან და ვიურტემბერგელ თანამემამულეებთან ერთად გამოემართა; თავდაპირველად როგორც კოლონისტი ოდესაში დასახლდა, მოგვიანებით კი - ტფილისთან ცოტა ხნის წინ დაარსებულ კოლონისტთა სოფელში. მაგრამ პეტერი დაუდგრომელი სულის კაცი იყო: მან აზიის დიდი ნაწილი მოიარა, ჩავიდა მცირე აზიაში, მოგვიანებით სპარსეთში, სადაც იყო ტახტის პრინციის აბას მირზას თარჯიმანი, მასთან ერთად დადიოდა რვა წლის განმავლობაში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დაუბრუნდა თანამემამულეებს. პეტერი ჩემთვის იყო დაუფასებელი განძი; ის იყო ენების ცოდნის ნამდვილი გენიოსი: მან იცოდა თორმეტამდე ევროპული და აზიური ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული, ჩერქეზული, თურქული, სომხური, ქურთული, სპარსული, ქართული და ა. შ.). ჰქონდა არაჩვეულებრივი მეხსიერება და ექვს კვირაში თამაშით სწავლობდა ახალ უცხო ენას სალაპარაკოდ. ამასთან მას ჰქონდა დიდი პოეტური საზრიანობა; ის ფლობდა ყველა იმ ქვეყნის ხალხთა ზღაპრების, ლეგენდების, ლექსების ამოწურავ საგანძურს, სადაც კი უმოგზაურია. როცა ჩვენ დღისით თუ ღამით ჩვენი ტარანტასით ვმგზავრობდით, ის დაუღალავად მიამბოდა, სანამ არ ჩამეძინებოდა.<sup>1</sup> თავდაპირველად ის ერთგვარად თავშეკავებული იყო: თვლიდა, რომ განსწავლული მოგზაურისთვის უბრალო ამბები საკმაოდ უსიამო უნდა ყოფილიყო; მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვიქეციით ერთგულ და მოსიყვარულე მეგობრებად (ყველაფერი საერთო გვქონდა - საქმელი, სასმელი, ძილი და ა. შ.) და მისი ცოდნის კაშხალები გაიხსნა! მოგზაურობისას, როცა სადმე

<sup>1</sup> აქა-იქ ჩართული და გაბნეული თქმულებები და ზღაპრები უმეტესად მისი ნაამბობია; სამწუხაროდ, მისი მონაყოლის უმრავლესობა გადაშენდა.



დავინახავდი ნანგრევს, ცალკეულ მთას, გამოქვაბულს და ნიშნავდა „პეტერ, გამოდი! მიამბე ისტორია, თქმულება, ზღაპარი!“ და ეს რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ამავე დროს ძალიან ხუმარაც იყო...

მას შემდეგ რაც ჩემს ბინაში მოვეწყვე, რამდენიმე საათი ჩემთვის ასე საინტერესო აღმოსავლურ ქალაქში ვიხეტიალე და ზოგი საჭირო ვიზიტიც მოვასწარი. ამის შემდეგ, ნაშუადღევს ბ-ნ ზალცმანთან ერთად გავემართე უშუალოდ ქალაქთან მდებარე გერმანული კოლონიისაკენ, სადაც უპირველეს ყოვლისა, სასტუმროში შევხვდი ცნობილ გერმანელ ბუნების მკვლევარს დრ. მორიც ვაგნერს (მიუნხენიდან); იგი მეტად დაკავებული იყო თავის მიერ შეგროვებული საბუნებისმეტყველო-ისტორიული განძეულის ჩალაგებით, რომელთა გაგზავნასაც აპირებდა ზღვით.

ბ-ნმა დრ. ვაგნერმა დაასრულა თავისი მოგზაურობა და ბრუნდებოდა ევროპაში, რათა თავისი კვლევის მდიდარი მონაპოვარი წესრიგში მოეყვანა და გაეზიარებინა საზოგადოებისათვის.

ტფილისი – მთელი ტრანსკავკასიის მთავარი ქალაქი, დიდი ხნის წინ, ძველი მცხეთის დანგრევის შემდეგ გახდა გეორგიის (გრუზიის) დედაქალაქი. სახელი ამ პუნქტს მიღებული აქვს თავისი ცხელი წყაროებიდან – ოდითგანვე ერქვა მას თილისი (Thilis). ფუძე thl და tpl ქართულად ნიშნავს თბილს. სლავურ ენებს იგივე ფუძე teplo – თბილი აქვთ, აქედან ტეპლიც (Teplitz და Tšplitz). ლათინური tepidus ამასვე განეკუთვნება. მოსახლეობის შემადგენლობას დიუბუა იძლევა 1834 წლის ოფიციალური წყაროებიდან:

მოსახლეობა (სამხედროთა გამორიცხვით) ორივე სქესის	ქართველები	სომხები	მაჰმადიანები თათრებთან ერთად	
მოქალაქე (ე. ი. ბიურგერი)	110	2500		2610
სახელმწიფო გლეხები (თავისუფალი)	1751	10237	612	12600
საკელესიო გლეხები (ყმები)	800	2150		2950



საბატონო (კერძო) გლეხები (ყმები)	1180	2210	110	4500
თავისუფალი გლეხები (სოფლის მცხოვრებნი)	150	250		400
იმერელი მუშები, რომლებიც დროებით (სეზონურად) იმყოფებიან	—	—		300
ებრაელები	—	—		60
თავადები და აზნაურები	—	—		1090
სასულიერონი	286	473	1	780
<b>სულ</b>	<b>4277</b>	<b>17820</b>	<b>723</b>	<b>25290</b>

ტფილისში იყო 4930 ოჯახი და 3662 სახლი.

დიდებულებიდან 16 ძველი სამეფო გვარის წევრი იყო, 204 თავადური. ამჟამად ტფილისის მთელი მოსახლეობა 50000 სულს შეადგენს. 1795 წლის 11 სექტემბერს ტფილისი მთლიანად გაანადგურა სპარსეთის შაჰმა ევზუხმა ალა-მუჰამედ ხანმა. რუსული მფლობელობის პირობებში ქალაქი წარმოუდგენლად გაიზარდა (განვითარდა) და კიდევ უფრო მოიმატებდა, რომ არ შეზღუდულიყო თავისუფალი ვაჭრობა და არ შემოეღოთ რუსული ბაჟი ევროპიდან შიდა აზიაში ვაჭრობაზე, რის გამოც საქონელი ტრაპიზონზე გავლით მიემართება თავრიზისკენ მაშინ, როცა ბუნებრივი გზა ტფილისზე გადის.

სახელი	დაბადების თარიღი	გარდაცვალების თარიღი	სახელი	დაბადების თარიღი	გარდაცვალების თარიღი
...	...	...	...	...	...
...	...	...	...	...	...
...	...	...	...	...	...



## მესამე თავი

გერმანული კოლონიები და კოლონისტები. - მათი გადმოსახლების მიზეზები. - ახალი რელიგიური სეპარატიზმი. - ერთ ნაწილს სურს იერუსალიმში წასვლა. - ახალი წინასწარმეტყველი (ქალი). - მთავრობის (გუბერნატორის) მოქმედება. - ძალით შეაფერხეს ემიგრაციის ცდა. - ტფილისთან მყოფი გერმანული კოლონიების მნიშვნელობა. - განსაკუთრებული საღეწი. - ყანების სარწყავი სისტემა. - სოფლები აქ ქმნიან კორპორაციებს. - ძველი გაცილებით ვრცელი სარწყავი სისტემა, რომელთა შენება ალბათ ძველ მსოფლიო მონარქიას მიეკუთვნება. ტფილისთან მყოფი გერმანული კოლონიების სარწყავი. - სპარსეთის უმაღლესმა მოლამ (მუშტაიდ) გაიყვანა ტფილისში წყალსადენი. - წყალსადენები სპარსეთში. - სპარსელების კეთილგანწყობა გერმანელების მიმართ. - გერმანული კოლონისტების გავლენა იქაურ ხალხებზე და მხარეებზე. - მინათმოქმედება, თივის შენახვა; არავითარი ნაკელით განოციერება; საქონლის სიუხვე ქართლში (გრუზიაში); გუთანი ოცი ხარით. - ხორცეული საკვები ამ ქვეყანაში; საერთოდ საკვების შესახებ. - დღიური და მოჯამაგირის შემოსავალი. - საზოგადო და საოჯახო წყობა და მათი მნიშვნელობა ხალხებისათვის. - აღმოსავლეთის მომავალი. - კავკასიის მომავლის გამოცანის გადანყვეტა! - მასალები საზოგადო წყობისა და ეთნოგრაფიისათვის ტფილისის არქივში. - ეროვნული ჩვევების დევნა რუსი მოხელეების მიერ; საჩივრები; იმპერატორმა დაავალა ბარონ შანს ქვეყნის ადმინისტრაციის რეორგანიზაცია. - ბარონ შანის მიერ სიახლეთა შემოღება. - ამან პირველ რიგში დაადგინა არსებული ნაციონალური მდგომარეობა; აქედან წარმომდგარი მასალები ტფილისის არქივში სამწუხაროდ დღემდე გამოუყენებელია. ჩემი შეგროვებული ადგილობრივი შენიშვნები. - მიწის დამუშავება დასავლეთ ზოლებში ცალკეული კომლების მიერ; ქართლში სოფლების მიერ. - თემის (საზოგადოების) წყობა; ნაცვალი; მხენელთა დაყოფა ცალკე კომლებად. - საბატონო გადასახადები; მეათედი; სახელმწიფო გადასახადები. - მინდვრების დაყოფა. - ძველი მაღალი კულტურის კვალი. - ნადირობა და ტყეები ყველასთვის თავისუფალია. - სახელმწიფო გლეხების მზარდი კეთილდღეობა.



გერმანული კოლონიები ამიერკავკასიაში, რამდენადაც გავრცელებულია, წარმოადგენენ შვაბების, მეტწილად ვიურტემბერგელების ახალშენებს, რომლებიც 1818 წლიდან წამოვიდნენ აქეთ, რადგან სამშობლოში თავს თვლიდნენ ღრმად შეურაცხყოფილად რელიგიური შეხედულებებისა და უსამართლობის გამო. მაშინ, სხვა სიახლეებთან ერთად, შემოიღეს ახალი საგალობლების წიგნი, რომელიც გლეხობამ არადოგმატურად, წყალწყალად, უხამსად ჩათვალა. ხალხმა არ მოისურვა შერყვნილი ყოფილიყო ძველი, ძლიერი, ერთგული რწმენა საეკლესიო საგალობლებისადმი, რაც მრავალი თაობისთვის დამამშვიდებლად მოქმედებდა. ამიტომ გადანყვიტეს გადასახლება. რუსეთის მთავრობამ მათ შესთავაზა (გამოუყო) მიწები ოდესის მხარეში. მაგრამ ამან არ მოუტანა სარგებელი და, მათივე თხოვნით, უმრავლესობა ამიერკავკასიისკენ გამოემართა.

აქაც პირველ ხანებში მათ მრავალი გაჭირვება - ავადმყოფობები, საქონლის განყვეტა, ცუდი მოსავალი (ადგილობრივი ცხოვრების წესების უცოდინრობის გამო) და სხვა მრავალი - გამოიარეს, რამაც მათი კეთილდღეობა დიდად აზარალა. მაგრამ ახლა მათ ეს ყოველივე დაძლიეს. ბევრი ახალშენი მდიდარია, უმრავლესობა კი აყვავებულიც.

ცხადია, რუსული ხელისუფლება მათ რელიგიურ ურთიერთობებში სრულებით არ ერევა. კოლონიებს მთლიანობაში მართავს პროტესტანტული კონსისტორია და მათ სურვილებს და წესებს ხელს არავინ უშლის. მათ შეინარჩუნეს თავიანთი ძველი საყვარელი საგალობლების წიგნი; თვითონ ირჩევენ თავიანთ მოძღვრებს (მღვდლებს), მას შემდეგ, რაც მოუნყობენ მკაცრ გამოცდას რელიგიურ წარმოდგენათა ცოდნის სიღრმეში. მაგრამ, როცა სეპარატიზმის სული ერთხელ ფეხს გაიდგამს, ის ტოტებსაც ამოყრის! ტრადიციული შეგრძნება რელიგიური ჩაგვრისა (წნეხისა), რაც მათ სამშობლოდან გამოჰყვათ, ისე ჩაიბეჭდა მათ წარმოდგენებში, თითქოს ჭეშმარიტი რელიგია ყველგან დაამარცხებს კაცობრიობის მტერს (თუმც უკვე დაამარცხა). ამდენად, ჩვენ ვიმყოფებით ეპოქაში, როცა დარჩენილია მხოლოდ პატარა გუნდი ჭეშმარიტი მორწმუნეებისა და როცა, ძველი წინასწარმეტყველების მიხედვით, მოახლოებულია უფლის მოვლინება და ათასწლოვანი სასუფეველი. ამიტომ ყველა ჭეშმა-

რიტი მორწმუნე მოვალეა შეემზადოს ამისთვის – თვით გარეგნულ ცხოვრებაში გამოავლინოს უპირველესი ქრისტიანობის სინმინდე და უბინობა (უბრალოება). ე. ი. დათმოს ყოველი პირადი საკუთრება, მონაგები საქმე ღარიბული პირობების სასარგებლოდ, მთელი დარჩენილი დრო მიუძღვნას ლოცვებს და მარხულობას, განერიდოს ყოველგვარ ფუფუნებას! მიხელ ჰანის წიგნი ძალზე უწყობდა ხელს ამ აზრების გავრცელებას. ჩამოყალიბდა ორი დაჯგუფება; უფრო მკაცრები, რომლებიც ქვეყნის დასასრულს მიმდინარე შემოდგომაზე წინასწარმეტყველებდა, მოუნოდებდნენ სრული თავშეკავებისკენ ოჯახური ურთიერთობისგან და ახალი ქორწინებისაგან. ნაკლებ მკაცრებს აღსასრული ასე მოახლოებული არ ეჩვენებოდათ და სურდათ ქორწინების შენარჩუნება. მაგრამ ყველა თანახმა იყო დაეთმო აქაური ქონება და იერუსალიმისკენ წასულიყვნენ, სადაც დაელოდებოდნენ მოსახდენს! – ყველას მეთაურად, განსაკუთრებით მკაცრებისა, გამოდიოდა 50 წლის ქალი, რომელიც, ყველას თქმით, რაც მე გავიგე, უნდა ყოფილიყო უცნაური (ახირებული) პიროვნება. მრავალი წლის მანძილზე საკუთარი ნებით ცხოვრობდა დიდ სიღარიბეში. მისი პირიდან არავის გაუგია სხვა სიტყვა, გარდა ბიბლიური გამონათქვამებისა, რომელთაც ის გონებამახვილურად ურთავდა სიტყვის წარმოთქმისას და ყოველ ვითარებაში. მას ბიბლია თავიდან ბოლომდე ზეპირად უნდა სცოდნოდა. ის მაგიურად მოქმედებდა თავის გარშემო მყოფებზე. ამის შესახებ შემდეგი დამამტკიცებელი საბუთი მივიღე უშუალოდ ბ-ნ ფონ კოცებუსგან, რომელიც იქ იყო ხელისუფლების წარმომადგენელი. მანაც აღიარა, რომ ამ ქალბატონმა, რომელმაც ფანატიკოსის აზროვნება წარმოაჩინა, მასზე მოახდინა თავისებური, პატივის აღმძვრელი შთაბეჭდილება (აქ მინდა შევნიშნო, რომ მახვილი გონების პატრონი ბ-ნი ფონ კოცებუსაერთოდ არავითარი რელიგიის წესს არ მისდევს; უფრო მეტიც, ჩანს, რომ არის გამოკვეთილი ათეისტი ან სულაც პანთეისტი).

ხალხმა დაიწყო იმით, რომ სახლებს და კარ-მიდამოს ჩაღის ფასად სთავაზობდნენ სხვა კოლონისტებს, ხოლო ყოველივე ზედმეტს გააჩუქებდნენ; ერთმანეთში კი საერთო ქონება დაიწესეს. მეთაური (ქალი) უხსნიდა, რომ გარკვეულ დღეს თავისიანებთან ერთად იერუსალიმის მიმართულებით დაიძრებოდნენ და სულ იქითკენ ივლიდნენ.

აქ კი ჩაერია მთავრობა. თავისი წარმომადგენლის მეშვეობით აუხ-  
 სნა ხალხს, რომ მათ გადასახლებას ხელს არ შეუშლიდნენ, პირიქით,  
 გაუადვილებდნენ და დაიცავდნენ, თუკი მოისურვებდნენ. მაგრამ,  
 რადგან მათ გზას თურქეთზე უნდა გაეწვლო, საჭირო იყო მოთხოვნის  
 (შეკითხვის) გაგზავნა თურქი ხელმძღვანელობისათვის; ასევე არ იყო  
 დასაშვები, რომ ისინი ქვეყანას ღარიბად და შიშვლად ტოვებდნენ.  
 რადგან მათ ამ შორეულ გზაზე სასიცოცხლო სიძნელეები შეხვდებო-  
 დათ, ამიტომ შეიძლებოდა ქონების ნაჩუქრობა და ნასყიდობა არ დაე-  
 მტკიცებინათ. ხოლო ყველაზე გაუსაძლის შემთხვევაში, თუკი უკან  
 დაბრუნება იქნებოდა საჭირო, მათი კარ-მიდამო მიღებული ფულის  
 შეტანით ისევ მიეცემოდათ. მათ უნდა აერჩიათ დეპუტაცია თურქეთ-  
 ში გასაგზავნად, რათა დიდი სულთნისთვის თავიანთი წინადადებები  
 მოეხსენებინათ. ამათ თავისუფლად გაუშვებდნენ და მათი სტუმრობა  
 შეძლებისდაგვარად დაცულიც იქნებოდა.

ხალხის ერთი ნაწილი დათანხმდა და სამი არჩეული დეპუტატი  
 მართლაც გაიგზავნა კონსტანტინოპოლში, მაგრამ სანამ მე იქ ვი-  
 მყოფებოდი, ისინი უკან აღარ დაბრუნებულან. სხვებმა, თითქმის  
 მთელმა სოფლის საზოგადოებამ, დაახლოებით 50-მა ოჯახმა, იმ სა-  
 ოცარი ქალის მეთაურობით, განაცხადა, რომ ისინი დაუჯერებდნენ  
 არა ადამიანურ ჭკუას და წინდახედულობას, არამედ უფლის წყალო-  
 ბას, შინაგან ხმას. რადგან დარწმუნება ამათ გამოდგა, ბატონმა ფონ  
 კოცებუმ მიიღო ბრძანება, თუ საჭირო გახდებოდა, ძალით იმდენ  
 ხანს გაეჩერებინა, სანამ კონსტანტინოპოლიდან პასუხი მოვიდოდა.

ბ-ნმა ფონ კოცებუმ მიიღო ცნობა, რომ კოლონისტები გარკვეულ  
 დღეს, დილის 4 საათზე აპირებდნენ გასვლას. მან სოფლიდან გამა-  
 ვალი ყველა გზა შუალამით კაზაკებს დააკავებინა, თვითონ კი იმ  
 მხარეს წავიდა, საიდანაც მოელოდნენ მსვლელობის დაწყებას. ბ-ნმა  
 ფონ კოცებუმ დააყენა გუშაგები და დანარჩენ რაზმელებთან ერთად  
 ცოტა ხნით წამოწვა დასასვენებლად. 3 საათზე გუშაგმა ის გააღ-  
 ვიდა და მოახსენა, რომ სოფელში ანათებდა ნათელი ალი. წამომხ-  
 ტარმა ბ-ნმა ფონ კოცებუმ ვერაფერი დაინახა. გუშაგები ფანტაზიამ  
 შეაცდინა, ან ეს იყო მეტეორის ნათება. ნახევარ საათში სოფელს  
 მოუსვენრობა დაეტყო; 4 სთ-ზე, დილის რიჟრაჟზე, დაიწყეს საეკლე-  
 სიო სიმღერის გალობა, რომელიც სულ უფრო ახლოვდებოდა. მალე  
 პილიგრიმებიც გამოჩნდნენ. ისინი ორ-ორად დამწკრივებული მო-





დიოდნენ, ქალბატონით სათავეში. ბ-ნი ფონ კოცებუ შეეგება და მიმართა, მაგრამ მათ ყურადღება არ მიაქციეს და განაგრძეს გალობით სლვა. ბ-ნმა კოცებუმ, რომელსაც არ უსმინეს და ჩამოიტოვეს, სწრაფი გადანყვეტილებით იმ ქალს ორივე მკლავში ხელები ჩაავლო და ერთი ნუთი მაგრად ეკავა. უცბად ყველა გაჩერდა, გალობა შეწყდა. ქალმა დაიჩოქა, ყველამ მას მიბაძა. დასადგურდა სიჩუმე. ყველა ლოცულობდა ხელებმობრილი. რამდენიმე ნუთში ჯერ ქალი ნამოდგა და ბ-ნი ფონ კოცებუს მიმართა ბიბლიიდან, რომ ბატონი მათ აიძულებდა გარე ძალას დამორჩილებოდნენ და ხელისუფლებისთვის დაეჯერებინათ; ამჯერად ის მშვიდად წავიდოდა და დარჩებოდა სახლში და მომავალს მორჩილად დაელოდებოდა!

ეს მოხდა ცოტა ხნით ადრე, სანამ მე ქვეყანას დავტოვებდი. ამ ამბის შემდგომი განვითარება არ ვიცი. ყველა კოლონისტმა, ვისაც კი ვესაუბრე, დამიდასტურა ჩემი მონათხრობის სინამდვილე.

გერმანული კოლონია ტფილისთან, როგორც ითქვა, ძალიან აყვავებულია. ის ტფილისის ევროპელი მოსახლეებისთვის, რუსი სამხედროებისა და მოხელეებისთვის მნიშვნელოვანია, თითქმის აუცილებელი. მთელი საბაღე კულტურა მათ ხელშია; მათ მოჰყავთ და აწვდიან ყოველგვარ ბოსტნეულს, ხილის უმეტეს ნაწილს, ისევე როგორც თითქმის ყველა ფრინველს. ქართველები არიან ზარმაცი და სრულებით არამწარმოებლები. მაგალითად, მათ უყვართ კარტოფილი, რომელსაც ყიდულობენ, ითხოვენ ან იპარავენ კოლონისტებისგან; მაგრამ დღემდე არ მოსდით თავში, რომ თვითონ მოაშენონ და მოიწიონ.

სხვა მხრივ, კოლონისტებმა ზოგი სიკეთე და აქაური ურთიერთობები სათანადოდ შეითვისეს. ასე მაგალითად, მე გამიკვირდა, როცა ზემოთ აღწერილი ქართული ლენვის მეთოდი კოლონისტებთან ვნახე. ბ-ნმა ზალცმანმა ამიხსნა მისი უპირატესობა. ესაა ორი ფიცრისგან შეკრული მანქანა, რომელსაც ქვემოდან პატარა ქვები აქვს რამდენიმე რიგად ჩარჭობილი. მასზე დგება კაცი და ცხენი მარხილივით დაასრიალებს ხორბალზე; მარცვალი ძალზე სწრაფად და სუფთად ილენება. ბზე კი სრულიად ნამცეცდება. თუ ამ ბზეს შეურევენ რამდენიმე ბლუჯა ბალახს, ცხენებს აიძულებენ ქერი და ბზე დალექონ; ეს ორივე წარმოადგენს საუცხოო და ძალზე იაფ საკვებს. ჩვენთან ბზეს ცხენები მეტწილად დაუნაწევრებლად ყლაპავენ და არ თხოუ-

ლობს დამატებით საკვებ ნივთიერებებს. ლენვისას ბზეს შემოთ  
ყრიან ჰაერში. ბზე განზე იფანტება, ქერი ან ხორბალი ძირს ეცემა.  
ლენვის ეს მეთოდი აზიის დიდ ნაწილშია გავრცელებული.

დიდი სიცხე, ზომიერი ამინდი, როცა წელიწადის მხოლოდ  
გარკვეულ დროს წვიმს. მორწყვას ჩვენსავით მდელობები კი არ  
საჭიროებს, არამედ ყანები. სომხეთში უწყლოდ არაფერი იზრდება,  
საქართველოში (ქართლში) კი არაა ამის მოთხოვნილება.<sup>1</sup>

ამ მხარეების ჯერაც გაშენებულ მიწებზე ყველგან გვხვდება  
არხები და მასთან დაკავშირებული სარწყავი სისტემები; ყოვე-  
ლი მდინარე გამოყენებულია. არხებს უვლიან სოფლები. ხანდახან  
რამდენიმე სოფელი ერთიანდება, რათა მოუარონ მცირე სარწყავ  
სისტემას; მცხოვრებნი ქმნიან კორპორაციის მსგავს გაერთიანებას.  
თითოეულმა თავისი მიწისთვის გარკვეული რაოდენობის შრომა  
უნდა გასწიოს და მიიღოს წილი სარგებლიდან, როგორც მაგ., რამ-  
დენი საათი შეუძლია მიუშვას წყალი თავის ყანებზე. კორპორაცია  
ემორჩილება არჩეულ მოხელეს (მერუე), რომელიც ანესრიგებს და  
ამონმებს სამუშაოს და გამოყენებას, არიგებს მოდავეებს და ა. შ.  
თუ ვინმე მერუეს არ დაუჯერებს ან აწყენინებს (რამეს დაუშავებს),  
მას თემი ჩამოართმევს ხარს, დაკლავს და მიირთმევენ. მერუე იღებს  
მცირე გადასახადს ბალებიდან და ა. შ. მაგრამ, როცა მოგზაურობ ამ  
ქვეყანაში, ამჩნევ, რომ ადრე ის გაცილებით გაშენებული ყოფილა;  
შეხვდები სტეპების და ხშირი ტყეების მასივებს, სადაც შეინიშნე-  
ბა ძველი სახნავების კვალი; ასევე უამრავი საფლავი, მინაყრილი  
(დამბები); თვით ქვის შენობათა ნანგრევები ნათლად ადასტურებს  
არხების და რაბების არსებობას.<sup>2</sup> შურაშის (Schurasche ?) სტეპი

<sup>1</sup> კახეთის ქვემოთ სპარსელებმა ბოლო თავდასხმისას 1797 წელს ყველა  
არხი, დამბა და სხვა დაანგრიეს. ძალები არ იყო, რომ ეს ყველაფერი  
აღედგინათ. მოსახლეობამ მხარის ეს ზოლი მიატოვა და დღესაც იქ  
მხოლოდ სტეპია!

<sup>2</sup> ამჯერად რუსეთს დამორჩილებული ზოლის მოსახლეობა 1½ მლნ-  
ია, დამოუკიდებლები კი 2½ მლნ. როცა ბათო ყანმა (†1224) მთელი  
ქვეყანა დაიპყრო, უბრძანა დამხმარე ძალად ყოველი მეათე მამაკაცი  
მეომრად გამოსულიყო. ამან შეადგინა 800.000 სული. აქედან გამომდი-  
ნარე, მოსახლეობის რიცხვი მაშინ 16 მლნ ყოფილა, ანუ დღევანდელზე



მთლიანად დასერილია ძველი არხებით, ნაგებობებით და ა. შ. ეს რომ რუკაზე გადავიტანოთ, ვნახავთ, რომ ძველად იქ არსებობდა (მოქმედებდა) დიდი სარწყავი სისტემა; ამჟამად ყველაფერი გაუდაბურებულია, თუმცა ნიადაგი საუცხოოა. იქ ველურად და უხვად იზრდება ენდრო (Krapp). იქ, სადაც იორი ალაზანს ერთვის, აქა-იქ დგას მშვენიერი კედრები; ასევე გამოუყენებელია ნავთობის წყაროები!

სამკუთხედი, რომელსაც ქმნის მტკვარი და არაქსი, როგორც მითხრეს (მე, სამნუხაროდ, იქ არ ვყოფილვარ), უნინ დაფარული იყო არხების ვრცელი სისტემით. ზემოთ, ყარაბაღის მთიანეთის აღმოსავლეთით, მტკვარი დაკავშირებული ყოფილა არაქსთან 20-30 მილი სიგრძის მძლავრი არხით, რაც ჯერაც ნათლად ჩანს. ამ ნაკადით სავსე არხი ქვეყანას, ამფითეატრის მსგავსად, სამკუთხედის წვერამდე – დაახლ. 100 კვადრატული მილის ფართობს – აღწევდა, რომელიც შემდეგ პატარა არხების საშუალებით აწვდიდა წყალს მიდამოს. ასეთი სარწყავი სისტემის აგება, დაგეგმვა და შესრულება იყო უზარმაზარი სამუშაო.

ექვსგარეშეა, რომ აზიური თურქეთი და სპარსეთი ძველად შეუდარებლად დასახლებული და გაშენებული იყვნენ, ვიდრე ამჟამად. მსოფლიო მონარქიის ქვეყნები – ასურეთი და ბაბილონი, რომლებიც უძველეს დროს მრავალმილიონიანი სამოსახლოები იყვნენ, დღეს თითქმის მხოლოდ უდაბნოს და სტეპებს წარმოადგენს. ეს აყვავებული მდგომარეობა განპირობებული იყო ფართო სარწყავი სისტემით...

სარწყავი სისტემა კავკასიის ქვეყნებში უფრო ძველია, ვიდრე მისი ამჟამინდელი მოსახლეობა. ეს სისტემა ყოველთვის ერთი და იმავე ხალხის საზღვრებში არ იყო მოქცეული. და სავსებით დაუჯერებელია, რომ სხვადასხვა ხალხებს ნებაყოფლობით საერთო სარწყავი სისტემა უზრუნველყოთ. ამისთვის საჭირო იყო განათლებული ჰუმანური სახელმწიფო ფორმების არსებობა, რაც აქ არ ჰქონიათ... დესპოტიების დამხობის შემდეგ, მათი დაშლის შემდეგ

---

ოთხჯერ მეტი. შესაბამისად, ქვეყანას არ შეეძლებოდა ამ რაოდენობის ხალხის გამოკვება, რომ არ ჰქონოდა ურიცხვი სარწყავი სისტემა!

პატარ-პატარა სამფლობელოებად ხალხთა ჯგუფების მიხედვით, ამათ შორის წარმოებული ომების შედეგად დაინგრა ეს უზარმაზარი ნაშრომი და ქვეყანა გაუდაბურდა, ხალხები ერთმანეთს შეერწყა. მათ ველარ შესძლეს თავანთი საკუთარი ძალებით ფეხზე წამოდგომა, რათა სარწყავი სისტემის აღდგენით კვლავ აეყვავებინათ კულტურა.

ამ მცირე გადახვევის შემდეგ ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ ტფილისთან მდებარე გერმანულ კოლონიას. ისინიც მორწყვას უმადლიან თავიანთი მიწების კარგ მდგომარეობას. მაგრამ ის მთლიანად მათ არ ეკუთვნით და იხდიან საკმაო თანხას. ეს უცხო სარწყავი ერთმა სპარსელმა გაიყვანა თავისი თანხებით და აქედან იღებს დიდ პროცენტებს - ჩვენ ამ საოცარი პიროვნების შესახებ მცირე ცნობებს მოგაწვდით.

მაჰმადიანური სამღვდელოების სათავეში სპარსეთში დგას უმაღლესი მოლა ანუ მუშტაჰიდი. ეს ყოველთვის არის შთამომავალი მუშაჰმედის სიძის, ალის წმინდა გვარისა. ბოლო სპარსეთის ომის წინ ეს მემკვიდრეობითი მაღალი სახელო ეკავა ალა მირ ფათაჰ-ს. იგი იჯდა თავრიზში. როცა პასკევიჩი ამ ბოლო სპარსული ომისას თავრიზთან გამოჩნდა, მუშტაჰიდი მოელაპარაკა დათმობაზე (გადაცემაზე) და მას შემდეგ, რაც ამით შაჰი გადაიმტერა, წავიდა ტფილისში. აქ ის ცხოვრობდა სოფლად. რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა სპარსეთში, სადაც ხელახლა მუშტაჰიდად გამოაცხადა თავი. ისპაჰანში ის მონამლეს, მაგრამ გადარჩა. მისი ორი უფროსი ვაჟი ამ მონამვლამ იმსხვერპლა. მან თავისი მონინაალმდევე გააძევა და ახლაც თავრიზში იმყოფება. შაჰი ვერ ბედავს წინააღმდეგ გამოსვლას. მისი ყველაზე უფროსი ვაჟი შაჟი-ალა ამჟამად ცხოვრობს ტფილისთან, მამის კუთვნილ მიწაზე. მას აგრეთვე ორი უმცროსი ვაჟიც თან ახლავს ისევე, როგორც ხუთი ცოლი. თვით ის ხშირად ჩამოდის ტფილისში თავის ოჯახთან, რადგან ძალზე დამეგობრებულია რუსულ ხელისუფლებასთან, რომელიც მას (როგორც გავიგე) აძლევს 20000 მანეთს პენსიას (ჯამაგირს).

ამ მუშტაჰიდმა ავჭალადან (ტფილისიდან 16 ვერსზეა Abdschalah) 1828 წლის შემდეგ გამოიყვანა წყალსადენი და თან ჩამოყვანილი სპარსელი, სომეხი და ნესტორიანელი მუშების ხელით მოაწყო სარწყავი სისტემა, რამაც მას ბევრი ფული მოუტანა, რადგან მეზობლებს





მისგან წყლის ყიდვა სჭირდებათ. ასე მაგალითად, ტფილისთან მყოფ გერმანულ კოლონიას წყალსადენით სარგებლობა ყოველწლიურად 500 ვერცხლის მანეთი უჯდება. ამ წყლით კი უმთავრესად ბაღებს რწყავენ...<sup>1</sup>

ზოგი გერმანელი კოლონისტი არც თუ იშვიათად დადის სპარსეთში სავაჭროდ და ამა თუ იმ გარიგებისთვის. იქ მათ საიმედოობისა და პატიოსნების გამო განსაკუთრებით დიდმოხელეები ხვდებიან კარგად. უკანასკნელი სპარსეთის ომისას ერთი სპარსული კორპუსი შეიჭრა გერმანულ კოლონია ჰელენენდორფში და პირველი შეტევისას დაარბიეს. მაგრამ, როგორც კი სპარსელმა ობერგენერალმა შეიტყო, რომ ეს გერმანულ სოფელში ხდებოდა, მან ხალხს ყველაფერი დაუბრუნა. შემდეგ მან მათ შესთავაზა შემდეგი: „დასულიყვნენ სპარსეთში, სადაც სურვილის მიხედვით მიიღებდნენ მიწას და ყოველგვარ უსაფრთხოებას. ხოლო, თუ იქ ყოფნა არ მოეწონებოდათ, თავისუფლად გაუშვებდნენ საითკენაც მოუნდებოდათ, ოღონდ არა რუსეთისკენ!“ მაინც ერთი ლამაზი კოლონისტი ქალიშვილი შაჰის ჰარამხანაში გააგზავნეს!

აქამდე გერმანულ კოლონიებს არ მოუხდენიათ გავლენა ირგვლივ მცხოვრებ ქართველთა და თათართა კულტურულ წინსვლაზე: ქართველები არიან გულგრილები, ხოლო თათრები, როგორც მაჰმადიანები, საკმაოდ შორს დგანან. სულ სხვა შედეგს მივიღებდით, კოლონიები სომხეთში რომ დაეფუძნებინათ, რადგან სომხები ბევრად ინტერესიანი, ამთვისებლები, ყოჩაღები არიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ წარმატება განსაკუთრებული და განუზომელი იქნებოდა, იქ რომ ევროპული კულტურა სწრაფად (მაღე) შესულიყო.

არც ქართველებმა, არც თათრებმა და არც სომხებმა არ იციან თივის შეგროვება პირუტყვის საკვებად. თუმცა ჰავა ისეთია, რომ პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში შეიძლება საძოვარზე იმყოფებოდეს.

<sup>1</sup> აქ ჩვენ გამოვტოვეთ პეტერ ნოის მიერ მოგზაურისთვის მიწოდებული ცნობა სპარსეთში მორწყვის სისტემისა და პრობლემის შესახებ. მხოლოდ ვიტყვი, რომ „დევეანდელი მუშტაჰიდის პაპას მიუღია დიდი მონაწილეობა არხების გაყვანაში და ჭების ამოთხრაში, რათა მოსახლეობისთვის მტკნარი სასმელი წყალი მიეცა“. გვ. 56 - გ. გ.



ფებოდეს. თუკი ყინვა და თოვლი ცოტა მეტ ხანს გასტანს, მაშინ  
 ჭრიან ტოტებს და ამითი და მისი კვირტებით კვებავენ პირუტყვს.  
 ქართველებს უკვირთ კოლონისტების მიერ თივის დამზადება და შე-  
 გროვება, მაგრამ დღემდე მათ მაგალითს არ მისდევენ.

ქართველები თავიანთ ყანებს არ აპატივებენ. მაისში ან ივნის-  
 ში მინდორს ხნავენ. შემოდგომაზე ხორბალს (ისე რომ წინასწარ  
 ხელმეორედ აღარ ხნავენ) ხშირად მუხლამდე ბალახში თესენ.<sup>1</sup> შემდეგ  
 დათესილს ფარცხავენ ფარცხით, რომელიც უფრო ჰგავს ცოცხს. ასე  
 მოჰყავთ ხორბალი ორი-სამი წლის განმავლობაში. შემდეგ ერთხელ  
 ქერს თესენ; მერე კი ყანა რჩება რამდენიმე წლით დაუმუშავებელი.  
 - ნაკელს იქ ახმობენ და საწვავად იყენებენ. ის ტორფზე უკეთესია.  
 მტკვრის დაბლობზე (ვაკეზე) ნაყოფიერება ძალიან დიდია; ხორბალი  
 და ქერის [თავთავი] იძლევა 25, ხან 35 მარცვალსაც!

ქართველები დიდად აფასებენ პირუტყვის ყოლას. ისინი მეტ-  
 წილად ხარებით ხნავენ. აქვთ ძალიან მძიმე გუთანი, რომელშიც  
 აბამენ 8-10 წყვილ ხარს. რადგან ყველა გლეხს არ ჰყავს ამდენი ხა-  
 რი, ამიტომ ქმნიან საზოგადოებებს (გაერთიანებებს) სახნავად. მათი  
 ხნულები ერთი ფუტი სიღრმის და 2 ¼ ფუტი სიგანისაა. კოლონის-  
 ტები მხოლოდ ცხენებით ხნავენ; მხოლოდ 6-8 ჰყავთ შებმულ მსუბ-  
 უქ გუთანში და ხნულიც ნახევარი ფუტის სიღრმისაა, მაგრამ მოჰ-  
 ყავთ უკეთესი მოსავალი როგორც ქართველებს.

ქართველებში პირუტყვის სიმდიდრეს უპირატესად ქმნიან  
 ცხვარი და ღორი. ქართველებთან და სომხებთან მხოლოდ შედარე-  
 ბით ღარიბები ჭამენ საქონლის ხორცს; ესეც უფარგისია - ხარისა  
 თითქმის არ იჭმევა; მხოლოდ ძროხის ხორცია ასატანი. სპარსელები  
 საერთოდ არ ჭამენ საქონლის ხორცს. ღორისა და ცხვრის ხორცს  
 არის ქართველთა ჩვეულებრივი საკვები. ისმება კითხვა, როგორ  
 მოხდა, რომ ქართველებმა არ დათმეს ქრისტიანობა მაჰმადიანობის  
 სასარგებლოდ მაშინ, როცა ბევრი მათი მეფე გამაჰმადიანდა, რათა

<sup>1</sup> გერმანელი კოლონისტები თესვამდე ხელმეორედ ხნავდნენ მიწას, ქა-  
 რთველთა მხრივ გაფრთხილების მიუხედავად. მაგრამ მოსავალი უფუ-  
 ჯდებოდათ და ნაზ დაუცველ ნათესს გამჭოლი ქარები ანადგურებდნენ

სპარსთა საპირისპიროდ ტახტი შეენარჩუნებინათ და ეკლესიის მდგომარეობაც ძალზე ნახდა (შესუსტდა)? ერთი მწერალი ამბობს, რომ მათ ვერ შეძლეს სარწმუნოების შეცვლა, რადგან არ შეეძლოთ უარი ეთქვათ ქვეყნის მთავარ საზრდოზე (საკვებზე) – ღვინოსა და ღორის ხორცზე. გერმანულ კოლონიას (მარიენფელდს) არ ჰყავს ცხვარი, რადგან ზაფხულობით ისინი საჭიროებენ მთაში აყვანას, ხოლო მწყემსების უყოლობის გამო იძულებული გახდებოდნენ ქართველები დაექირავებინათ, რომელთაც ნაკლებ ენდობოდნენ.

ქართველი გლეხები დილით და შუადღისით უმეტესად ჭამენ ცივ საკვებს, პურს, მწვანე ხაჭაპურს, ნიახურს, წინმატს, ხახვს; ხოლო, როცა მარხვა გადავა – რძეს, მანონს (მჟავე რძეს), ყველს. საღამოთი ცოტა თბილს იღებენ – ბატონის ხორცს ნიახურით, კარტოფილს, როცა მას კოლონიისტებისგან შეიძენენ, გემრიელად მიირთმევენ.

დღიური ქირისა და ყმის, მოჯამაგირე-მოსამსახურის (მუშის) ქირის შესახებ ტფილისთან მდებარე გერმანულ კოლონიებში, შემდეგის თქმა შემიძლია. ჩვეულებრივი დღიური მუშა (მედლეურე) იღებს 40-50 ვერცხლის კაპიკს. ხელოსანი, დურგალი, კალატოზი 1 მანეთიდან 1 მანეთსა და 20 კაპიკამდე ვერცხლით. კარგი მოსამსახურე, გარდა საჭმელ-სასმელისა, თვიურად იღებს 8-10 ვერცხლის მანეთს. მხევალს აძლევენ 4-8 ვერცხლის მანეთს. აქაური რუსი ბატონის მეეტლე იღებს საჭმელს და სასმელს (დღისით ორ-სამჯერ ხორცს, ღვინოს და ა. შ.), ქუდს, ხიფთანს, შარფს და ყოველწლიურად 120 მანეთს ვერცხლით. საერთოდ საკვები პროდუქტები ტფილისში ცოტათი ძვირია როგორც მოსკოვში.

მარიენფელდის კოლონიაში, ტფილისიდან მოკლე დღის სავალზე, ქირის ფასები ცოტა განსხვავებულია. აქ გერმანელი მსახური, გარდა საჭმელ-სასმელისა და წყვილი ფეხსაცმლისა, იღებს 35-40 ვერცხლის მანეთს წლიურად. როგორც მოსამსახურეს, იქ ქართველს თვლიან გამოუსადეგრად, განსაკუთრებით ცხენებთან და მასთან დაკავშირებულ სამუშაოსთვის. როგორც მედლეურე, ქართველი იქ ზამთარში იღებს 17-20 ვერცხლის კაპიკს, თიბვაში 40-50 ვერცხლის კაპიკს.

ტფილისიდან დასავლეთით ქართველები (ქართლელები) საჭიროებენ დამხმარეს სამუშაო პერიოდში; მაშინ მთებიდან მოდიან იმერ-

ლები და ერთი წლით მიექირავებიან, ხან ერთი თვითადაც ერთსა დღიურადაა, ჩვეულებრივი ფასია 25 ვერცხლის კაპიკი, მკის დროს კი 40 კაპიკი ვერცხლით.

...ჩემი ოცნლიანი მოგზაურობისა და კვლევის შედეგად სულ უფრო ნათელი ხდება, რომ უპირატესად წეს-ჩვეულებებისა და მათი სულიერი და მატერიალური ურთიერთობებისა და კავშირების, ოჯახური ცხოვრების, კორპორაციული ან ასოციაციური ურთიერთობების, განსაკუთრებით კი სათემო ურთიერთობების შეცნობა, რაც ხალხთა ფენების შიგნით შეფარულ ისტორიას და ხალხთა ანუ სახელმწიფოთა ერთად არსებობას გვაგებინებს – შემდეგ თვითონვე ხსნის მომავლის გარკვეულ ხედვას.

მე ეს მქონდა მიზნად კავკასიის ქვეყნებში ხანმოკლე მოგზაურობისას. ალბათ აქ, ისე როგორც არსად, ამ თვალსაზრისით შეიძლება ბევრი გამოცანის ახსნა, რომელიც ევროპელი ხალხის ისტორიაშია. რადგან ისინი (ევროპელები – გ. გ.) ყველანი აქედან გამოვიდნენ უბრძოლველად და ალბათ იძლევიან სამომავლო კვლევის საგანს, რომ ყველა ევროპული და წინააზიური ხალხები თავიანთ მშობელს და ნათესაობას აქ იპოვნიან და ჯერაც ჰყავთ.

რასაც მე ამ მიმართებით აქ მოვიტან არის მხოლოდ არასრული, ადგილობრივი მიმოხილვა. ის არის მხოლოდ ნაშეკრებელი მომავალი საფუძვლიანი კვლევის ჩასატარებლად და მხოლოდ ამისკენ მიუთითებს. ასეთ კვლევას სჭირდება მიუყერძობელი და კეთილი ხედვა (წვდომა) ხალხის ცხოვრებისა; აგრეთვე სიბეჯითე, რადგან, სახელდობრ, ტფილისის არქივებში მოიპოვება აქამდე ხელუხლებელი უაღრესად მდიდარი მასალა. თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს, მოკლედ მოგახსენებთ.

როგორც ყველგან უმრავლეს სამოხელეო სამყაროში, ასევე რუსულშიც (და აქ ალბათ უფრო მეტადაც), ძვეს მისწრაფება ყველა სოციალურ სფეროში ცენტრალიზაციისა და ერთგვაროვნობისკენ. ყოველგვარი საკუთარი, პარტიკულარული ცხოვრება (ყოფნა) საფუძვლიანად ეზიზღებათ... რუსული სამოხელეო წყობა (მეცნიერება) ჩვეულებრივ მომდინარეობს თანამედროვე მოხელეობის სასკოლო თეორიიდან და პრაქტიკიდან. აგრეთვე ვერ უარვყოფთ,





რომ მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმების ცენტრალიზაცია და გენერალიზაცია (განზოგადოება) სახელმწიფოს მაღალ ფენებში სლავური ხალხების ხასიათს, განსაკუთრებით ველიკორუსულს, სავსებით შეესაბამება მათი ბუნებიდან გამომდინარე. აქედან წარმოსდგება შინაგანი წინააღმდეგობა გერმანული და სლავური ხალხების ისტორიულ ხასიათში. რაც ველიკოროსიისთვის სავსებით მისაღებია (სისტემის თვალსაზრისით), მიუღებელია ან სულაც დამლუპველი ბალტიისპირა გერმანული პროვინციებისა და კავკასიის ქვეყნებისთვის.

მე უკვე ზემოთ ვახსენე, რომ ალბათ ქართლსა (Grusien) და სამეგრელოში ადრე გლეხების ყმობა (ბატონყმობა) არ არსებობდა, რომ ის პირველად რუსული ოკუპაციის და არა მხოლოდ იმპერატორების პავლეს, ალექსანდრეს და ნიკოლოზის მიერ ხელმოწერილი კანონებით დამკვიდრდა, არამედ უბრალოდ შემოტანილ იქნა ადმინისტრირების გზით. - რუსი მოხელეები გლეხს რუსეთში მხოლოდ ყმად მიიჩნევდნენ; ასე რომ, ქართლშიც (Grusien) თავად-აზნაურთა გლეხებიც-ყმებად უნდა ეცნოთ! სახელმწიფო ტახტის გლეხები რუსეთში ალექსანდრეს დროიდან პიროვნულად თავისუფლები არიან; შესაბამისად, ქართლშიც!<sup>1</sup>

ამ ქვეყნებში ყველგან წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით, ასევე (თუმცა ნაკლები) კანონებით (ქართლში ვახტანგის სამართლის წიგნით) გარკვეულნილად მონესრიგებული მდგომარეობა იყო ოჯახური და სათემო ცხოვრების მხრივ. რუსმა მოხელეებმა მთლიანად უარყვეს ეს ყოველივე; ისინი საკმაოდ ზარმაცები გამოდგნენ, რომ არსებული ვითარება შეესწავლათ. მათ ყველგან უხეშად ესმოდათ კანონები და ადმინისტრირება, რომლებიც თვითონ იცოდნენ და რომლებსაც შეჩვეული იყვნენ... კავკასიის ქვეყნებში, ხასიათის

<sup>1</sup> უახლეს დროს პეტერბურგიდან სცადეს ბატონყმობის შემდგომი გავრცელება თავიანთი კანონებისთვის დაექვემდებარებინათ. ერთი ბრძანებულებით ქართლში არის პრეზუმფცია ბატონყმობის მისამართით, ის უნდა დადასტურდეს თითოეულის მიმართ. ვინც 1809 წლის 7 აგვისტომდე ყმად იყო ჩანერილი, ასეთადვე რჩებოდა. შემდგომში, ვინც სასამართლოს განაჩენით, 1836 წლამდე 30 წლიანი ხანდაზმულობით მიჩნეულ იქნა ყმად, ველარ გაასაჩივრებენ.



ბუნებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ზედამხედველობა უნდა კონტროლი გაცილებით სუსტი და მიულწეველი იყო, ვიდრე სხვაგან! ამასთან მთელი მმართველობა უფრო სამხედრო ყაიდის (გასამხედროებული) იყო; ყველა საჩივარი, თვით წმინდა სამოქალაქოც, მხოლოდ გამგებელ გენერალთან მიდიოდა.

არ იყო გამორიცხული, რომ ეს მძაფრ ზიზლს წარმოშობდა თითქმის ყველა კავკასიურ ხალხებში რუსებისა და რუსული მმართველობის წინააღმდეგ. როდესაც 1837 წლის ოქტომბერში იმპერატორი ნიკოლოზი ამ მხარეში ჩავიდა, ჩინოვნიკებმა წინასწარ აუკრძალეს ხალხს მისთვის [პატიების] სათხოვარი გადაეცათ. ახალციხეში მთელი სოფლის მოსახლეობა გზაზე მდუმარედ იდგა ჩამუხლული, როცა იმპერატორმა გაიარა. ეს რამდენჯერმე გამეორდა. იმპერატორმა ჰკითხა ხალხს; მათ ჟუპასუხეს, რომ აკრძალული ჰქონდათ მასთან სათხოვარით მისვლა. მან უთხრა, რომ ეს არასწორია და შეეძლოთ თამამად გადაეცათ სათხოვარი. ხალხი ისე ამოძრავდა (იმდენი დაიძრა), რომ მხოლოდ ერევნამდე 1400 სათხოვარი და საჩივარი გადასცეს!

იმპერატორს აზრად მოუვიდა დიდი დაყოფა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობისა, როცა პირველი, მიუხედავად მისი გასამხედროებული მდგომარეობისა, არ დაექვემდებარებოდა კორპუსის გენერალს როგორც მთელი პროვინციის გენერალ-გუბერნატორს. ადრინდელი მმართველების სჯულდებები – კანონები, სახელდობრ, ქართველების (ვახტანგის სამართლის წიგნი), სომხების, თვით თათრების ჩვევათა წესების და ა. შ. უნდა შეეკრიბათ და რუსულად ეთარგმნათ. მოხელეებს ებრძანათ, რომ მართვისას იმითი ეხელმძღვანელათ.

სახელმწიფო მრჩეველმა ბარონმა პაულ ფონ ჰანმა 1837 წლის აპრილში მიიღო დავალება – დაედგინა ქვეყნის მდგომარეობა ეროვნულობის, სათემო ურთიერთობების კანონთა, ჩვეულებების თვალსაზრისით ყველა ამ მხარეში და მასზე დაყრდნობით შემუშავებინა და წარმოედგინა მომავალი მმართველობის ყოვლისმომცველი გეგმა (პროექტი). მას თან ახლდა ოთხი კომისარი საშინაო, იუსტიციის, ფინანსთა და სამხედრო სამინისტროებიდან... მათი ურთიერთობების ორგანიზაცია ისეთი უნდა იყოს, რომელიც კავკასის ხალხების

(რომელთა რიცხვი 60-70-ია) და მხარეებისთვის ყველაზე სასურველი და ასატანი იქნებოდა, რადგან თითოეულს ხომ თავისი საკუთარი ენა, ჩვევები და წესები აქვთ; ასევე აქვთ საკუთარი რელიგია და რომ ისინი ერთმანეთს არასდროს არ შეერევიან. მაგ., ხშირად ერთ სოფელში გვერდიგვერდ ცხოვრობენ სომხები, ქართველები და თათრები, მაგრამ მათ საკუთარი რელიგია, ჩვევები, ტრადიცია, ჩაცმა და ცხოვრების წესი აქვთ. აგრეთვე სამართალი და პოლიციაც თავისი ჰყავთ. ისინი უცხო ხალხს თვითნებურად არ ექვემდებარებიან. ბარონ ფონ ჰანის მიერ შემუშავებული და გენერალ-გუბერნატორის გოლოვინის მიერ ხელმოწერილი პროექტი – ამ ქვეყნების მთლიანი მმართველობის მონყობის შესახებ, დამტკიცდა იმპერატორის მიერ. ბარონი ჰანი 1840 წელს ხელმეორედ ჩამოვიდა ტფილისში, რათა ის ცხოვრებაში გაეტარებინა.

მსგავსი შეხედულებები სამხედრო შეფს, ასევე ნამდვილ რუს ჩინოვნიკებს რომ არ მოეწონებოდათ, ცხადი იყო; ისინი ბარონ ჰანის უკან გამგზავრებისთანავე პროექტის შესრულებას ძლიერი ინტრიგებით შეხვდებოდნენ.

რუსი სამხედროები საკმაოდ კარგად გრძნობდნენ თავს ადმინისტრაციული სახელოების და ა. შ. არსებობისას; ყოველივე შეჩერებული იყო; ძველი რეჟიმი ძველებურად სრულად ამოქმედდა!

მომდევნო მოკლე ცნობები გავუზიარე საქმეში კარგად ჩახედულ, მშვენიერ პიროვნებას, რომელიც ახლოს იცნობდა სხვადასხვა პერსონებს და ქვეყანას. მან მომანოდა მდიდარი ცნობები და მომცა მათი გამოყენების ნება. მე უპირატესად ვთვლი, წარმოვადგინო ისინი შეუმოკლებლად, რათა მოგვცენ ურთიერთობებისა და ცდის ნათელი სურათი.

უკანასკნელმა ზავებმა სპარსეთთან (თურქმანჩაის) და თურქეთთან (ადრიანოპოლის) ტრანსკავკასიის ქვეყნების თანამედროვე საზღვრები მტკიცედ განსაზღვრა. ისინი დაიყო ქრისტიანულ და მაჰმადიანურ მხარეებად. პირველს მიეკუთვნება ძველი სამეფოები ქართლის (Grusien), იმერეთის, გურიის (?), დამოკიდებული (ვასალური) მხარეები – აფხაზეთის, სვანეთის, სადაც ბერძნული სარწმუნოებაა გაბატონებული; და სომხური პროვინციები – სომხური სარწმუნოებით. მეორეს მიათვალეს უწინ სპარსეთის მმართველობაში მყოფი

სახანოები - ყარაბალი, შემახა, ნუხა, დერბენტი, ბაქო, ლენქორანი - შიიტი მაჰმადიანებით დასახლებული; და წარსულში თურქეთის საფაშო ახალციხე და ახალქალაქი - სუნიტი მაჰმადიანების სამკვიდრო.

რუსეთმა, განსაკუთრებით ქრისტიანულ მხარეებში, ნახა სრულებით გამომუშავებული, მოსახლეობის ყველა ფენის მომცველი ცხოვრების წესები, რომელთა წარჩინებულებმა ყველა საშუალება გამოიყენეს, რათა თავიანთ მიწებზე მოსახლე დამოკიდებული პირები ექციათ ყმებად.

სხვადასხვა მხარეში პატივდებული ტრადიციული წესების გარდა, ქართლში (Grusien) შეიქმნა „ვახტანგ მეფის სამართლის“ სახელით ცნობილი სამართლის წიგნი. მე-17 საუკუნეში მან კრებულად შეაგროვა ხელნაწერები ბერძნული, რომაული, ებრაული, სომხური კანონებისა და ადგილობრივი ჩვეულებების წესები; ეს კი მუდამ სუსტ და უფულო მეფეებს, როგორც მამულების უმაღლეს განმკარგავს, დაეხმარებოდა სამართლის წარმართვაში; ამავე დროს იქნებოდა შემოსავლის წყარო და იარაღი თავზედი ვასალების წინააღმდეგ. ეს, ოდესღაც ხელნაწერად არსებული, ახლა კი რუსული მთავრობის განზრახვით დაბეჭდილი და გამოქვეყნებული კრებული ამჟამად მთლად გამოუყენებელია, რადგან დღევანდელ ვითარებას არ შეესაბამება; აგრეთვე, რადგან მემკვიდრეობით საქმეში წინააღმდეგობრივ განსაზღვრებებს შეიცავს.

როგორც მთელ აღმოსავლეთში, ტრანსკავკასიაშიც საყოველთაოდ მოქმედებდა სამედიატორო სასამართლო კერძო საქმეების მოსაგვარებლად მაშინ, როცა მაჰმადიანთა სასულიერო სამართალი - შარიათი თავისი სარწმუნოებრივი მიმდევრების ცოლქმრულ და სამემკვიდრეო ურთიერთობებს აგვარებს...

გადასახადებს შეადგენს პიროვნული შრომა, ნატურალური გამოსაღები, წარმოების ყველა სფეროს და ტრანსპორტის დატვირთვა და ბაჟი, რომელსაც არა მარტო სხვადასხვა მხარეების საზღვრებზე იღებენ, არამედ ქალაქებსა და სოფლებშიც.

ამ გადასახადების აკრეფა ქართლსა და იმერეთში ევალათ მოურავებს, მაჰმადიანურ და სომხურ მხარეებში - ბეგებსა და ალაღარებს. მათ ხელში იყო შიდა მმართველობა და პოლიცია; ყოვე-



ლივეში მათ ეხმარებოდნენ თემის უზუცესები (უფროსები) და ხელმძღვანელები. ხალხის ნამდვილი სისხლის მწოველები – ბეგები და ალაღარები მანამ სჩადიოდნენ უნესობას, სანამ ნადავლის გაყოფით თავის არანაკლებ მკაცრი უფროსების პატიებას მოიპოვებდნენ, ანდა ხალხის შურისძიების მსხვერპლი გახდებოდნენ.

ასეთი, მუდმივად უძღური (სუსტი) და უსახსრო, იშვიათად კი ძლიერი მმართველების არსებობისას, ტრანსკავკასია საუკუნეთა მანძილზე იყო ასპარეზი თავისი ყაჩაღი მეზობლების მხრივ თავდასხმებისა და გაჩანაგებისა. მოსავალი და საქონელი, ბავშვები და ქალები, მთელი ქონება მიჰქონდათ – მოსახლეობის გალატაკება, ნახდენა, გაუკაცურება იყო ბუნებრივი შედეგი ამ უბედური მდგომარეობისა, სანამ ეს მიწის სიუხვით და ჰავით მდიდრად დაჯილდოებული ქვეყანა თანდათან რუსული მმართველობის ქვეშ არ მოექცა.

აქ მოკლედ გადმოცემული მონაცემებიდანაც ჩანს, თუ რა უამრავი დაბრკოლებისა და სიძნელების დაძლევა მოუხდა რუსულ მთავრობას, სანამ შესძლო მტრულად განწყობილ ტრანსკავკასიის ხალხებში და რელიგიების მიმდევრებში სიმშვიდე და წესრიგი დაემყარებინა. ამ საშუალებათა (იარაღის) შეფასებას სამართლიანად იმსახურებენ გენერალ-გუბერნატორები თავადი ციციანოვი და პასკევიჩი. პირველი, ამ ქვეყნის შვილი, სპარსელთა ღალატმა გამოსტაცა გმირული ცხოვრების გზას, სანამ თავის დიდ ამოცანას შეასრულებდა. მეორე კი გაიწვიეს პოლონეთის აჯანყების ჩახშობის მიზნით მაშინ, როცა დაამარცხა სპარსელები და თურქები, იმორჩილებდა მთის ხალხებს და ტრანსკავკასიის ვითარების მოწესრიგებაში უდიდესი წვლილი შეჰქონდა. – მალე იმპერატორმა ამ მნიშვნელოვან ვითარებას მთელი თავისი ყურადღება მიაქცია. ღონისძიებების მთელმა ნყებამ დაადასტურა მისი გამჭრიახობა, სურვილი და ძალა, რათა დაწყებული საქმე, მიუხედავად ყველა სიძნელისა, ბოლომდე მიეყვანა. დაიმორჩილეს ყაჩაღური ტომები, აღმართეს სიმაგრეები, დააარსეს სასაზღვრო საგუშაგოები და კარანტინები, რათა ქვეყანა დაეცვათ ველური მეზობლების შემოჭრისა და არც თუ ნაკლებსაშიში ეპიდემიებისგან. – გაყვანილ იქნა სამხედრო გზები იალბუზიდან არარატამდე, შავიდან კასპიის ზღვამდე და, საერთოდ, ყველა მიმართულებით, სადაც ეს საჭირო იყო. მრავალი ათასი ოჯახი, რომლებიც

სპარსელებისა და თურქების ადრინდელი შემოსევებისას გაირეკეს, უკან დააბრუნეს და თავიანთ მამა-პაპათა გაუდაბურებულ მხარეებში და გაჩანაგებულ სოფლებში დასახლდნენ.

- 1837 წელს ბარონ ფონ ჰანის ხელმძღვანელობით ტრანსკავკასიაში გამოგზავნეს კომისია, რომლის წევრები ყველა სამინისტროდან აიყვანეს, რომელთა უმრავლესობა აღმოსავლეთში იყო ნამყოფი და წერილობით ცნობებს აქვეყნებდნენ მათ შესახებ. ამ კომისიას მიეცა იმპერატორის ზრუნვით გაჯერებული დავალებები, ადრე შეგროვილი გამოკვლევები, ყოველგვარი დამხმარე საშუალებები. მათ ყოველმხრივ უნდა შეესწავლათ ქვეყნის ყველა ნაწილი და მოსახლეობა, მთელი განწყობა-ქმედებით, რათა მათზე დაყრდნობით შეემუშავებინათ მმართველობის მოწყობის გეგმა. ეს ვითარება საკუთარი თვალით რომ ენახა, იმპერატორი არ მოერიდა არც დიდ სიშორეს, არც საზღვაო მოგზაურობის საფრთხეს წლის გვიან დროს. 1837 წლის შემოდგომაზე ის გადმოსხდა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, დაათვალიერა იქაური სიმაგრეები, იმოგზაურა იმერეთში, სამეგრელოში, მაშინდელ ახალციხის საფაშოში და ახალქალაქში; მოიარა სომხეთი და თათრული პროვინციები, ქართლი და ოსები; იღებდა ყველას, ართმევდა საჩივრებს და სათხოვარს, მდიდრულად კეთილს უყოფდა და აგვარებდა დიდ უნესრიგობებს (თრგუნავდა დიდ ბოროტებებს). - კომისიამ დააჩქარა სამუშაო და უკვე 1841 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ, რაც შედგენილი პროექტი განმეორებით შემოწმდა და იმპერატორმა დაამტკიცა, ახალი სამოქალაქო მმართველობა საზეიმოდ იქნა შემოღებული.

ამ გზით სამხედრო ძალაუფლების გავლენა სამოქალაქო უწყებაზე ჩამოცილებულ იქნა, მათი ურთიერთკავშირი გაუთანაბრეს საიმპერატორო არსებულ დადგენილებებს და უფლებები მკაცრად გამიჯნეს იუსტიციასა და ფინანსებისგან. - ქვეყანა დაყვეს გუბერნიებად, ოლქებად და დისტრიქტებად (დისტანციებად). ის დაუმორჩილეს გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში მეტი უფლებებიც მიეცა - მიმდინარე საქმეებს სამმართველო საბჭოს თანადგომით წარმართავდა. მაგრამ ყველა საჭირო ცვლილებას ან გასატარებელ სიახლეს შესასწავლად წარუდგენდა მინისტრებისგან შედგენილ ტრანსკავკასიის კომიტეტს და შემდგომ



დასამტკიცებლად იმპერატორს. ტრანსკავკასიის ურთიერთობა და-  
ნარჩენ რუსეთთან რომ შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინათ და  
გამოეცოცხლებინათ, გადახრების გამოკლებით, რასაც ქვეყნისა და  
მისი მაცხოვრებლების მდგომარეობა საჭიროებდა, ამიტომ ტრანს-  
კავკასიაში გაავრცელეს რუსეთში არსებული კანონები და განკარ-  
გულებები, უწყებათა სახელწოდებები, მათი საქმეების მსვლელობა  
და დამახასიათებელი ნიშნები.

ეს ორგანიზაცია რომ წარმოდგენილ მიზანს შესაბამებოდა,  
საჭირო იყო ქვეყანას რაც შეიძლება სწრაფად მისცემოდა მარტივი  
და უფასო სამართალწარმოება, დაწესებოდა განსაზღვრული გა-  
დასახადები, რომელიც უპასუხებდა თითოეულის შესაძლებლობებს  
და დაცული იქნებოდა ამკრეფების დამღუპველი ქმედებებისგან და  
მოხელეთა პირდაპირი ჩარევისგან (ზენოლისგან). ეს ამოცანა შე-  
ძლებისდაგვარად გადაწყდებოდა:

1. როგორც მთელ აღმოსავლეთში, ისე აქაც არსებული სათე-  
მო ცხოვრების გამოცოცხლებით, რაც შესაძლებელი იქნებოდა  
თითოეული ქალაქისა და სასოფლო თემის არჩეული საბჭოს და  
მმართველობის უფლებების გაფართოებით და დამკვიდრებით. ისინი  
თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ სახაზინო მოხელეთა ჩარევისგან.  
მათ ევალებოდათ:

ა) საკუთარი თემის საქმეების მართვა;

ბ) თემზე განერილი გადასახადების განაწილება თემის წევრებზე  
მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რათა აეკრიფათ ის და  
გადაეცათ სადაც საჭირო იყო;

გ) უფროსობის (ხელმძღვანელობის, მთავრობის) განკარგულე-  
ბების შესრულება, სიმშვიდისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და  
მცირე სადავო საქმეების მოგვარება.

საოლქო და სამაზრო მმართველების ზემოქმედება ამ სათემო  
მმართველობაზე, ასევე პოლიციებისტერებისა დიდ ქალაქებში, გუ-  
ბერნატორებისა და საგუბერნიო მმართველობებისა შეიზღუდებოდა  
შემდეგ ვითარებაში:

როცა შემოვიდოდა საჩივრები სასოფლო მმართველობის მხრივ  
უფლებამოსილების გადამეტების ან ბოროტად გამოყენების შესახებ;

ზემდგომი ხელისუფლების ბრძანების შეუსრულებლობის დროს; სათემო გადასახადების გადაუხდელობის; აგრეთვე დანაშაულებრივი სამართალდარღვევების დროს, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციაში შედიოდა.

ამაში მდგომარეობს ზღვარი სათემო ავტონომიასა და მმართველობას შორის, რომლებიც მხოლოდ ზედამხედველობას ასრულებენ.

II. სამართლებრივი დასაბუთებით და უკვე მოქმედი სათემო სამართლოებისა და სასულიერო მაჰმადიანური სამართლის - შარიათის გამოყენებით. ამ სასამართლოთა გადანყვეტილებანი განხილული იქნება როგორც ქვეშარტი განჩინებანი, როგორც კი სათემო სასამართლოს გადანყვეტილებანი ან უთანხმოების (სადავო საქმის) მონესრიგება შარიათის მიხედვით ეცნობება შესაბამის სათემო მმართველობას.

მაგრამ, ამავე დროს, ყველას აქვს უფლება გვერდი აუაროს ამ ნებადართულ სასამართლო უწყებებს და სამართალი ეძიონ საჯარო ინსტანციებში, ე. ი. თავისი საჩივარი შეიტანონ ყოველ მაზრაში არსებულ პირველი ინსტანციის სამოქალაქო სასამართლოში, რომელიც სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით და გამარტივებული პროცედურით აღადგენს სამართალს. ასევე შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საგუბერნიო ქალაქის სამოქალაქო პალატაში, ხოლო იქიდან გამოითხოვონ პეტერბურგში სენატის მხრივ გადასინჯვა (კასაცია).

III. ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებით; ყველა ძველი შიდა საბაჟო გადასახადების გაუქმებით. აგრეთვე, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის დამამძიმებელი - მინაზე, პროდუქტებზე, ვაჭრობასა და წარმოებაზე არსებული უამრავი გადასახადის გაუქმებით. ეს შეიცვლება:

ა) სასოფლო თემისთვის თემის მთელი სამინწო საკუთრებიდან წინასწარ დადგენილი შემოსავლის მეთავედით. თუმცა შეთანხმება თემთან მეთავედის ოდენობაზე შეიცავს დიდ სიძნელეებსაც, რაც შეიძლება გამონვეული იყოს მორწყვის უქონლობით ან არასაკმარისობით; მინის მოსავლის უთანაბრობით; ანდა მესაქონლეობით, როცა ის თემის ძირითადი საქმიანობაა. ასეთ შემთხვევაში გადასახადი ფულადია და კომლთა რიცხვის მიხედვით შეადგენს 3-5 მანეთს.



გადასახადის ორივე სახეობა 15 წლის ვადითაა განსაზღვრული და, როგორც უკვე ითქვა, თემის მიერ არჩეული ხელმძღვანელობა კრეფს თითოეული გადამხდელის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით და შეაქვს ხაზინაში ხელწერილით.

ბ) საქალაქო საზოგადოებისთვის (თემისთვის) განსაზღვრულია ძველი წესების მიხედვით ნორმირებული გადასახადი ყოველ ხელობაზე, რომელიც მატულობს ან კლებულობს ოსტატთან დასაქმებული ქვეოსტატებისა და შეგირდების რაოდენობის მიხედვით.

IV. სავაჭრო გადასახადით, რაც განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ვინაა გადამხდელი – დიდი, საშუალო თუ მცირე ვაჭარი.

ეს გადასახადები, ისევე როგორც ის მცირედი, რასაც თითოეული ქალაქელი მომუშავე იხდის, შედის ხაზინაში; სანაცვლოდ მიღებული ქვითარი მომუშავესთვის დამადასტურებელ საბუთს (პასპორტს) წარმოადგენს. ამასთან მხედველობაში იყო მსუბუქი კონტროლი და ზედმეტობის გამორიცხვა გადასახადის შეტანისას.

აქ, მთავარ ხაზებში განხილული და ყველა თავისი მიმართულებით (განხრებით) შემუშავებული საგადასახადო სისტემა ათავისუფლებს სახელმწიფოსა და გადამხდელებს გადასახადების აკრეფის თანმდევი ხარჯებისა და ხრიკებისგან; ანაწილებს გადასახადის სიმძიმეს შემოსავლის ან შრომისუნარიანობის მიხედვით და გადამხდელებს უზრუნველყოფს მრავალი წლით გადასახადების ყოველგვარი გაზრდისგან.

მარცვლეულისა და მარილის ხშირადგანმეორებადი გაძვირება ასეთ ნაყოფიერ და მარილით მდიდარ ტრანსკავკასიაში თავიდან იქნება აცილებული თავისუფალი კომუნიკაციების ნებადართვით და სახაზინო მალაზიებიდან მარილის მტკიცე ფასებში გაყიდვით.

ტრანსკავკასიის ველებსა და მთებზე, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მხედრების, სასაპალნე პირუტყვის, ხოლო იშვიათ ადგილებში ხარებ ან კამეჩშებმული ურმებისთვის, ახლა გაიყვანეს გზები, შემოიღეს საფოსტო სადგურები მგზავრებისთვის და მიმოსვლის გასაადვილებლად დააარსეს საფოსტო კავშირები უშორეს დასახლებებთანაც.

იმპერატორის ყოვლისმომცველი ზრუნვა გავრცელდა მოსახლეობის რელიგიურ მოთხოვნებზე (საჭიროებებზე) და სულიერ სრულყოფაზე (აღზრდაზე). სათანადო სასულიერო პირთა მოხმობით მონესრიგდა საყოველთაო არეულობის დროს გაუცხოებული ურთიერთობა არა მარტო გაბატონებული ბერძნული, არამედ სომხური, კათოლიკური და პროტესტანტული (ნაყოფიერ მიწებზე დამკვიდრებული ვიურტემბერგელი კოლონისტების) ეკლესიებისა, ასევე მტრულად განწყობილი მაჰმადიანური სექტების – შიიტებისა და სუნიტებისა; ნანილობრივ აღდგენილ იქნა, ნანილობრივ ახლად აშენდა ეკლესიები და სამლოცველოები; გატარდა მტკიცე ზომები ყოველი მრწამსის სასულიერო პირის აღზრდა-განათლებისა და უზრუნველყოფისათვის.

ტფილისში, ნუხასა და შემახაში გატარდა ღონისძიებები ხორბლეულის, აბრეშუმისა და ღვინის უფრო სასარგებლო (მიზანმიმართული) მოყვანისთვის. ყაზარმებში ასწავლიდნენ ახალი კულტურული ვითარების შესაბამის ხელოსნებს. მრავალრიცხოვან და გაღარიბებულ თავად-აზნაურთა ვაჟებისთვის დააწესეს უფასო სწავლება პოლკის (სამხედრო) სკოლებში, ყველა საოლქო ქალაქში თავად-აზნაურთა, ვაჭართა და მაღალ მოქალაქეთათვის გაიხსნა სკოლები, აღჭურვილი დამხმარე საშუალებებით. გიმნაზია და მაღალი წრის ქალიშვილთა ინსტიტუტი („კეთილშობილ ქალთა“) პასუხობდა უმაღლესი განათლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამ სასწავლებლების საუკეთესო მოსწავლეებს აგზავნიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში ან პეტერბურგისა და მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებლებში. დამსახურებული პიროვნებების ვაჟებს იღებდნენ სახელმწიფო სამსახურში; თითქმის მთელი კორპუსი შედგებოდა მაჰმადიან დიდებულთა ვაჟიშვილებისგან, რომლებსაც აქამდე არ გადაებიჯებინათ თავიანთი მშობლიური ქვეყნის საზღვრებისთვის. საგანგებოდ მათთვის პეტერბურგში გახსნილ სკოლებში ბევრმა ამ აზიელმა საოცარ წარმატებას მიაღწია მეცნიერებებში და ზოგად განათლებაში; თითქმის ყველა მათგანი დაბრუნდა სამშობლოში მბრძანებლის სიყვარულითა და მორჩილებით გამსჭვალული და დარწმუნებულნი ევროპული კულტურის უპირატესობაში.



ყურადღების გარეშე არ დარჩენილა მეცნიერებაც. მომზადდა და დაიბეჭდა ეჩმიაძინის ბიბლიოთეკის წიგნებისა და ხელნაწერთა კატალოგი; იშვიათი და ძნელად ხელმისაწვდომი დოკუმენტები ნაწილობრივ შეისყიდეს, ზოგის ასლები გადაიღეს; შეაგროვეს ტრანსკავკასიაში საზოგადო ნაგებობებზე გაბნეული წარწერების ზუსტი ანაბეჭდები.

რადგან საუკეთესო დადგენილებებისა და ორგანიზაციის წარმატება და შედეგი მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია მათ პატიოსან და მონდომებულ შესრულებაზე, ხელმწიფემ დანიშნა სამმაგი ხელფასი, მნიშვნელოვანი სამგზავრო და საორგანიზაციო თანხა მონდომებული მოხელეების შესარჩევად; ამასთან, ხუთი წლის შემდეგ კავკასიაში ხანგრძლივი წესიერი და პატიოსანი შრომისათვის სახელმწიფო სამსახურში მიეცემოდათ გაზრდილი ჯამაგირი, ხანდაზმულობისას უზრუნველყოფა, პენსია მემკვიდრეებს (დარჩენილ ოჯახის წევრებს).

ადგილობრივმა გამოკვლევებმა, რაც ბარონმა ფონ ჰანმა კავკასიის ყველა მხარეში ჩაატარა – ეროვნული, საოჯახო, სათემო, კორპორაციული ურთიერთობების შესახებ – დააგროვა უაღრესად მრავალფეროვანი მდიდარი მასალა, რაც ზემოთ აღვნიშნე და რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გამოუყენებლად ინახება ტფილისში. მე მივიღე ნებართვა მათი ხილვისა, მაგრამ უსარგებლოდ, რადგან არ ვიცოდი რუსული და ვერ ვნახე ვერავინ, რომელიც ისურვებდა ან შეძლებდა ჩემთვის ცნობების და ამონაწერების მოწოდებას.

აქა-იქ გაბნეული ცნობების გარდა, მე აქ წარმოვადგენ ზოგად მონაცემებს, რაც სხვადასხვა მხარეში ყოფნისას შევავსოვე.

იმერეთის, სამეგრელოს ერთი ნაწილის და ქართლის მთიან მხარეთა სოფლებში, პატარებსა თუ დიდებში (მაგ., მარტყოფში, ითვლიდნენ 361 კომლს), მოსახლეობა ცხოვრობს გაფანტულ კომლებად. ეს კარ-მიდამოები უწესრიგოდაა ერთმანეთის მიმართ განლაგებული და არ ქმნის სწორ ქუჩებს.

სამეგრელოს გლეხობასა და სათემო წყობაზე ზემოთ უკვე ზოგიერთი ცნობა მოგანოდეთ. თემის სათავეში ქართლში დგას ასევე ნაცვალი, ქართულად მამასახლისი; იმერეთში მას ეწოდება მუხელი



(მოხელე - ? გ. გ.). თათრულ სოფლებში ქევხა (დაცვა). მას ირჩევენ ოჯახთა უფროსი მამაკაცები ხმის უმრავლესობით, შემდეგ მხარის მმართველის წარდგინებით, მას ამტკიცებს რუსული სახელმწიფო პალატა. ამასთან სოფლის არსებულ მემამულეებს არ შეუძლიათ პირდაპირ იმოქმედონ ან გავლენა მოახდინონ ამაზე (არჩევნებზე - გ. გ.). ამ მხრივ თემები თავისუფალი არიან; მოხელეებსაც კი არ აქვთ უფლება სათემო საქმეებში ჩარევისა. ეს თანამდებობა მუდმივია, თუკი თავად არ დაანებებენ თავს ან ხელმძღვანელობის თუ თემის კანონიერი საჩივრის საფუძველზე არ გადააყენებენ. ის თავისუფალია ყოველგვარი სამსახურისა და გადასახადებისგან და თემისგან აქვს მცირე შემოსავალი. მას ეხება საპოლიციო საქმე; სადავო საკითხებს კი მხარის უფროსობა არჩევს. აქედან გამომდინარე, მას აქვს უფლება გაანაწილოს გადასახადები („თეთრი წვერების“ მიზიდვით=?). მთავრობა თითო ოჯახისგან საკმაოდ ბევრ სახელმწიფო გადასახადს ითხოვს სარევიზიო აღრიცხვით, ხოლო თემი ამ საქმეში უნდა იყოს სოლიდარული. ნაცვალი ანაწილებს მთელ თანხას შესაძლებლობის, ქონების და სიღარიბის მიხედვით. ნაცვალი აფასებს მემამულეთა (მინისმფლობელთა) მეთედს (რასაც ძალზე ცოტა ადგილებში იღებენ ნატურით) და ანაწილებს მას ცალკეულ ოჯახებზე.

ქართველები, ჩვეულებრივ, დიდ ოჯახებად ცხოვრობენ, რამდენიმე თაობა ერთად, ერთ კომლად.

სახაზინო თემს, რომელშიც არ არიან საბატონო გლეხები, მთავრობა ყოველი ახალი აღწერისას (რევიზია) თანაბრად აკისრებს როგორც სახელმწიფო, აგრეთვე მიწების გადასახადს სულადობრივად ან ოჯახების რიცხვის მიხედვით.

ამით აღიარებენ რუსული თემის პრინციპს, როცა თემის ყველა წევრს აქვს თანაბარი უფლება და წილი მიწაზე. მაგრამ, სინამდვილეში, ქართულ თემში ეს სხვაგვარადაა. იმ თემებში, რომელთა შესახებაც ცნობები მივიღე, ძველთაგან მიწა ეკუთვნის გარკვეულ კომლებს; მაგალითად, გერმანული კოლონიის მარიენფელდის მეზობლად სართიჭალაში ვინილე ცალკეული თემები, სადაც გლეხების კლასობრივი დაყოფა მთლად ჩრდილო გერმანულის მსგავსია - არიან სრულფუძიანები, წვრილი გლეხები, ღარიბი გლეხები და ბოგანოები.





პირველი ფენა ფლობს 70 დესეტინა (280 პრუსიული მორგენი<sup>1</sup> მიწა) წას, მეორე – ამის ნახევარს, მესამეს ძალზე მცირე ნაკვეთი აქვს, მეოთხეს მხოლოდ სახლი. ამ უკანასკნელებს მიაკუთვნებენ აგრეთვე ქირით მცხოვრებთ, რომლებიც წლიურად იხდიან 4-5 მანეთს. ამასთან, ხაზინას თითო სახლიდან (კერია) მიაქვს 3 კოდი ხორბალი და ქერი (ერთად დაახლ. 270 ფუნტი). ნაცვალი კი ანაწილებს საერთო რაოდენობას ფენების მიხედვით.

სოფელ ენაგეთის (Inaget) შესახებ შემდეგი მაცნობეს: მისი  $\frac{1}{4}$  ხაზინის კუთვნილებაა,  $\frac{1}{4}$  თავად ბარათოვის,  $\frac{1}{2}$  აზნაურ გიორგი ყორღანოვის. ცალკეული ნაკვეთები ერთმანეთშია არეული, ასე რომ, ის წილები მხოლოდ წარმოდგენაში იყო. ამიტომ ხაზინამ თავისი ნაწილი გამოაყოფინა. როდესაც ბ-ნ ფონ კოცებუს ამ ცნობის შესახებ ვუთხარი, მიპასუხა, რომ ეს ან მცდარია, ან ძალზე იშვიათი გამონაკლისი; რომ ყოველთვის გარკვეული ნაკვეთი გარკვეულ კომლს ეკუთვნოდა.

რადგან საქართველო ძველ დროში ძალზე გაჩანაგდა, ახლაც ბევრ სოფლებთან გვხვდება მშვენიერნიადაგიანი დაუმუშავებელი ვრცელი მიწები. ასეთ დროს მიწა არ უნდა რჩებოდეს მყარად კომლის მფლობელობაში. მაგ., როცა მამა კვდება და რჩება მცირეწლოვანი ვაჟი, მაშინ, მემამულის თანხმობით, მისი მეზობელი ეუფლება მიწას თავისი გადასახადებით; ხოლო, როცა უახლოესი მემკვიდრე სრულწლოვანი ხდება, თავისთვის გამოყოფს ამ გაუდაბურებულ სახნავს (მინდორს).

გაურკვეველობა მიწის ფლობაში განსაკუთრებით ახალ პერიოდში უნდა გაზრდილიყო. ამბობენ, რომ ზოგიერთმა თავადმა და აზნაურმა ყალბი საბუთების წარმოდგენით მიითვალა მიწები. სომხები უსასრულოდ უდარდელები (უგუნურები) და უღმერთოები არიან ფიცის მიცემისას. ხშირად ამ მიზნით თორმეტ მათგანს, რომლებმაც არაფერი იციან საქმის შესახებ, მოიყვანენ და დააფიცებენ, რომ მიწა ეკუთვნოდა ამას და ამას, რასაც (მიწას – გ. გ.) შემდეგ კიდევ მიაკუთვნებდნენ.

<sup>1</sup> მორგენი – პრუსიული მიწის საზომი, უდრის 0,25 ჰა-ს. – გ. გ.

საყოველთაოდ მიღებულ გადასახადად ითვლება მებათედი, რომელიც, როგორც შევიტყვე, ზოგან ნატურითაც აიღება. მებათედი, რომელიც სახაზინო დომენებმა უნდა იკისრონ, გადაიქცა დადგენილ გადასახადად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის არაა ყველგან თანაბარი.

რამდენიმე ადგილას შევნიშნე, რომ სახაზინო გლეხებს ყოველ ტაგვეერკზე<sup>1</sup> უნდა გაეღოთ 1 კოდი ხორბალი ან ქერი, იმის მიხედვით, თუ რა იყო დათესილი. მოუსავლიანობის დროს ამ გადასახადს არ იხდიდნენ, თუმცა მოხელეთა თვითნებობას ცხადია კარი ღია ჰქონდა. სხვაგან გავიგე, რომ ხაზინა თითო ოჯახისგან აღწერის (რევიზიის) გათვლით იღებდა 2 კოდს, თუმცა თემი სოლიდარული უნდა ყოფილიყო, ხოლო ნაცვალს მისი განაწილება ევალებოდა. მარტყოფში თითო ოჯახმა უნდა გადაიხადოს 2 კოდი ხორბალი და 1 კოდი ქერი; ამასთან, ნაცვალი მას ანაწილებს შესაძლებლობისა და ქონების მიხედვით.

საეკლესიო და სამონასტრო გლეხები ზოგჯერ ნატურით იხდიან მებათედს, თუმცა დადგენილი იაფი ტარიფით. მარტყოფის საეკლესიო გლეხები არ იხდიან მინაზე მებათედს, არამედ აბარებენ დადგენილი რაოდენობის სანთელს (ცვილს) და ღვინოს. ამ სოფელში ცხოვრობდა 200 სახაზინო და 120 საეკლესიო გლეხი; 41 გლეხი ეკუთვნოდა თავადებს ან აზნაურებს. უკანასკნელებს, ალბათ, ძალზე ტანჯავენ და ავიწროებენ. მებათედის (ღალა) მაგიერ მათ უნდა გადაიხადონ მოწეული მოსავლის მეექვსედი და მეხუთედიც კი! საახალწლოდ და სააღდგომოდ მცირე, ე. წ. ნებაყოფლობით ძღვენს ართმევენ, შემდეგ კი, ყოველ 2-3 წელიწადში, ქონებრივი შეძლების მიხედვით ახდევინებენ 2-დან 50 მანეთამდე<sup>2</sup>. – აქაური ბალებიდან იხდიან (კულბუხა=კულუხი) ხილის და ღვინის მეხუთედს. ბევრგან ბალები გლეხების საკუთრებაა და არაფერს იხდიან, ისევე როგორც სახლებში (შენობებში), რომლებიც გლეხებს ეკუთვნიან. – თავადმა ყორღანოვმა მთელი მიწები გლეხებს დაუთმო და ყოველ ტაგვეერკზე აიღო 1 კოდი ხორბლეული. სხვაგან, მაგ., გორში (Chori) გლეხი თა-

<sup>1</sup> ტაგვეერკი ძველი გერმანული მინის საზომი ერთეულია, უდრის 0,23-0,36 ჰა-ს – გ. გ.

<sup>2</sup> გერმანულ ტექსტში წერია 500 მან., რუსულ თარგმანში 50 – გ. გ.

ვის მემამულეს უხდის ლალას – ყოველ დესეტინაზე 7-8 კაპიკს ვერცხლით (არ არის მაღალი!); თესვის, მკის და ლენვის დროს, თუკი დასჭირდა, ბატონს შეუძლია მოსთხოვოს 2-3 დღე კვირაში ბეგარაზე გასვლა. ამას გარდა, გლეხმა ბატონს უნდა გაუყოს ფრინველის ნამატი, ხოლო მემკვიდრის დაბადებისას ან ბატონის გარდაცვალებისას მიიტანოს საჩუქრები. კარ-მიდამო, პირველყოვლისა, მემკვიდრეობით გადაეცემა უფროს ვაჟს. გვერდით ნათესავეებს არა აქვთ მემკვიდრეობის უფლება, თუმცა საჩუქრების მირთმევის შემდეგ მათაც მიეცემათ საკარმიდამო. გლეხს არა აქვს უფლება მიწის გაყიდვისა. რუსული კანონების მიხედვით, გლეხს შეუძლია მხოლოდ ვერცხლის 5 მანეთამდე ასესხოს ან ივალოს.

სახელმწიფო გადასახადი, რუსული სულადობრივი, როგორც გავიგე, აქ ხშირად ხორბლეულით აიღება, ზოგჯერ თითო კომლიდან 2 კოდი; მარტყოფში ყოველ კომლს 2 მანეთს ართმევენ. მემამულე პასუხს აგებს გლეხის მაგიერ და იხდის კომლზე 1-2 კოდს იმ მარცვლეულით, რაც მიწაზე მოჰყავთ.

თემების მიჯნა, ისევე როგორც ცალკეული ყანები (მინდვრები), აღნიშნულია სამიჯნო ნიშნით; გზებს ყველგან მივყევართ ცალკეულ ყანებამდე (ბილიკები, როგორც მათ უწოდებენ ვიურტემბერგელი კოლონისტები). ყოველ მინდორზე ყანები გამოყოფილია მოუხნავი კვალით; თითოეული ყანა გარკვეული კომლის საკუთრებაა; ყველგან არიან მეველეები. მოკლედ, ჩანს, რომ უძველესი დროიდან არსებობდა მონესრიგებული მიწათმოქმედება; მაგრამ ამ ერთი საუკუნის მანძილზე ყველგან მოიშალა. დიდი მინდვრები გაუდაბურდა, დაიფარა ბუჩქნარით და ხეებითაც; ძველი ვენახები გაქრა, მოპირკეთებული ღვინის სარდაფები (მარნები) ნანგრევებად ქცეულა და ნადირის თავშესაფარს წარმოადგენს; ყანების განაწილების წესრიგი ყველგან მოიშალა.

მიწათმოქმედებისას ჯერაც გაბატონებულია ტრადიციული უფლებები და ჩვეულებები, რაც სოციალურ ცხოვრებაში დამკვიდრდა. მაგ., გუთანში აბამენ 8-10 წყვილ ხარს; ამიტომ შეიქმნა მხვნელთა მყარი საზოგადოებები, რომელთაგან ერთს გუთანი მოაქვს, მეორეს წყვილი ხარი მოჰყავს და ა. შ. ყველა კომლის ყანა მკაცრი რიგით იხვნება და ა. შ. ქარი, წყალი, გარეული ფრინველი და



ნადირი, მდელოები, ტყეები თავისუფალია და არავის საკუთრებას არ წარმოადგენს! ესაა ქართველების ტრადიციული კანონი. ყველას აქვს ნადირობის უფლება. ტყეები თუმცა ფორმალურად დაყოფილია და ეკუთვნის თემებს, თავად-აზნაურობას და ხაზინას, მაგრამ ყველას შეუზღუდავად შეუძლია მათით სარგებლობა.

ბუნებრივია, რომ ამის შედეგად ბევრგან ტყეები მთლიანად განადგურდა და ზარალი კიდევ მოიმატებს. იმპერატორის ბრძანებულებით (უკაზით) გამოიყო სახაზინო ტყეები და დაინიშნა მისი განსაკუთრებული დაცვა. მაგრამ ამან ისეთი მღელვარება გამოიწვია მთელ ხალხში, რომ იძულებული გახდნენ 1842 წელს ეს ბრძანებულება (უკაზი) გაეუქმებინათ. მე ვფიქრობ, რომ ეს არ იყო პოლიტიკურად გამართლებული ღონისძიება. უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ ხაზინისთვის ტყეების საკუთრებაში დადგენით და, ამავე დროს, თემთა და ცალკეულ პირთა ტყეებით და შეშით სარგებლობის უფლების განსაზღვრით. ამით შესაძლებელი იქნებოდა საერთო წესრიგის დამყარება, თუ რა რაოდენობის და რა შეზღუდვით გამოიტანდნენ შეშას. ეს უნდა შეხებოდა არა მარტო სახაზინოს, არამედ ყველა ტყეს. – იმ პირველმა ბრძანებულებამ ამაღლელებლად გააღვიძა აზრი ტყეების მესაკუთრეობისა და საზღვრების შესახებ; მას შემდეგ თავადები და აზნაურები ცდილობენ თავიანთი ტყეები ასევე გამოყონ საერთო სარგებლობიდან. ხშირად ეს წარმოშობს არც თუ უმნიშვნელო მღელვარებას და თუ არ ფეთქდება, სამწუხარო პროცესების მიზეზი მაინც ხდება.

ჩინოვნიკების მხრივ წვალებისა და შევინროების მიუხედავად, ზოგიერთ მხარეში სახაზინო გლეხების კეთილდღეობა შესამჩნევად იზრდება. ხშირად ისინი აგროვებენ ათასობით მანეთს, შემდეგ მას იყენებენ მიწის საკუთრების მოსაპოვებლად, რაც არაა ძნელი, რადგან აზნაურები ყველგან გაღარიბებული და თავქარანები არიან და ხალისით ყიდიან განსაკუთრებით თემში, სადაც შერეული საკუთრებაა, ე. ი. სადაც ხაზინას და აზნაურებს გლეხები და მიწა ერთად ეკუთვნით. ამდენად, მრავლადაა სახაზინო გლეხი, რომლებიც ერთდროულად ბევრი შესყიდული მიწის მესაკუთრენი გახდნენ. სახლი და კარ-მიდამო რომ ყველგან გლეხების საკუთრებაა, უკვე ითქვა.





სახაზინო გლეხის სიკვდილისას ერთი ვაჟი მემკვიდრეობით იღებს სახაზინო მიწას; კერძო მიწას კი ყველა ვაჟი იყოფს თანაბრად, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – ქალიშვილები. ვაჟების არსებობისას ქალიშვილები იღებენ მხოლოდ მზითევს. მთელ ქართველობაში მამებისა და ძმების საპატიო მოვალეობაა ქალიშვილებისა და დების გათხოვება და გამზითვება.

საფოსტო და სამხედრო ჭაპანის განევის მოვალეობა გლეხებისათვის არის დიდი ჩაგვრა და უმძიმესი ტვირთი. ქვეყანაში, სადაც მხოლოდ სამხედრო მმართველობაა, ამას მოჰყვება გაუთავებელი ბოროტმოქმედება და წვალება (იქმნება საფუძველი გაუთავებელი ბოროტმოქმედებისა და ტანჯვა-წვალებისა)!

## მაოთხა თაჰვი

სომეხი აბოვიანი. - სახლების აგება ტფილისში. - მცხოვრებთა ხასიათი; წეს-ჩვეულებათა გარდაქმნა. - სტუმრობა გენერალ-გუბერნატორთან პრიუტში; გზა იქით; ქართველი ქალიშვილი. - გენერალ-გუბერნატორის მდგომარეობა. - სპარსელი ელჩი. - ვითარება ჯარში - დანაშაულებანი. - მუშა რაზმები; მათი მომგებიანობა; პოლკის კოლონია. - ერმოლოვი. - ანრეპი. - ტყვეებთან დამოკიდებულება ჩერქეზებში; ბელი ტურნაუდან. - გზათა საშიშროება ჩრდილოეთ მხარეებში. - ყაჩალი არსენა. ბაგრატიდები და ორბელიანები. - ლევენდა წმ. გრიგოლის შესახებ. - მარტყოფში წასვლა (სალოცავი ადგილი). - სალამო და ღამე იქ; ქართველი თავადები თავიანთი ამალით; ციხეთა ნანგრევები; ეკლესია-მონასტრების ნანგრევები; ღვთისმსახურება. - საუზმე თავად გურამოვთან; მომღერლები; იმპროვიზატორი, მოცეკვავე ქალები; მოცეკვავე კაცი. - დაბრუნება. - ტფილისის ცხელი აბანოები. - საამქრო წყობა სპარსეთსა და საქართველოში.

ტფილისში გავიცანი სომეხი, ვინმე აბოვიანი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა ვუმაღლოდე ჩემს ცოდნას სომეხი ხალხის მდგომარეობის შესახებ. აბოვიანი წარმოსდგება სომხური მემკვიდრეობითი სოფლისთავის (მამასახლისის - გ. გ.) გვარიდან. ქართლსა და იმერეთში რუსულმა მთავრობამ ამნაირი გვარები თავადებად ჩათვალა, სომხეთში კი არცერთი არაა წარჩინებული!..

აბოვიანს სურდა ბერობა; ის იყო ცნობილ ეჩმიადინის მონასტერში, როცა მოგზაური პაროტი<sup>1</sup> იქიდან არარატზე ასასვლელად

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ეს არაჩვეულებრივი პიროვნება გარდაცვლილია! ერთ დღეს ის გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ამას გამოდგა ყველა ძიება!

ემზადებოდა. ის ეძებდა შესაფერის მკვიდრს და შესთავაზა ახალ-გაზრდა ბერს მასთან ერთად გამგზავრება. პაროტიმ უცბად შეამჩნია დიდი ნიჭი და შთააგონა ესნავლა გერმანულ უნივერსიტეტში. აბოვიანი ნავიდა დორპატში და იქ მიიღო სრულყოფილი ოთხნობიანი საუნივერსიტეტო განათლება. ის ისე კარგად წერდა და ლაპარაკობდა გერმანულად, რომ არავის შეეძლო მასში უცხო შეეცნო. მან გერმანელი ქალი შეირთო და სახლიც მთლად გერმანულად მოაწყო.

ჩემი თხოვნით გუბერნატორმა დაავალა ერთ ქართველ ახალგაზრდა თავადს ზაქარია ფალავანდიშვილს ყველგან გამყოლოდა და ყოველივე ეჩვენებინა, რაც ჩემთვის საინტერესო იქნებოდა.

ტფილისის მოსახლეობას რუსებისა და გერმანელების (ხელოსნები, მხატვრები, ვაჭრები და ა. შ.) გარდა, შეადგენენ სამი ეროვნების ხალხები – ქართველები, თათრები და სომხები. ქართველები წარმოადგენენ ნაწილობრივ მრავალრიცხოვან თავად-აზნაურობას, ნაწილობრივ მებაღეებს; ასევე საკმაოდაა ღარიბები და ლატაკები. თათრები არიან ხელოსნები, მჭედლები, უნაგირების ოსტატები და ა. შ. სომხები თითქმის ყველა ვაჭარია. ტფილისი არის აზიისა და ევროპის გზასაყარი (20-30 წლის წინათ უფრო მეტად, ვიდრე ამჟამად). ახლა ინგლისსა და საფრანგეთიდან ინდოეთისკენ გზა მიდის ალექსანდრიაზე გავლით (ორთქლის გემებით ნითელ ზღვაზე); უწინ კი ის მიემართებოდა ტფილისზე სპარსეთის ზღვის ყურისკენ. მაგრამ დღესაც ცოტაა ისეთი ქალაქი, რომელშიც ამდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყრიდეს თავს: რუსები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, სპარსელები, თურქები, თათრები, სომხები, ქურთები, უზბეკები და კავკასიის ყველა ხალხები. ასევე ყველანაირი სარწმუნოება გვხვდება: რომაული, ბერძნული, სომხური ეკლესიის ქრისტიანები, ყველა ჯურის პროტესტანტი, სუნიტი და შიიტი მაჰმადიანები, ებრაელთა სხვადასხვა სექტები და თვით წარმართებიც.

ჩვენ დავათვალიერეთ ამ ხალხების საცხოვრებლები. თათრებმა არ მოიხურვეს შევეშვით სახლებში; სომხებთან ჩვენ ვნახეთ მათი სავაჭრო დუქნები და მხოლოდ სასტუმრო ოთახები. ქართველმა ღარიბებმაც დიდი გაჭირვებით შეგვიშვეს თავიანთ „სახლში“ (მათთან სახლი მხოლოდ ერთ ოთახს შეიცავს). ისინი ძალზე ღარიბულია; შუაგულში პატარა კერაა, რომლის თავზეც ჭერში ხვრელია კვამლის

გასასვლელად. კერის ერთ მხარეს ერთგვარი სკივრია ლოგინის ჩა-  
საწყობად (სალოგინე); მეორე მხარეზე კი დგას კიდობანი – პურისა  
და სანოვაგის შესანახად. მხოლოდ კარის ორი ძელი (ბოძი) იყო მორ-  
თული ცოტა ჩუქურთმით. ძალზე მოხერხებული აკვანი ეკიდა ელას-  
ტიურ ღერძზე. საღამოს, დილას და ღამის ერთ ნაწილს ქართველები  
(განსაკუთრებით ქალები) ატარებენ ბრტყელ სახურავზე ან აივანზე  
(ჩარდახი). არაა იმაზე უკეთესი სანახაობა, როგორც ზაფხულის  
მშვენიერ საღამოს ქუჩაში სეირნობისას ამ ერთთავად წარმტაცი  
ქალების ცქერა, რომლებიც, ღამაზ ნაციონალურ ტანსაცმელში  
გამონყობილნი, თავიანთ აივნებზე (ბანზე) მიდიმოდიან, თამაშობენ,  
მღერიან და გამვლელებს ეკეკლუცებია!

განსაკუთრებით სტუმართმოყვრულად მიმიღეს ერთი დიდე-  
ბული ქართველის ოჯახში. მას ერქვა ლორისმელიქოვი (მის გვარს  
უნინ ეკუთვნოდა ლორეს მხარე ერევნისკენ გზაზე). მისი სახლი იყო  
ნამდვილი ძველი ქართველი წარჩინებულის საცხოვრებლის ტიპისა,  
ეროვნული სასახლისა. ამჟამინდელი ადრე მეფეებს ემსახურებოდა  
საზეიმო მიღებისას, ქორწილებისას და ა. შ. სახლი წარმოადგენდა  
დიდ ოთხკუთხედს შუაში ვრცელი დარბაზით; კამარებიანი, მრგვალი,  
ორ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათით, რომელიც შუაგულში მრგვ-  
ლად იყო გახსნილი, საიდანაც შუქი შემოდისოდა. ამ დარბაზიდან  
ქვემოთ და მეორე სართულზე (ირგვლივ შემოვლებული გალერეით)  
კარებით შეიძლებოდა გასვლა მრავალ პატარა ოთახში, რომელ-  
თაც ამ მხარეს (ქუჩისკენ) ფანჯრებიც ჰქონდა. მსგავსი სახლები  
ტფილისში ძალზე ცოტაა. ქართველ დიდებულთა ახალი შენობები  
ერთთავად ევროპული ყაიდისაა. აღწერილი სახლი უფრო მეტად  
თავისებური და ორიგინალურია, ვიდრე შთამბეჭდავი და დიდებუ-  
ლი, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ყველა აზიურ შენობას ახასიათებს,  
რომლებიც არ განეკუთვნება ანტიკურ ხანას. ახალი შენობების ქვის  
წყობა ტფილისში, განსაკუთრებით თალები, საუცხოოა; გაცილებით  
უკეთესია, ვიდრე რუსული შენობებისა. მე გავიგე, რომ ამისთვის  
მოჰყავთ სპარსელი კალატოზები (ქვის ოსტატები), რომლებიც აზი-  
აში საუკეთესონი არიან. მათ ალბათ შემოინახეს ანტიკური შენო-  
ბების აგების წესები და კირის (დულაბი – გ. გ.) საიდუმლო! – ისინი  
დღიურად იღებენ 1 ½ მანეთს ვერცხლით.





მე შევედი ერთ სომხურ დუქანში ზოგი წვრილმანის საყიდლად. ეშმაკმა სომეხმა ძალზე მოხერხებულად და სწრაფად გამაცურა და მომატყუა. სომხები შეადგენენ ტფილისის მოსახლეობის 1/3-ზე მეტს (10000-ზე მეტი); ისინი არიან საქმიანი, ბეჯითები, ანგარიშიანი (სპეკულანტური); ისინი თანდათან ეუფლებიან ზარმაცი, უსაქმო ქართველების ქონებას – შესყიდვით, არენდით, გირაოთი და ა. შ., რის გამოც ძალზე სძულთ.<sup>1</sup> ქართველებს აქვთ პატიოსნის სახელი, მხოლოდ ერთი გამონაკლისით – უბრალო ქართველი სიამოვნებით იპარავს თაფლსა და ფუტკარს. სომხები, ჩვეულებრივ, მატყუარები არიან. მაგრამ ამ ორ ხალხში იშვიათად ნახავ ქურდს მაშინ, როცა თათრები სიამოვნებით ქურდობენ – განსაკუთრებით საქონელს იპარავენ, ყველაზე მეტად კი ცხენს! – ისინი უწყვეტად არ შრომობენ; მინათმოქმედებას იმდენად მისდევენ, რასაც მათი საჭიროება მოითხოვს; ეწევიან მესაქონლეობას და მომთაბარულ ცხოვრებას; თუ არ ჰყავთ საკუთარი ფარები, ქირით მწყემსობენ; უფრო მეტად კი მეეტლეობას ეტანებიან! საკვების მხრივ, მცირით კმაყოფილებიან, ოღონდ ცხენის ხორცი არ უნდა დაანახოთ!

ბ-ნმა ზალცმანმა მითხრა, რომ 25 წლის წინ ტფილისში მხოლოდ სამი სახაზინო შენობა იყო, ისიც ერთსართულიანი, ევროპუ-

<sup>1</sup> ქართველების გარეგნობისა და ხასიათის შესახებ მე იმაზე მეტის თქმა არ შემიძლია, რასაც ადრინდელი მოგზაური შევალეე გამბა იძლევა (ტ. II, გვ. 186). „ქართველი ტანმალალია და ძლიერი; შავი ლამაზი თვალის ჭრილით, არნივის ცხვირი უფრო ებრაული მოყვანილობისაა და არა რომაული. დაბადებით მეომარი, უმამაცესი ჯარისკაცი და მხედარი. ოღონდ უფრო განვრთნილია და შეჩვეული შინა ომებში, ვიდრე რეგულარულ ბრძოლებსა და დიდ ომებში. – სპარსეთის ჯარში ადრე ისინი ქმნიდნენ საგანგებო დივიზიას (ელიტას), რომელიც ბრძოლებს იგებდა. გულადი, ხშირად უხეში, სტუმართმოყვარე, მაგრამ მცირედ მოლაპარაკე (სიტყვაძუნნი); ჭკვიანი, მაგრამ გაუნათლებელი თავადები და აზნაურები უჩიოდნენ მშვიდობიან უსაქმობას. – თუკი რუსეთი მოინდომებდა სერიოზულად აზიის ორივე მაჰმადიანურ სახელმწიფოზე თავდასხმას, იგი ადვილად შეკრებდა აქ საუცხოო ჯარს (ამ ომისთვის მორგებულს, ვიდრე ევროპულია). – ხალხი მინათმოქმედია და ეწევა ხელოსნობას. ეჯავრება ვაჭრობა და ყოველგვარი ანგარიშიანობა (სპეკულაცია). – ქართველ ქალთა სილამაზე საქვეყნოდაა განთქმული“.



ლად ნაგები - გუბერნატორის, პოლიციისა და კომენდანტი-სახლებს თითქმის არ ჰქონდათ მაშინ მიწები და ზამთრობით ფანჯრების ქრილებს გაზეთილი ქალაქით აკრავდნენ; ზაფხულობით ღიას სტოვებდნენ. ბაზარიც შედგებოდა ერთსართულიანი დუქნებისაგან.

მაშინ ქართულ ტანსაცმელს ატარებდა ყველა ფენის წარმომადგენელი. თავდაპირველად ქალთა სამოსში შემოვიდა პატარა ცვლილება. პირველები ქუჩის ქალები იყვნენ, რომლებმაც თეთრი წინდები და ევროპული ფეხსაცმელები ჩაიცვეს მაშინ, როცა ქართულ სამოსს მხოლოდ ტყავის ამოქარგული წალები წარმოადგენს, ხოლო გარეთ (ქუჩაში) კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები.

თავდაპირველად თითით უჩვენებდნენ ევროპულს, ახლა კი მაღალ ფენებში თითქმის საყოველთაოდაა ევროპული ფეხსამოსი გავრცელებული, საშუალოში კი უკვე საკმაოდ. მხოლოდ ლამაზი ქართული თავსაბურავი - გრძლად ჩამოშვებული თეთრი გაზის პირბადის (ჩადრი) ჩათვლით, გვხვდება მაღალ და დაბალ საზოგადოებაშიც. აღსანიშნავია, რომ ტანსაცმლის გარდაქმნა და მოდერნიზება დაიწყო ფეხიდან, გერმანიაში კი - თავიდან (გლეხის გოგობმა და ქალებმა ჩვენთან ჯერ ძველი ეროვნული ქუდეები მოიხადეს და შიშველი თავით დაიწყეს სიარული, შემდეგ შემოვიდა ჩითის კაბა ნაცვლად თვითნაქსოვისა და ა. შ.).

ტფილისში უკვე არსებობს დიდი აღმზრდელობითი დაწესებულება, სადაც ქართველი ქალიშვილები ფრანგულად ლაპარაკობენ და ბალზაკის რომანებს კითხულობენ!

ბევრჯერ ვიყავი ბაზარში. აღმოსავლური ბაზარი არაჩვეულებრივად საინტერესოა. კვირა დღეს ქრისტიანები არ ვაჭრობენ, მხოლოდ თათრები; მაგრამ მოცლილი ხალხი ყველა მაინც ბაზარში იყრის თავს. - აქ შეგვხვდება დიდი ჯგუფი, მომღერალს რომ შემორტყმია გარს. ის მღერის სპარსულ, თათრულ, ქართულ სიმღერებს მეორე პირის თანხლებით, რომელიც უკრავს სამ სამკუთხა ინსტრუმენტზე. ისინი უმღერიან ან სიყვარულს, ან წარსულ გმირებს (ოღონდ არა თანამედროვეს!). მეორე ჯგუფი შეკრებილა ზღაპრებისა თუ ლეგენდების მთქმელთან.

აქ მე გავიგე საოცრად ადრეული ქორწინების შესახებ: სიონის გოგონებს უკვე ათხოვებენ. ჩვეულება იმ ხანას ეკუთვნის, როცა გოგონებს მაჰმადიანური ჰარამხანებისთვის ყიდდნენ. ქართველი მეფეები შემოსავალს იქიდანაც იღებდნენ, რომ თავიანთ ქვეშევრდომთა ქალიშვილებს იტაცებდნენ და ყიდდნენ. მაჰმადიან ქალებს არასდროს ყიდულობენ, რადგან მათ არ თვლიან ჰარამხანის ღირსად; ამიტომ მშობლები თავიანთ ქალიშვილებს რაც შეიძლება ადრე ათხოვებენ, რომ ხელი შეუშალონ მათ მოტაცებას. რუსულმა კანონმა და მიტროპოლიტმა ახლახან აკრძალა გათხოვება სრული 12 წლის შესრულებამდე. მაგრამ ვინ დაძლევს ფესვმაგარ უკულმართობას უცბად და გადაჭრით! – ამის შედეგი უნდა იყოს ქალთა სქესის (განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების) ადრეული სიკვდილი ამ მხარეებში.

12 აგვისტოს მე ვესტუმრე კავკასიის გენერალ-გუბერნატორს, ჯარის მთავარსარდალს და ა. შ. გენერალ ფონ ნაირატს (ნაიდ-ჰარდტი – 1843-44 წწ. – გ. გ.). მან ამ წელს მიიღო სარდლობა და, აქაური წესების მიხედვით, როცა ცხელი თვეებია, ცხოვრობდა არა ტფილისში, არამედ მალლა, სადაც პრიუტის მთაზე გენერალ-გუბერნატორებისთვის აღმართულია და გაშენებული ვილა და სხვა დამხმარე შენობები. გზა იქითკენ რომანტიკულია, საუცხოო მთის პეიზაჟებით; შეგვხვდა რამდენიმე მთის ციხეთა ნანგრევები; მშვენიერ ფოთლოვან ტყეებს სცვლიდნენ წიწვიანები. გერმანული კოლონია დავინახეთ მარჯვნივ დაბლობზე. შუა გზაზე იდგა ქარვასლისა თუ სასტუმროს მსგავსი შენობა, სადაც ცოტა შევისვენეთ; სტეპის ძალის ჯიშის ექვსი ქოფაკი იცავდა და დარაჯობდა სახლს. როცა ჩვენ გამგზავრებას ვაპირებდით, ცხენებით მოიჭრა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი თავადი მშვენიერი ქალიშვილითა და მსახურით. ქალიშვილმა ცხენი ადგილზე გააქვავა და საოცარი სიმსუბუქითა და გრაციით ჩამოხტა. მას განყვეტოდა უნაგირის სამაგრი ღვედი, რომელიც შეაკეთა მამისა თუ ძმის და მსახურის დახმარების გარეშე; ისევე მსუბუქად მოახტა ცხენს და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ! თითქოს შუა საუკუნეების ცოცხალმა სურათმა გავგიქროლა თვალწინ!

გენერალი ნაიდჰარდტი 1813-15 წლებში გერმანიასა და საფრანგეთში ომობდა; მას ჰქონდა სახელი ჭკვიანი, ენერგიული და პირდაპირი კაცისა; იყო ნიჭიერი გენერალი, მაგრამ, საუბედუროდ, მომდევნო წელს უკან გაიწვიეს და შეცვალეს თავადი ვორონცოვით. ნაიდჰარდტმა მეორე დღეს მიმინვია განსაკუთრებულ ზეიმზე ტფილისში, კერძოდ, სპარსელი ელჩის მიღებაზე.

კავკასიის გენერალ-გუბერნატორს უკავია ვიცემეფის თანამდებობა (ადგილი), რაც აზიელ მეზობლებზე – თურქებსა და სპარსელებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას უყურებენ და უკავშირდებიან როგორც მმართველს. ახლად მოსული გენერალ-გუბერნატორი ყოველთვის გზავნის ოფიცრებისგან შემდგარ პატარა ელჩობას თეირანში, რათა სპარსეთის შაჰს აცნობოს თავისი დადგინება. შაჰიც საპასუხოდ თავის პირად ელჩს გზავნის ტფილისში, რათა ახალ გენერალ-გუბერნატორს მიულოცოს; ამასთან არ ავინყდება, რომ გამოუგზავნოს სპარსული „მზის“ ორდენი.

აღნიშნულ დღეს 12 საათზე ჩვენ ყველა შევიკრიბეთ გენერალ-გუბერნატორის სასახლის დიდ დარბაზში; გარეთ, მოედანზე იდგნენ რაზმები თავისი მუსიკოსთა გუნდით. როცა ელჩი მოვიდა, გენერალ-გუბერნატორი მას შეხვდა დარბაზის კართან, რომელიც სავსე იყო გენერლებით, ოფიცრებითა და ქართველი დიდებულებით. – სპარსელი იყო მაღალი, გამხდარი, მაგრამ კუნთიანი აღნაგობის კაცი მკვეთრი სახის ნაკვთებით. მისი მუქი ყავისფერი სახე მაღალი შავი ქუდით ქმნიდა საოცარ კონტრასტს გრძლად ჩამოშვებულ თოვლივით თეთრ სამოსთან. ის თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და თავი ეჭირა ზრდილობიანად და თამამად. ის იჯდა გენერალთან ერთად დივანზე და ესაუბრებოდა თამამად.

აქ მე გავიცანი რამდენიმე რუსი ოფიცერი, რომელთაგანაც ბევრი საინტერესო ცნობა მივიღე.<sup>1</sup>

<sup>1</sup> აქ მოვიყვან ერთ ანეკდოტს 1828 წლის თურქეთის ომიდან და მცირე ცნობებს ახალციხის შესახებ... ეს გავიგე ომის მონაწილეთაგან. რუსთა მონინავე რაზმი მიაღვა თურქთა პატარა სიმაგრეს ახალქალაქს. სიმაგრეები სუსტი და მორყეული იყო; გარნიზონი შედგებოდა 1000 კაცისა და 14 ქვემეხისგან. როცა რუსები მიაღწენ, სამარისებური სიჩუ-





რუსულ არმიას ტრანსკავკასიაში (იმ ნაწილების ჩათვლით, რომლებიც მთიელების წინააღმდეგ დგანან) განსხვავებული პოზიცია უკავია, ვიდრე საკუთრივ რუსეთში; ის მრავალი წელია უცვლელად გარნიზონის მდგომარეობაშია დაპყრობილ ქვეყანაში! მე ზემოთაც აღვნიშნე, რომ მთელი მმართველობა სამხედრო ძალას ემყარება, რის გამოც ქვეყანა ოხრავს, მაგრამ არმია, განსაკუთრებით კი ოფიცრები ჯიუტად იცავენ (ასრულებენ) მას. ეს მათს ინტერესებშია! მე

მე იდგა. ორიოდე შტაბსოფიცერი ორი რუსი მესაყვირის თანხლებით გამოვიდნენ და თარჯიმანმა თურქებს უბრძანა კარის გაღება. უცბად კედელზე ორი წითელი დროშა აფრიალდა, თურქთა მეთაური გამოჩნდა და რუსებს დაუყვირა: „ჩვენ ყარსისა და ერევნის მებრძოლები კი არ ვართ, ჩვენ ვეკუთვნით ახალციხის მეომრებს. აქ არც ქალები და არც ბავშვები არ არიან; ჩვენ დავიხოცებით სიმაგრის კედლებთან, მაგრამ უბრძოლველად არ დაგნებდებით. ძველი ანდაზა ამბობს: ერთი ახალციხელი მეომარი უდრის ორ ყარსელს და სამ ერევნელს. ამ თქმას ტყუილით არ შევარცხვენთ!“ რუსებმა დაიწყეს იერიში. მკაფიოდ ისმოდა თურქთა დატირების სიმღერა (საგოდებელი), რაც მალაღებელი მოლას სიტყვების პასუხი იყო. გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსები შეიჭრნენ შიგ; არც ერთ თურქს პატიება არ უთხოვია, ყველა იქ დარჩა!

ახალციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქებისათვის. აქედან იპყრობდნენ და ძარცვავდნენ ისინი დასავლეთ კავკასიის სამხრეთით მდებარე ყველა მიწებს. მათი ბელადები აქედან აქეზებდნენ ჩერქეზთა და ლეკთა მებრძოლ სულს; ახალციხის ფაშას დროშის ქვეშ ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ ლეკები მდიდარ ქართლს (გეორგიას). ოსები, დიდოელები, ჭარელები დაუსჯელად აწვებოდნენ მტკვრისა და ალაზნის ველებს, როგორც ღრუბლები. მოტაცებული ქალ-ვაჟი, როგორც ძვირფასი საქონელი, მიჰყავდათ ახალციხეში, სადაც ტყვეთა დიდი ბაზარი იყო; აქედან ეს საქონელი გადიოდა არზრუმში, ტრაპიზონში, თეირანში, კონსტანტინოპოლში. ძირითადად სომხები ეწეოდნენ ამ სახის ვაჭრობას.

ახალციხე ასევე მნიშვნელოვანი იყო რუსებისთვისაც. სისხლისმღვრელი წინააღმდეგობის შემდეგ მათ აიღეს ციხე. 250-წლიანი ფლობის შემდეგ თურქებმა დაკარგეს ეს მნიშვნელოვანი პუნქტი. ყველა თურქი მცირე აზიაში გაიქცა. ქალაქში უნდა იყოს 16000 მცხოვრები, რვა ეკლესია, ერთი ებრაელთა სინაგოგა (კაჰალი) და ერთიც მაჰმადიანთა მეჩეთი.

შევიტყვე, თუ როგორ უნდა დაპირისპირებოდა ამ ინტერესებს შანი ფონ შანის საორგანიზაციო გეგმა (პროექტი).<sup>1</sup>

...ამასთან შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ზოგიერთი პოლიტიკური მიზეზით ამბობენ სისტემის შენარჩუნებას. თავადი ვორონცოვის ძლიერი პიროვნება, რომელშიც შერწყმულია საუცხოო ევროპული განათლება და ენერჯია, თუკი შეიძლებს ამაყი დამოუკიდებლობის ახლებურ ორგანიზაციას, ანდა, სულ მცირე, თვალში საცემ ბოროტმოქმედებათა ნაწილობრივ მოსპობას მაინც, ამას დრო გვიჩვენებს.

რუსული არმიების ცხოვრება და პოზიცია ერთგვარად ნააგავს რომაული ლეგიონებისას, რომლებიც მტრის თავდასხმის მოლოდინში მყოფ სასაზღვრო მხარეებში იყვნენ განლაგებულნი.

ძველი და ახალი მოგზაურები ბევრს ლაპარაკობენ ტრანსკავკასიაში გაბატონებულ ბოროტმოქმედებებზე, მოსყიდვებზე, ძალადობაზე, ყოველგვარ ინტრიგებზე. მეც საკმაოდ მესმა ამის შესახებ,

---

<sup>1</sup> გენერალი თავადი ციციანოვი იყო პირველი, რომელმაც დიდი ენერჯით წარმოთქვა, რომ საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების განცალკევება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუდამ დიდი დანაშაულებები იბატონებსო. მაგ., თუ დაბალი რანგის სამხედრო იმავ დროს სამოქალაქო მმართველიც იქნება, ის თავისზე მაღლა მდგომის მოთხოვნებს ვერ გაუწევს წინააღმდეგობას. სამხედრო სარდლებმა, სხვათა შორის, ხანების ძალაუფლება მაჰმადიანურ სამფლობელოებში დაამცირეს, რამაც ჩაგვრა გააძლიერა. ხანები მემკვიდრეობით იყვნენ; ისინი მომავალზე ფიქრობდნენ და, ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო ნაკლებ ჩაგრავდნენ; ამათ კი მომენტით ისარგებლეს! ფელდმარშალი პასკევიჩიც ამ აზრისა იყო. პეტერბურგიდან გამოგზავნეს ორი სენატორი ვითარების გასარკვევად, რომელთაც დიდი სისაძაგლეები ნახეს. მაშინ გამოგზავნეს ბარონი ფონ შანი, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, არაფერი გამოუვიდა და ყოველივე ძველებურად დარჩა. მმართველ სამხედროთათვის ძალზე ტყბილი იყო ემართათ მილიონები განუკითხავად. შედეგები კი საკმაოდ სავალალოა: ნაყოფიერი საქართველო, მშვიდობის მიუხედავად, მინათმოქმედების კულტურის მხრივ წინ არ მიდის – გლეხს მხოლოდ იმდენი პურეული მოჰყავს, რაც გამოსაკვებად ეყოფა, რადგან მეტი რომ მოინოს, წაართმევენ და მის მწვალებლებს გადააბარებენ! ამიტომაცაა, რომ წიადაგის ნაყოფიერების მიუხედავად, არმიას რუსეთიდან შემოტანილი სურსათით ინახავენ!

მაგრამ არც დრო, არც განწყობა, არც დავალება და მოწოდება არ მაქვს, რათა დავადიგნო სინამდვილე; არ მინდა სხვისი ნათქვამის გამეორება გამომივიდეს...

ადრე ჯარისკაცებს ყოველგვარ სამუშაოს ასრულებინებდნენ (განსაკუთრებით მინის), ძირითადად ოფიცერთა ინტერესებისთვის. იმპერატორმა პირადად, სადაც კი ეს გაიგო, შეურყეველი სიმკაცრით აღკვეთა და დასაჯა დამნაშავენი. ყვებიან ანეკდოტს, რომ მან ტფილისში სამხედრო ნაწილების წინ გენერალი მსგავსი დანაშაულისთვის ჩამოაქვეითა; მან, განადგურებულმა და მოხრილმა, უთხრა: „მეფევ, შენ სამართლიანი ხარ!“

იმპერატორმა ძალზე უხალისოდ მოისმინა, რომ ჯარისკაცებს იყენებდნენ საჯარო სამუშაოებზე – გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რაც ამ მხარის უდიდესი საჭიროებაა. მაგრამ საქმე გადადებას არ მოითხოვს. მაგ., დღემდე არ არსებობს წესიერი სამიმოსვლო გზა ტფილისიდან შავ ზღვამდე! ამ სამუშაოებს არასდროს ნამხდენი ზემოქმედება არ მოუხდენია ჯარისკაცებზე, ხელი არ შეუშლია დიდი სარგებლისათვის, რადგან მათ დღიურ საფასურს უკავებდნენ. სხვა დღიური მუშებიც არიან იქ, მაგრამ დიდ საფასურადაც ვერ ქირაობენ!

როგორც სამხედრო კოლონიებში, აქაც ვნახე პოლკებში მუშათა რაზმები. ხელოსნების დიდი ნაკლებობის დროს ჯარისკაცებს იყენებენ და აჩვენენ ყოველგვარი სახის ხელობას. ყოველნაირ ავეჯსა და ხელსაწყოს სოლიდურად ამზადებენ; სრულყოფილი ეტლების წარმოება და მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკები მუშაობს აქ! გაყიდვით შემოსული ფული გროვდება პოლკის სალაროში, რომელიც უშუალოდ ჯარისკაცების კონტროლქვეშაა მოქცეული. იმის უდიდესი ნაწილი, რასაც თითოეული იმსახურებს, სამუშაოს შემსრულებელს ეძლევა საჭიროებისათვის, დანარჩენი ამხანაგების დასახმარებლადაა განკუთვნილი. არიან ჯარისკაცები, რომლებიც ამ გზით სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ სამშობლოში 1000 ვერცხლის მანეთით ბრუნდებიან! რუს ჯარისკაცს არსად იმაზე ნაკლები სამხედრო ვარჯიში არ უწევს როგორც აქ. ამავე დროს, არა მარტო ნებას რთავენ, არამედ აიძულებენ ცოლის შერთვას; ასეთი ჯარისკაცები საუკეთესოდ გრძნობენ თავს, რადგან მათი ცოლები რეცხ-

ვით, კერვითა და ა. შ. ბევრ ფულს შოულობენ, რაც ასევე ნაწილის (პოლკი) სალაროში მიედინება. დაოჯახებული ჯარისკაცები იშვიათად ბრუნდებიან სამშობლოში; ისინი მეტწილად აქვე სახლდებიან პოლკის კოლონიაში. ყოველ პოლკს აქვს საკუთარი კოლონია, სადაც თადარიგში გასული ჯარისკაცები, თუკი სურთ, სახლდებიან. მე მითხრეს, რომ ეს კოლონიები იყვნენ წესრიგისა და უზრუნველყოფის ნიმუშები. აქ დასახლებულ ჯარისკაცს უფლება აქვს თავისი ცოლშვილი, თუკი ასეთი მას სამშობლოში ჰყავს, ხაზინის ხარჯებით ჩამოიყვანოს; ასევე და-ძმაც, როცა მათი სურვილიცაა.<sup>1</sup>

აქ მყოფი ყველა გენერალ-გუბერნატორიდან ჯარისკაცებისა და თვით ხალხის მეხსიერებაში ყველაზე მეტად გენერალი ერმოლოვი დარჩა. ყველას შეუძლია მის შესახებ რაიმე ამბავი მოგიყვეთ. დამოუკიდებელ მთიელებშიც კი უდიდესი აღიარება მოიპოვა, რადგან იცოდნენ, რომ მასთან იპოვიდნენ ულმოებელ და მიუკერძოებელ სამართალს. ყველა მისკენ მიემართებოდა საჩივრებით და ისიც, თუ შეეძლო, შველოდა. მაგრამ ერმოლოვი იყო შეუბრალებლად მკაცრი. როცა მთელი სოფელი, ანდა მისი მცხოვრები რაიმეს ჩაიდენდა, იყაჩაღებდა, მაშინვე ეკლესიის ანდა სამლოცველოს წინ მოედანს შემოაკავებინებდა, აღამართინებდა სახრჩობელას და დამნაშავეს ჩამოჰკიდებდა. თვით მტრულ მხარეში, ჩერქეზებთან ასეთ მოედნებს დღესაც ხელუხლებელს ვხვდებით! თუკი მძიმე ყაჩაღობა ან ქურდობა იყო ჩადენილი, ხოლო დამნაშავე უმალ არ გამოვლინდებოდა, მაშინ, მისი ბრძანებით, სოფელს ან მთელ მხარეს, რომელზეც ეჭვი ვრცელდებოდა (დამნაშავის იქიდან წარმომავლობის შესახებ), პასუხს აგებინებდნენ და ნავნებს ანაზღაურებინებდნენ. ამან ისე იმოქმედა, რომ ყაჩაღობაზე არაფერი ისმოდა. ერმოლოვამდე ქართველები არ იყვნენ

<sup>1</sup> კავალერი გამბა, რომელმაც 1820-24 წლებში იმოგზაურა კავკასიაში და რომლის სამოგზაურო აღწერილობაც 1826 წელს გამოიცა პარიზში, ამ სამხედრო მუშაკოლონიების შესახებ წერს: „ასეთი ორგანიზაციით რუსეთს შეეძლო გაეადვილებინა აზიის მომავალი დაპყრობა; მათი საშუალებით ახალი ქალაქები დაარსდებოდა ყველგან. დიდმა ალექსანდრემ სწორედ ეს ჩაიდინა; ამითი აიხსნება, რომ აზიაში შეჭრის ორი წლის მანძილზე 40-ზე მეტი ქალაქი დააარსა, რომელთაც თავისი სახელი შეარქვა.“



რუსული მთავრობის ერთგულნი. რუსეთმა აკრძალა ტყვეთა სყიდვა (რაც საქართველოში გაბატონებული იყო); ყოველ შემთხვევაში, საფუძველი ჩაუყარა კანონიერ მდგომარეობას და ერთგვარად ალაგმა თავად-აზნაურთა აღვირახსნილობა... ქართველებს გაუჩნდათ ზიზლი და გაბოროტება რუსების მიმართ, ნაცვლად იმისა, რომ შეგნებულად შეეხედათ, თუ როგორ იცავდნენ რუსები თურქების, სპარსელებისა და ლეკების მხრივ განადგურებისაგან. ერმოლოვმა გააღვიძა ხალხის მებრძოლი სული, რომელიც წარსული მუდმივი ბრძოლებისას, განსაკუთრებით ერეკლეს დროს, შეჩვეული იყო სათავგადასავლო ხიფათიან ცხოვრებას, ხოლო რუსთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში იძულებული იყო მშვიდად მჯდარიყო. ერმოლოვმა ეს მებრძოლი სული მიმართა მთის ხალხების წინააღმდეგ და განანყო ქართველები საბრძოლველად. მაგრამ ის შინაური საქმეებითაც იყო დაკავებული; 1823 წლის 8 ოქტომბრის „უკაზი“ ადასტურებს, თუ როგორ ცდილობდა ის ვაჭრობის განვითარებას.

მსგავსი სახელი დაიმკვიდრა გენერალმა ანრეჰმა, რომელიც 1840 წელს სამხრეთ ლეკურ ხაზზე იყო მეთაურად. სანამ ის იქ იყო, წვეთი სისხლი არ დაღვრილა. მან სამართლიანის ისეთი სახელი გაითქვა, რომ ირგვლივ მცხოვრები ხალხი, თვით მთის ყაჩაღებიც, მასთან მიდიოდნენ სამართლის საძიებლად. თითქმის ყოველდღე 8-11 საათი მოსამართლეობდა!

გენერალ ნაიდჰარდტის სალონში ყვებოდნენ ერთი ოფიცრის შესახებ (ბატონი ტირნაუდან), რომელიც ცოტა ხნის წინ ჩერქეზების (უფრო უკეთ უბილების) ტყვეობიდან განთავისუფლდა. მან უსაზღვროდ ბევრი განიცადა. ჩერქეზებმა მას დაადეს მძიმე ბორკილები და როცა დაიჩვილა, უთხრეს: „შენ რომ ქალი იყო, ყურის საგდებად ჩვენს ქალებს გადაგცემდით, მაგრამ, რადგან მამაკაცი ხარ, სად გაგონილა, რომ კაცმა მონობა მოითმინოს ჯაჭვების გარეშე!“ რა დიდებული ანტიკური თქმა და აზრია! საერთოდ ჩერქეზები არავის არ ექცევიან კარგად; თვით პოლონელებსაც, რომლებიც მათ მხარეზე გადავიდნენ, უყურებენ როგორც მონებს. ინგლისელი ბელი მათთან დიდხანს ცხოვრობდა. თავდაპირველად მას დიდ პატივს სცემდნენ, ხოლო, როცა ჩერქეზებმა დაინახეს, რომ მისი დაპირებები ინგლისელთა დახმარებისა და სხვათა შესახებ არ სრულდებოდა, იგი მოღალატედ ან ჯაშუშად ჩათვალეს და ბედს უნდა უმადლოდეს,

რომ ცოცხალი დაუძვრა მათ. თუმცა ჩერქეზთათვის დაბალი ჩადგმული მამაკაცი თავისი ტრაბახით, უზარმაზარი რაინდის ხმლით და მშვილდისრით სასაცილოც კი გამხდარიყო.

ჩემმა გამყოლმა გერმანელმა კოლონისტმა მიაბო, რომ ხშირად ყოფილა ჩერქეზებთან ცხენების საყიდლად. პატიოსანი გერმანელი კოლონისტების მიმართ ისინი განსაკუთრებით მეგობრულად არიან განწყობილნი და მისდამიც არასდროს უბოროტიათ. მისთვის ხშირად უთქვამთ, რომ კარგად ესმით, თუ როგორ კარგადაა მათ მიმართ მეფე პეტერბურგში განწყობილი, ხოლო რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები მათ ყველა ვითარებაში აწყენინებენ; წყენინებას კი უფრო ძნელად იტანენ, ვიდრე ყაჩაღობასა და ჩაგვრას. ისინი დიდი სიამოვნებით ჩავიდოდნენ რუსულ მხარეებში სავაჭროდ, მაგრამ, როგორც კი რუსულ ხაზს მიადგებიან, იარალს ართმევენ და უიარალოდ უშვებენ. უკან დაბრუნებისას კი აღარ უბრუნებენ ჩამორთმეულ იარალს, რაც მათი მემკვიდრეობაა და ყველაზე მეტად პატივსაცემი. მეტიც, ხშირად გასამახარაველად მათრახსაც ჰკრავდნენ, რასაც ვერც ერთი კაცი ვერ იტანს!

სამეგრელოში, ქართლში (უნდა იყოს გურია – გ. გ. Gursien), იმერეთში შეიძლება საკმაოდ უხიფათოდ მოგზაურობა; ყაჩაღური თავდასხმების შესახებ არაფერი ისმის. ასევე თვით ქართლშიც; მაგრამ, ყველგან, სადაც თათრული მოსახლეობა ჩნდება, ყაჩაღობა ხშირია. ტფილისიდან ნახევარი საათის სავალზე სასეირნოდ კბილებამდე შეუიარაღებელი ვერ ნახვალ. ხალხი განსაკუთრებით სიამოვნებით ყაჩაღთა თავგადასავლებს გიამბობს – ესაა უკანასკნელი გამოძახილი საგმირო (ჰეროიკული) დროებისა, რადგან მეტი ისტორია აღარ აქვს! ამ მოთხრობებში ხშირად ამაყი პოეტური გმირული სული

<sup>1</sup> გმირული წარსულის საკმაო საბუთია ძველი ციხე-კოშკები და ციხის გალავნები, რაც ამ ქვეყანაში ყველგან გვხვდება. ისინი მე-18 საუკუნემდე აღწევს, როცა თურქებთან და სპარსელებთან ომები ყველგან იძლეოდა გმირობის ჩადენისა და ჩვენების საშუალებას. ხალხმა ბევრი მაგალითი შემოინახა, მაგრამ ჩანერილი ძალზე მცირე მათგანია. იყო დრო, რომ ყველგან შეეგროვებინათ ისინი, სანამ დაივინებდნენ ან დაიკარგებოდნენ. აქ მე მოვიტან ხალხის მიერ მოთხრობილს და ჩემი მეგობრის, გრაფ ჰ-ს მიერ ჩემთვის ნაამბობ ისტორიას:

უბერავს, რაც მოწმობაა ამ ხალხის კეთილშობილებისა და მსლალი ნიჭისა. ამის მაგალითს იძლევა ყაჩალი არსენას ამბავი.

ტფილისელი მედუქნე არსენა წესიერ კაცად იყო ცნობილი. მას შეუყვარდა თავადი ბარათოვის<sup>1</sup> ყმის ქალიშვილი. თავადმა მას ქორნილის ნება არ მისცა, თუკი არსენა გოგოს ყმობიდან არ გამოისყიდდა. არსენა ერთი წელი დაძაბულად მუშაობდა და სათანადო თანხა შეაგროვა, მაგრამ თავადმა ახალი საბაბი და პირობები წაუყენა. მაშინ არსენამ თავადს თავლიდან საუკეთესო ცხენი მოპარა, გაიტაცა გოგო და მთებს შეაფარა თავი. მაგრამ მას უღალატეს, დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სასჯელი მოიხადა და განთავისუფლდა, გაიგო, რომ ბატონს მისი შეყვარებული სხვაზე მიეთხოვებინა. არსენამ ქალაქი მიატოვა, წავიდა მთებში და ყაჩაღად იქცა. რამდენიმე წლის მანძილზე მთელი ტფილისის შემოგარენი შიშში ჰყავდა. მისი ამაყი, გულადი ხასიათის შესახებ ბევრს ყვებიან. მასში სიმამაცე, ჯიუტი ვაჟკაცობა შერწყმული იყო გოლიათურ ძალასთან, რის გამოც მეტოქე არ მოეძებნებოდა, სადაც კი მის სახელს ახსენებდნენ. ის არ იღებდა იმაზე მეტს, რაც სჭირდებოდა. მაგალითად, ერთ ვაჭარს, რომელსაც ბევრი ფული მიჰქონდა, იარაღი

---

[შემდეგ მოთხრობილია ახალციხის ათაბაგების კუთვნილების შესახებ და ამბავი, რაც ყვარყვარე ათაბაგმა გაუკეთა ერთ შაქელ ვაჭარს, რომელმაც ათაბაგის ვაჭარი გაძარცვა და პატრონთან დააბარა: „თუკი ის მშიშარა არაა, ჩამოვიდეს და ბაზარში ჩემს დუქანზე ყურით ჩამომკიდოსო“. ათაბაგმა ილაშქრა შაქზე 500 კაცით და შეუსრულა „თხოვნა“ ვაჭარს...

შემდეგ 1579 წლის შემდგომი ამბებია მოკლედ: მანუჩარ ათაბაგი და ა. შ. აქვეა დავით კურაპალატის შესახებაც ნათქვამი... გ. გ.]

<sup>1</sup> ამ გვარის შტო ბ-ნი ფონ ჰ-ს მიერ მოცემული ცნობით, ამჟამად რუსეთში ცხოვრობს ბარათიევ-დოლგორუკის გვარით. გვარის მიხედვით ის წარმომდგარი უნდა იყოს არტაქსერქსე-ლონგიმანუსიდან, რის გამოც მიიღო ზედსახელი დოლგორუკი – მხარგრძელი. ეს გვარი არ უნდა აეურიოთ ვარიანთა მეთაურ რიურიკიდან მომდინარე დოლგორუკებში, რომლებიც რუსეთშია. თავადი აფხაზოვი სიღნაღში ამტკიცებდა, რომ ბარათოვებს კი არ აქვთ ზედსახელი დოლგორუკი, არამედ ფავლენოვის გვარს. სომხეთშიც ყოფილა თავადური გვარი, რომელსაც აქვს ზედსახელი დოლგორუკი, სახელდობრ, არლუთინსკი-დოლგორუკი.

აჰყარა და უბრძანა აქა და აქ მიეტანა ოთხი მანეთი და მისი ვალი გადაეხადა! არსენას თავისთვის ჯილდო იყო დანესებული, მაგრამ დიდხანს არავინ ჩანდა მისი მიღების მსურველი. ბოლოს ეს სურვილი აღედგრა არსენას ნათლიმამას. თითქოსდა შინაურ საქმეებზე მოსათათბირებლად, მან ის მიიტყუა თავის სახლში. არსენამ ხმალი კედელზე დაკიდა; მასპინძელმა ღვინო მიაძალა. „რა ცოცვა და სირბილია სახლის გარშემო?“ მასპინძელი გაფითრდა; არსენამ დაიკვირა: „ღალატია!“ უხმლოდ გამოვარდა გარეთ, მოახტა კარზე მიბმულ ცხენს და გაქუსლა! ტყვიები ნივილით მისდევდა; ისიც და ცხენიც დაიჭრნენ, მაგრამ გადარჩნენ. მას შემდეგ ნათლიმამას სიკვდილივით ეშინოდა გამოჩენის; იმალებოდა როგორც შეეძლო და ეძინა იქ, სადაც ბევრი ხალხი იყო ირგვლივ. მალე დადგა ცნობილი წმინდა დღეობა მარტყოფში, სადაც უეცრად გამოჩნდა არსენა მოსანათლთა შორის, რომელთაგან ნახევარი მას, რა თქმა უნდა, იცნობდა! მაგრამ არავინ შეიმჩნია ეს. იგი მივიდა თავად ორბელიანთან, რომელიც ოჯახთან ერთად იმყოფებოდა იქ და სთხოვა ჭიქა ღვინო. თავადმა გაუწოდა მას ის. „მიცნობ მე?“ ჰკითხა არსენამ. – „როგორ არა, შენ არსენა ხარ!“ – „მაშინ გთხოვ (და მიუთითა ახლოს მჯდომ მოხელეზე), თავისი ხმალი მაჩუქოს!“ – „შენ თვით უთხარი!“ – არსენამ გააკეთა ეს; მოხელემ თამამ მოთხოვნაზე უარი უთხრა. მაშინ თავადი მივიდა მასთან, ორიოდე სიტყვა უჩურჩულა, რის შემდეგაც მან არსენას უმალ გადასცა ხმალი.

ცოტა ხნის შემდეგ ცოტა შემთვრალი არსენა კვლავ მივიდა თავად ორბელიანთან და უთხრა: „შენი დამბაჩა ძალზე მომწონს, მაჩუქე!“ თავადმა შეაყენა ჩახმახი, დაუმიზნა არსენას და უპასუხა: „მიიღე!“ არსენა მიიჭრა მისკენ; მაშინ ახალგაზრდა ქალბატონი მკლავზე ეცა თავადს და შეჰყვირა: „ოღონდ ამ წმინდა დღეს უსისხლოდ!“ – მაშინ არსენა მიუბრუნდა ქალბატონს: „თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ, ნება მიბოძეთ თქვენს კალთას და ხელს ვეამბორო!“ და მაშინვე ხალხში გაუჩინარდა. მეორე დღეს მან ხმალი დააბრუნა: „ასეთ წმინდა დღეს არ შეიძლება უსამართლობის ჩადენა!“

როცა პრიუტისკენ მიმავალი ოფიცრები მას ხვდებოდნენ, არაფერს უშავებდა; ბევრჯერ საუზმეზე პატიუებდა, რაზეც ისინი ყოველთვის თანხმდებოდნენ.





ბოლოს არსენა ორთაბრძოლაში დაეცა. ის იჯდა ტფილისის შემოგარენში გზაზე რამდენიმე ამხანაგთან ერთად. ამ დროს ჩამოიარა იმერელმა აზნაურმა თავისი მსახურით. არსენამ მიიწვია ის ღვინოსა და საუზმეზე, რაზეც უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ ძალზე საჩქარო საქმე ჰქონდა სასამართლოში და არავითარი შეყოვნება არ შეეძლო. როცა ის მოცილდა, ამხანაგებმა არსენას უთხრეს: „შენ გგონია, რომ მისი საბაბი მართალია? მას შენთან ყოფნისა რცხვენია და იმიტომ არ დალია!“ ... მაშინ არსენა თვალის დახამხამებაში მოახტა ცხენს, გამოეკიდა და ხელმეორედ სთხოვა აზნაურს დაბრუნებულიყო და მასთან ერთად ესაუზმა. „რადგან შენ მე მიბრძანებ და მემუქრები, ამას სულაც არ გავაკეთებ!“ არსენამ ხმალი იძრო, ასევე იმანაც და დაიწყო გააფთრებული ორთაბრძოლა. აზნაურის მსახური წყნარად იდგა. აზნაურს უკვე ორი ჭრილობიდან სდიოდა სისხლი, არსენა კი ჯერ არ დაჭრილიყო. მაშინ აზნაურმა დაუყვირა მსახურს: „როდემდე უნდა უყურო მშვიდად, თუ როგორ კლავენ შენ ბატონს?“ ამ ცივისსხლიანმა დაუმიზნა თოფი და ზურგიდან ესროლა არსენას თავში, რის შედეგადაც ის მაშინვე უსულოდ დაეცა ძირს.

მე ეს ამბავი სიტყვა-სიტყვით ჩავინერე, როგორც პეტერ ნოიმ და ბ-ნმა ფონ კ-მ მიაშვს. სრულებით არ შემილამაზებია. უნდა ვაღიაროთ, რომ ხალხს, რომელშიც გონება და გრძნობა ცხოვრებიდან ვითარდება (როგორც ეს მოცემულ ამბავშია), უნარი შესწევს მთელი ევროპული, ანდა გერმანულ-რომანული კულტურა შეითვისოს და დამოუკიდებლად სრულყოს (განავითაროს).

ქართველები და ჩერქეზები არიან კავკასიის მხარის რაინდები (ერთნი ქრისტიანები, მეორენი მაჰმადიანები); ისინი ერთმანეთის გვერდით ისე დგანან, როგორც გოთები და მავრები ესპანეთში. ამ მხარის სხვა ორი ძირითადი მოსახლეობა შეიძლება ასე დავახასიათოთ: სომხები – ვაჭრები, თათრები – ხელოსნები, მეეტლეები, კურიერები ქვეყნის შიგნით. სომხებს ოდითგან არ ჰყავდათ აზნაურები; ახლა არის რამდენიმე თავადური ან მელიქის გვარი, რომლებიც ალბათ ძველი ნაცვლების გვარიდან უნდა წარმოსდგებოდნენ, რომელთა თანამდებობა მემკვიდრეობითი გახდა. ისინი, როგორც მე გავიგე, რუსეთმა ჩარიცხა აზნაურებში. თათრებს ჰყავთ გარკვეული რაოდენობა ბეგების ან ბეების გვარებისა (დალესტანში ამბობენ ბეგს,

შავ ზღვაზე – ბეის – ნიშნავს თავადს, მთავარს), რომელთაც ხალხი დიდ პატივს სცემს როგორც წარმოშობით დიდებულებს; წარმომავლობა სრული ბურუსითაა მოცული.

ქართველი ხალხის ორგანული დაყოფა და მთელი წყობა პრინციპულად და საფუძველში დიდად ჰგავს გერმანული თემებისას – ესაა ფეოდალური წყობა, მთლად გერმანულ-რომანულის ანალოგიური. ამ წყობაში აზნაურს (დიდებულს), შესაბამისად, თავისი მეფის ირგვლივ თავმოყრილს, პირველი ადგილი უკავია როგორც შიგნით, ისე გარეთაც. ქართველი აზნაური იყო ნამდვილი ფეოდალ-წარჩინებული; იგი მეფეში ხედავს უმაღლეს მინათმფლობელს. დაბალი კლასები უფრო მაღალს ემსახურებოდნენ (? გვ. 97). ასევე იყვნენ გლეხები; ყმობის გარეშე წარჩინებულებს ახლდნენ ლაშქრად და უსრულებდნენ საბატონო სამუშაოს და უხდიდნენ გადასახადს. ქართველი წარჩინებულები სამ კლასად იყოფიან: დიდებული, თავადი და აზნაური. დიდებულების გვარები ქმნის წარჩინებულთა უმაღლეს ფენას; მათ შეიძლება სამეფო დიდებულები ვუნოდოთ; გადმოცემის მიხედვით, ისინი უნდა იყვნენ ქართლოსის<sup>1</sup> შთამომავლები (ეს იყო პირველი მეფე, რომელმაც თავისი საგვარეულო და ხალხი ამ ქვეყანაში მოიყვანა და დაეპატრონა. ქართლოსი იყო ერთ-ერთი რვა კავკასიელ პატრიარქთაგან, თარგამოსის ვაჟი, რომელიც ბიბლიით იყო ნოეს ვაჟის იაფეტის შვილიშვილი). დიდებულებს ჰქონდათ უფლება ეტარებინათ მთავრის (მოგვიანებით თავადი) ტიტული (ე. ი. ქვეყნის თავი); ამასთან, იმათ, რომელთაც ეკუთვნოდათ ქალაქი, ციხე, პატარა სამფლობელო, ერთი ან რამდენიმე ხევი და ა. შ., წარმოადგენდნენ სამეფო კარის დიდმოხელეებს. კარისა და საქვეყნო გამრიგე სამოხელეო თანამდებობებს დიდი მსგავსება აქვთ ადრე დასავლეთ ევროპაში გავრცელებულთან და არა ბიზანტიის კართან, რომელთანაც მრავალმხრივი ურთიერთობა და ქვეშევრდომობაც

<sup>1</sup> იხ. ვახტანგ V-ის (VI-ის – გ. გ.) საქართველოს ისტორია მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, ნაწილობრივ თარგმნილი კლაპროტის მიერ. II, გვ. 62. უაღრესად საინტერესო ისტორიული თქმულებები, რომელთა კრიტიკული გადამუშავება და შედარება სპარსულ და წინააზიურ თქმულებებთან საჭიროებს ისტორიის მკვლევართა ძალისხმევას.

ჰქონდათ. ასეთი თანამდებობა მრავლად იყო, მათგან უმნიშვნელოვანესი: Spobalaz (?) სამეფო კანცლერი, რომელიც სამეფო უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობდა; აბრამადი - სამეფოს ხაზინადარი; მსახურთუხუცესი (მსახურთა უფროსი); ფელდციოგმაისტერი (საჭურვლის უფროსი) - რომელიც განაგებს იარაღს და საბრძოლო საჭიროებებს; ციხეთა უფროსები (გუბერნატორები) მას ემორჩილებიან; ლაშქრის ობერგენერალი (მთავარსარდალი - გ. გ.); ობერჰოფმარშალი, სახლთუხუცესი (თუ ეზოსმოდღვარი - გ. გ.); უმაღლესი მოსამართლე (მდივანბეგი - გ. გ.); ამილახორი (კარის საჯინიბოს უფროსი); მონადირეთუხუცესი (უმაღლესი მეშვეარდნი); ეჯიბი (ობერკამერჰერი), რომელიც სასახლის ყველა მსახურის უფროსია; ის პასუხს აგებს სამეფო ბანკეტისთვის (მიღებისას); არცერთ შემამულეს არ შეეძლო მეფისთვის პირადად მოეხსენებინა. კარის უფრო დაბალი რანგის მოხელეებია ეზოსმოდღვარი (თუ სახლთუხუცესი? - გ. გ.), მეტაბლეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, ხაზინადარი, მესტუმრეთუხუცესი, ჯვარისმტვირთველი, რომელიც კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს მასპინძლობდნენ, ასევე საჭიროებისას აქვეყნებდნენ განაჩენს.<sup>1</sup>

ყველაზე ძლიერი დიდებულები, ანუ მთავრების გვარები იყვნენ და არიან ბარათაშვილები, რომლებსაც ეკუთვნოდა ტფილისის სამხრეთით ლორეს მხარე და ერთგვარ სუვერენულ ურთიერთობაში იყვნენ მეფესთან. შემდგომ ყაფლანიშვილები ანუ ორბელიანი, შემდგომ მათ დაბლა არლუთაშვილი, რომელთაც რუსეთში მიიღეს არლუთინსკი-დოლგორუკის გვარი; ზურაბაშვილები და კიდევ ალბათ ოცამდე სხვა.

წარჩინებულთა მეორე კლასი იყო თავადი. ისინი ნამდვილად პატარა სამფლობელოთა მმართველებისაგან წარმოსდგნენ. ეს მოხელეობა და პატივი დროთა ვითარებაში სამემკვიდრეოდ იქცა, როგორც ძველი გერმანელი გრაფები და ჰერცოგები. ადრე კი არ იყო მემკვიდრეობითი, როცა, მაგ., ერთი მმართველი (ერისთავი) მო-

<sup>1</sup> შეადარე: საქართველოს გეოგრაფიული აღწერა ბატონიშვილი ვახუშტისა, გამოცემული ორიგინალი ხელნაწერის მიხედვით მ. ბროსეს მიერ, პეტერბ., 1842.

კვებობდა, მეფეს უძღვნიდნენ მის ხმალს, საბრძოლო ცხენს (ბედაურს) და უფროს ვაჟს. თუკი მეფე მოისურვებდა, ან შესაფერისად და დამსახურებულად ჩათვლიდა, ამ ვაჟს უბოძებდა ერისთავობას და მსახურთუხუცესის ხელით, თავისი თანდასწრებით, მამის ხმალს შეაბამდა. თუ მეფე არ ცნობდა მას, მაშინ სხვა შესაფერის სახელოს გაუჩინდა; ბედაური კი მეფის საჯინბოში მიჰყავდათ. ბევრი ასეთი თავადური გვარი თავის თავს, მოკლედ, ერისთავს უწოდებს, რაც მმართველს ნიშნავს. ამიტომ ბევრ თავად ერისთავს ვხვდებით, რომლებიც ერთი გვარიდან არ არიან გამოსულნი. თავადთა ყველაზე ცნობილი გვარებია აბაშიძე, ფალავანდიშვილი, თუმანიშვილი, ციციშვილი, (ამჟამად რუსულ ყაიდაზე ციციანოვად წოდებული), ლიონიძე, სიდამონი და ა. შ. ქართლსა და კახეთში ბატონიშვილი ვახუშტი ითვლის 62 თავადურ გვარს.

ქართველ წარჩინებულთა მესამე კლასია აზნაური.<sup>1</sup> მაშინ, როცა პირველი ორი კლასი მეფის ვასალებია, ესენი წარმოადგენენ ნაწილობრივ მეფის, ნაწილობრივ წინა ორი ფენის, დაბოლოს, კათალიკოსისა და პატრიარქის მსახურ-მოხელეებს. ზემოდასახელებულმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ დაასახელა ქართლის მეფის 85 აზნაურთა გვარი, კათალიკოსისა - 13 და თავადთა 189 აზნაურული გვარი. ამათგან თავად ციციანოვს ჰყავს 34 ოჯახი, თავად ორბელიანს - 14. კახეთში იყო 24 აზნაურთა გვარი. ამათგან არცერთს არ ჰქონდა აზნაურის ტიტულის ტარების უფლება, თუ არ ექნებოდა ციხე ან სოფელი სრულ ან ნაწილობრივ მფლობელობაში და არ შეეძლებოდა დამოუკიდებლად ომში მხედრის, ცხენების და კარვის გამოყვანა. წარჩინებულთა თითოეულ ამ კლასს ამას გარდა ჰყავს განსაკუთრებული პირადი მსახურები, საჭურველთმცვირთველნი ან მხედარნი, ამაღა, რომლებიც გლეხებზე მაღლა დგანან და რომელთა

<sup>1</sup> ვახტანგ V (=VI-ს. - გ. გ.) თავის „საქართველოს ისტორიაში“ ამბობს: პირველმა დამოუკიდებელმა მეფემ ქართლისამ ფარნავაზმა, რომელიც პირველი ანტიოქოზის დროს ცხოვრობდა, „რომაელი“ მხედრები (ისინი მის მხარეზე გადავიდნენ აზონთან ომისას) დაასაჩუქრა, დაასახლა და აზნაურებად აქცია. საოცარია, ისეთივე მიდრეკილება რომელთაგან წარმოშობის სურვილისა, როგორც გერმანელ აზნაურებს მე-16 და მე-17 საუკუნეებში აქვთ.



რანგი წარჩინებულთა კლასს (რომელთაც ემსახურებიან) შევსება; მათ ჰქვიათ მსახური. მიწის მუშებს ჰქვიათ გლეხი, ნამდვილ მონებს – სამხედრო ტყვეებსა და მათ შთამომავლებს – მონა.

იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და სვანეთის წარჩინებულთა სამართლებრივი მდგომარეობა იგივეა, ოღონდ მე არ მაქვს ცნობები მათი რიცხვის შესახებ.

წარჩინებულები მხოლოდ ერთმანეთში ქორწინობდნენ; თვით კლასებიც გაყოფილია. სისხლის აღების გამოსასყიდი თითო წარჩინებულთა კლასისათვის სათანადო დიდი თანხით განიზომება (შესაბამის მომდევნო კლასთან შედარებით ორმაგი).

ამაყ მეომარ ქართველებს არც ხელოსნობა უყვართ და არც ვაჭრობა. ვაჭრობის გასაცხოველებლად ძველმა მეფეებმა მათ შორის ყველაზე ნაპატიებს „ვაჭრის“<sup>1</sup> ტიტული უბოძეს – რაც უტოლდება ჩვეულებრივ წარჩინებულს – აზნაურს. ეს კი უმეტესად სომხებს ეძლეოდათ, რომლებიც უხსოვარი დროიდან სახლობდნენ ქართულ ქალაქებში. მათთან მოიძიება სამეფო სიგელები და საბუთები, რომლებიც ხანდახან 600 წლისაც არიან; ერთი ასეთი მე გორში ვნახე. ვასალები (მსახურები), მოხელეები და ამაღლა, საერთოდ სამხედრო ძალა საკუთრივ გეორგიაში (ქართლი და კახეთი) ოთხ სადროშოდ იყოფოდა: პირველი, ანუ სამხრეთის, ქმნიდა ავანგარდს (მენინავე – გ. გ.); ის მოიცავდა სამფლობელოებს – გუჯარეთი, ახალციხე და სომხითი; მარჯვენა ფრთას, ანუ მეორე სადროშოს, შეადგენდნენ ვასალები და მოლაშქრეები ლიხის მთებიდან და აფხაზ-ჯიქები. მემარცხენე სადროშოს შეადგენდნენ მოლაშქრეები ჰერეთიდან და კახეთიდან; დაბოლოს, ცენტრში იდგა ქართლის მეფის სადროშო. ამ მხედრებს ეძლეოდათ ჯამაგირი. ხალხი მთლიანად მებრძოლია; მეფეები ყოველივეს აკეთებდნენ, რათა მნიშვნელოვანი დაქირავე-

<sup>1</sup> ვახტანგის „საქართველოს ისტორიაში“ ნათქვამია, რომ პირველმა მეფემ ფარნავაზმა ქართველი ხალხი ექვს კლასად დაჰყო: 1) ერისთავი (მთავარი), 2) თავადები, 3) აზნაურები, 4) ვაჭრები, 5) მხედრები, ანუ მეფის ან წარჩინებულთა კუთვნილი ჩვეულებრივი ვასალები (მოლენე), 6) გლეხები.

ბული ჯარი გამოეყვანათ; მეფე მირიანს და დავით აღმაშენებელს ჰყოლიათ 60 000 შეიარაღებული კაცი.

ამ მეომარ ქვეყანაში არსებობდა ისეთივე ქრისტიანული იერარქია,<sup>1</sup> როგორც საერო ფეოდალურ წყობაში და ყოველმხრივ მასთანაა დაკავშირებული. საეკლესიო სახელოებს იგივე მდგომარეობა უკავიათ, როგორც საეროს. კათალიკოსი ანუ პატრიარქი სარგებლობდა ყოველგვარი ხელმწიფური პატივით. მის შემდეგ იდგა ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი, ანუ ჭყონდიდელი, რომელსაც ევალებოდა ზედამხედველობა ყველა ქვრივისა და ობლის, მწუხარის, დაჩაგრულისა და უბედურის დაცვასა და სამართალზე და მათთვის შუამდგომლობდა მეფესთან. ომში ლაშქარს წინ მიუძღოდა წმინდა ჯვრით. მასა და კიდევ 13 მონასტრის პრელატს (ისინი წმინდა გრიგოლ განმანათლებლისა და მისი 12 მოწაფე-თანმხლების მიერ იყვნენ 565-570 წლებს შორის დადგენილნი) ჰქონდათ პატივი და რანგი მთავრისა; ეპისკოპოსებს ეკუთვნოდათ თავადთა და ერისთავთა წოდება; მღვდლებს – აზნაურისა. ამასთან, მთავრებსა და თავადებს ჰქონდათ დაკრძალვის უფლება მათი სააბატოს საეპისკოპოსო კათედრალებსა და ეკლესიებში, აზნაურებს კი – დანარჩენ ეკლესიებში. ეპისკოპოსები მუდამ გადიოდნენ ომში და ბრძოლის წინ ლაშქარს აზიარებდნენ (წმინდა ზიარებას ალებინებდნენ).

ახალწლის დილას ჭყონდიდელი მეფესა და დედოფალს დილის ლოცვის წინ უძღვნიდა ხის ან ვერცხლის პატარა ჯვარს, ხატს, ზედა კაბას და რამდენიმე ნატეხ შაქარს. წირვის შემდეგ საერო ბატონებს, თავადებს, ერისთავებს, კარის დიდებულებს მოჰქონდათ ისეთი საჩუქრები, რაც მათ მდგომარეობას ან თანამდებობას შეეფერებოდა. მაგალითად, მონადირეთუხუცესს მიჰყავდა განვრთნილი მიმინო;

<sup>1</sup> ქართველთა წარმართობისა და მითოლოგიის შესახებ მცირეა ცნობილი. მთებსა და წმინდა მალღობებზე მსხვერპლს სწირავდნენ, თვით ადამიანებსაც; მშობლები შვილებსაც კი! დღესასწაულებზე იქ ცეკვა-თამაშს აჩალებდნენ. მეფე რევმა აკრძალა ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა. წმ. ნინომ დაანგრია წარმართული სალოცავები და წმინდა მთებზე აღმართეს ქრისტიანული ეკლესიები და ჯვრები; ქრისტიანულმა დღეობებმა შეცვალა წარმართული, მაგრამ ცეკვა-თამაშები კი დარჩა.

მეჯინიბეთუხუცესს მდიდრულად შემკული უნაგირი; ერისთავებს ბედაურები. ყველა მოდიოდა მშვილდისრით შეიარაღებული.<sup>1</sup> როგორც კი სამეფო წყვილი შემოვიდოდა, ისინი შესძახებდნენ: „ღმერთმა კვლავაც დიდხანს გამეფოს და ეს მშვილდი დაუხვდება შენი მტრის გულს!“ შემდეგ იწყებოდა სუფრა და მხიარულება. ნაჩუქარი ცხენები მიჰყავდათ მეფის სამხეცე ბაღში; ღამით იქ გროვდებოდნენ მგლები, ტურები, მელიები და ა. შ., დილით კი აქ მოდიოდა მეფე თავისი დიდებულებით მათზე სანადიროდ.

აღდგომა ღამეს, წირვის შემდეგ, იმართებოდა დიდი ვახშამი, რითაც მარხვა მთავრდებოდა; მიდიოდნენ საჯირითო მოედანზე, სადაც მაღალ ანძაზე (ჭოლოკზე) სამიზნედ შემოდგმული იყო სამეფო ოქროს ან ვერცხლის თასი (ფიალა) ახალგაზრდებისათვის. შემდეგ იწყებოდა ჯირითი და სხვა თამაშობანი. ბანკეტზე (სუფრაზე), სანამ იქ კათალიკოსი და ეპისკოპოსები იმყოფებოდნენ, მხოლოდ მღეროდნენ (სხვა არავითარი მუსიკა); როგორც კი ესენი წავიდოდნენ, იწყებოდა მუსიკა (დაკვრა) და ცეკვა.

ქართული სამეფო, ადგილობრივი ქრონიკების მიხედვით, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მან ის შეინარჩუნა ყველა დროში, როცა მას გარედან მორჩილებას ხშირად აიძულებდნენ დიდი მსოფლიო მონარქიული ძალები, როგორც მიდიელები, სპარსელები, ალექსანდრე, რომაელები, ბიზანტიელები; დაბოლოს, სპარსელები და თურქები. მათი მეფეების რიგი იწყება ქართლოსიდან – აბრამის თანამედროვედან. ქართლოსიანთა დრო და რაოდენობა უცნობია; მათ მოჰყვა ნებროთიანთა დინასტია, შემდეგ არშაკიდების (ესენი 28 მეფეს ითვლიან და 566 წელი იმეფეს); შემდეგ 20 ხოსროიანთა

<sup>1</sup> როცა 1827 (1837 - გ. გ.) წელს იმპერატორი ნიკოლოზი ტფილისში იმყოფებოდა, მასთან მივიდნენ ქართველი და თათარი თავადები, იმერეთისა და სამეგრელოს ვასალი მთავრები და ბევრი სხვა, ყველა თავის ეროვნულ ტანსაცმელში და შეიარაღებულნი, თავიანთი ქვეშევრდომებისა და მსახურების მრავალრიცხოვანი ამალით, ბრწყინვალე ბედაურებზე ამხედრებული, რათა იმპერატორისთვის ერთგულება შეეფიცათ. მათ კარვები დასცეს ტფილისს გარეთ; ყველამ თავისებურად. ერთმა ქალბატონმა, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, მითხრა, რომ ეს იყო შეუდარებელი სანახაობა.



დინასტიის მეფეა (454 წ. მეფობდნენ). 545 წელს ქრისტეს შემდეგ გამოჩნდა პირველი ბაგრატიდი მეფის ქალიშვილზე დაქორწინების შემდეგ, რომლის შთამომავლებიც 1800 წლამდე მეფობდნენ, როცა რუსეთს შეუერთდნენ. თუ ქართლოსიანთა მეფობას არ ჩავთვლით, ისტორიულად, მეფიდან მეფეზე თვალის გადევნებით, ქართული მონარქია 2245 წელი განუწყვეტლივ არსებობდა პირველი არშაკიანიდან. მსოფლიოს არცერთი მმართველის გვარი (კერძოდ, ევროპული) არ ითვლის თავის გენეალოგიას ჩვენი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნიდანაც კი. ბაგრატიონები კი ქართულ ტახტზე გაბმით ისხდნენ მე-6 საუკუნიდან...<sup>2</sup> ერთი შტო ამ გვარისა (ბაგრატიონთა - გ. გ.) დამკვიდრდა ქართულ ტახტზე; მე-15 საუკუნეში ის გაიყო და სამეფოც სამ ნაწილად დაიშალა - ქართლი, კახეთი და იმერეთი; თითოეულმა საკუთარი სამეფო შექმნა. პირველი ორი მოგვიანებით კვლავ შეერთდა; ამ საუკუნის დასაწყისში კი რუსეთის წყალობის ქვეშ შესულებმა უარი თქვეს ტახტზე და მათი ოჯახები ცხოვრობენ უმეტესად მოსკოვსა ან პეტერბურგში, სადაც ჯერაც სარგებლობენ სამეფო პატივით.

ბაგრატიონთა პრინციებიდან ქართლში ჯერაც მრავლად არიან შთამომავალნი, როგორც თავადები მუხრანიდან, თავადი დავითის-შვილები და გოჩა-შვილები (Gotscha-Chwili).<sup>3</sup>

ქართველი მეფეები თავიანთ წარმომავლობას ოფიციალურ საბუთებში დავითისგან აღნიშნავენ. სანყისი ძველ დროს განეკუთვნება: „ჩვენ, მეფეთა-მეფე, ღმერთის წყალობით კურთხეული, მპყრობელი და დამოუკიდებელი მმართველი, ძე იესესი, დავითის, სოლომონის, ბაგრატის; მფლობელი შვიდი სამეფოსი, ჰერაკლე და ა. შ.“

<sup>1</sup> იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 20. სხვა ისტორიკოსები მოგვიანო დროს იძლევიან.  
<sup>2</sup> გამოვტოვეთ მოსე ხორენელის ისტორიის ზოგი ადგილი - ეხება სომეხ ბაგრატიდებს. ასევე ბაგრატიონთა ერთი შტო - რუპენის შტო, რომელიც კილიკიაში დასახლდა - გ. გ.  
<sup>3</sup> დაბოლოება „შვილი“ და „ძე“ ნიშნავს წარმომავლობას ან ვაჟს, როგორც დაბოლოებები ინგლისში, დანიაში, იშვიათად გერმანიაშიც; ასევე, როგორც სლავებში „ვიც“ და „ვიჩ“.



ერთი ღირსშესანიშნავი გვარი კავკასიის ქვეყნებისა არის თავისი ვადი ორბელიანი (Orpelier), ყაფლანის-შვილი, ჯამბაკურიანი). ისინი წარმოსდგებიან ჩინადან (China; Dsenasdan). სპარსეთის მეფის ქაიხოსროს დროს, ე. ი. ალექსანდრე დიდამდე დიდი ხნით ადრე, მოვიდნენ ჯენაც-ები (ჩინელები) საქართველოში. მათ თავისი მკვიდრი ხელისუფლის მიხედვით შეარქვეს ოუპათ-ი, ორპეთიელები ან ორპელიერები. მათი ერთი შტო მოგვიანებით სომხეთში წავიდა და იქაურ ისტორიაში ღრმად გაიდგა ფესვი. ისინი იყვნენ საქართველოს სამეფოს მთავარსარდლები და მეფის გვარის შემდგომ პირველი საფეხური ეკავათ და რომელთაც ხშირად უნათესავებოდნენ. იმერეთის ბოლო დედოფალი იყო ორბელიანი. ერთი ამ გვარიდან – სტეფანე ორბელიანი იყო მთავარეპისკოპოსი სიალნიკიდან (?); მან მე-13 საუკუნეში დაწერა საგვარეულოს ისტორია...<sup>1</sup>

ამტკიცებენ, თითქოს კავკასიის გვარების საკმაო რაოდენობა იტალიური წარმოშობისაა, რომ გენუელების გადმოსახლება-ბატონობის შემდეგ დარჩნენ აქ. ასე მაგალითად, ციცი (ამჟამად თავადი ციციანოვი) ლომბარდიიდან უნდა წარმოსდგებოდეს. გრაფები, რომელთა გვარებსაც იგივე უღერადობა აქვთ, ავსტრიაშიც ცხოვრობენ. აფხაზეთში გვარები მარშანი და კაცო-მორგანი (მარლანია – გ. გ.), იმერეთში წერეთელი (Zazitelli), ქართლში სალავეანი (? ფალავანი – გ. გ.), დოლენჯი, ლიონიძე, სიდამონი, გალეთოცი (კალატოზიშვილი – გ. გ.), ფარიამანი (?), კორინთელი, ბუნიალი (?), საკვაცეთი(?), მაჭავარიანი (Madjawazani), ლიპარტი და სხვები მათ მიეკუთვნებიან. გვარი ენდრონიკაშვილი (ანდრონიკეს ვაჟი) ბიზანტიელი იმპერატორის ანდრონიკეს, კომნენთა გვარის წევრისგან, წარმომავლობენ.

14 აგვისტოს, შუადღისას ჩემს ორ თანამგზავრთან და ბ-ნ ფონ კ-სთან ერთად გავემართე მარტყოფისკენ; ესაა სალოცავი ადგილი. ბ-ნმა ფონ კ-მ გზაში გვიამბო ლეგენდა წმინდა გრიგოლ განმანათლებლის შესახებ (ამჟამად აღარ მახსოვს, ეს სალოცავი ამ წმინდანის სახელობისა იყო, თუ არა).

<sup>1</sup> შემდეგ მოდის მსგავსი ისტორია მამიკონიანებისა, გვ. 104-105. – გ. გ.

უკვე მე-4 საუკუნეში კავკასიის ქვეყნებში შემოიჭრა ქრისტიანობა, მაგრამ ძალზე სუსტად გავრცელდა, რადგან ნააწყდა წარმართთა სიძულვილსა და დევნას. მე-6 საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლიდან ამ მხარეში გამოიგზავნა 13 წმინდა მამა, ძირითადად სირიიდან, როგორც ქრისტიანობის მოციქულები. მათ შორის იყო წმინდა გრიგოლი, როგორც მეთაური. კახეთის მაშინდელ წარმართ მთავარს ომი ჰქონდა ქართლთან (გრუზიასთან) და ალყა შემოარტყა გრემს. ომის დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ქრისტიანები ჩავარდნენ, ასე რომ, წმ. გრიგოლი იძულებული იყო გაქცეულიყო ტყეში (მარტყოფი). ერთ დღეს ის მთავარი სანადიროდ წავიდა. მისი საყვარელი მიმინო მტრედს გაეკიდა. მონადირეები, რომლებიც მას სასწრაფოდ გამოუდგნენ, გარკვეული ხნის შემდეგ დაბრუნდნენ და მოახსენეს, რომ ღრმად ტყეში ნახეს კაცი, რომელსაც სრულიად წყნარად მარჯვენა მუხლზე მტრედი ეჯდა, მარცხენაზე კი – მიმინო. მთავარი გაეშურა ტყისკენ, რათა ეს საოცრება საკუთარი თვალით ეხილა; მას ყოველივე ისე დახვდა, როგორც მოახსენეს. აღიარა რა წმინდანის ზებუნებრივი ძალა, სთხოვა განეკურნა მისი ვაჟი, რომელიც ბავშვობიდან კოჭლი იყო; თუკი წმინდანი ამას შეიძლებდა, ალუთქვა, რომ ღმერთს ინამებდა და მოინათლებოდა. წმინდანი შეჰპირდა, ოღონდ მოსთხოვა თავი დაენებებინა გრემის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რაც მისთვის უბედურად დასრულდებოდა. გაფრთხილების მიუხედავად, მთავარმა აზრი არ შეიცვალა და დამარცხდა. მაგრამ, როცა სახლში დაბრუნდა, მას სავსებით განკურნებული და ჯანმრთელი ვაჟიშვილი მხიარულად შემოეგება. მაშინ მთავარი თავის ხალხთან ერთად მივიდა წმინდანთან და სთხოვა ქრისტიანებად მოენათლა. როცა მთელი ხალხი მოინათლა, წმინდანმა მთავარს მიაწოდა ღვინით სავსე ყანწი და უთხრა: ალა ვერდი! (ღმერთმა მოგცა ეს!); ხალხმა კი ერთხმად დაიძახა: იახშიოლ! (კეთილი გზა ჰქონდეს მას!). ეს იყო პირველი შეთხვევა, როცა წარმართმა ხალხმა ღვინო დალია (ადრე ეს ჩვევა არ ჰქონიათ); ახლაც საქართველოში, როცა ღვინოს აწვდიან, მიმართავენ: „ალავერდი!“ ამას გვახსენებს კახეთში იმ დროს დაარსებული მონასტერი – ალავერდი. ლეგენდას აქვს მშვენიერი სიმბოლური მხარე; მაგ., რომ ქრისტიანობას შეუ-



ძლია შეარიგოს მტრები (ვთქვათ, მტრედი და მიმინო). დასკვნაა, რომ ღვინო პირველად ქრისტიანობამ შემოიტანა და წმინდად აქცია, მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს შესწევდა ძალა მაჰმადიანობა არასოდეს ელიარებინა. ქართული ეკლესია 13 წმინდანის მისიის შედეგად განეკუთვნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, შემდეგ დაემორჩილა ანტიოქიის პატრიარქს, დაბოლოს, დამოუკიდებლობა მოიპოვა და მიტროპოლიტი ალაზევა კათალიკოსის რანგში. ფლორენციის საეკლესიო კრებაზე, სადაც რომაული და ბერძნული ეკლესიები შერიგდნენ და გაერთიანდნენ, გამოჩნდა აგრეთვე საქართველოს კათალიკოსიც.

მშვენიერი დარი იდგა; გზა მიდიოდა ნაყოფიერ ვაკეზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მაღალი, ტყიანი მთები ესაზღვრებოდა; ხანდახან ვასწრებდით წინ მიმავალ მლოცველებს. ფეხით მოსიარულეთა შორის ყველგან ჩანდა კამეჩებშებმული ორთვალა ურმები, ზემოდან ტილოთი კარავივით გადახურული, მორთული ჭრელი მოსასხამებითა და ბანტებით, რომლებშიც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი 6-8 ქალი და ბავშვი იჯდა. ხან მხედრები ჩაგვიქროლებდნენ ლამაზ ცხენებზე ბრწყინვალე იარაღსხმული. ბევრი იცნობდა და ესალმებოდა ბ-ნ ფონ კ-ს. ერთ-ერთს, თავად ჭავჭავაძეს (Zuzewatschow), რომელმაც თავისი 6-8 თანმხლებით ხმაურით ჩაგვიარა გვერდზე, ბ-ნმა ფონ კ-მ სთხოვა ბინა შეეკვეთა ჩვენთვის, რაც დროული გამოდგა, რადგან ვერავითარ გასათევს ვერ ვნახავდით. ჩვენ მივალწიეთ ხეობის პირს, სადაც ჩვენს წინ სოფელი მარტყოფი მდებარეობდა. ჩვენ კარგად მიგვიღეს ღამისათევში. ეს იყო გლეხის სახლი გრძელი თაღებიანი გალერეით; ის ისე მაღლა იდგა, რომ მთელი სოფელი მშვენიერად ჩანდა. მას შემდეგ, რაც ღამის თევის თადარიგი დავიჭირეთ, დავეშვიტ ქვევით და რამდენიმე საათი ვიხეტიალეთ სოფლის ჭრელ, სიცოცხლით სავსე ქუჩებში; დაბნელდა თუ არა, დავუბრუნდით ჩვენს თაღებს. შესანიშნავი საღამო იდგა: თბილი, სასიამოვნო ზაფხულის ღამის ჰაერი, კაშკაშა მთვარისა და ვარსკვლავების შუქი, ათასი სანთელი ქვემოთ, სოფელში, განათებული კარავები, სიმღერები და მხიარულება



ჩვენს ირგვლივ, საოცარი მუსიკა ქართული დუდუკების<sup>1</sup> და პატარა დოლების, რაც შორიდან მოგვესმოდა როგორც ველური ჯადოსნური ჰანგები; საშინელი მეხის გრგვინვა 11 საათზე სწრაფად გადავლილი ავდრისა – ყოველივე ამან ჩვენზე ნარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ დავნექით ღია ჰაერზე თაღებქვეშ. შუალამისას ყველგან სიჩუმემ დაისადგურა; სანთლები ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა; მალე სიზმარში გავაგრძელეთ ჭრელი საოცარი ცხოვრება.

ღილის 6 საათზე ათასობით მლოცველებთან ერთად შევუდექით აღმართს ტყეში. ტყიდან მთის წვერზე გამოვედით. გზა სოფლისკენ ჭრელ ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდა, რაც კი ოდესმე მინახავს. ქართველი თავადები ეროვნულ ტანსაცმელსა და პრიალა იარაღასხმული საუკეთესო ბედაურებზე; წინ მუდამ ორი მედუდუკე; ცოლები და ქალიშვილები მათ გვერდით მიჰყვებოდნენ ასევე ცხენებზე მსხდომი. ყოველივე წარმოგვიდგენდა შუა საუკუნეების სადღესასწაულო მსვლელობის სურათს!

ტყის დასაწყისიდან მხოლოდ ციცაბო ბილიკებით შეგვეძლო სვლა; ესენი კი ხან მარცხნივ იყოფოდა, ხან მარჯვნივ, შემდეგ ისევ ერთდებოდა და არაფერი იყო უფრო გამართობი, როგორც გაქრობა და ხელახალი გამოჩენა ჭრელი ნაკადისა მწვანე ტოტებში, რაც ევროპელის თვალს რომაული ნიღბების სეირნობად მოეჩვენებოდა. ბევრს, განსაკუთრებით ქალებსა და გოგონებს, დათქმული ჰქონდათ, რომ მთას შიშველი ფეხით აივლიდნენ. ნახევარ საათში ავედით მწვერვალზე, საიდანაც გადაგვეშალა ველური რომანტიკული სანახაობა თვალუნვდენელი ტყისა, რომელიც ფარავდა შორეულ მთებს

<sup>1</sup> ეს არის ერთგვარი სახეობა ხის საყვირისა თუ კლარნეტის, რომელსაც მხოლოდ სამი ტონი აქვს. იგი მელოდიას არ გამოსცემს; ის მხოლოდ არაპარამონიული ტონებისგან შემდგარი ტაქტი და რიტმია. ახლოს მჯდომი ევროპელისთვის საოცარი ხმებია. დამკვრელის ხელოვნება იმაშია, რომ ის განუწყვეტილად უბერავს და სულ ცხვირით სუნთქავს. ეს მუსიკა ქართველებზე რაღაც ჯადოსნური ძალით მოქმედებს: თვით მალალ საზოგადოებაშიც, ბალებზე, სადაც ევროპული მუსიკაა, ჩვეულებრივ, მისი დამთავრებისას, როცა ნაცნობი დუდუკების ხმა გაისმის, ყველა ქართველი ტარანტულის ნაკბენივით წამოხტება და ცეცხლოვანად თავიდან იწყება ეროვნულ ცეკვა.



და ღრმა ხეობებს. მარჯვნივ, შემალლებაზე იდგა დიდებულნი ნანა გრევი - ჩვენი გზის მიზანი; მას თხუთმეტ წუთში მივადექით. ის იდგა შვეულ ფერდზე; მის წინ იყო ვრცელი თხემი გაფანტულად მდგომი მშვენიერი წიფლის ხეებით. აქ უკვე თავი მოეყარა ათასობით ადამიანს; მათ ყოველი მხრიდან კიდევ ერთვოდნენ ჭრელი გუნდები; ცალკეული ჯგუფები დაბანაკებულიყვნენ დანთებული კოცონის ირგვლივ (ასეთები მრავლად ენთო აღნიშნულ ფერდობზე, რომელიც კიდევ უფრო მაღლა მიემართებოდა); სხვები მიმოდიოდნენ სავაჭრო დუქნებს (დახლებს - გ. გ.) შორის, რომლებიც ყველგან იყო გახსნილი. ორ მაღალ კედელს შორის მოქცეული ეს მთა ზემოთკენ ორად იყო გაყოფილი, ვინრო სწორი გასასვლელით, რომლითაც მიისვლებოდა ყველაზე მაღლა მდებარე, ასევე ნანგრევებად ქცეულ ძველ მთის ციხემდე. ეს უკანასკნელი ალბათ იცავდა მიტოვებულ მონასტერს, მის ეკლესიას და წმინდა რელიკვიებს. მონასტერი და ეკლესია, აგებული ცამეტიდან ერთ-ერთი წმინდა მამის - ქართველი მოციქულის წმინდა ანტონის მიერ, 1740-1750 წლებს შორის ლეკებს დაუნგრევიათ.<sup>1</sup>

თავდაპირველად ჩვენ ეკლესიისკენ გავაღწიეთ. ის მთლად ნანგრევებად იყო ქცეული, მხოლოდ ქოროს (გალერეის) თაღები შემორჩენილიყო. აქ იყო საკურთხეველი მრავალი ანთებული სანთლით, რომლის წინაც რამდენიმე მღვდელი, თავიანთ სამოსელში გამოწყობილი, ღვთისმსახურებას ეწეოდა. მე არსად მინახავს ასეთი თავისებური, გროტესკული, მაგრამ, ამავე დროს დიდებული ღვთისმსახურება: მაღალი გახსნილი ქოროს თაღები, უამრავი სანთელი, მღვდლები თავიანთი მტირალა არამელოდიური გალობით, გაუთავებელი ჭრელი სიმრავლე, დამატყვევებელი სილამაზე უამრავი ქალისა, რომელთაც ეკეთათ ოქროს შუბლსაკრავი და გრძლად ჩამოშვებული პირბადე. ყველა სამხრეთული მხურვალეებით

<sup>1</sup> ლეკებმა მაშინ გაანადგურეს სოფელი მარტყოფი და მონასტერი; მაგრამ, ქართველთა მონაყოლის (გადმოცემის) მიხედვით, ამ ეკლესიის ძარცვის გამო ისინი უშუალოდ ზეცამ დასაჯა. სახელდობრ, მათ გაიარეს ერთი მთის ქვეშ, ზოგიერთი მთაზეც ავიდა; უეცრად მინა გასკდა მათ ფეხქვეშ და ზვავმა დამარხა ყველა, დაახლოებით 500 კაცი.



ლოცულობდა: უმეტესად ჯგუფებად (აღწევდნენ მთის იმ ფერდობს, უშუალოდ ნანგრევებამდე რომ ეშვებოდა) მუხლებზე დაცემული და შორს, ქვევითკენ ყველგან მწვანე ბუჩქებში ნახევრად შემალულნი. ამას ერთვოდა გრანდიოზული ხედი ახლოს მდებარე ტყიანი მთისა, რომელსაც ამომავალი მზის სხივები ანათებდა; ამ სანახაობას არასოდეს დავივიწყებ!

ეკლესიის კედლებზე ჩანდა ძველი ფრესკების გაცრეცილი კვალი. მრავალფეროვან კავკასიურ (ქართული, მეგრული, ოსური, ჩერქეზული, თათრული) ტანსაცმელს მრავლად ერეოდა აგრეთვე რუსული ფორმა და ევროპული სამოსი. ნარჩინებული ქართველი ქალბატონები თითქმის ყველა ევროპულ მოდურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, თუმცა უმეტესობას ქართული ოქროს თავსაკრავი და გრძელი ვუალი ეკეთა.

რომელ ჯგუფსაც კი მივუახლოვდებოდით, მაშინვე ნამოიჭრებოდნენ და სტუმართმოყვრულად გვეპატიჟებოდნენ საჭმელზე და სასმელად. ბოლოს ჩვენ დავთანხმდით თავად გურამოვის მიწვევას საუზმეზე. ეს იყო ამ მხარის მმართველი.<sup>1</sup> თანდათან ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბნენ ქვეყნის ნარჩინებულები. ბალახზე დააგეს ჭრელი გადასაფარებლები (სუფრები), რომელზეც საუზმე გაშალეს; ჩვენ წრიულად შემოვუსხედით სუფრას ირგვლივ. საუზმეს შეადგენდა პური, თხის ყველი, ბატკნის ხორცის პატარა ნაჭრები, რომლებიც ხის შამფურებზე ნამოცმული იქვე ინვებოდა ნახშირის ცეცხლზე (შაშლიკ - მწვადი - გ. გ.).<sup>2</sup> გამუდმებით გვივლიდა გარს მერიქიფე, მართლაც მხატვრული აღნაგობის, დიდი ღვინის დოქით ხელში და სწრაფი

<sup>1</sup> თავადი წინა ღამით გაქურდეს; მის არყოფნაში მთელი სახლი გამოწმინდეს, ასე რომ, დიდი ზარალი განიცადა. ფიქრობენ, რომ ის დაარბიეს თათრებმა ან რუსმა ჯარისკაცებმა, რადგან ქართველები თითქმის არასდროს ქურდობენ. მაგრამ მას სრულებით არ ეტყობოდა განცდილი; იყო სავსებით აუღელვებელი და მხიარული. უბედურებაში ხასიათის სიმტკიცე არის ქართველებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურება.

<sup>2</sup> თითქმის ყოველთვის ცხვრისა და ბატკნის ხორცს ჭამენ; კავკასიელი ქრისტიანები კი სიამოვნებით ღორის ხორცსაც. საქონლისა და კამერის ხორცს არა; ასევე ნაკლებ ხბოსას, მხოლოდ საჭიროებისას.



მიწოდებით აიძულებდა დაღევას. ვსვამდით ვერცხლის სანმელო კოვზით, რომელსაც აზარფეშა ერქვა (იგი მსგავსია ჩვენებური წვენის დიდი ჩამჩისა), შიგადაშიგ აგრეთვე ვერცხლის ყანწებით. ზოგი უბრალო ქართველი მოდიოდა და იწყებდა გრძელ სიმღერას, რომელიც ჟღერდა სამ ან ოთხ ხმაში, რაც ჩვენი გამების ინტერვალებში არ ჯდებოდა, ამიტომ მე ზოგჯერ მცდარად (არეულად) მეჩვენებოდა; ამასთან მათ არ ჰქონდა საკუთარი ტექსტი, მხოლოდ გარკვეული რიტმი. ხან მხოლოდ ერთი მღეროდა, ხან კიდევ ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ჩაერთვოდა სულ სხვა მყვირალა ტონით, დანარჩენები კი იცვლიდნენ ხმას და მასთან უნისონში მღეროდნენ; ზოგჯერ კი გამოდიოდა ტერციები და ქმნიდა მოკლე ჰარმონიას. თავადი და სხვა ნარჩინებული ქართველები ასევე ზოგჯერ აჰყვებოდნენ და ისეთივე ალფრთოვანებით მღეროდნენ. შინაარსი, როგორც მითხრეს, იყო საგმირო ბალადა. როცა ხალხმა დაასრულა, მოვიდა იმპროვიზატორი გუდასტვირით და, როგორც ამიხსნეს, იმღერა საქებარი (სადღეგრძელო) იმპერატორის, იმპერატორის მეუღლის, ტახტის მემკვიდრის, თავადების, დაბოლოს, ჩვენი. მე ვერ შევამჩნიე, რომ ხალხს საჩუქრები მიეღო. ჩვენ სხვა ჯგუფებთან გადავედით. ერთ-ერთში ვნახეთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პატარა გოგო, რომლებიც ასრულებდნენ პანტომიმურ ცეკვას გადასაფარებელზე; ისინი კი არ დახტოდნენ, არამედ დასრიალებდნენ მიწაზე, მაგრამ ხელებით კი მრავალფეროვან შესტიკულაციას ეწეოდნენ. მუსიკა არ ახლდა; მხოლოდ დოლი და რიტმული ტაში აძლევდა მას ტაქტს.

ჩემს გამყოლს ამ ცეკვის შესახებ გერმანულად ვკითხე რალაც, რაზეც მან ვერ მიპასუხა. სამაგიეროდ იქვე იდგა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი, რომელმაც უეცრად საუკეთესო გერმანულით მომიგო! ეს იყო სომეხი – დრ. საბალოვი, რომელსაც ოთხი წელი ლაიფციგში მედიცინა უსწავლია. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. მოგვიანებით ის მე ოსეთში წამომყვა სამოგზაუროდ. სხვა ჯგუფში ვნახეთ მოცეკვავე მამაკაცები (ცეკვა, ვფიქრობ, საომარ რიტუალს ჰგავდა); ბოლოს 13-16 წლის ვაჟები შეახტნენ მხრებზე ღონიერ მამაკაცებს, რომლებიც ცეკვით მსუბუქად დაატარებდნენ წრეში, ისე რომ, არ შერყეულან; ყმანვილებიც ისე ოსტატურად იცავდნენ წონასწორობას, რომ არცერთი ჩამოვარდნილა ან ჩამომხტარა. ამ



საბრძოლო ცეკვებსა და თამაშებში (სხვათა შორის, იშვიათად რომ არავინ დაიჭრას ან მოიკლას კიდეც) ჩანს რაინდი ქართველების უშიშარი, მამაცი ხასიათი. ამის საპირისპიროდ ქალთა ცეკვა მუდამ საზეიმოა, წყნარი; არასოდეს ხტუნავენ, აღსავსეა ნაზი (გრაციოზული) მოძრაობებით და ტანის დაჭერით. თანდათან ჩვენს ირგვლივ იმატა ხმაურმა, ღვინომ თავში ააღწია; წარჩინებული ქალები გამორდნენ იქაურობას. ჩვენც უკან გავემართეთ.

16 აგვისტოს თითქმის მთელი დღე დავდიოდით ტფილისში ხან ბ-ნ ზალცმანის, ხან პეტერ ნოის თანხლებით. ვინახულე ცხელი აბანოები, სადაც აბანოს მსახურები (მექისეები - გ. გ.) საუცხოოდ ბანენ და მასაჟს უკეთებენ. ამას ისე რბილად და მიზანსწრაფულად ასრულებენ, რომ იქიდან გაახალგაზრდავებული გამოდიხარ. შემდეგ ჩვენ გავეშურეთ სავაჭრო დუქნებისა და ბაზრისკენ, სადაც სხვადასხვა ხელოსანთა თანაცხოვრება განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა. ზემონახსენებმა ჩემმა ორივე მეგობარმა ამის შესახებ მეტად სრული და საყურადღებო ცნობები მომანოდეს. პეტერ ნოიმ ხელოსნური ცხოვრება სპარსეთში ზუსტად შეისწავლა, ხოლო ბ-ნი ზალცმანი იგივეს ტფილისსა და საქართველოში სრულყოფილად იცნობდა.

ხელოსანთა ყოვლად დადგენილი საამქრო წესები ბატონობს; მთლად ისეთი განანესი, როგორიც შუა საუკუნეთა გერმანიაში შეიქმნა. ოღონდ საქართველოში ის გერმანიიდან კი არ შემოვიდა, არამედ სპარსეთიდან. ჯერ კიდევ სპარსელთა მიერ ქართლის დამორჩილების დროს სპარსელი ერისთავის (ნაცვლის) მიერ იქნა შემოტანილი და განწესებული სპარსულ ყაიდაზე. ვინ ახსნის ისტორიულ გამოცანას ამ ინსტიტუტების ერთდროული არსებობის შესახებ გერმანიასა და სპარსეთში? იქნებ ჯვაროსნებმა წამოიღეს თან, ანდა იმ ძველ დროს განეკუთვნება, როცა გერმანელები სპარსელებს გაემიჯნენ (გამოეყვნენ)?<sup>1</sup>

<sup>1</sup> ახლახანს ბ-ნ ა. ფონ ვრედეს წყალობით გავიგე, რომ ეს საამქრო წესება ევროპიულ თურქეთში, მცირე აზიაში, სირიაში, არაბეთის ყველა ქალაქსა და ეგვიპტეში მთლად იგივე ფორმითაა წარმოდგენილი, როგორც აქ. საფლავის ძეგლებზე, ძველევგვიპტურ სასაფლაოებზე თებესა



პირველ რიგში მოგანვდით ცნობებს ტფილისში ამჟამად არსებული საამქრო წყობის შესახებ. ყველა ხელობის წარმომადგენლები, თვით მტვირთავეები (ტომრების მთრეველი), დღიური მუშები, ქათმების გამყიდველები, ქმნიან ამქარს. მანუფაქტურის ნაწარმით მოვაჭრენი (თათრულად *სოვდაგარი*, რუსულად *კუპეც*) ქმნიან განსაკუთრებულ ამქარს; ასევე რკინის ნივთებით მოვაჭრენი (სომხურად *ერგოლტცახო*; თითქმის ყველა სომეხია), აგრეთვე მეწვრილმანეები (სპარსულად – *ატარი*), ხილით მოვაჭრენი (*ბაყალ* – სპარსული სიტყვაა), ღვინით მოვაჭრენი (*დუქანჩიკი*, თათრულად და სპარსულად), მეძველმანეები (*ხურდაფრუში*, სპარსულად), საქონლის დამტარებლები (*ბოხჩაჩი*, თათრულად). ყოველ ხელობას თავისი საკუთარი ამქარი გააჩნია. აქ ერთგვარად ეროვნების მიხედვითაც იყოფა ამქრები. ქართველი, რუსი და სომეხი ხელოსნები ამქრებად ერთადაც ცხოვრობენ; თათრები კი მუდამ განსაკუთრებულ ამქარს ქმნიან (ნიშანი ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის არსებული წინააღმდეგობისა და შეუთავსებლობის.). რუსი ვაჭრები აქაურობას არ ეკუთვნიან, არამედ მიწერილნი არიან რუსეთში თავიანთ გილდიებს. ასევე არც გერმანელი ვაჭრები არ შედიან არც ერთ ამქარში. მაგრამ გერმანელი ხარაზები (ჩემი პეტერ ნოით სათავეში) ქართულ-სომხურ ამქარში ირიცხებიან. სხვა ხელოსნები იმჯერად არ იყვნენ ამქრის წევრები; ეს ნიშნავდა, რომ მათაც აიძულებდნენ. ქართველები, სომხები და თათრები ამ ორგანიზაციას ეძახიან *ჰამქარს* (*Handkerre*), რაც სპარსული სიტყვაა და ხელით წარმოებას ნიშნავს.

მხოლოდ ოსტატები შეადგენენ ამქარს; ქვეოსტატებისა და შეგირდების უფლებას პირველნი იცავენ. თითოეულ ამქარს ხელმძღ-

---

და მემფისში არის რელიეფური გამოსახულებების კვალი, რომლებიც წარმოსახავენ მამაკაცებს სხვადასხვა იარაღებით სათანადო ხელობას რომ ეწევიან. შემდეგომ ჩანს ერთი ხელობის ხელოსანთა საქმიანობა (სვლა), რომლებსაც მიაქვთ თავიანთი იარაღები და ღმერთს მსხვერპლს სწირავენ. ეს სკულპტურები წარმოადგენს ამქრის ამხანაგთა შეკრებას. ამათ მიხედვით დაადგინა შამპოლიონმა და ასევე კატრემერმა უძველეს ეპოქაში განვითარებული საამქრო ორგანიზაციის არსებობა. თუ ეს ასეა, მაშინ სპარსელებმა ეს ინსტიტუტები გადაიღეს, როცა კამბიზეს დროს ეპყრათ ეგვიპტე.



ვანელობს თავისი უფროსი ოსტატი (უსტაბაში, თათრულად ნიშნავს ოსტატთა თავს) და ორი თანაშემწე (აღზაყალი, თათრულად თეთრს ვერა), რომელთაც ირჩევენ. ვინც ამქარს აღარ ეკუთვნის და სურს თავისთვის იმუშაოს, მის დაცვაზე ამქარი უარს ამბობს და ართმევს ხელსაწყობს; ხოლო, ვინც შემდეგ ამქრის უფროსს შეეხვეწება, მას უფლება ეძლევა მუშაობის, ოღონდ არ ეყოლება ქვეოსტატი და შეგირდი.

სანიმუშო სამუშაოს არ სთხოვენ. ქვეოსტატი, რომელსაც სურს ოსტატის უფლებები მოიპოვოს, მას შემდეგ, რაც ოსტატი მისცემს ცნობას (ატესტაციას) და შეკრებილ საამქროს წარუდგენს, სდებს 10 ვერცხლის მანეთს (ერთ თუმანს) საამქროს სალაროში (ყუთში)<sup>1</sup> და იმავე დღეს უბრალოდ იღებს ოსტატობას. მისი სახელი შეაქვთ ნიგნში, შემდეგ მუხლმოყრილს ლოცავს საამისოდ მოყვანილი მღვდელი; ფეხზე წამოდგომისას უფროსი ოსტატი წამოარტყამს, შემდეგ კი ყველა ხელს ართმევს ოსტატს.

ყმანვილი ან შეგირდი, როცა ქვეოსტატად გადაჰყავთ, სამ ვერცხლის მანეთს უხდის საამქროს, რის შემდეგაც მისი ოსტატი საგანგებო ატესტატით ათავისუფლებს. მას შემდეგ, რაც გერმანული კოლონიიდან ხარაზები შევიდნენ ქართულ ამქარში, ზოგი გერმანული წესები შეიტანეს, მაგ.: ღია სალარო და ა. შ.

თავშესაფარი (შენობა) ადგილი იქაურ საამქროებს არა აქვთ; ისინი იკრიბებიან უფროს ოსტატთან ან ეკლესიაში და ა. შ.; ხშირად უმნიშვნელო რამისთვის ქუჩის კუთხეშიც კი. უსტაბაში და მისი ორი თანაშემწე შეადგენენ ჰამქრის სასამართლოს (დადისტან სპარსულად). როცა მათ სურთ სამართლის წარმოება, მთელი ამქარი უნდა შეჰყარონ; სასამართლო პროცესს ექვსი ოსტატი მაინც უნდა ესწრებოდეს. მხოლოდ უსტაბაშსა და თანაშემწეებს აქვთ გასამართლების უფლება. თუკი სხვა ოსტატებს მათი განაჩენი არ მოეწონებათ, შეუძლიათ ის გააუქმონ, მაგრამ მხოლოდ ერთხმად. დავას ოსტატებს შორის, ქვეოსტატსა და ოსტატს შორის, დანაშაულს, საჩივრებს, როცა უჩივიან ოსტატის ცუდ ხელობას, ან როცა ოსტატი წინასწარ იღებს ფულს და სამუშაოს არ ასრულებს, ერთი

<sup>1</sup> ეს გადასახადი ამჟამად 10 მანეთამდე (ასიგნაციით) შემცირდა.



სიტყვით, როცა ხალხი უჩივის ხელოსანს,<sup>1</sup> ასევე აყალმაცად და ჩხუბს არჩევს სასამართლო. ყოველი კრიმინალური დანაშაული იგზავნება პოლიციაში ან კრიმინალურ სასამართლოში. თუ საქმე ძალიან ჩახლართულია, მძიმეა და ამასთან მნიშვნელოვანი, მაშინ ის გადაეცემა ქალაქის თავს (სპარსულად *ქეთხუდა*-ს), რომელთანაც აპელაციაც მიდის. თითოეულ ამქარს გააჩნია საკუთარი დანერილი კანონთა კრებული (ხარაზებისთვის მეფე ერეკლე I-ის დროიდანაა), რომელიც ხშირად იცვლებოდა თვითნებურად. მაგრამ მოისურვეს ამ არაოფიციალური (კერძო) პირობების გაუქმება და რუსული სამქრო კანონების შემოღება.

ყოველდღე შეუძლიათ უსტაბაშს საჩივარი მიუტანონ; თუკი მას საქმე მნიშვნელოვნად ეჩვენება, იმავე დღეს ახალგაზრდა ოსტატის (იგეტაში – თათრულად გმირთა მეთაური, რომლის სამსახური ყოველ თვე იცვლება) პირით შეყრის მთელ ამქარს. თუკი საქმე უმნიშვნელოა, მაშინ შეთანხმდებიან მომავალი ორშაბათისთვის. პირველ შემთხვევაში დამარცხებულმა მხარემ, გარდა ჯარიმის გადახდისა, ოსტატს გაცდენილი დრო უნდა აუნაზღაუროს. მეორე შემთხვევაში ხარჯები არაა გათვალისწინებული, რადგან საქმე მხოლოდ ზეპირად წყდება. შეიძლება დაეკისროს აგრეთვე ფულადი ჯარიმა ათ დუკატამდე, გარდა ზარალის ანაზღაურებისა. განსასჯელის თხოვნით უსტაბაშს შეუძლია დათმობაზე წავიდეს, თუ არადა, დანარჩენ ოსტატებს შეუძლიათ იშუამავლონ და მაშინ ის იძულებული გახდება ერთგვარად დაუთმოს, მაგრამ იმდენი, რაც მას მოესურვება.

გაჯოხვას არ უსჯიან, ეს პოლიციის საქმეა, მაგრამ უსტაბაში უშვებს კანონის მცირე დარღვევას რამდენიმე ალიყურის სახით. ფულადი ჯარიმა შედის ამქრის სალაროში; ადრე ის მეტწილად იფლანგებოდა, ახლა კი მკაცრად იკრიბება და გალარიბებული საამქროს სალაროს, საავადმყოფოებისა და სხვათა დასახმარებლად

<sup>1</sup> ვაჭართა ამქარში მკაცრადაა დადგენილი ის უმაღლესი ფასი, რამდენადაც ვაჭრებმა უნდა გაჰყიდონ, როცა ამქარი დააჯარიმებს. ამიტომ ისინი ცდილობენ ისე ძვირად გაჰყიდონ, როგორც შეუძლიათ და სურთ. ამდენად, ბოროტმოქმედებაშიც ეს აზიური ამქრები გერმანულს ჰგვანან!



იხარჯება. უკანასკნელმა ქართველმა მეფემ მტკიცედ დაადგინა, რომ თითოეულ ამქარს უნდა ეპატრონა და შეენახა გალარიბებული ამხანაგები. ჯარიმის ფულის გარდა, უსტაბაშის მიერ ყველასათვის განსაზღვრულია ერთი რაოდენობის შესატანი (წილი).

გადასახადთაგან ხელოსანი, პირველყოვლისა, იხდის სახაზინო სულადობრივ გამოსაღებს, შემდეგ ხიდების, გაზების, საფოსტო სადგურების შესანახს; ღვინისა და არყის აქციზისათვის ძალზე განსხვავებული გადასახადებია. მაგ., ყოველი მედუქნე (დუქანჩიკი - ღვინის გამყიდველი - გ. გ.) ღვინისა და არაყის თავისუფალი გაყიდვისათვის იხდის 83 ვერცხლის მანეთს. ქალაქის ფარგლებში აქციზა თუნგი არაყისთვის შეადგენს 20 კაპიკს; ქალაქის შლაგბაუმს გარეთ აქციზა არ არის.

სომხებმა და ქართველებმა იციან ასევე უქმი (ცისფერი) ორშაბათი. ესაა ამქრის სასამართლოს დღე. თათრებთან ორივე შაბათსაა (მაჰმადიანური კვირის ზეიმის (უქმი) დღე კი არის პარასკევი!). დასაფლავებისას ამქრის ყოველი ოსტატი უნდა გავიდეს. ქართველებთან და სომხებთან ქალები, ჩვეულებრივ, არ მიჰყვებიან მიცვალებულს. მიცვალებულის წაღება პატივად ითვლება. ჭირისუფალი უსტაბაშს აძლევს ფულს ოსტატის შესანდობრის დასაღვეად. ქელები არაა მიღებული, მაგრამ რვა დღის მანძილზე ლატაკებს აჭმევენ. ოფიციალური მსვლელობისას, მაგალითად, ქალაქისთავის დაკრძალვისას, თითოეული ამქარი ცალკე მიდის; დროშები და ემბლემები იშვიათად აქვთ ამქრებს.

ტფილისის ქუჩებში რამდენჯერმე შემხვდნენ მოვაჭრე ებრაელები; ერთს მთლად ჩვეულებრივი ტანსაცმელიც კი ეცვა, რამაც წამაქება გერმანულად გამოვლამარაკებოდი. ის გამოდგა გერმანელი ებრაელი ავსტრიიდან (გალიცია-პოდოლიის გავლით ოდესაში გადმოხვენილი, იქიდან კი ტფილისში წამოსული). მას ბევრი უნახავს და საზრიანი იყო. მას ლაპარაკის საღერღელი აეშალა, სახლში წავიყვანე, სადაც მიაბზო ზოგი რამ კავკასიაში მცხოვრები ებრაელების შესახებ. მოგვიანებით ერთი კარაიმის სექტის ებრაელი გავიცანი ერევანში. ამას გარდა, იქაური ებრაელების შესახებ სხვა სექტიბიდანაც მივიღე ცნობები. მე მათ აქ მოვიყვან, თუმცა არაა სრულყოფილი...



გერმანელი ებრაელები, როგორც ჩემი ზემოთ დასახელებული ნაცნობი, იშვიათად გვხვდებიან; პოლონელი ებრაელები კი პოდოლი-იდან, კიევიდან და ა. შ. ხშირად და მათ იოლად იცნობ ჩაცმულობით. მართალია, ისინი, ჩვეულებრივ, აქ დროებით მოდიან, მაგრამ ხდება ისიც, რომ სწავლობენ ადგილობრივ ენებს და მკვიდრდებიან. ერთ-მანეთში და ოჯახებში, რა თქმა უნდა, ლაპარაკობენ შერყვნილ გერმანულ ენაზე. აქ დაბადებული ებრაელები რამდენიმე სექტას ქმნიან; სამ ამათგანზე მცირედს მოგახსენებთ, რაც აქ გავივებ:

1) თალმუდის მიმდევარი ებრაელები კავკასიის სამხრეთით მდებარე ყველა ქვეყანაში გაბნეულად ცხოვრობენ. მე ვერ დავადგინე, სახლობენ თუ არა ისინი მთის ხალხებთან – ჩერქეზებთან, ჩეჩნებთან, ლეკებთან და ა. შ. ერთად. მათი საქმიანობა აქაც, როგორც ყველგან, ვაჭრობაა. შევიტყე, რომ სამხრეთ ქართლში (საქართველოში – Georgien) მათი მთელი სოფლებია. მათ არაფრად ავდებენ არც ქრისტიანები და არც მაჰმადიანები, რომლებიც ერთმანეთში მშვიდობიანად ცხოვრობენ და სტუმრობენ ერთმანეთს, ამ ებრაელების მიმართ სტუმართმოყვრულად არ ირჯებიან.

2) კარაიმი ებრაელები, ბიბლიისტები, რომელთაც უძველესი ტრადიციები და შეხედულებები კი არ უარყვეს, არამედ თალმუდს შეაქციეს ზურგი, უმთავრესად ერევნისა და ახალციხის პროვინციებში უნდა ცხოვრობდნენ. ისინი ამტკიცებენ, რომ წმინდად და შეურევლად ეკუთვნიან იუდას მოდგმას, რომელიც ოდესღაც ბაბილონში დამკვიდრდა. კიროსის დროს მათი ერთი ნაწილი იუდეაში დაბრუნდა, მეორე კი დარჩა და ბაბილონის განადგურების შემდეგ ჩრდილოეთისკენ გადაიხვეწა, დასახლდა არმენიაში და კავკასიონამდე გავრცელდა. მაშინვე მოხდა მათი ყირიმში დასახლებაც, საიდანაც საბოლოოდ მათი ახალშენები პოლონეთში (მეტწილად გალიციაში) დამკვიდრდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შემდგომში მათ სომხეთში დიდ ძალასა და პატივს მიაღწიეს. კერძოდ, როცა სომხეთში ქრისტიანობა შემოვიდა, მათაც მიიღეს ეს სარწმუნოება; მათ შორის გაბატონებულმა და უძლიერესმა გვარმა ბაზრადუნებმა (მოგვიანო ბაგრატიდები), რომელიც ნაბუქოდონოსორის მიერ არმენიაში გამოგზავნილი სანბადისგან, დავითის სამეფო გვარიდან წარმოსდგებოდნენ, ჯერ სპერის პროვინცია მიიღეს სამემკვიდრეო სამ-

ფლობელოდ და უფლება ეკურთხათ არმენიის მეფეები, შემდგომ კი თვით სომხური ტახტი; დაბოლოს, სამი ქართული ტახტიც ერგოთ.

კარაიმები ყველგან ითვლებიან არაჩვეულებრივ წესიერ, სამართლიან და საიმედო ხალხად; თალმუდიანთა სანინაალმდეგოდ, ყველგან პატივს სცემენ და უყვართ. მათ თათრული სამოსი გადაიღეს. შეიცნობთ მხოლოდ გაპარსული სახით, რომელზეც ბაკენბარდის წვრილი ზოლი დაუტოვებიათ ნიკაპამდე. ერთმანეთში ისინი ყოველთვის თათრულად ლაპარაკობენ. თალმუდისტებს ერიდებიან. მაჰმადიანებს ისინი მიაჩნიათ მათგან მომდინარე სექტად. მაჰმადის მასწავლებელი კარაიმი უნდა ყოფილიყო; მაჰმადმაც მისცა მათ თავისუფლება და არასდროს სდევნიან. ისინი იესოს თვლიან თავიანთი მოდგმიდან გამოსულ წინასწარმეტყველად, რომლის მონაფემაც ახალი სექტა დააარსა. რადგან ქრისტეს დროს არ იყვნენ იუდეველები, ამიტომ ქრისტიანების მიმართ ზიზღი სრულებით არა აქვთ.

იერუსალიმში არის კარაიმთა პატარა თემი, რომელთანაც ყველა სხვებია დაკავშირებული და რომელსაც დანარჩენები დედა საზოგადოებად თვლიან. წლის გარკვეულ დღეებში (პარასკევობით) კარაიმები იკრიბებიან მორიას მთის დასავლეთ მხარეს, რათა აქ, სადაც უწინ ღვთის პატივსაცემად მათი მამების საზეიმო სიმღერა გაისმოდა, ამჯერად ამათ შეასრულონ საგოდებელი ტაძრისა და წმინდა ქალაქის დაღუპვისა და ღმერთის რჩეული ხალხის განადგურებისა. აქ მე მოვიტან ერთ-ერთი ამ საგოდებლის ნიმუშს, რომელიც მოგვაგონებს ნამდვილ ანტიკურ უბრალოებას (უბინობას) და იერემიას მოთქმის შეგრძნების სიღრმეს. ეს არის ლიტურგია; ფორმა მას უძველესი ლოცვისა აქვს; ინტონაცია რაბინის ან მღალადებლის, მოძახილი (გუნდის პასუხი) ხალხის.

### პირველი საგუნდო სიმღერა

ლიტანია

სასახლის გამო, რომელიც გაჩანაგებულია!

ტაძრის გამო, რომელიც დანგრეულია!

კედლების გამო, რომლებიც დაქცეულია!

ჩვენი სიდიადის გამო, რომელიც მასშია!

ჩვენი დიდი გალავნის გამო, რომელიც მიწასთანაა გასწორებული!

ძვირფასი ქვების გამო, რომლებიც დამწვარია!

ჩვენი მოძღვრების გამო, რომლებმაც შესცოდეს!  
ჩვენი მეფეების გამო, რომელთაც იელოვა შეიძულეს!

მოძახილი (გუნდი)

ჩვენ ვსხედვართ განმარტოებით და ვტირით!

### მეორე საგუნდო სიმღერა

ლიტანია

გვედრებით შენ, შეგვინყალე, სიონ!  
იჩქარე, იჩქარე სიონის მსხნელო!  
მიეცი სიონს სილამაზე და სიდიადე!  
სამეფო კვერთხი კვლავ მალე გამოაჩინე სიონზე!  
მშვიდობა და სიხარული კვლავ დაამკვიდრე სიონზე!

გუნდი

შეკრიბე იერუსალიმის შვილები!  
ააღელვე იერუსალიმი!  
მონყალე მამეც იერუსალიმს!  
დაამშვიდე გლოვა იერუსალიმზე!  
და ყლორტი აღმოცენდება იერუსალიმში!

3) ურიანი. დარუბანდის მხარეში უნდა იყვნენ ებრაელები, რომლებიც დასაწყისში იუდეველები იყვნენ, შემდგომ კი გაქრისტიანდნენ, მაგრამ ებრაული წესები მთლიანად არ დაუთმიათ. ისინი იცავენ შაბათს და მკაცრად მისდევენ ყველა აღთქმასა და კანონებს, რადგან ეს ქრისტიმაც (იგი მათ მესიად ცნეს) ჩაიდინა და უბრძანა მათი აღსრულება. ისინი თავს თვლიან ბენიამინის მოდგმის ნარჩენებად, რომელიც ასირიელთა ტყვეობაში, თუ მის შემდეგ ჩრდილოეთით გაიქცა. მათ უწოდებენ ურიანი-ს. იმათმა კანონმდებლებმა ქრისტეს დაბადებისას განაცხადეს, რომ მესია ბეთლემში იშვა. მათ თავისი წრიდან ორი კაცი – ლონგინოზი და ელია გაუგზავნიათ იქ, რომელთაც 70 ყმანვილთან ერთად ქრისტე უღიარებიათ. ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ თავისიანებთან დაბრუნდნენ და თან მიიტანეს ქრისტეს ქვედა კაბა (და არა შეუკერავი ქურთუკი), რაც ამჟამადაც ტფილისთან ახლოს, მცხეთის კათედრალურ ეკლესიაშია დაცული და



პატივდებული. ლონგინოზმა მხსნელის მოძღვრება წიგნად ჩაიწერა, რომლის ასლიც მათთან უნდა ინახებოდეს ძალზე საიდუმლოდ. მათ არ იციან ახალი აღთქმის წიგნები და არც აღიარებენ.

ძალზე საინტერესო უნდა იყოს ამ სექციის გამოკვლევა, თუკი ასეთი მართლაც არსებობს; ამასთან მეტად რთული იქნება ჭეშმარიტების დადგენა...

ათი ისრაელური მოდგმის ყოფნა და ბედი ასურეთში, რა თქმა უნდა, აუხსნელი ისტორიული გამოცანაა. ისინი მთელ აზიაში არიან გაფანტული. მათი დიდი ნაწილი კავკასიის ქვეყნებში წამოვიდნენ, მაგრამ, უეჭველია, ამჟამად დიდ მასად არ არიან იქ.<sup>1</sup> ისინი ნაწილობრივ ისევ წავიდნენ; მაგ., სპარსეთის მეფემ მე-5 საუკუნეში მხოლოდ დიდი არმენიის ქალაქებიდან 71000 ებრაული ოჯახი გაასახლა სპარსეთში (შდრ. რიტერი, გეოგრაფია, X, გვ. 588). [აქ ჩვენ გამოვტოვეთ სქოლიოში მოცემული ლეგენდები ებრაელთა ისტორიიდან, გვ. 120-122 - გ. გ.]

<sup>1</sup> ვახტანგის „საქართველოს ისტორიის“ მიხედვით (შდრ. კლაპროტი, II, გვ. 87), ადამიდან 3360 წელს ბევრი გამოქცეული ებრაელი (ურიანი-დწოდებული) ბაბილონიდან ქართლში მოვიდა, სადაც მცხეთის მამასახლისმა მდინარე Snawi-ზე (=ზანავი - გ. გ.) დაასახლა. ისინი უხდიდნენ გადასახადს (ხარკი).



## მეხუთე თავი

გამგზავრება კახეთისკენ. - მარიენფელდი. - ქედი. - თქმულება გველის მთის შესახებ არაქსზე. - ტროგლოტიდური გამოქვაბულები; რუისპირი. - ბ-ნ ლენცის ღვინის სარენი. - ღვინის ფაბრიკაცია ამ მხარეებში. - თელავი. - თავადი ანდრონიკოვი. - სტატისტიკური მონაცემები კახეთის შესახებ. - საზოგადო წყობა, მინათმოქმედება, გადასახადები, ირიგაცია, ხალხის ხასიათი, დავა; მშვენიერი დოკუმენტი. - სოფელი გურჯაანი. - თბილი წყაროები; ხალხური თქმები; ღობეების მრავალფეროვნება. - ეკლესია ანაგაში. - სარწყავი სისტემა; წისქვილები. - სიღნაღი. - თავადი აფხაზოვი, მისი სახლი. - ცნობები სვანეთის შესახებ. - ეკლესია თაფარავანზე. - ქართული დამწერლობა. - შაქრის ღერწმის, ინდიგოს, ბამბის მოშენება. - ექსკურსია წმინდა ნინოს ეკლესიისკენ; ლეგენდა, ეკლესია და მონასტერი; მღვდელთა დოტაცია. - დაბრუნება. - განადგურებული სოფლები. - ქართველთა ნაბაძვა გერმანული სამშენებლო ხელოვნებისა. - ცხვრის ფარები, მათი მწყემსები., ქოფაკები, ვაცები... - ცხოვრების ხასიათის და სახლის შენების ტიპის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში; ქართული სახლი. - სახლი სამეგრელოსა და იმერეთში. - კახური სახლი. - სახლი გურიასში.

კახეთის პატარა ქვეყანა ჩვენ აგვიწერეს როგორც მთელი კავკასიის მხარის ელდორადო; როგორც ქვეყანა, სადაც რძე, თაფლი და ღვინო მოედინება და ყოველგვარი ნაყოფი მოდის! გადავწყვიტე საკუთარი თვალთ მენახა.

16-დან 17 აგვისტოს ღამით თავად ლივენთან და ჩემს ერთგულ პეტერ ნოისთან ერთად ჩავჯექი ერთი გერმანელი კოლონისტის ეტლში, რომელმაც მხიარულად წაგვიყვანა. ეტლი იყო სილვზიურის მსგავსი. ჩვეულებრივ პატარა ურემს, რომელზეც ჩვენ თივაში ვისხედით, წვიმისა და მზისგან დასაცავად ტილო ჰქონდა ზემოდან გადაჭიმული. მალე მშვიდად დავიძინეთ და დილის 3 საათზე

მივალნიეთ გერმანულ კოლონიას მარიენფელდს. ის მდებარეობს მდინარე იორზე, რომელსაც ადრე კამბისე ერქვა, რაც მას კიროსმა დაარქვა მამის პატივსაცემად. აქ ცხენებს ვაჭამეთ და ჩვენც ვისაუზმეთ ერთ კოლონისტთან. თითო კოლონისტს მარიენფელდში გამოყოფილი აქვს 30 დესეტინა (120 პრუსიული „მორგა“); მათ აქვთ ორმინდვრიანი მეურნეობა, ერთი ნაწვერალი (მკის ალო) და ერთი საანეულო (ნასვენნი მინდორი/ნახნავე). მათ მოჰყავთ ხორბალი, ქერი და შვრია. მიწის რენტას იხდიან 20 ვერცხლის კაპიკს დესეტინაში. კარ-მიდამოს მოსაწყობად ხაზინამ 125 ვერცხლის მანეთი ასესხა, რაც კოლონისტებმა ათ წელიწადში უნდა დააბრუნონ. მე ისინი შეძლებულნი და კმაყოფილნი მეჩვენენ. მათი მდგომარეობა მყარი ჩანს; მეტწილად თანაბარი მოსავალი იცავს მათ გაჭირვებისგან. ჰავა კარგია, ცა თითქმის ყოველთვის მონმენდილი, 40 დღეც კი არაა წვიმიანი. ზაფხულში დიდი სიცხე იცის – ჩრდილში 30-33°; ზამთარში, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებში იწყება, იშვიათადაა რამდენიმე გრადუსი ყინვა. გაბატონებული სიმშრალის გამო, ცხადია, ნაყოფიერებას მხოლოდ მორწყვით შევლიან.

7 საათზე გავემგზავრეთ და გავუხვიეთ მარცხნივ მთისკენ. გზა, რომელიც ზოგჯერ საზიზლარი იყო, მიდიოდა აღმართ-დაღმართ, უმეტესად მშვენიერ ტყეებზე. ერთი-ორჯერ კახაკთა პოსტებს მივადექით, ხოლო შუა გზაზე – რუსული არტილერიის ბანაკს გომბორს (Tambor). მშვენიერი სანახაობა გადაგვეშალა ზემოთ მწვერვლებზე; მარჯვნივ იყო ლამაზი ძველი სასახლის (ციხის) ნანგრევები. მეზობელ მთას ერქვა გველისმთა. ამან პეტერ ნოის მისცა საბაბი მოეთხრო ლეგენდა სხვა გველისმთაზე... (ჩვენ გამოვტოვეთ ეს ლეგენდა – გვ. 124-126, რადგან არ ეხება საქართველოს – გ. გ.).

შუადღისით ვიყავით მთის მეორე მხარეს; მივედით ხეობაში, სადაც სწრაფი მთის მდინარე მოედინებოდა მაღალი კლდოვანი კედლის გასწვრივ. ამ კლდოვან კედელში, მეტწილად 70-100 ფუტის სიმაღლეზე, მრავალი ხვრელი იყო გამოკვეთილი, უეჭველად ხელოვნურად. ისინი ჩამწყრივებულები იყო, ხანდახან ერთმანეთს ზემოთ ორ-სამ წყებად და ღრმად შედიოდა კლდეში, ზოგი კი ერთმანეთთანაც იყო დაკავშირებული. მოგვიანებით სხვებმაც მითხრეს (მაგ., თავადმა აფხაზოვმა სილნალში), რომ კავკასიის ყველა ქვეყა-



ნაში, ყოველ კლდოვან კედელში უთვალავი რაოდენობის მსგავსი ხვრელებია. ამნაირივე, ოღონდ უფრო დიდი და ღრმა ხვრელები ყოფილა მუხრანის სტეპზე გრძელ კლდოვან კედელში. აქ ბევრგან პოულობენ სხვადასხვა სიდიდის ძელებს. ეს ქვახვრელები ისტორიული გამოცანაა. არცერთი ისტორიული ცნობა არ ამბობს მათს წარმოშობას და გამოყენებას. ზოგს ისინი მიაჩნია თავშესაფარ ადგილებად ომისა და ყაჩაღური თავდასხმების დროს; ზოგი მათ თვლის განდევილთა საყუდლადად; სხვები – ყაჩაღთა გამოქვაბულებად. მათი უდიდესი რაოდენობა გვიჩვენებს, რომ ისინი უნდა წარმოადგენდნენ უცნობი პრეისტორიული ხალხის (ტროგლოდიტების – გამოქვაბულის ხალხის) საცხოვრებლებს.

ბოლოს, სალამოს პირს მივედით მთის ძირას, სადაც რუისპირის ხეობის თავში ჩვენს წინ მდებარეობდა ბ-ნ ლენცისა და კომპანიის ღვინის დიდი სარენი. ეს ქარხანა დაფუძნებულია კახური ღვინის ხელოვნურ და ნამდვილ საწნეხზე და დამუშავებაზე. ეს ღვინო კავკასიის ქვეყნებში საუკეთესოა. ბ-ნმა ლენცმა თავაზიანად მიგვიღო; მან წაგვიყვანა თავის ვრცელ ღვინის საცავში და გაგვასინჯა თავისი წესით დანურული ღვინო. სუფრის ღვინო იყო ანკარა, მაგარი, მოტკბო, ოღონდ მცირედ დაჰყვებოდა მინის გემო, როგორც ეს ხშირად უნგრულ ღვინოებს ჩვევია. შუშხუნა ღვინო მთლად საშუალო ხარისხის შამპანურის მსგავსი იყო.

რაც მე ბ-ნი ლენცისგან აქ და ბ-ნი ზალცმანისგან ტფილისში გავიგე მევენახეობაზე, ღვინის დამუშავებასა და ღვინით ვაჭრობის შესახებ, ამ ცნობებს აქვე მოგანვდით:

კავკასიელები ღვინოს ამზადებენ ძალზე მიზანშეუნონლად და უხემად. ყველა მტევანი – თეთრი, შავი, იისფერი, მრგვალი, მოგრძო, მწიფე, მკუხე – ერთად იყრება გარეთ მინაში ჩაფლულ ოთხკუთხა, უმეტესად ამოშენებულ ღრმულში ან ჭურჭელში და ფეხით იჭყლიტება. წვენი ხის სადინარით ჩადის თიხის ჭურჭელში, რომელიც მინაშია ჩადგმული, ისე რომ, მისი რანტი ორი ან სამი ხელის სისქის მინის ქვეშაა მოქცეული. ეს ქვევრები სხვადასხვა სიდიდისაა; პატარები იტევს 5-10 ვედროს, მაგრამ არის რამოდენიმე ასი ვედროს შემცველიც. როცა ქვევრი ივსება, მის ზედაპირს (რომლის სიგანე დიდებში ერთ და მეტ ფუტს უდრის) ხურავენ ქვით ან მაგარი ხის



ხუფით, რომელზეც 1/2-1 ფუტის სიმაღლეზე მინას აყრიან. ორი-სამი თვის შემდეგ ღვინო გადააქვთ მეორე (ასევე მინაში ჩამარხულ) ქვევრში. ამჯერად ქვევრი თავახდილი რჩება შემოდგომამდე. წყალი, ჭუჭყი, მწერები მასში გროვდება; შემდგომი დასუფთავება ძალზე საშუალო და მცირე ეფექტიანია! სახმარად ღვინოს ასხამენ ტიკებში. კასრებს და ბოთლებს აქ არ იცნობენ. კამეჩის, ხარის, ღორის ან თხის მთლიანი ტყავისგან ამზადებენ ტიკს და ავსებენ ღვინით. ბენვიანი მხარე შიგნითაა მოქცეული, ოღონდ წინასწარ უმეტესად ნავთითაა გაჯერებული (ნავთშია ჩამბალი); ეს ღვინოს აძლევს ძლიერ გემოს, სამაგიეროდ ძალიან კარგად ინახავს. საძაგელი სანახავი იყო ასეთი უზარმაზარი ტიკი (=რუმბი - გ. გ.) ურემზე დადებული ჩვენ რომ შემოგვხვდა; ის ჰგავდა მკვდარ საქონელს!

გერმანელი კოლონისტები და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ბ-ნი ლენცი, ღვინოს ამზადებენ და ამუშავებენ ევროპული წესით. ისინი ბეჯითად ახარისხებენ მტევნებს, წვენს ასხამენ როფებში, სადაც ტოვებენ პირველ დუღილამდე, ხოლო შემდეგ კასრებში ინახავენ. ჭაჭიდან კი არაყს ხდიან.

ღვინის შესანახ კასრებზე ყველგან გაჭირვებაა. გერმანელი კოლონისტები თავისთვის იმზადებენ კასრებს, როფებსა და ა. შ. გარდა ნახმარი შამპანურისა, აქ სხვა ბოთლები არ აქვთ, რომელთაც აგროვებენ, ანდა რუსეთიდან მოაქვთ. ასი ცალი ღირს 15 ვერცხლის მანეთი; ასე რომ, ბევრად ძვირია, ვიდრე თვით ღვინო, რადგან კარგი ადგილობრივი კახური ღვინო - ერთი საზომი 3 კაპიკი ღირს. ახალციხეში გენერალმა ზავილეისკიმ დააარსა შუშის ქარხანა; ამან დიდი ხარჯები მოითხოვა, რის გამოც ვერ შესძლო შუშის იაფად მიწოდება.

ქართველები, რომლებსაც არა აქვთ ვაზის მოვლის კულტურა, უნაყოფო მინაზე იღებენ 200, ნაყოფიერიდან 300-350 ვედრო ღვინოს დესექტინაზე; კოლონისტები კი, ბეჯითი შრომით, 600 და მეტ ვედროს. ვაზი აქ ასი და მეტი წლისაა. ძველ, განადგურებულ ბალებში გვხვდება ვაზი, რომელთაც აქვთ ერთი ფუტი განიკვეთში და ისეთივე გემრიელი მტევნები, როგორც ათწლიანისას. კახეთის საუკეთესო ღვინოებს დიდი მსგავსება აქვთ ბურგუნდიულსა და ესპანურთან, ოღონდ ბუკეტი ჩამოუვარდება. აქ რომ დაერგოთ უცხოური ვაზი (ასეთი ცდა არ ჩატარებულა), მნიშვნელოვან შედეგს მიიღებდნენ.



აქაური ღვინო აქამდე რუსეთისკენ და საერთოდ უცხოეთში არ გაჰქონდათ. მხოლოდ ქართველები და ახლახანს გერმანელი კოლონისტები ეწევიან ღვინით ვაჭრობას; სომხები არ იღებენ მონაწილეობას, თათრები კი რელიგიური წესების გამო არ ეკარებიან.<sup>1</sup>

გვიან ჩავედი თელავში;<sup>2</sup> მეორე დილას ვინახულე მხარის მმართველის მოადგილე, თავადი ანდრონიკოვი. ეს იყო განათლებული პიროვნება, რომელსაც ჰქონდა სურვილი უცხოეთის განემართა ყოველივე, რაც კი მას აინტერესებდა. პირველად მან ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა მომანოდა, რაც საკმაოდ ზუსტი უნდა იყოს, რადგან მასზეა დამოკიდებული საგადასახადო საქმე.

კახეთში, ე. ი. თელავისა და სიღნაღის მაზრებში, გარდა ამ ორი სამაზრო ქალაქისა, არის კიდევ 115 სოფელი 14253 კომლით: თელავში - 472, სიღნაღში - 623, სოფლებში - 13158. გადასახა-

<sup>1</sup> დიუბუა (II, 301 გვ.) ამბობს, რომ საქართველოს წლიური მოგება ღვინით შეადგენს 60 მილიონ პინტას, საიდანაც 2/3 კახეთზე მოდის, რომლის მოსახლეობა 90-100000 სულია. დაახლოებით 10000 დესეტინა (=40000 მორგა) წლიურად 40-50 მილიონ პინტა ღვინოს უნდა იძლეოდეს. ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს სახელმწიფოს კუთვნილ კონდოლს და თავად ჭავჭავაძის კუთვნილ ყვარულსა და წინანდალს. ჯერ კიდევ სტრაბონი ამბობდა ღვინის სიჭარბეზე. ვაზს აქ არასდროს არ იცავენ (ხურავენ); ხუთ წელში ერთხელ ჭრიან (სხლავენ); ნაყოფი მეორე წელსვე მოდის. ტფილისში თუნგი (5 ბოთლი) კარგი კახური წითელი ღვინო ღირდა 1 აბაზი (7 Sgr), ჩვეულებრივი ღვინო - თუნგი 2 1/2 Sgr, ძალიან კარგი - 2 აბაზი. ამ ღვინოს აქვს ბურგუნდიის ფერი და არაა ისე ძელგი (ენის მწკლარტავი) როგორც ბორდოსი. კახეთში მას ინახავენ ამფორებში (დოქებში), რომლებიც ხანდახან 9 ფუტი სიმაღლისაა. ეს თიხის ჭურჭელი ნაწილებად მზადდება და შემდეგ ერთმანეთს უერთებენ, სადოქე თიხითვე იფარება და ღუმელში გამოიწვება; შემდეგ პოხავენ ნავთით. ეს ღვინოს გემოს აძლევს, რასაც მალე ერჩევი და ღვინო საუკეთესოდ გეჩვენება. ასეთი ღვინო თავს არასდროს გატკივებს, იცავს პოდაგრისგან და არჩენს მას. პოდაგრა არსადაა ისე იშვიათი, როგორც საქართველოში! გერმანული წესით დამზადებული ღვინო ყოველთვის მეტ-ნაკლებად შუშხუნაა.

<sup>2</sup> თელავში გარდაიცვალა ქართლის (Grusien) ბოლოს წინა მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა უკანასკნელი გმირი! იგი 50 წელი ებრძოდა თავისი ხალხის დამოუკიდებლობისათვის სპარსელებსა და თურქებს და ხშირად წარმატებითაც!

დის გადამხდელი ამ კომლებიდან 7122 სახაზინო გლეხია, 3901 - საბატონო.

ამას გარდა, ორივე სქესის თავად-აზნაურობა (წარჩინებულები) არის 1556. 170 ეკლესია არის ორთოდოქსული ქართული, 12 - სომხურ-გრიგორიანული. სოფლები სრულიად განსხვავებული სიდიდისაა; არის პატარა, 20 სახლს რომ შეიცავს; არის აგრეთვე დიდი - 400 კომლიანი. იქ, სადაც ყურძენს აშენებენ, სახლები მეტწილად გაფანტულია ვენახებს შორის. თითოეული სოფელი ქმნის დამოუკიდებელ თემს. თემებს აქვთ ტყე, თუმცა რამდენიმეს ერთი საერთო.<sup>1</sup> თითოეულს შეუძლია საჭიროებისამებრ ჩეხოს და გაიტანოს რამდენიც სურს, მაგრამ ვერ გაყიდის. გაყიდვისთვის საჭიროა ყველას თანხმობა. თითო კომლს აქვს 15-20 დესეტინა ვენახი. მინა თითქმის მთლად და განუყოფლად ეკუთვნის კომლებს და მემკვიდრეობით არ დაიყოფა. ოჯახებში სუფევს დიდი ერთობა: უფროსი (პაპა, მამა, ძმა) შეუზღუდავად ბატონობს და ყველაზე ზრუნავს. ხშირად ოჯახში რამდენიმე თაობაა, ხანდახან 30 სული. თუკი დავა წარმოიშობა, არჩეული მოსამართლეები ქონებას უნაწილებენ. სახნავი აქ ორმინდვრიანია. უპირატესად თესენ სიმინდს, შემდეგ ხორბალსა და ქერს. თავად-აზნაურობა ხანდახან ცდილობს მინათმოქმედების გაუმჯობესებას. ღალად თითო კომლი ხაზინას აძლევს ერთ კოდს - 2/3 ხორბალს და 1/3 ქერს. არიან ძველი კოლონიტები (აქვთ ზვრები), რომლებიც ღვინოში იხდიან ფულად გამოსაღებს (კულუხი). უწინ მორწყვას მკაცრი ყურადღება ექცეოდა; ამჟამად ყოველი წარჩინებული სურვილისამებრ იყენებს რუებს (არხებს), გლეხები კი ჯერაც მერუეს (წყლის მოხელეს) ემორჩილებიან. თითოეული იმ რაოდენობით სარგებლობს, რა გამოსაღებიც აქვს დადგენილი ნაცვლისგან. თავად-აზნაურთა გლეხები ყოველ კვირა საბეგრო სამუშაოს უსრულებენს ბატონს და თავიანთი ნაკვეთიდან უხდის მეშვიდედს; ხშირად მხოლოდ მეშვიდედ ძნას, არავითარ ბოსტნეულს. მოჯამა-

<sup>1</sup> თავადი აფხაზოვი სიღნაღში გვიმტკიცებდა, რომ ამ მაზრაში თემებს არა აქვთ საკუთარი ტყეები, რომ სახაზინო სოფლები იყენებენ სახაზინო ტყეებს, საბატონო სოფლები - საბატონო ტყეებს სურვილისა და საჭიროების მიხედვით.

გირეები გასამრჯელოდ იღებენ საქმელს, ტანსაცმელს და ნლიურად 30 ვერცხლის მანეთს.

თავადმა გვითხრა, რომ კახელები დავის არაჩვეულებრივი მოყვარულები არიან; სახელდობრ, თემები ერთმანეთში და სხვა მეზობლებთან უცხარესად დავობენ. ასეთ ვითარებაში აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ბევრია ძველი საბუთები, რომელთა წარმოჩენისას ყველა თავისას მოითხოვს. არ შემძლია უარი ვთქვა ერთი ასეთი საბუთის აღწერაზე, რომელიც ყველა სამეფო არქივს დაამშვენებდა.

საბუთი ერთ-ერთი ასეთი პროცესის დროს სინოდალურ კურიას წარუდგინა მოდავე მხარემ. ეს იყო ძალზე მაგარ, პერგამენტის მსგავს პრიალა მოყვითალო ქალაღზე დაწერილი, 18-20 ფუტი სიგრძისა და 1 ფუტი სიგანის გრძელი გრაგნილი. თავში დაახლოებით 1 ფუტი სიფართის ცარიელი ადგილი დაეტოვებინათ. მას მოსდევდა ერთმანეთის ქვეშ მოთავსებული ოთხი მინიატიურა, რომელთაგან პირველი ორი გაცილებით უკეთაა დახატული, ვიდრე შემდგომი; ესენი ამასთან უფრო მოგვიანო ხანისაა. პირველია 1593 წლის ე. წ. სურათი ალექსანდრე მეფის. იგი ფეხმორთხმით (მუხლებმოკეცილი) ზის განიერ სკამზე; სახე და წვერი კარგადაა მოხატულ-შეფერადებული; თავზე ადევს ოქროს ჩაღმა; აცვია ოქროსხიფთანი, მორთული გაბნეული ყვავილებითა და ბეწვით, ოქროს ყვავილებიანი ჟილეტი, ოქროს შარფი, იისფერი შარვალი. ერთ ხელში ხანჯალი (მახვილი) უჭირავს თავის წინ ირიბად აღმართული, მეორეთი საყრდენს ებჯინება. ამ პორტრეტის ქვეშ ხატია გვირგვინიანი ოქროს ორთავა არწივი წითელი ნისკარტით და წითელი ფეხებითა და კლანჭებით, რომელსაც მარჯვენაში უჭირავს ხმალი, მარცხენაში ფრთა თუ პალმის ტოტი (გაურკვეველად ჩანდა). ეს იყო პირველი სურათი განიერ მორთულ ჩარჩოში ჩასმული. მის ქვემოთ მეორე სურათზე წარმოდგენილი იყო სკამებზე (სავარძლები) მსხდომი ოთხი მეფე. სახელდობრ, მეფეები დავითი, ერეკლე, კონსტანტინე და უფლისწული თეიმურაზი. მას მოსდევს მესამე სურათი ფეხზე მდგომი ორი მეფისა. ერთია მეფე თეიმურაზი თეთრი თმა-წვერით, გვირგვინით და კვერთხით და თითქმის სასულიერო სამოსში: გრძელი ყავისფერი ოქროს ყვავილებიანი ქვედა კაბა და ოქროთი მოქარგული წითელი სამეფო მოსასხამი. მეორეა ბატონიშვილი დავითი - პოლონურის



მსგავსი ბუნვის ქუდით, შავი თმა-წვერით, მოკლე ხიფთანით, ოქრომწიკედიანი ყილეტით, ოქროთი მორთული წითელი ქვედა კაბით, ლურჯი წინდებით და წითელი ფეხსაცმელებით. შემდეგ მოდის მეოთხე სურათი, რომელზეც სამი მეფე დგას - მეფე ალექსანდრე, მეფე ლევანი და ბატონიშვილი დავითი. ორი მარცხენა სამეფო მორთულობაშია ზემოთების მსგავსად; უფლისწული დავითი კი იმავე ჩაცმულობით, როგორც მესამე სურათზე.

მხოლოდ ამ სურათებს ქვემოთ იწყება ნანერი. ჯერ არის ლოცვა ძველ-ქართული მოოქროვილი ხუცური ასოებით, ვრცელი წყევლით ყველასი, ვინც ეკლესია გაძარცვა, ანდა სურთ ამჟამად აქაურ შემონირულებათა გატაცება. შემდეგ იწყება ჩვეულებრივი სიგელი შავი მშვენიერი ქართული შრიფტით. მასში ნათქვამია, რომ თამარ მეფემ დააარსა და შემოსავალი გაუჩინა კახეთის ეკლესიას; მერე სპარსელთა შემოსევისას ყველაფერი განადგურებულა, საბუთებიც. როცა მშვიდობამ დაისადგურა, მეფეს სთხოვეს, აღედგინა ძველი შენირულებანი და პრივილეგიები. ეს პირველი ნებართვა (დადგინება) არის სამყაროს შექმნიდან 7104 (1595 წ.) წელს. ამას მოსდევს სხვა ხელით შესრულებული მომდევნო თანხმობანი; უკანასკნელი 1708 წლისაა. მეფის სახელს ყოველთვის ბეჭედი აქვს დასმული. ქალღმერთი ყოველ მესამედ ფუტზეა შეერთებული და დანებებული, ხოლო ზურგის მხრიდან შეერთებათა ადგილზე ბეჭედი აზის.

ასეთი საბუთების შეგროვება, ბეჭდების, სურათების, პორტრეტების, ქვის ქანდაკებების (ძეგლების) და ა. შ. გადმოღება ძალზე საინტერესო იქნებოდა და ბევრ შუქს მოჰფენდა ამ ქვეყნის ისტორიის ბნელ მომენტებს. მაგრამ ამისთვის მთავრობამ ადგილობრივი მკვიდრნი უნდა გაანათლოს, გაგზავნოს თუნდაც გერმანიის უნივერსიტეტებში სასწავლებლად და მეცნიერული სულის შესუნთქვის ნება მისცეს!

მთელი დილა საზიზლარი ამინდი იყო, მხოლოდ 11 საათისთვის მოიწმინდა და მშვენივრად ვიმგზავრეთ. განუწყვეტლივ მივდიოდით ქედის კალთებზე; მარცხნივ ჩანდა მდიდარი, კარგად გაშენებული ქვეყნის ხედი. კახეთის ეს ნაწილი წარმოადგენს განიერ ველს მოთავსებულს ჩვენს თავზე აწვდილ შუა ქედსა და აღმოსავლეთ კა-



ვკასიონს (ანუ ლეკურ კავკასიონს) შორის, რომელსაც შუაზე ვვითს საკმაოდ დიდი მდინარე ალაზანი. სოფლები მჭიდროდ ებმის ერთმანეთს ბორცვიან კალთებზე. როგორც წესი, ვენახების ორი რიგი უშუალოდ სოფელს ეკვრის, შემდეგ იწყება სახნავი, შემდეგ ალაზნამდე მდელოები და საძოვრებია.

სოფელ გურჯაანთან გავუარეთ ორ ბორცვს შორის მოქცეულ პატარა მრგვალ ტბორს მღვრიე წყლით, რომელიც გამუდმებით ირხეოდა, რადგან შუაგულში ყოველ წამს ძლიერი ბუყბუყით ამოდულდებოდა. ეს ამოსროლილი წყალი ძალიან თბილი უნდა იყოს, თითქმის ცხელი და უეჭველად წარმოადგენს მინერალურ წყაროს, რომელიც აქამდე არაფერშია გამოყენებული, გარდა იმისა, რომ ავადმყოფ საქონელს შერეკავენ შიგ და ესენიც მალე ჯანსაღდებიან. პეტერ ნოიმ მაშინვე მშვენიერი ლეგენდა გვიამბო:

„ერთ დროს ამ ტბის ადგილას იდგა ერთი მღვდლის საცხოვრებელი სახლი; ის იყო ძუნწი, მომხვეჭელი და არავითარი ღვთისმოსავი. ხალხს ცუდ მაგალითს აძლევდა: კვირას და უქმე დღეებში მუშაობდა და სხვებსაც ამუშავებდა. ერთხელ ქრისტეს ფერისცვალების დღეს გააღწინა ხორბალი (ქართული სალენით). მაშინ ქრისტე ჩამოვიდა, გაჩერდა სახლის წინ და ჰკითხა მღვდელს: „რომელი დღეა დღეს?“ მღვდელმა ვერ იცნო ქრისტე და დაიწყო ლანძღვა: „რა შენი საქმეა, რომელი დღეა; ქრისტეს ფერისცვალების დღეა, მაგრამ ჩემი ქალიშვილები მაინც (ახლა) ლენენ ხორბალს!“ ქრისტე შებრუნდა და თვალის დახამხამებაში სახლი თავისი ყველაფრით მიწაში შთაინთქა და არავის მას შემდეგ მღვდლისა თუ მისიანების შესახებ აღარაფერი სმენია. სახლის ადგილას კი გაჩნდა ტბორი თავისი თბილი წყლით. ეს თბილი წყაროები კი არის ცოდვილი მღვდლისა და მისი ოჯახის მონანიების ცრემლები.<sup>1</sup>

ძალზე საინტერესო იქნებოდა ამ მხარეებში ლეგენდები რომ შეკრებილიყო და ევროპულთან შეედარებინათ. ისინი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზღაპრები, რომლებიც მეტ-ნაკლებად იგივეა,

<sup>1</sup> მთლად ასეთივე თქმულებაა კარლსბადის წყაროზე, რომ ესაა ცხარე ცრემლები საბრალო ცოდვილისა განსანმუნდელ ცეცხლში, რაც იქ გადმოედინება!

ანდა ვარიანტებია, ან მსგავსია უკვე ცნობილი ათას ერთი ლამისა და. შ....<sup>1</sup>

არსად არ შემხვედრია ყანებისა და ბაღების ისე მრავალფეროვანი შემოღობვა, როგორც კახეთში. ყოველგვარი სახე ღობისა – უხეშიდან მთლად მხატვრულად და ულამაზესად დანულამდე: ფიცრის, მორის, მესრის, ცოცხალი, ქვაყრილები, უკირო და უთიხო მშრალი ქვის კედლები. ყველაზე საოცრად მეჩვენა ასე ხშირად შემხვედრი ღობე ხის ფესვის, კუნძის და დაგრეხილი ტოტებისა; ყოველივე ეს ძალზე გემოვნებით იყო ერთმანეთში ჩანული, რაც საკვირველ ფიგურებს ქმნიდა; ხანდახან ნაგავდა ერთმანეთში ჩახვეული გველების გორგალს და სხვა ურჩხულებს.

სოფელ ანაგაში ჩვენ ცოტა ხნით შევისვენეთ. მე ჩავხატე ამ სოფლის ეკლესია, რომელიც ამ მხარეში ნანახ ყველა სხვა ეკლესიისგან განსხვავებულადაა ნაშენები. ფორმა უფრო მეტად ევროპულია, მიუხედავად იმისა, რომ მორთულობა სხვა აქაურების მსგავსია.<sup>2</sup>

სოფლის შუაგულში იდგა ძლიერი, უკვე ნახევრად დანგრეული ქვის კოშკი, ისეთი, როგორიც ამ მხარის ყველა დიდ სოფელშია; ისინი ყველგან ნარჩინებულთა მიერ უნდა იყოს ნაგები მტრის თავდასხმისაგან თავდასაცავად, მეტწილად ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერაც ხანდახან საფრთხეს უქმნიან ამ მხარეებს.<sup>3</sup> ძველ დროში, როცა საქართველო ძლიერი იყო, ლეკეთისა და დაღესტნის მთები მას ეკუთვნოდა. თემურლენგის დაპყრობათა შემდეგ წელში

<sup>1</sup> აქ ჩვენ გამოვტოვეთ ნაცნობი გადმოცემა „სურამის ციხის“ შესახებ (გვ. 136) – გ. გ.

<sup>2</sup> წიგნში აქ, 137-ე გვერდზე ჩანახატი სურათია ანაგის ეკლესიის – გ. გ.

<sup>3</sup> ლეკები ბუნებით ყაჩაღები არიან; განსაკუთრებით უყვართ ადამიანების მოტაცება, რომ შემდეგ მათში გამოსასყიდი მიიღონ. ხშირად ისინი ტყვეებს მონებივით ექცევიან. თუკი ესენი (=ტყვეები) მაჰმადიანები არიან, ყმებად (გლეხებად) აქცევენ და მცირე სამსახურსა და გადასახადს აკისრებენ და ნაკლებ ჩაგრავენ. დიდი საქმეებისადმი არ არიან მიდრეკილნი, რადგან მათი ხალხისა და თემების კავშირები სუსტია და იშვიათად ერთიანდებიან. ამბობენ, ათზე მეტი არასოდეს შეკავშირდებაო. ლეკებს არ ჰყავთ თავადები და აზნაურები. არიან ლამაზები, სწორი აღნაგობის; აქვთ შავი თვალები და თმები, მაგრამ ქართველებზე დაბლები არიან.



ველარ გაიმართა, ამასთან შემცირდა ხშირი დაყოფით. მამაცი ლეკები არა მარტო განთავისუფლდნენ, არამედ დაიწყეს გამუდმებული თავდასხმები მოსაზღვრე ქვეყნებზე, განსაკუთრებით მდიდარ კახეთზე. მოგვიანებით შაჰ-აბასმა ეს მხარე საზარლად გაანადგურა. მაშინ გადაიქცა ალაზნის ერთ მხარეს მთელი ზოლი ტყედ, ხოლო მტკვარს, ალაზანსა და იორს შორის მოქცეული ფართი - გაუშენებელ სტეპად, სადაც ახლაც ხშირია ლეოპარდი.

ღამე გავატარეთ საფოსტო სადგურში. მეორე დილას ადრე ჩავედით სილნალში. ბოლო ექვსი ვერსი გზა მარჯვნივ მიიკლაკნება ზევით მთაში, ვინრო, რომანტიკულ, კლდოვან ხეობაში, რომელშიც მოედინება ძლიერი მდინარე. ეს წყალი ზემოთ დაგუბებულია და ხეობის ორივე მხარეს, კლდოვანი კედლების გაყოლებით, არხებში გადადის, რომელთა მეშვეობითაც შუაში მდებარე ვინრო საძოვრები და მინდვრები ირწყვება. ამ ხეობაში არის 20-მდე წისქვილი, რომელთა ქვები იმის მაგივრად, როგორც ყველგანაა, რომ ვერტიკალურად მდგომი ატრიალოს წყალმა (ზედა ან ქვედა მხარეზე ცემით), განლაგებულია ჰორიზონტალურად. რა იყო ასეთი გაუმართლებელი კონსტრუქციის მიზეზი, ვერ გავიგე. ტფილისში ვნახე წისქვილები ჩვეულებრივი კონსტრუქციის - დამდგარი ბორბლებით.

სილნალის მაზრის (მხარის) უფროსმა, თავადმა აფხაზოვმა ჩვენს შესახვედრად გამოგზავნა თავისი ძმისწული (დისწული). თავადის სახლი იდგა ქალაქის სიახლოვეს, მარჯვნივ შეღმართზე. გარედან ისევე გამოიყურებოდა, როგორც სამეგრელოს მთავრის დადიანის ზემოთ აღწერილი სახლი.

თავადი აფხაზოვი იყო ჭკვიანი, განათლებული კაცი და თანამზრახველი, როცა ხედავდა, რომ სხვასაც იგივე აინტერესებდა, რაც მას. მისი მეუღლე იყო სვანეთის თავადის (მთავრის) ქალიშვილი. მან თქვა, რომ კავკასიის არცერთი მხარე სიძველეთა და ისტორიული კვლევის თვალსაზრისით სვანეთზე საინტერესო არ უნდა იყოსო. სახელდობრ, იქ ყოფილა ყურადსაღები, ზოგჯერ მთლად კოლოსალური ნაგებობანი ყველა დროისა; ზოგიერთი ალბათ იმ ხანისა, რომელთა შესახებაც ისტორია დუმს. შუა საუკუნეებს განეკუთვნება იქაური მრავალრიცხოვანი ეკლესიები, რომელთაგან ნაწილი



ნანგრევებად ქცეულა,<sup>1</sup> რომლებიც ხალხური ტრადიციის მიხედვით, როგორც სვანეთში, ისე აფხაზეთში გენოვიევას (ჟენოვიევას) მიერაა აგებული. აქ აშკარად გენუელები იგულისხმებიან, რომლებიც შუა საუკუნეებში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მთელ ზოლს ან ფლობდნენ, ან გავლენა ჰქონდათ.

გენუელები ალბათ ცდილან აქ, წარმართებში გაევრცელებინათ რომაულ-კათოლიკური სარწმუნოება,<sup>2</sup> რასაც გვიჩვენებს მათი ეკლესიები. გენუელთა თავდაცვის ქვეშ ფრანცისკანელები კავკასიაში ყველგან გავრცელდნენ. მათ 1333 წელს ტამანზე დააარსეს საარქიეპისკოპოსო... გენუელებმა აშკარად სცადეს აგრეთვე ქართული ეკლესია რომაულთან შეერიგებინათ; მაგრამ ეს მათ ისევე ვერ

<sup>1</sup> მთელ კავკასიაში ასეთი ნაგებობების სიმრავლე მიუთითებს ცოცხალი, ბრწყინვალე, მდიდარი, ძლიერი ხანის არსებობაზე, როცა ყვაოდა ხელოვნება და მეცნიერება, აგრეთვე შესაფერი განათლება. იგი არაფრით ჩამორჩებოდა შუა საუკუნეების ევროპას. მაგრამ ამ ხანის ისტორია ბნელითაა მოცული! რაც ბოლო საუკუნეებშია აგებული, არაფრით გამოირჩევა და უმნიშვნელოა, უმრავლესობა საცოდავი. არასოდეს არ გამოუჩენიათ ძალა და ცოდნა, არ უძებნიათ მუშები მათი ხელახალი აღდგენისთვის, რაც უამთა სიავეს, ანდა ომებს გაუჩანავებია და ნანგრევებად უქცევია. რუსებმა, რა თქმა უნდა, განათლების ახალი ჩანასახი შემოიტანეს, მაგრამ ესაა მხოლოდ უცხოსგან გადაღება. თუ ადგილობრივ ვინმეს განათლება აქვს, ესაა მხოლოდ რუსული. მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა განათლების ჩარჩო, რაც ამ ეროვნებებს თვით აქვთ, კვლავ გამოაცოცხლოს. პირველ რიგში დასაარსებელია და აღსადგენი სასულიერო სკოლები, რათა სასულიერო მრევლი განისწავლოს: მხოლოდ განათლებულ სასულიერო ფენას ძალუძს ხალხის აღზევება. საერო მეცნიერებების დასაუფლებლად კი ადგილობრივი ახალგაზრდობა უნდა გაიგზავნოს გერმანიაში, მაგ., საქსონიის გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში სრული განათლების მისაღებად.

<sup>2</sup> სვანეთის ეკლესიებში გვხვდება მდიდრული, ოქროთი ნახატი (თავადი ა. ამტიციებდა) ხატები და დიდი რაოდენობით ნიგნები და საბუთები, რომელთა ნაკითხვა და გაგება იქ აღარავის შეუძლია, მაგრამ ჯერაც დიდ პატივს სცემენ. ქრისტიანობა მათ თუმცა მთლად დაივიწყეს, მაგრამ მარხვას ახლაც ინახავენ და ხატებს პატივს სცემენ. ძველი ეკლესია დღესაც თავშესაფარია ყოველი დამნაშავეისათვის. ახალ დროში მათ შორის კვლავ ვრცელდება ქრისტიანობა.





გამოუვიდათ, როგორც გაცილებით გვიან ქართველ პატრიარქს, ანტონ I-ს მეფე ერეკლეს დროს. მაშინ პატრიარქი გააძევეს; იგი დიდ მარტოობაში ცხოვრობდა და მთლიანად მეცნიერულ საქმიანობაში ჩაეფლო. მას დაუწერია დღემდე სრულიად გამოუყენებელი ისტორიული ნაშრომი საქართველოს შესახებ, რომელიც ალბათ ხელნაწერად არსებობს; ის უნდა ჰქონდეს თავად დავით ციციანოვს გორთან ახლოს მდებარე ქარელში.

გენუის არქივებში ალბათ მრავლადაა ჩამალული საჭირო და მნიშვნელოვანი უფრო მეტი ცნობები კავკასიისა და ჩრდილოეთ მცირე აზიის ყველა ქვეყნისა და ხალხის ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის შესახებ. მაგრამ ვინ მოიძიებს ამ განძს? ამ ქვეყნებში ყველგან გვხვდება უამრავი ნაგებობა, რომლებსაც ხალხური თქმულებები ჯენევიევას მიაწერს. მათი სასახლეები ყველგანაა ყირიმისა, კავკასიის, მცირე აზიის სანაპიროებზე ტრაპიზონიდან პერამდე, ასევე აზიის სიღრმეშიც სპარსეთისკენ; ყველა ხაზი, მინაყრილი, სასახლეები, ხიდები და ქარვასლები მათ მიეწერებათ; ასე, ჰასან-კალეს ციხესასახლე ხიდით არაქსზე და მის ახლოს ცხელი წყაროები. აქედან 2 საათის სავალზე კი არის ცნობილი მწყემსთა ხიდი (ჩობან კეპელი) შვიდი ლამაზი თაღით დარიოს ჰისტასპისა.

ქართველებში გავრცელებულია თქმულება სვანების შესახებ. იაზონმა, როცა ოქროს სანმისი იგდო ხელთ, ქართლიდან გააძევა მეფე ფარნავაზი. ამ მწარე გამოცდილებამ იგი ფრთხილი გახადა; მან გადანყვიტა ისეთი მხარე მოექებნა მთებში, რომელიც მთლიანად დაცული იქნებოდა ყოველგვარი თავდასხმისა და დაპყრობისაგან. მან აირჩია სვანეთი, რომლის მცირე მოსახლეობა უკვე მისი ქვეშევრდომი იყო. იქ ყველგან ციხესიმაგრეები ააშენა (ნანგრევები ახლაც ჩანს) და ქართველი წარჩინებულები დაასახლა. ეს უკანასკნელნი თანდათან მთლიანად შეერწყნენ ხალხს, ასე რომ, შეითვისეს იქაური ენაც, რომელიც სიტყვის უღერადობის, წყობის მიხედვით სავსებით განსხვავდება დანარჩენი კავკასიური ენებისგან. ქართული გავლენა, რომელიც უეჭველად არსებობს, შეიმჩნევა რიცხვთა სახელებში, რაც ქართულია.

სვანებმა თამარ მეფისგან მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ ამისგან მხოლოდ სახელილა შემორჩა. მათ აღარ ჰყავთ მღვდლები და, აქედან



გამომდინარე, აღარც ღვთისმსახურება; ეკლესიებსა და მათ წან-  
 გრევებში ისინი იკრიბებიან უმთავრესად წმინდანთა ხატების წინაშე  
 სალოცავად. მაგრამ, თუ პირადად არ არიან ნაკურთხი მღვდლები,  
 მათი ჯურისა მაინც არსებობენ, რომელთაც დეკანოზებს უწოდებ-  
 ნენ და რომელნიც ეკლესიებს ერთგვარად მეთვალყურეობენ. ისინი  
 ლოცვებს ამბობენ, აკურთხებენ ქორწინებისას წმ. სამების სახელით.  
 ასევე აპატიოსნებენ მიცვალებულს დამარხვისას. მათი თანდასწრე-  
 ბით შეჰფიცავენ ხოლმე წმინდანთა ხატებს.

მხარე თითქმის მიუდგომელი და აუღებელია; ხეობები ძალზე  
 ნაყოფიერია და აგრეთვე ჯერაც აქვთ ნაკლებ ცნობილი და გამოუყ-  
 ენებელი ოქროსა და ვერცხლის საბადოები.

სვანებს უპირატესად აქვთ ცისფერი თვალები და ქერა თმა.  
 ესაა მშვენიერი გულადი ხალხი; დამნაშავეზე შურს იძიებენ ორთა-  
 ბრძოლაში. ყველგან ბატონობს სისხლის აღება. მრავალცოლიანობას  
 არ კრძალავს ჩვეულება, სამაგიეროდ, გაყრაა დაგმობილი. ცოლებს  
 ყიდულობენ, მაგრამ, რადგან ფასი მაღალია (ხშირად 60-80 ძროხა),  
 ამიტომ ქალის მოტაცება არაა იშვიათი. ასევე გავრცელებულია გო-  
 გო-ბიჭების გაყიდვაც. ვაჭრობას მისდევენ მაღალ მთებში ჩერქეზე-  
 ბთან და იქიდან ხშირად კონსტანტინოპოლში. ბიჭების ფასი აღწევს  
 300-400 ვერცხლის მანეთს, გოგოსი - ნახევარს ან 2/3-ს.

თავადმა აფხაზოვმა გვიამბო, რომ გარკვეული ხნის წინათ ახლ-  
 და ფელდმარშალ პასკევიჩს თავფარავანის ტბისკენ ახალციხის მხა-  
 რის საზღვრებზე; მაშინ მას უნახავს მშვენივრად ნაგები, კარგად  
 შენახული პატარა ეკლესია. მათ ის კარგად დაათვალიერეს; წარწერა  
 ამცნობდა, რომ ეკლესია მეფე თამარს აუშენებია 1183 წელს.

ის ამტკიცებდა, რომ ალექსანდრე დიდამდე 170 წლის წინ ქა-  
 რთველმა მეფემ ფარნავაზმა შემოიღო თუ გამოიგონა თანამედროვე  
 ქართული დამწერლობა (ხუცური). მას შემდეგ ქართული ენა გაბა-  
 ტონდა ამ მხარეში, მანამდე კი ურიცხვი დიალექტი იხმარებოდა. რა  
 არის ეს - ისტორიული ფაქტი თუ მხოლოდ თქმულება?

თავადმა აფხაზოვმა აქ ყველგან სცადა სოფლის მეურნეობაში  
 სიახლეთა დანერგვა. ხაზინამ მას გამოუყო 500 დესტინა (2000 პრუ-  
 სიული მორგა) მიწა, რათა მასზე სხვადასხვა კულტურები მოეყვანა.  
 მან გვიამბო, რომ წარმატებით გააშენა შაქრის ლერწამი, რომ საკუ-

თარი ოსტატი გამოიწერა დასავლეთ ინდოეთიდან, რომელიც თუმცა ახლახანს გარდაიცვალა, მაგრამ ბევრ მის ხალხს საკმარისად ასწავლა. მხოლოდ რაფინირების (დანმენდის) საქმე ჯერ კიდევ არ იყო მთლად რიგზე. ინდიგოს დამზადებაშიც წარმატებები ჰქონდა. ასევე მოჰყავს ბამბა, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ აქაურ საკმაოდ მძლავრ ფაბრიკებს სამყოფი ნედლეული მიაწოდოს. მან დათესა ბევრი კარტოფილი, რომელიც ძალზე გემრიელად დამზადებული მივირთვით მის სუფრაზე.

ქალაქ სილნალს ძალიან ლამაზი მდებარეობა აქვს; ის სამი მხრიდანაა შეფენილი ერთ მრგვალ მთაზე – ძირიდან წვერამდე. მის ზედა ნაწილს არტყია ნაწილობრივ დანგრეული, უწინ ძალზე მტკიცე, 20-30 ფუტი სიმაღლის გალავანი, რომელსაც გარკვეული რაოდენობის ძლიერი კოშკები აქვს დატანებული. იგი აშენებულია მეფე ერეკლეს მიერ და ითვლებოდა ერთ-ერთ უმაგრესად. სპარსელებმა მაინც აიღეს ქალაქი და გაანადგურეს. სილნალში ცხოვრობდა რამდენიმე ათასი მოსახლე, რომელთაც თვლიან უმამაცესად გულად ქართველთა შორის; აქ ასევე ბევრი სომეხიცაა. ისინი მოუსვენრები არიან, ხანდახან მოჯანყე სულის, რის გამოც მთავრობამ რამდენჯერმე მკაცრად დასაჯა.

ნაშუადღევს თავადმა წაგვიყვანა წმინდა ნინოს ეკლესიაში, რომელიც სილნალიდან ნახევარი საათის სავალზეა. ლამაზი გზა ხან აუყვებოდა მთას, ხან ძირს ეშვებოდა.

ლეგენდის მიხედვით, წმინდა ნინომ<sup>1</sup> კონსტანტინეს დროს 314-318 წლებში პირველად შემოიტანა ქრისტიანობა ამ მხარეებში,

<sup>1</sup> წმინდა ნინოს საპატივცემოდ ქართული ეკლესია 14 იანვარს ზეიმობს მის მოსაგონარს. ამ ზეიმზე ნამღერ საგალობელ ჰიმნში ნათქვამია, რომ ნინო რომიდან იერუსალიმში ჩავიდა, იქიდან კი საქართველოში, რათა ექადაგა ქრისტიანობა. ის უნდა ყოფილიყო ახლო ნათესავი წმინდა რაინდის გიორგისა. მან წამოიღო ვაზისგან გაკეთებული ჯვარი, რომელიც მისივე თმებით იყო დამაგრებული; ამ ჯვრით ის ბევრ საოცრებას სჩადიოდა. ეს ჯვარი ინახებოდა ქართველი მეფეების სახლში როგორც წმინდა რელიკვია და ითვლებოდა ქვეყნის მფარველად. 1720 წელს, როცა სპარსელები, თურქები და ლეკები ქართლს თავს დაესხნენ, ჯვარი წაიღეს მთაში და დაასვენეს სოფელ



აკურთხა სამონასტრო ადგილი და ააშენა ეკლესია. ნინო ისე და იყო და ისე შორს ყოველივე მინიერისგან, რომ მისი ფენი მინას არასდროს დაჰკარებია; ის ერთი წყრთის სიმაღლეზე ჰაერში დალივლივებდა. ლეგენდის მიხედვით, მისი მოწაფე იყო განთქმული დედოფალი თამარი. სიღნაღის ახლოს მეფის წყაროებისა და ყარაღაჯის მიმართულებით არის ციხე-ქალაქის (ციხის) ნანგრევები, რომელშიც ამ უკანასკნელს უცხოვრია. ის ნამდვილი გმირი იყო და წარმატებით უომია სპარსელებისა და ლეკების წინააღმდეგ. ლეკები აიძულა თავიანთი მთებიდან ტფილისში ჩამოეტანათ ყინული. ამ ლეგენდის თამარი რომ მე-12 საუკუნის იმავე სახელით ცნობილი მეფე არაა, ეს თავისთავად ცხადია.

თავდაპირველად ჩვენ დავათვალიერეთ წმინდა ნინოს ეკლესია, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, მე-4 საუკუნეში ააგეს და მასში ეს წმინდანია დაკრძალული. ეკლესია თავისი გარეგნობით, ასევე მთლიანი კონსტრუქციით აღმოსავლური ეკლესიებისაგან სავსებით განსხვავებულია. ისინი მეტ-ნაკლებად მრგვალგუმბათიანებია, რაც სიმბოლურ იდეებს ემყარება. ამ ეკლესიას არა აქვს გუმბათი, მხოლოდ ერთი გრძელი და ორი გვერდითი თალი.

მონასტერი თითქოს გასაწირადაა გადადებული; ჩვენ მაინც ვნახეთ არქიმანდრიტი და მის გვერდით სამი თეთრი მღვდელი საეკლესიო სამსახურის შესრულებისას. არქიმანდრიტმა მეგობრულად მიგვიღო და თავის საცხოვრებელში შეგვიძღვა. იშვიათად შემხ-

ანანურის ეკლესიაში. იქიდან ქართველმა მიტროპოლიტმა მეფე ვახტანგის ვაჟს ჩაუტანა მოსკოვში. მეფე ერეკლემ ბევრჯერ მოსთხოვა დაბრუნება, მაგრამ ისიც და მისი ოჯახიც უარს ეუბნებოდნენ მის გაცემაზე. ბოლოს ვახტანგის შვილთაშვილმა, უფლისწულმა გიორგიმ ეს წმინდა რელიკვია უძღვნა 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრეს, რომელმაც ის კვლავ საქართველოში დააბრუნებინა. როგორც გავიგე, ამჟამად დაცულია ძველ კათედრალურ ეკლესიაში მცხეთაში. ოდნავ განსხვავებული ლეგენდა ამბობს, რომ ეს ჯვარი შეკრულია დედა მარიამის თმით, რომელმაც ის წმინდა ნინოს აჩუქა. კლაპროტის მოგზაურობაში (პალე, 1814, II ნაწ.) მოყვანილია ვახტანგ V-ის (=VI - გ. გ.) ქართული ქრონიკის თარგმანი, რომელშიც მოთავსებულია ლეგენდა წმ. ნინოს შესახებ. ესაა მშვენიერი პოეტური თხრობა... (გვ. 143-144 სქოლიოში მოცემულია ეს ლეგენდა, რომელიც გამოვტოვეთ - გ. გ.).





ვედრია წყნარი სიმყუდროვე, განმარტოებულობა, განდევილობა, ასე  
 ლამაზად გამოხატული, როგორც ამ ბინაში. მონასტრის ფლიგელი,  
 რომელშიც არქიმანდრიტი ცხოვრობდა, ძალიან ძველია. ესაა ერთი  
 დარბაზი, ორი ოთახი, ძელებზე შედგმული წინ გამოწეული არც თუ  
 მაღალი კაბინეტი, მაგრამ მაღალი, ვიწრო ფანჯრებით, რომლებიც  
 დახურული იყო ულამაზესი ჩუქურთმებიანი გისოსებით; ხშირი ვაზი  
 ფარავდა არა მარტო კედლებს (გვერდებს), არამედ მთელ სახურავს;  
 ოთახებში იყო ბევრი ხატი (წმინდანთა სურათები), მაგიდები და სკა-  
 მები როკოკოსებური სასიამოვნო ფორმის ლამაზი ჩუქურთმებით.

მონასტერი ძალზე მდიდარი იყო; მას ჰყავდა 1200-მდე გლეხი.  
 ამჟამად ისინი ექვემდებარებიან სინოდალურ კანტორას; დაყოფილი  
 არიან ოთხ ქონებრივ ჯგუფად (კლასად), რომელთაგან პირველი 8  
 მანეთს იხდის, მეორე - 6 მანეთს, მესამე - 4-ს, მეოთხე - 2-ს.

ოჯახს მოკიდებული ბერების სასულიერო თანამდებობები ამ  
 მხარეებში ემყარება მიწის საკუთრებას. ამას გარდა, ისინი ყოველი  
 კომლიდან იღებენ 27 ფუნტ (გირვანქა - გ. გ.) პურს და სამ აბაზს  
 და დაუდგენელ (განუსაზღვრელ) შემოსავალს საეკლესიო მომსახუ-  
 რებისათვის - მონათვლის, ჯვრისწერის, დაკრძალვის და ა. შ. მაგა-  
 ლითად, ამ უკანასკნელისთვის 2-დან 10 მანეთამდე. აქ გამეფებუ-  
 ლია გამხრნელი ვაჭრობა (საქმიანობა): დაკრძალვისას ორი ან სამი  
 სუფრა იმართება, 14 დღის შემდეგ კიდევ ერთი და თვის გასვლისას  
 უკანასკნელი, რომელშიც მღვდელს წილი ერგება. უცხო მღვდლები,  
 რომლებიც იქ იმყოფებიან, სამ აბაზს იღებენ.

მეორე დღეს ჩვენ გამოვბრუნდით ტფილისისკენ; ავედით მთაზე  
 და მის სამხრეთის კალთას გავყევით. ჩვენმა სტუმართმოყვარე  
 მასპინძელმა ცხენით გამოგვაცილა კიდევ ერთი საათის სავალზე.  
 როგორც აქაა მიღებული, მას თან ახლდა ბრწყინვალე ამაღლა ვასა-  
 ლებისა და მსახურების. როცა მთას შევუდექით, ჩვენს ორ ცხენს  
 კიდევ ორი კამეჩი შეუბეს. მათ ედგათ ერთი უღელი, რომლის შუა-  
 შიცი ირწეოდა მეურმე; იგი იჯდა სახით ჩვენსკენ. კამეჩებს წინ კიდევ  
 ორი ხარი შეაბეს, რომლის გამრეკიც გვერდზე მიჰყვებოდა ფეხით.  
 მთელი მსვლელობა ევროპელის თვალისათვის საკმაოდ უჩვეულო  
 იყო. მთის მეორე მხარეს, საფოსტო სადგურთან დაგვემშვიდობა  
 ჩვენი მასპინძელი. თავადი ლივენი ჩამომცილდა მე და აღმოსავლე-

თისკენ გაემართა; მე კი ტფილისში დავბრუნდი მხოლოდ ჩემს პეტერ ნოისთან ერთად.

თავდაპირველად გავიარეთ მშვენივრად დამუშავებული მხარე; ყანები თანაბრად იყო დაყოფილი. შემდეგ მივედით უკაცურ სოფელში. ეს იყო თათრული სოფელი, რომელიც მრავალი წლის წინ ლეკებს მთლიანად გაუნადგურებიათ და გადაუნვიათ. გვიან საღამოს კვლავ მარიენფელდის კოლონიას მივალწიეთ. უშუალოდ ბალიზბალზე მიჯრით მდებარეობს ქართული სოფელი სართიჭალა. გერმანელთა მეზობლობამ უკვე იმოქმედა მათზე, რაც იმაში ჩანს, რომ ახლად აგებული სახლები, მიუხედავად საბრალო მიბაძვისა, მაინც აშკარად გერმანული სტილისაა. მხოლოდ ფანჯრებს არ აქვთ მინა, ასევე კედლები ქართული წესით იყო ამოყვანილი: მრგვალი რიყის ქვა და კირქვა ფენა-ფენა ეწყობო.

ამ დღეს რამდენჯერმე შემოგვხვდა მთიდან ქვემოთ მომავალი ცხვრის ფარები. მწყემსები ჭრელ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილნი ისხდნენ ცხენებზე და კბილებამდე შეიარაღებულიყვნენ. ყოველ ფარას 5-6 ძაღლი მოსდევდა. ეს იყო სტეპის ძაღლების საუცხოო ჯიში: მგლისა და მწევარის ნაჯვარი. მათ სასტიკად სძულთ მგლები და თამამად ებმიან. ისინი მხოლოდ ფარის დასაცავად ჰყავთ; მათ აქვთ საკმაოდ ძლიერი მებრძოლური სული, რათა შინა და გარე ზედამხედველობა თვითონ აწარმოონ და მეურვეობა გაუწიონ, როგორც ჩვენმა მეცხვარის ძაღლებმა. ამას გარდა, ყოველ ფარას ახლავს თხები (ვაცები - გ. გ.). ძოვისას თხები ყველაზე განაპირა პერიფერიაზე არიან და აიძულებენ ცხვრებს ერთად იყვნენ. ჭკვიანი და გამოცდილი (მოხერხებული) თხა იმდენს რქენს სულელ მშიშარა ცხვარს, როცა ის ფარას მოშორდება, ხანამ ის კვლავ ფარას არ შეერევა. სახლში დაბრუნებისას დარბაისელი ვაცი ყოველთვის წინ მოუძღვის ფარას, რომლის შუაშიც ცხვრები მოდიან, ნაპირებში კი, თხები. თუკი მეთაური ვაცი ავადაა, ანდა უჭირს, დაბრკოლდა და ჩამორჩა, მაშინვე მეორე ვაცი იკავებს მის ადგილს (ასაკით და რანგით მისი მომდევნო) და გაუძღვება ფარას. ეს ფაქტი, ბუნების ასეთი ეკონომია პეტერ ნოიმ გამაცნო! კავკასიის მხარეთა დაბლობებში უმთავრესად გავრცელებულია ცხიმკუდიანი ცხვარი. რაც უფრო მთაში ავდივართ, მით უფრო გამხდარია ცხიმკუდი, ხოლო მატყლი

უკეთესი. ჩერქეზებში და იქიდან, ყველგან მთებში, გავრცელებულია საუკეთესო მატყლიანი ჯიში.

გვიან ღამით, 21-დან 22 რიცხვში ჩვენ კვლავ ტფილისში დავბრუნდით.

აქამდე მე მოვიარე ქართველი ხალხების უმთავრესი საცხოვრებელი მხარეები და გადავწყვიტე სამხრეთით, სომხეთისკენ წასვლა.

ყოველი მოგზაურობისას მუდამ ყურადღებით ვათვალიერებდი ხალხების საცხოვრებლის ტიპს. სახლები, ბინები, კარ-მიდამოები, საოჯახო ნივთები, სახნავი იარაღი, ჩაცმულობა და ა. შ. არის ისტორიული შედეგი ხასიათის, განმასხვავებელი ნიშანი ხალხთა განათლების დონის, ჩვევების და ცხოვრების წესისა; ასევე ისინი უდიდეს უკუქმედებას ახდენს ზნე-ჩვეულებაზე და ცხოვრების ხასიათსა და მათ სიმყარეზე, ანდა შემდგომ განვითარებაზე. ევროპის მაღალი წრეების წარმომადგენლებს მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში აქვთ ერთნაირი განათლებულობა, ერთნაირი ჩვევები, მსგავსი იდეები და შეხედულება ცხოვრებაზე. განათლებული გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, რუსი და ა. შ. ხალხისგან გამოყოფილია; ისინი ყველა გაგებაში უფრო ახლოს დგანან, ვიდრე თავისივე ხალხის დაბალ კლასებთან. მხოლოდ ენა აკავშირებთ ამ უკანასკნელთან; მაგრამ აქ იწყება საყოველთაოდ ამალღებული სალაპარაკო ენა – ფრანგული, რათა ევროპული განათლებულები შებორკოს! ასეა საცხოვრებლის ტიპი, სახლები, საოჯახო ნივთები მთელ ევროპაში ერთნაირი აქვთ; იგივე ფორმები, იგივე ხასიათი. მხოლოდ ხალხთა სიმპათია და ჩვეულებები, ჰავა და სახმარ მასალათა სხვაობა შეადგენს მცირე ნიუანსებს.

სხვაგვარადაა ეს დაბალ კლასებში. მათში ჯერაც ყველგანაა წოდება: გლეხის, ხელოსნის, მუშის; მათში ჩანს ხალხის თავისებურება და განცალკევებულობა. აქ გვხვდება ეროვნული ცხოვრების ხასიათი და შეხედულებანი ცხოვრებაზე, ეროვნული ჩვევები და ჩვეულებები, ეროვნული სახლები და საოჯახო ნივთები. ამას უეჭველად უნდა დავუმატოთ, რომ თანამედროვე კულტურას (ცივილიზაციას) აქვს წარმოუდგენელი ძალა ნიველირება მოახდინოს და დაშალოს ეროვნული და თავისებური. შეუჩერებლად თუ თანდათან ეპარება ის ევროპას, როგორც წყალი მთის შიგნეთს, ხალხთა უმდაბლეს



რეგიონებამდე და კლასებამდე! ...ახლა მოვიყვან შეკრებილ ბავშვებს კავკასიურ მხარეთა საცხოვრებელი ტიპების, სახლთშენების და კარ-მიდამოთა გეგმის შესახებ და იმას, რაც ქართველური ხალხების სხვადასხვა მხარეში ვიხილე.

1) ჩვეულებრივი ქართული სახლი<sup>1</sup> ქვეყნის შუაგულში, ტფილისის მიდამოებში. ქართული გლეხური საცხოვრებელი თითქმის ყოველთვის შემალღებულზე იდგმება, ფერდზე, ისე რომ, მის უკანა მხარეს ქმნის ვერტიკალურად (ციცაბად) ჩამოჭრილი მიწის კედელი. ამ კედლიდან გამონვდილი ძელები წინა მხარეს ორ ბოძს ეყრდნობა; ესენი კი განივი ძელითაა გადაბმული. იქმნება ოთხკუთხედი, რომელსაც ბოძებს შორის ძელების სიმაღლემდე ქვით ამოყვანილი კედლები აქვს. წინა კედელში არის კარი. ეს ოთხკუთხედი ზემოდან ძელებითაა დაფარული, რომლებიც 5-6 ფუტზეა წინ გამოშვერილი და 4-6 საყრდენს ებჯინება; ეს ქმნის ღია არკადას, რომლის ქვეშაც უყვართ ჯდომა, თუკი ამინდი ამას ხელს უწყობს. ძელები ზემოდან მიწითა და ბარდით იფარება და ქმნის ბრტყელ სახურავს, რომელზეც საღამოობით და ხანდახან ღამითაც რჩებიან. სახურავის (ჭერის) შუაში არის ოთხკუთხა ხერელი, რომლითაც განიწოვება კერიის კვამლი. მხოლოდ ამ ხერელიდან და კარიდან შემოდის სინათლე სახლში, რომელიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი ოთახისგან შედგება. შიდა მონყობილობაზე მე უკვე ზევით ვთქვი ტფილისზე საუბრისას. კედლები ამოყვანილია მრგვალი რიყის ქვითა და თიხით. უკეთეს სახლებში ჯერ ჰორიზონტალურად დალაგებული აგურის ორმაგი, შემდეგ ერთი ფუტის სიმაღლეზე რიყის ქვა ამოყვანილი, შემდეგ ისევ ერთი ფენა აგური, შემდეგ კვლავ რიყის ქვა ძელებამდე. მთელი სახლი მეტწილად 10-15 ფუტი სიმაღლისაა.

საქონლისთვის ძალზე უბრალოდ მოწყობილი სადგომი აქვთ; სხვადასხვა პირუტყვისათვის განსაკუთრებული. ეზო იშვიათადაა დაკეტილი და შემოღობილი.

<sup>1</sup> კოხის მიხედვით, ნახევრად მიწაში აშენებულ ქართულ საცხოვრებელს ეწოდება „საკლი“ (რუსულად „ზემიანკა“). ჩერქეზებთან სახლს ჰქვია „უნხ“, აბაზებთან „თვია“.



2) სახლები და კარ-მიდამოები, რაც მე სამეგრელოსა და იმერეთში ვნახე, მცირედ განსხვავდებოდა. სახლები უმეტესად ძეღურია (ერთმანეთზე დაწყობილი და გადაჯვარედინებული ძეღებით). ორივე ფრონტონის მხარეს არის კარები; ზოგჯერ ფრონტონი 5-6 ფუტზეა წინ გამოწეული და ეყრდნობა საბჯენებს. საგანგებო სათავსი აქვს საქონელს. ყველა ნაგებობა დახურულ შემოღობილ ეზოშია მოთავსებული. თითქმის ყველგან შევხვდი კედელზე აცოცებულსა და სახურავზე გადასულ კვახს (გოგრას), რაც ლამაზად გამოიყურებოდა.

3) კახელი გლეხის სახლს ყოველთვის ოთხი კედელი აქვს და გადახურულია ჩალით ან ლერწმით; ორივე გვერდითი კედელი ამოყვანილია ქვით ანდა ხის ძეღებისაა, რომლებსაც გარედან ფიცარი აქვთ აკრული. ხანდახან ის ტოტებით არის დანსული და თიხითა და ნაკელით ალესილი. ფრონტონის უკანა მხარე მხოლოდ მდიდრებთანაა ქვით ამოყვანილი, ან ფიცრებით აჭედილი; უმეტესობასთან დანსულია ღობის მსგავსად, წინა მხარე კი აფიცრულია, მაგრამ მასში დატანებულია მრგვალთაღიანი კარი. სახურავი ხშირად 10 ფუტზეა გამოწეული და, საბჯენებზე დაყრდნობილი ქმნის არკადას. მდიდრებთან ეს ისე მაღალია, რომ მის ქვეშ კიდევ კარია ფრონტონის მხარეს გამოჭრილი, რომელსაც შეეყავართ კამეჩების სადგომში; ზოგჯერ გვერდით კედელშიცაა კარი. მე ვნახე თითო-ოროლა სახლი, რომელთაც არკადა ირგვლივ შემოუყვებოდა, ანდა სამ მხარეს, უკანას გამოკლებით. შიგნით მეტწილად არის ერთი დიდი ოთახი, შუაში ცეცხლით (კერიით); ერთ მხარეზე ყველა ლოგინი ერთმანეთზე წესიერადაა დალაგებული. სახლები და პირუტყვის სადგომები (ბოსლები) ზოგჯერ (მაგრამ არა ყოველთვის) მოთავსებულია დახურულ და შემოღობილ ეზოში. ანაგის სახლი, რომელიც აქაა სურათზე მოცემული, სოფელში საუკეთესო იყო. მე ნება მომცეს შიგ შესვლისა. არანაკლებ გამოაცა ფაიფურის ყოველგვარი ჭურჭლის, თევზების, თეთრი ღვინის ბოთლის და რამდენიმე წყვილი ფინჯნის ნახვამ. მთლიანობაში ეს იყო ვრცელი ოთახი, რომელიც დაბალი წნულითა და დიდი ფარდით (როგორც თეატრის ფარდაა) იყო გამოყოფილი სახლის ღია არკადისგან. შუაგულში იყო კერია (საცეცხლე ადგილი), მაგრამ ეს არ წარმოადგენდა შემალლებულ ღუმელს. ერთ

კედელთან ძალზე წესიერად იყო მიწყობილი ლოგინები; არ იდგა  
მაგიდები და სკამები.

4) გლეხის სახლი გურიაში. რადგან საერთო მიმოხილვას ვა-  
კეთებ, მასაც აქ აღვწერ, მიუხედავად იმისა, რომ ის ვნახე უკან  
მგზავრობისას გურიაში.

უპირველესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ გურია ალბათ არის  
ყველაზე ნაყოფიერი ზოლი მთელ კავკასიაში. მიწას გაუნოყიერე-  
ბლად ორი მოსავალი მოაქვს წელიწადში! შემოდგომაზე მიწას ად-  
ვილად აბრუნებენ ორწვერა კავის მსგავსი იარაღით, რომელშიც ორი  
ხარია შებმული; შემდეგ თესენ ხორბალს, რომელსაც უკვე აპრილში  
იღებენ. მერე მას ხელახლა ხნავენ და ფარცხით ფარცხავენ (შეკრუ-  
ლია ტოტებისგან); ახლა კი თესენ ფეტვს ან სიმინდს, რომელიც სე-  
ქტემბერში მოდის. აქ თამბაქოსაც აშენებენ. ეს მხარე გარეგნულად  
დიდად წააგავს შიდამთიან ვესტფალიას, რავენსბერგს, ოსნაბრუქს.  
ის შედგება არა სოფლებისგან, არამედ ცალკეული, მეტწილად პა-  
ტარა ბორცვებზე შემდგარი კარ-მიდამოებისაგან. ასეთი კარმიდამო  
ქმნის ვრცელ ეზოს, რომელიც მესრით ან ლობითაა შემორაგული.  
შენობები აქ დგას დიდი, მშვენიერი ხეების ქვეშ, როგორცაა კა-  
კალი, ნაბლი, ჩინარი.

უპირველეს ყოვლისა, ეზოს ირგვლივ გაშენებულია ბალ-ვენახე-  
ბი, შემდეგ მოდის სიმინდის და ფეტვის ყანები, ყველანი მზრუნ-  
ველობით შემოღობილი. თითო ეზოს ეს შემოკავებული ნაწილი  
ალბათ 4-8 დესეტინამდეა. ამას გარდა, ზოგ ეზოს აქვს საერთო  
მინდვრები, რომლებიც თანაბარ ნაწილებადაა მათ შორის დაყო-  
ფილი. აქედან თითო კომლს (ეზოს) ეკუთვნის 8-12 დესეტინა. ასეთი  
კომლების გარკვეული რიცხვი, არანაკლებ 20-სა 200-300-მდე, ქმნის  
სასოფლო თემს, ხოლო ორიდან ოთხამდე სასოფლო თემი შეადგენს  
საეკლესიო თემს<sup>1</sup> (მრევლს).

ახლა დანვრილებით აღვწერ ჩემი თვალთ დათვალიერებულ  
გლეხის სახლს. ის მდებარეობს მარანიდან ახლოს, რიონზე და  
ეკუთვნოდა გლეხს ხახოა (Chachoa) გრიგორიევს.<sup>2</sup> ის წარმოადგენდა

<sup>1</sup> რაც გურიის შესახებ ვთქვი, ეკუთვნის სამეგრელოს უდიდეს ნაწილსაც.

<sup>2</sup> ნათლობის სახელი ამ მხარეში ყოველთვის ერთვის (მოსდევს) გვარს.

200 ნაბიჯი სიგრძისა და 150 ნაბიჯი სიგანის ოთხკუთხედს მას ყოველი მხრიდან ეკრა კარგად შენახული ღობით შემორტყმული ბოსტნები და ვენახები. ერთ-ერთი გრძელი გვერდის კუთხიდან გზა მიდიოდა ეზოში, რომელშიც იდგა (დარგული იყო) ულამაზესი კაკლისა და ნაბლის ხეები. ნაგებობები, რომელთა რიცხვიც ათს უდრიდა, გარკვეული სიმეტრიით იყვნენ განლაგებული. ყველაზე წინ თავისუფლად იდგა საცხოვრებელი. მას ჰქონდა 36 ნაბიჯის სიგრძე და მისი ნახევარი სიგანე; ცოკოლი ირგვლივ იყო ამოყვანილი 1 ½ ფუტის სიმაღლეზე; კედლები წარმოადგენდა ერთმანეთზე დანყობილ ძელებს, გარედან სქელი კაკლის ხის ფიცრებით დაფარულს. სახურავს ჰქმნიდა მზრუნველი ხელით დანყობილი ჩალა. სახლი ორად იყო გაყოფილი: წინა ნაწილი შეადგენდა სამი მხრივ მთლად ღია დარბაზს, რომლის წინაც ხუთ ბოძს ეკავა ასევე ღია სახურავი. ეს ღია წინათახი (მოაჯირი - ?), რომელშიც გარედან ორი საფეხურის სიმაღლეზე შედიხარ დაბალი აივნისკარით, შემოფარგლული იყო ლამაზი, ჩუქურთმიანი, სამი ფუტი სიმაღლის გალერეით, ანუ მოაჯირით, რომელიც ეყრდნობოდა სახლის ცოკოლს. ამ წინა ოთახიდან, რომელიც ოჯახის ჩვეულებრივი სამყოფელია, ზემოდან მომრგვალებული კარი შედიოდა სახლში; სახლი ფაქტიურად წარმოადგენს ერთ დიდ ოთახს (სახლი ვინრო გაგებით); მას ჰქონდა უმინო ფანჯრები, ოღონდ გისოსებით დახურული. შუაში, სწორ მინაზე, იყო კერია; კვამლი ადის ფრონტონის მხარეს ჭერში. მარჯვნივ იდგა გრძელი საძილე ტახტი ფოლადითა და სახელურებით, რათა შეიძლებოდა მისი მინევა ცეცხლთან; მარცხნივ იდგა მასიური დივანი, რომელიც ასევე საძილედ გამოიყენება; მასზე ძალზე წესიერად ეწყო მთელი ლოგინები (ქვეშაგები). რამდენიმე პატარა დაბალი სკამი და სამფეხები შეადგენდს მთელ ავეჯს; სკამები და მაგიდები არ არსებობდა. ის რომ გურული გლეხის სახლი თავისი თავდაპირველი ფორმით გარეგნულად ვესტფალიის გლეხურ სახლს საოცრად ნააგავს... ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო... (შემდეგ ავტორს მოჰყვს ჩერქეზული სახლის აღწერა (გვ. 154-155) დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, რაც ჩვენ გამოვტოვეთ - გ. გ.).

## მათორეცა თაჰი

ტფილისში ჩასვლა. - დრ. საბალოვთან ერთად ოსებისკენ გამგზავრება. - ახალგაზრდა თავადი ერისთავი. - ერისთავის საგვარეულო. ერისთავმა დაიმსახურა თავისი მსახურის შურისძიება (სისხლის აღება). - ოსური სოფლებისა და კარ-მიდამოების განლაგება და შენების წესი. - საშინაო წყობა; ავეჯი, ჭურჭელი. - ლუდი. - სუფრული სიმღერა. - სახნავი იარაღი. - ეკლესიის ნანგრევები, მისი ფარული განძი. - სოფელი ინარიშ-უბანი (?). - გამასპინძლება. - გერმანულ ყოფასთან მსგავსება. - ვახშამი. სუფი და ხაჭომცხვარი. - ოსების სახელწოდება, გადასახლება, ისტორია. - მათი ქრისტიანობა, წმინდა ჭალა, მსხვერპლშენივება. - ელია წინასწარმეტყველის გამოქვაბული, ოსური ლიტანია, ცრუმორწმუნეობა. - წინაპართა საფლავები. - საქორწილო ტრადიციები. - მონოგამია. - ქალთა მდგომარეობა (უფლებები). - ექვსწლიანი ვაჟის ქორწინება; ზნეობრივი დაცემა. - ქორწინების წესები; მისი მოწვევებითი გაგრძელება ქმრის გარდაცვალების შემდეგ; ქვრივები, გაყრა. - ქალთა შრომისმოყვარეობა. - კაცთა სრულწლოვანება. - მემკვიდრეობის კანონი. - გვარისა და წარმომავლობის (მოდგმათა) საოჯახო კავშირი. - ხალხის დაყოფა; წარჩინებულები, თავისუფალნი, მონები. - სისხლის აღების ცალკეული შემთხვევები; სამედიკატორო სასამართლო; სასჯელი; ჭრილობის გაზომვა ქერის მარცვლით. - ძროხა ფულის ერთეული. - მეთვრამეტედის სისტემა. - ღვთის სამსჯავრო. - ჩემი და შენის (საკუთრების - გ. გ.) განსჯა. - სტუმართმოყვარეობა. - მიწათმოქმედება. - მესაქონლეობა. - ხალხის გარეგნობა, აღნაგობა. - მსგავსება გერმანელებთან. - კვება. - ჩაცმულობა. - მოხუცთა და წინაპართა ღრმა პატივისცემა. - საურთიერთობო ენა. - სახმო აპარატის მსგავსება ჩრდილო გერმანულთან. - ოსური სიმღერა. - ცდა, გამოინახოს კავშირი გერმანელებთან, უფრო უკეთ გოთურ მიგრაციასთან. - ოსური და ქართული ზღაპრები. - დამატება: კავკასიის შესახებ დიუბუა დე მონპერეს ნაშრომიდან შესადარებლად ნანყვეტის მოტანა ოსების შესახებ.



29 აგვისტოს ნამოვედი ერევნიდან და 30-ში ვიყავი ტფილისში. მაშინვე მოვემზადე პატარა ექსკურსიისთვის ოსებისკენ წასასვლელად. მმართველმა გენერალმა<sup>1</sup> გამატანა სათანადო ბრძანებები ოსების მეზობლად მყოფ რუს მოხელეებთან, რათა დავეცავით და დამხმარებოდნენ. ჩემთვის მთავარი იყო ის, რომ ვნახე თანამგზავრი, რომელიც დიდად გამომადგა; ეს იყო ადრე ნახსენები დრ. საბალოვი ტფილისიდან. დაბადებით იყო კათოლიკე სომეხი, უსწავლია ლაიფციგში, ლაპარაკობდა საუკეთესო გერმანულით, იყო განათლებული და ჩემი კვლევით დაინტერესებული. მას იცნობდნენ ოსებში, უყვარდათ და პატივს სცემდნენ როგორც ექიმს. მან იცოდა ცოტა ოსური და ახლდა ოსი მსახური იმ სოფლიდან, რომელიც ჩვენ მოგვიანებით მოვიწახულებთ.

1 სექტემბერს ძალიან ადრე ჩვენ ოთხნი - დრ. საბალოვი, პეტერ ნოი, ოსი და მე ჩავსხედით ჩემი გერმანელი კოლონისტის ეტლში, რომლითაც ადრე კახეთში გახლდით, და გავუდექით რუსულ სამხედრო გზას, კავკასიონზე გადამავალს. 10 საათისთვის მივედით დუშეთში; ესაა მნიშვნელოვანი სამხედრო პოსტი სამხედრო ჰოსპიტლით და ა.შ. აქ ჩვენ წარვუდექით მხარის მმართველს, რომელმაც გავგაყოლა თავისი თანაშემწე, ახალგაზრდა თავადი ერისთავი. იგი საკმაოდ კარგად იყო გარკვეული ოსების ურთიერთობებში და ჩემს კითხვებზე სავსებით ამომწურავად მპასუხობდა. თავისი გვარის შესახებ მიაბმო, რომ ძველთაგან საქართველოში იყო დამკვიდრებული, მიუხედავად იმისა, რომ დასაბამიდან ჩერქეზეთიდან გადმოსულან. სახელწოდება ერისთავი საერთოდ არის ქართული სამოხელეო ტიტული და ნიშნავს „ხალხის მეთაურს (თავს)". ქართველმა მეფეებმა ოსების ერთი ნაწილი აიძულა ეცნოთ მათი ბატონობა და დაუმორჩილეს ერისთავებს და მაჩაბლებს (Madjebellos)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ალბათ, ნაიდჰარდტი იგულისხმება - გ. გ.  
<sup>2</sup> ქართული ქრონიკების მიხედვით, იმპერატორმა იუსტინიანემ (მან 574 წელს პირველი ბაგრატიდი გვარამი დასვა ქართლის ტახტზე) ოსი - სახელად როსტომი დაადგინა ქსნის ერისთავად; სახელდობრ, მისცა ქსანზე მდებარე 39 სოფელი, რადგან მაშინ საქართველო და ოსების ეს მხარე (სამხრეთით მცხოვრები ოსები) ემორჩილებოდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიას. იუსტინიანემ მას უბოძა საკუთარი გერბი და მრავალი პატივი.



ოსთა ერთი პატარა ნაწილი გადაეცა აგრეთვე თავად ყაზბეგს. მაგრამ მფლობელობა ძალიან სუსტი იყო, რადგან ოსები მანამ ემორჩილებოდნენ, სანამ სურდათ და სამსახურსა და გადასახადებს მხოლოდ მაშინ იხდიდნენ, როცა შიში აიძულებდათ. რუსული მფლობელობისას ცოტა მეტი წესრიგი დამყარდა მორჩილების თვალსაზრისით. იქ, სადაც რუსი ჯარისკაცები ან კაზაკები გამოჩნდებოდნენ, ოსური სოფლები იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს, რაც თითო კომლზე შეადგენდა 2 კოდ ხორბალს, 1 კოდ ქერს, ხოლო პოლიციის, ფოსტის, ხიდის და ა.შ. – 8 აბაზს (= 1 მან. და 60 კაპ.). სოფლები მთელი ამ ოდენობისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს. მაგრამ ქვეყნის შიგნით, უგზო მთებში, ე.წ. სახაზინო გლეხები სინამდვილეში არაფერს იხდიან. ხანდახან სოფლიდან მიჰყავდათ ცხვარი რუსული ბატონობის აღიარების მიზნით, რათა შემთხვევით მტრულად არ მოქცეოდნენ. ერისთავის ოჯახი ნაწილობრივ ოსებში ცხოვრობს (სახელდობრ, მისი ნათესავები), სადაც უყვართ, ცოტაც ეშინიათ. მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის წინ მოკლეს ოსებმა ერთი ერისთავი. კერძოდ, ამ ერისთავს ჰყავდა ოსი მსახური, რომლის ძმა ცნობილი და საშიში ყაჩაღი იყო. ერთხელ ეს ერისთავი შეეყარა ამ ყაჩაღს და ისე მოკლა, რომ ამ უკანასკნელს მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მსახურმა მაშინვე მიატოვა ბატონი და თავისიანებს (ოსებს) განუმარტა, რომ ბატონს ნება ჰქონდა ჩამოეხრჩო ან მოეკვლევინებინა მისი ძმა როგორც ყაჩაღი, მაგრამ ეს მან ჩაიდინა საკუთარი ხელით, ყოველგვარი თავდასხმის გარეშე და მოითხოვა სისხლი! ამის შემდეგ მან უხელთა ერისთავს და მოკლა; შემდეგ ჩერქეზებთან გაიქცა, რომლებმაც ის დააბრუნეს; იგი დასაჯეს.

დუშეთიდან კაზაკთა კარგი ცხენებით გავემართეთ ხუთნი (დრ. საბალოვი, ერისთავი, პეტერ ნოი, ოსი და მე) უგზოო, მაგრამ რომანტიკულად მშვენიერი ტყიანი მთით. ჩვენ გავიარეთ სოფლები, რომ-

---

სამოხელეო ტიტული შემდგომ იქცა გვარად. ერისთავის გვარი ქართველ წარჩინებულთა შორის ძალიან გავრცელებულია. ყველა ისინი წარმომდგარია ადრეული მსგავსი სამოხელეო ტიტულებიდან [გვარამი ქართლის ტახტზე დასვა იუსტინე II-მ – 565-78 და არა იუსტინიანემ. შდრ. „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955, ჯუანშერი, გვ. 218 – გ. გ.].

ლის მოსახლეობას შეადგენდნენ როგორც ქართველები, ისე ოსები. სახლების მშენებლობის განსხვავებული ტიპი გვამცნობდა მოსახლეობის სხვაობას. შემდეგ შემოგვხვდა ოსური სოფლები, რომლებიც მთების კალთებზე მდებარეობდა. რაც უფრო ეშვებით ქართლის ვაკისკენ, მით უფრო დიდია ოსური სოფელი; ზემოთ, მთებში პატარაა და შეიცავენ 20-30 კომლს. უფრო მაღლა კი მხოლოდ 5-6 ეზო-კარი ქმნის სოფელს. მთლად მწვერვალზე კი ცალკეული, გარეგნულად ციხის მსგავსი საცხოვრებელი (გალავანშემოვლებული დიდი კოშკი) თუ დგას. შუა ქედებზე პატარა სოფლებს ქმნის მთლად ერთმანეთზე მიჯრილი სახლები, რომლებიც ამფითეატრისებურად არის კალთებზე შეფენილი. ყველა გამაგრებულია შუაში ძლიერი კოშკით, ანდა ყოველ ეზოში მთავარი შენობა აღმართულია მაღალ, ქვის უფანჯრო ზეძირკველზე; ან კიდევ მთელ სოფელს ირგვლივ არტყია გალავანი პატარა კოშკით. საკარმიდამოს მთავარი შენობა მიყრდნობილია ფერდზე და შედგება სამი-ოთხი სართულისგან. ქვემოთ არის დიდი დარბაზი, თავლა და საქონლის სადგომი. გარედან კიბეს ავყავართ მეორე სართულზე, მერე მესამე და მეოთხე სართულებზე, რომელთაც წინ ყოველთვის აქვთ პატარა ღია მოედანი, მოთავსებული ქვედა წინგამონეულ სართულზე, ხოლო გვერდით კი პატარა ეზო, რასაც ქმნის ფერდის დახრილობა. ზოგჯერ ყველა სართულზე გაცილებით მაღლა, შუაში აღმართულია მტკიცე ქვის კოშკი. ქვედა მხარეებში ყოველი კარ-მიდამო შედგება ორსართულიანი შენობისა და ეზოებისგან. ქვედა სართული, ანუ, უფრო უკეთ, ქვემო შენობა წარმოადგენს საქონლის სადგომს (თავლას). უკანა მხარით ის შეჭრილია მთაში; მის უკანა და გვერდითა კედლების ერთ ნაწილს მთის ქანები შეადგენს. საკმაოდ ვრცელი ჩაკეტილი ეზო, ამ სადგომთა წინ რომაა, შეიცავს ნაკელის დასაყრელ ადგილს; აქვე აწყვია გუთანი (სახნისი), მარხილი. ურმები აქ არ იციან. აქედან კიბით ავდივართ მეორე ანუ უკანა მინაშენში (ხაზარ), რომელიც ცოტა ღრმადაა შენეული; მისი უკანა მხარე, თუკი ასევე ღრმად არაა მთაში შემჯდარი, ყოველ შემთხვევაში მასშია ამოყვანილი ისე, რომ მხოლოდ მთა ქმნის მის კედელს. ეს უკანასკნელი მეტწილად წარმოადგენს სახლის კედლის ნახევარს. მეორე ნახევარი აშენებულია ერთმანეთზე დანყობილი ძელებით, ისევე როგორც სახლის დანარჩენი სამი კედელი. ყველა სახლი ძელურია, ე. ი. ერთმანეთზე დადებული, ოთხივე კუთხეში ერთმანეთში გაყრილი ძელებითაა ნაგები. ამ მეორე

სართულს, ანუ მთავარ საცხოვრებელ შენობას, ასევე აქვს ეზო, მაგალითად, რამ არა წინ, სადაც მხოლოდ ვიწრო ფართია, არამედ გვერდით. ამ ეზოში დგას სხვადასხვა ნაგებობა; ზოგი მოსავლის შესანახია, ზოგიც ცალკე საკნებია სხვადასხვა წყვილთათვის. თითო წყვილს, რომელთა რიცხვი ხანდახან 6-ია და ერთ ეზოში ცხოვრობენ<sup>1</sup>, საკუთარი ოთახი გააჩნია. ყოველი ასეთი ოთახი ნესტისგან რომ იქნას დაცული, დგას მიწიდან 4-6 ფუტი სიმაღლის ოთხ საყრდენზე. არცერთ ნაგებობას არა აქვს სახურავი; ყველანი გადახურულია ძელებით, რაც ზემოდან კორდიტაა გადაფარული. მთავარ შენობას ძირითადი შესასვლელი კარი აქვს წინიდან, ხოლო გვერდით ყოველთვის დატანებულია ეზოში გამავალი კარები. ყველა კარი, რომლებიც კი აქაურ სოფლებში ვნახე, ერთი და იმავე ფორმისაა და აქვთ საკმაოდ ოსტატურად ნახელავი ხის საკეტი (ურდული). მთავარი შენობის წყობა ყველგან ერთნაირი როდია: გარედან შედიხარ ჯერ ერთგვარ ღია დარბაზში; აქვეა გვერდით კალო, სადაც ხარები მარცვალს თელავენ, ოღონდ ისე კი არა, როგორც ქართველებთანაა მიღებული - სალენით. ოსებს რომ კალო სახლში აქვთ, ერთგვარად გერმანულს გვაგონებს. სხვა კავკასიელ ხალხებთან კალო მხოლოდ თავისუფალ ადგილას ვნახე სოფლებში და მათ გარეთ. დარბაზიდან შედიხარ ჩვეულებრივ საცხოვრებელში (გოზარ). ესაა დიდი სათავსი, რომელსაც ზემოთ აქვს ერთგვარი ხის საკვამური ოთხკუთხა ღია ჭრილით გამავალი სახურავში. ამ ჭრილის ქვეშ, ორ დიდ ქვას (კონა) შორის სწორ მიწაზე მოთავსებულია კერია<sup>2</sup> (არსისტ), რომელზეც ზემოთ გადებული ძელიდან (ვალარდი-გატტა) ჩამოშვებულ რკინის კაუჭზე (რახის) მუდმივად ჰკიდია ქვაბი. ( მთლად ისეთივე ფორმის, როგორც ვესტფალიისა და ქვემო საქსონიის გლეხთა სახლებში). საცხოვრებლის ორივე მხარეს მოთავსებულია მენველი საქონლის სადგომები (სკატს), რომელიც დიასახლისს შეუძლია დაინახოს კერიადან, როგორც ვესტფალიაში. ფანჯრები

<sup>1</sup> დრ. საბალოვის ოსი მსახური იყო გვარიდან, რომელიც აერთიანებდა 45 სულს; ისინი ცხოვრობდნენ კომლად და ჰქონდათ საერთო ქონება. მათ მეთაურობდა ჯერაც ცოცხალი დიდდეა...

<sup>2</sup> თერგის ხეობის ოსურ სოფლებში ასევე აქვთ ამოშენებული კერიაც (=ბუხარი - გ. გ.).



არსადაა, მხოლოდ პატარა ოთხკუთხა ჭრილებია. კერიასთან (გოლატიკორ). ამ სავარძელს აქვს ან სამი ფეხი და ლამაზად მოჩუქურთმებული ხის მომრგვალებული ზურგი (კალატიკინ), ანდა ოთხი ფეხი, განივი საყრდენებით შეკრული საზურგე და სახელურები. სახლში ასევე დგას დაახლოებით 5 ფუტი სიგრძის დივნის მსგავსი მერხი საზურგეთი და სახელურებით (დარსბანდონ), დამზადებული მშვენიერი მოჩუქურთმებული ხისგან. კედლებთან დგას უბრალო სკამები (ბანდონ), ყველა სამფეხა, რომლებიც კერიასთან პაპის სავარძელთანაა მიწყობილი და მხოლოდ კაცებისთვისაა განკუთვნილი. ქალები, თვით დიასახლისიც კი, მეტწილად მიწაზე სხდებიან. ოსი ფეხმორთხმით არასდროს ჯდება აღმოსავლელების მსგავსად, არამედ ჩამოშვებული ფეხებით მხოლოდ სკამებზე, მერხზე, კუნძზე და ა.შ. შემხვდა აგრეთვე ხის სამფეხები, როგორსაც ვესტფალიელი ქალიშვილები ხმარობენ ნველისას. იდგა ასევე დაბალი სამფეხა (ფიონა) მაგიდები (კახკინ), როგორიც სხვა კავკასიელებთან არ მინახავს, მათთან ჭამის დროსაც მხოლოდ ნოხს აგებენ. კერიაზე იდო რკინის საცეცხლე ნიჩაბი [აქანდაზი - გ. გ.] (ასლან) და მაშა (არცისკან). შამფურს ჰქონდა ოთხი გრძელი წვერი, რომელსაც ატრიალებდნენ სამფეხა საყრდენზე. ერთ მხარეს სკამზე იდგა ამოფულრული ხის ტანისგან დამზადებული გობი (არინგ), ისეთი, ჩრდილოგერმანელ გლეხებს რომ აქვთ; შემდეგ იდგა კარაქის სადღვეები კასრი, ასევე ჩრდილო გერმანულის ნაირი. კარაქის დასამზადებლად მას ათავსებენ დაკიდულად მოქანავე ხეზე და იმდენ ზანს არხევენ, სანამ კარაქი არ დამზადდება. ნალებისგან (შმანდ) რწევით და ქნევით დამზადებული კარაქი სხვა კავკასიელმა ხალხებმა არ იციან; ასევე რუსებმაც, რომელთა კარაქი წარმოადგენს მხოლოდ ნალებიდან გამოხდილ (ამოდულებულ) ქონს. პატარა ბავშვებისთვის განკუთვნილ ადგილას ვნახე აკვანი, განსხვავებული სხვა კავკასიურისგან და ევროპულს მიახლოებული. მთლად ევროპულად გამოიყურება ოსების ხის საწოლები, რომლებშიც ქვეშაგები, ბუმბულის ლეიბი (ბალიში) და ნოხები ევროპულად აგია. ეს საწოლები ხშირად კედლის შეღრმავებაში დგას. უბრალო რუსებმაც აღარ იციან საწოლები; ისინი წვებიან ღუმელებზე, მერხებზე, მიწაზე, რომელზეც აგებენ ქვეშაგებს და საბნებს. თვით შიდა რუსეთშიც კი შეძლებულთა სახლებში არა აქვთ საწოლები... რამდენიც თვით ვნახე და სხვისგან



გავიგე, ოსებს გარდა, არცერთი კავკასიელი ხალხი ასეთ სანთლს არ  
 ხმარობს. კედელზე, კერიის გვერდით, მიმაგრებული იყო თაროები,  
 რომლებზეც იდგა ყოველგვარი სამზარეულო ჭურჭელი – სპილენძის,  
 რკინის, ხის, მინის თუ ტფილისში ნაყიდი ფაიფურისა.<sup>1</sup> ყოველივე  
 სუფთად დარეცხილი (ბზინავდა), რაც მაჩვენებელია დიასახლისის  
 ფუსფუსის; მთლად როგორც გერმანიაში! ოსები ლუდს გერმანელები-  
 ვით ხდიან ქერისგან და უწოდებენ ასევე „ბირ“-ს. სხვა კავკასიელებმა  
 თითქმის არ იციან ლუდი. ასევე ველიკორუსებსაც აქვთ მხოლოდ კვა-  
 სი (ბურახი), ლუდისგან განსხვავებული სასმელი. სასმისად იყენებენ  
 ყანწებს, როგორებიც ქართველებთან ვნახე. ჩემდა გასაოცრად, ისინი  
 ხმარობენ მშვენიერ ხის ლუდის კათხებს (ასეთები ყველგან აქვთ ჩვენ  
 ჩრდილო გერმანელ გლეხებს). აქვთ აგრეთვე სადღესასწაულო ლუ-  
 დის ხის ბოკალები, როგორსაც ძველთაგანვე ხმარობენ გერმანიაში.  
 ქეიფის ჩვევებიც გერმანული ხასიათისაა. ლუდის სასმისი ხელახლა  
 შევსებული ჩამოივლის წრეში – მეზობელი გადასცემს მეზობელს მას  
 შემდეგ, რაც შესვამს და ეტყვის: „დაზარანბონ დანაზა“, ე. ი. „თქვენი  
 დღეგრძელობისას შევსვამ“. როცა ერთი სვამს, სხვები მღერიან ძველ  
 სუფრულ სიმღერას და უკრავენ ტაშს, სანამ მსმელი თავის სასმისს  
 დაცლიდეს:

<p><b>ბანას! ნა კუხტა ფურესტი,</b> (თარგმანი)  <b>დენოასონ ფამესტი,</b></p> <p><b>ბანას! ბანას! ბანას! ...</b></p>	<p>დალიე! ხელები მტკივა,          გადმოდის სასმისიდან          (ყანწიდან)!</p> <p>დალიე! დალიე! დალიე! ...          და ა. შ.</p>
--	--

სამინათმოქმედო იარაღიდან ჩემი ყურადღება მიიქცია გუთანამა  
 (სიბირ), რომელიც სულ სხვაგვარადაა ნაკეთები, ვიდრე სხვა კავკა-  
 სიელი ხალხებისა. იგი ნააგავს მეკლენბურგულ სახვნელს (კავს). აქ  
 შემხვდა ასევე ჩვენებური გერმანული ფოცხიც; ესეც არა აქვთ სხვა  
 კავკასიელებს (? - გ. გ.).

<sup>1</sup> დიუბუა წერს: სუფრასთან ხმარობენ ხის ან რკინისგან თავიანთი ხე-  
 ლით დამზადებულ დანებს, ჩანგლებს და თეფშებს.



მე ცოტა დრო მქონდა, რომ ოსური კარ-მიდამოს გარეგანი სახე ანდა მთელი ოსური სოფელი ჩამეხატა. ჩემი თანამგზავრი თავადი პაულ ლივენი კი, რომელიც ვლადიკავკაზზე გავლით ქერჩში შემომიერთდა, მოგვიანებით იყო ჩრდილოეთის ოსების ბევრ სოფელში და საკმაოდ ღრმად მათ ქვეყანაში, ნანილობრივ თერგის ხეობაში (მე მხოლოდ განაპირები მოვინახულე) და წამომიღო დამახასიათებელი ჩანახატები ცალკეული პუნქტებისა და კარ-მიდამოების. მათზე ჩანს შუა საუკუნეების კოშკები და ციხეები, რომლებიც ოსი ხალხის ძალასა და სარაინდო ხანაზე უნდა მიუთითებდეს, რომელთა შესახებაც ამჟამად ისტორია დუმს.

უმაღლესი მთების მხარეში კარ-მიდამოები ახლაც წარმოადგენს ნამდვილ ციხეებს. სამხრეთის ხეობებში სახლებს ხისას აშენებენ, მთაში ქვისას. მათ გარს არტყია გალავანი; შუაში აღმართულია კოშკის მსგავსი სამსართულიანი შენობა. ქვედა სართულზე საქონელია თავშეფარებული; შუაში, რომელზეც ასვლა გარედან კიბით შეიძლება, ცხოვრობს ოჯახი. ზედა სართულზე კი ინახება მთელი სურსათ-სანოვარე. [კოშკის] წვერზე ყოველთვის დგას დარაჯი მზვერავი, რომელიც ყოველი უცხოს შესახებ, მტერია თუ მოყვარე, ატყობინებს. ამ შენობის კედლები არაჩვეულებრივ მტკიცეადაა ერთმანეთში შეკავშირებული კირისა და ხსნარის გარეშე. ეზოში კიდევ რამდენიმე შენობა დგას; ამათგან ერთი ყოველთვის სტუმრებისთვისაა.

მას შემდეგ რაც გავიარეთ რამდენიმე სოფელი და ვნახეთ კარ-მიდამოები, ავედით მაღალ შიშველ მთაზე, რომელსაც უნაგირის ფორმა აქვს. ამ მთის მაღალ შვერილზე იყო მონასტრისა და ერთი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები. ესენი ამჟამადაც წარმოადგენს ძალზე განთქმულ მოსალოც ადგილს ყველა ქრისტიანი ოსისთვის.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ოსეთში საკმაოადაა ქვის ეკლესიები გაბნეული, ოღონდ მეტწილად ნანგრევებია. თითქმის ყველა განმარტოებით დგას. თვით სოფლებში არსად გვხვდება. მათი შენება მიეწერება თამარ მეფეს, რომელსაც ოსებში ქრისტიანობა უნდა შეეტანა 1171-1198 წლებს შორის. ქრისტიანი მღვდლები მხოლოდ საქართველოს საზღვრებთან გვხვდება, ხოლო დაბადებით ქრისტიანი ოსი მღვდლები არ არსებობენ. აღნიშნულ ნანგრევებს ხალხი ყველგან დიდ პატივს სცემს (მიდიან მოსალოცად), ასევე ყველა გამველ-გამომველი. ამ ძველ ეკლესიებს ოსები ეძახიან



ეკლესია, რომელიც წმინდა სამების სახელობისაა, ერთ-ერთი ფრონტონის მხარეს ღიაა, სახურავი დამწვარია, ხოლო თაღები კარგადაა შემონახული; შიგნით მოუხატავია და არავითარი მორთულობა არ გააჩნია. საიდუმლო გზა, რომლის შესასვლელიც საკურთხეველის გვერდით ნათლად ჩანს, მიდის უცნობ სიღრმეში და ალბათ უცნობ გამოსასვლელებთან.

ეკლესიის ირგვლივ ბერებს თავიანთი ქვის პატარა საკნები ჰქონიათ, მაგრამ ყველა ნანგრევებადაა ქცეული. ნადირ-შაჰის შემოსევისას სპარსელებს დაურბევიათ და დაუქცევიათ მონასტერი. მათ ეგონათ, რომ მონასტერსა და ეკლესიაში დიდ განძს ნახავდნენ, მაგრამ მათი შემოჭრისას ყველაფერი გაქრა; ვერავითარმა წამებამ ვერ ათქმევინა საწყალ ბერებს, თუ სად ინახებოდა განძი. 500 ბერი, რომელთაც მაშინ უცხოვრიათ მონასტერში, ყველა დახოცეს. საიდუმლო, ალბათ, რომელიმე ოსურ საგვარეულოშია დაცული, მაგრამ რუსების ყველა ცდაც დღემდე უშედეგოდ დასრულდა. ფაქტია, რომ სადღესასწაულო დღეს საკურთხეველი მორთულია უძვირფასესი ოქროს და ვერცხლის ჭურჭლით, შანდლებით, ოქრომკედით ნაქარგი ნოხებით, რიზებით (საეკლესიო სამოსით) და ა. შ., ხოლო ღვთისმსახურების შემდეგ ყოველივე უმაღლეს უგზო-უკვლოდ ქრება.

უკვე საღამო იყო, როცა ჩვენ ნანგრევებიდან დავეშვიტით. გადავწყვიტეთ გაგვეთენებინა მთის ძირას მდებარე სოფელ **ინარიშუბანში** (ჯვრის მეზობლობა). ერთ დიდ სახლში მიგვიღეს სტუმართმოყვრულად. სახლის პატრონი გარდაცვლილიყო, ცოლი კი უძღვებოდა მეურნეობას. პატრონს რქმევია ჯულოიფერტი. ჩვენ წარმოგვიდგინეს მისი მთელი წარმომავლობა და გენეალოგია: ის იყო ვაჟი ბედოიფერტის; ეს - ბურიფერტისა; ეს - ჯუყოიფერტისა; ეს

---

„**ქუარ**“-ს, რაც ქართულ ჯვარს ნიშნავს. ხელით პირჯვრის გამოსახვა, რაც სლავებთან ასე მნიშვნელოვანი ლოცვის წესია, ოსებმა არ იციან (ეს ქართველებსა და სომხებთანაც იშვიათია). ოსები ხანდახან გამოსახვენ პირჯვარს წარმართული ცერემონიებისას. როცა ისინი ახალ მთვარეს ხედავენ, ხანჯლით ჰაერში ჯვარს მოხაზავენ. ვარდნილ ვარსკვლავს რაღაც წმინდად მიიჩნევენ და უწოდებენ „**ჯვარატაქტი**“-ს, ე. ი. მფრინავ ჯვარს [ჯერ კიდევ VII-VIII სს-ში ოვსეთი შედიოდა ქართლის კათალიკოსის სამწყსოში. ქცა, ჯუანშერი, გვ. 232 - გ. გ.]





თავის მხრივ - ბედორიფერტისა; ეს კი - ტაბორიფერტის (ოსტებთან წარმომავლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ). დაბოლოება ფერტი და ტე ან ტო ოსურად ნიშნავს ძე-ს ან წარმომავლობას. ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზიდან მარცხნივ, ძალზე გავრცელებულია დაბოლოება მან: გვხვდება გვა-რები და სახელები - ასმან, ლემან.

სახელები საერთოდ საოცრად გერმანულად უღერს. სახელი ფრანციც კი საკმაოდ ხშირია.

ჩვენ მიგვიყვანეს კერიასთან, სადაც ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა. მე დამითმეს საპატიო ადგილი ოჯახის უფროსის ზემოთ აღწერილ სავარძელში. ცოლი, ქალიშვილები და კიდევ სხვა ქალები დაკავებული იყვნენ საქმლის მომზადებით. ჩვენს ირგვლივ თანდათან თავი მოიყარეს სოფლის კაცებმა და დავინწყე შეკითხვების მიცემა, რომელზეც სწრაფად გარკვეულ პასუხებს ვიღებდი. ხან ერთი მპასუხობდა, ხან მეორე იმის მიხედვით, თუ ვინ უკეთ იყო ჩახედული ამ საკითხში. არავინ არ ჩანდა მორიდებული.

დრ. საბალოვი თარჯიმნობდა. საერთო სანახაობა იყო გროტესკულ-რომანტიკული; აგიზგიზებული ცეცხლი ისე ანათებდა დიდ დარბაზს, რომ სინათლე იძლეოდა საშუალებას მკრთალად შეგვენიშნა ძელები, კედლის საყრდენები და ყოველი, რაც იქ იდგა. ამას ემატებოდა ჩვენს ირგვლივ მყოფი თავისებური ფიგურები უცხო სამოსში, სხვადასხვა მდგომარეობაში - ზოგი მერხზე ჩამომჯდარი, ზოგი ფეხზე მდგომი, ზოგი კერიასთან მოკალათებული, ზოგიც აქეთ-იქით მოსიარულე; ასევე კერიასთან ბეჯითად დასაქმებული ქალები და უცნაური სიჩუმე; არავითარი ხმაური, გარდა ცეცხლის ტკაცუნისა და შრიალი, რაც გვაუნებდა კერძების დამზადებას. მხოლოდ ერთი ლაპარაკობდა, რომელიც მპასუხობდა ჩემს კითხვებზე, დანარჩენები კი ჩუმად ისხდნენ; ამასთან პასუხობდნენ არა ყვირილით, უხეშად, არამედ წყნარად და ხმადაბლა. მე ყოველივეს გაფაციცებით ვინერდი ფანქრით ჩემს უბის წიგნაკში. ეს მათ არ ეხამუშებოდათ. პირიქით, როცა პაუზას ვაკეთებდი, მეკითხებოდნენ, სწორად გავუგე თუ არა. რაც მათგან შევიტყე, პატიოსნად გთავაზობთ. მე არ მეეჭვება მათი სანდოობა, მაგრამ ვერ დავიჩემებ, რომ ისინი მთელი ოსური მოსახლეობისთვის საერთო იყოს.



- ადრეც შეუნიშნავთ მოგზაურებს დიდი მსგავსება ოსებისა და გერმანელების ჩვევებში.

აქ მოტანილი ჩემი ცნობები, ცხადია, ასეთი შეხედულების ჭეშმარიტებისთვის არცთუ მიუღებელი იქნება. ერთი გერმანელი, ბ-ნი შლატერი შვეიცარიიდან, წლების მანძილზე ცხოვრობდა ნოლაელ თათრებში; მათთან მსახურადაც კი იდგა, რომ ამ თათართა საგვარეულო ცხოვრების უმცირესი დეტალებიც კი შეესწავლა! ეს იყო მართლაც ბრწყინვალე მოგზაური! მისი წიგნი [„ნაწყვეტები სამხრეთ რუსეთში 1822-1828 წლებში ნარმოებული მოგზაურობიდან; სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აზოვის ზღვასთან მცხოვრებ ნოლაელ თათრებს“, სტ. გალენი, 1830] ნამდვილი ნიმუშია ხალხის ისტორიის მონოგრაფიისა. ასევე რომელიმე ახალგაზრდა გერმანელი ორიოდე წლით რომ დასახლდებოდეს ოსებში, უაღრესად საინტერესო შედეგები და დასკვნები გაკეთდებოდა თვით გერმანული ისტორიისა და ძველი ისტორიის კვლევაშიც!

როგორც კი ვახშამი მომზადდა, ჩვენ წინ დაგვიდგეს დაბალი მაგიდა, გადააფარეს ცისფერყვავილებიანი სუფრა. პირველად შემოგვთავაზეს ხის ჯამში ცხვრის ხორცის წვენი შიგ [ჩაყრილი]ხორცით; დაგვირიგეს ხის კოვზები, სუფრის დანები და მოგვართვეს ძალიან გემრიელი ნამცხვარი (ჭალვა), დამზადებული ყველისგან, კარაქისგან, პურის ცომისა და ხახვისგან (მოგზაური კოხი ასეთ „ყველის ნამცხვარს“, ანდა მის მსგავსს, ადარებს ტიურინგიის გლეხის ოჯახში დამზადებულ საქმელს). ანათებდა კედელში შერჭობილი ნაძვის კვარი, ჯამში ინვოდა ქონი, რომელშიც ჩამვებული იყო ფითილი. ნამცხვარი გამოცხვა ნაცარში. ყოველივეს იმდენი საერთო ჰქონდა გერმანულთან თუ ევროპულთან, რომ დაბადებით კავკასიელ დრ. საბალოვსაც კი, რომელიც ოთხი წელი გერმანიაში იმყოფებოდა, ნამეტნავად მოხვდა თვალში. მაგიდები, ცისფერყვავილიანი სუფრები, ხორცის წვენი, ყველის ნამცხვარი, ხის ჯამები და კოვზები, სუფრის დანები, ქონის სანათი - ყველაფერი ეს სხვა კავკასიელ ხალხებს არ აქვთ!

ოსები თავის თავს უწოდებენ ირ-ს და ირონ-ს, ქვეყანას კი ირონისტენ-ს. ჩერქეზები მათ უწოდებენ კაშჰა-ს, თათრები - ოს-ს, ასევე ტაული-ს; ლეკები - ოც, ოცე-ს; ქართველები - ოსი და ოვსი-ს; მიცჯეგური ხალხები კი ეძახიან ილჰერი-ს. ოსი ხალხის

წარმომავლობის, მიგრაციისა და ისტორიის შესახებ იმ ოსებში, ვინც მე ვნახე, ძალზე მწირი ცნობები მივიღე. მითხრეს, რომ ოსებს ადრე სხვა ადგილსამყოფელი ჰქონდათ; რომ ისინი ჩრდილოეთიდან მთებით გადმოვიდნენ; რომ თავდაპირველად ჩერქეზების ამჟამინდელ ქვეყანაში უცხოვრიათ, ხოლო სხვა ხალხების მონოლის შედეგად დღევანდელ სამოსახლოში (ოსეთში? - გ. გ.) გადმოვიდნენ. ამ არასანდო და ბნელ გადმოცემას, რა თქმა უნდა, აქვს ისტორიული გამოძახილი. ქართული ანალებიც ამბობს, რომ ოსები გადმოსახლებულან დონის მიდამოებიდან. ჯერ კიდევ პტოლემეაიოსი იცნობდა დონის შესართავებთან ოსილიებს. მათ უნდა აეშენებინათ აზოვი. ოსურად დონი ნიშნავს წყალს ან მდინარეს; მათი უამრავი მდინარე და ნაკადული ატარებს ამ სახელს: ფაინაგი-დონ, კიზელ-დონ, არე-დონ, ურს-დონ, ბელაგი-დონ, დუგურ-დონ, ხორგსარი-დონ, ჩერეკ-დონ და ა.შ. საინტერესოა, რომ ბიზანტიელები არ იცნობენ ოსების სახელწოდებას: იმ ხალხს, სადაც ყველგან ოსები სახლობენ, ეძახიან ალანი-ს. კონსტანტინე პორფიროგენეტი ალანებს თვლის სვანების მეზობლებად. უეჭველია, ალანები და ოსები ერთი და იგივე ხალხია. ბერი რუბრუკისი მე-13 საუკუნეში ალანებს და ასებს ერთი და იგივე ხალხად მიიჩნევდა. ოსებს კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე და ზეგნებზე უნდა ეცხოვრათ დიდ და მცირე ყაზარდოში და საკუთარი მეფეც ჰყოლიათ; მაგრამ ბათო ყაენმა ისინი იქიდან გააძევა მე-14 საუკუნეში<sup>1</sup> და შემოეკედლნენ კავკასიის ქედს. მაგრამ მათ ძველადაც უნდა ეცხოვრათ დღევანდელ მათ სამყოფელში, რადგან ქართული ანალები ოსებს ქართველთა მეზობლებად მიიჩნევს უკვე ალექსანდრე დიდის დროიდან. ხომ არ ეხმაურება ეს გადმოცემა ოსთა გადმოსახლების შესახებ გერმანელ დამპყრობთა მიგრაციას, რომლებიც უძველეს ოსებთან იყვნენ შერეული. ჩემთან მყოფმა ოსებმა მხოლოდ ერთი ისტორიული გადმოცემა იცოდნენ: ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლანის დროს ოსებს ჰყოლიათ მეფე ბალათარი<sup>2</sup>, რომელიც მასთან ომში მცხეთამდე შემოიჭრა,

<sup>1</sup> ბათო მე-13 საუკუნეშია ყაენად - გ. გ.

<sup>2</sup> ბოგათარ, ბაგათარ? ციმბირული გადმოცემით, ეს ბოგატირები იყვნენ ველური გოლიათები. ასევე თათრებთანაც გვხვდება მითიური სახე-



სადაც, მტკვარზე ცხენით გასვლისას, ვახტანგმა ისრით გაანგრა!<sup>1</sup>

ოსთა დიდი ნაწილი ნომინალურად ქრისტიანია და ერთგვარად ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას. ჩერქეზთა საზღვრებთან მცხოვრები დამოუკიდებელი ოსები მაჰმადიანებად თვლიან თავს; მაგრამ არცერთი ამ რელიგიათაგანი ღრმად არაა გამჯდარი. საერთოდ ისინი ნახევრად წარმართები არიან; პატარა ნაწილი კი მართლაც ნომინალურად არც ქრისტიანია, არც მაჰმადიანი<sup>2</sup>, არამედ ნამდვილი წარმართები. ამათ აქვთ წმინდა ჭალები, სადაც სამსხვერპლოზე პურსა და საკლავს სწირავენ. ვლადიკავკაზისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, ბურსაჭირის მთაზე არის ორი ასეთი ჭალა. მაგრამ ყველაზე განთქმული და წმინდა უნდა იყოს შიდა ოსეთში სოფელ ლამადონის ახლოს მდებარე ჭალა, რომელიც უნდა წარმოსდგებოდეს გამქრალი გვარისგან (მტოსგან) – ნარდს-ისგან. ნარდსები ებრაელები (?) ყოფილან. იქ კლდეში არის წინასწარმეტყველი ელიას გამოქვაბული

ლი ბაჰატირი (იხ. შტუდიები რუსეთის შესახებ; ტ. II, გვ. 254). ფაქტი სავსებით ისტორიულია. ქართველი მოხელეები ამბობენ: ქართლის მეფე ვახტანგმა (446-499) დაამარცხა ოსები და საკუთარი ხელით ორთაბრძოლაში დახოცა მათი ორივე სახელგანთქმული მეთაური ჩალათარი და ბალათარი. დიუბუა (ტ. II, გვ. 362) გვთავაზობს ეკლესიის უალრესად ყურადსაღებ წარწერას მუცალა-დან (დაბეჭდილი ჟურნალ აზიატიკში, 1830 წ. ოქტომბერი), რომელიც ადასტურებს ამ ამბავს: „ჩვენ ვიყავით ცხრა ძმა ჩარჯუიძე-ჯარხილანის გვარიდან:

ოს-ბალათარი, დავით-სოსლანი (რომლებმაც აწარმოეს ომები ოთხ სახელმწიფოსთან), ფიდაროსი, ჯადაროსი, საკური და გიორგი (რომლებმაც მტერს რისხვა დაატყუეს). სამი ძმა იყო ბერები და ქრისტეს კარგი მსახურები. ჩვენ ვართ ბატონები ვინრო გზებისა, რომლებითაც ოთხი მხრიდან მოდიან. ლასარაში გვაქვს ციხე და საბაჟო და გვიკავია ხიდის თავი (თუ იქით მხარეს კარგად მოიქცევი, აქეთაც კარგად გაივლი). ოქროს და ვერცხლის მტვერი წყალივით გვაქვს. მე დავიმორჩილე კავკასიის ხალხები და დავიპყარი სამი სამეფო. ჩემი ჩვეულების თანახმად, მოვიტაცე ქართლის მეფის და; მან მე ფიცით მომატყუა და ჩემ ცოდვაში ჩადგა. ბალათარი წყალში ჩააგდეს, ხოლო ოსების ჯარი დახოცეს. ვინც ამ სტრიქონებს ნაიკითხავს, დამლოცოს“.

<sup>1</sup> შდრ. ქცა, I, გვ. 145, 153, 155 – გ. გ.

<sup>2</sup> ოსთა უმცირესი ნაწილია მონათლული. ვინც ღორის ხორცს ჭამს, ქრისტიანებად თვლიან, ვინც არა – მაჰმადიანებად.





(ას-ილია-ლეგეტ), რომელიც ოსთა მფარველადაა აღიარებული მის ირგვლივ სუფევს ღრმა სიმშვიდე; საქონელი მშვიდად ძოვს; არავითარი შფოთი და ბრძოლა ან ყაჩაღობა არ არღვევს ამ სიმშვიდეს წმინდა ადგილის არემარეში.

გადმოცემის მიხედვით, ერთხელ ერთი წმინდანი დაატყვევეს და უცხო ქვეყანაში გადაიყვანეს. ერთმა არწივმა მალალ მთებზე და შორეულ ზღვებზე გადმოატარა ის და აქ დასვა. მან თავისი სიცოცხლე უძღვნა გამოქვაბულში წმ. ელიასადმი მსახურებას. ეს სამსახური გადაეცა მის შთამომავლებს. მათგან უფროსი წელიწადში ერთხელ თავისი ხელით მოქსოვილ სამოსში (კაბაში) ადის კლდეზე, შედის გამოქვაბულში, რათა შეასრულოს მისტიკური მსხვერპლშენირვა. სხვა, ვინც მოისურვებდა კლდეზე ასვლას, ბრმავდებოდა, ხოლო ვინც გამოქვაბულში შევიდოდა, უმალ კვდებოდა. გამოქვაბული შიგნით თითქოს ზურმუხტისაა; შუაში ქვის სამსხვერპლოა (საკურთხეველი), რომელზეც დგას ლუდით სავსე ოქროს თასი. მასში შესული მღვდელი მომდევნო წლისთვის იღებს წინასწარმეტყველების წყალობას. თუ ლუდი გაქანდება და გადმოვა თასიდან, ეს გულისხმობს მშვიდობასა და კარგ მოსავალს; თუკი ლუდი არ გაინძრევა – ომსა და შიმშილს. მეორე დღეს სოფელ ლამადონში იმართება დიდი ღვინო, რომელზეც თითოეულს მიმდებარე მხარეებიდან წილი შეაქვს და წმ. ელიას მღვდელი წლის მომავალს გამოუცხადებს. ასევე ქრისტიანი ოსებიც მრავალჯერ სწირავენ გამოქვაბულებში და წმინდა ქალებში უძველეს სამსხვერპლოებზე<sup>1</sup> და მალალ, ხელოვნურად აღმართულ ქვაყრილებზე.<sup>2</sup> აქ სწირავენ, როცა სურთ დახმარება, როცა რაიმეს შესრულება უნდათ; ანდა

<sup>1</sup> ქართველები და სომხები ჯერაც სწირავენ საქონელს ეკლესიებში. მათმა უმაღლესმა სასულიერო პირებმა ვერ შეძლეს ამის მთლიანად აკრძალვა. როცა წმ. ნინომ, რომელმაც 423 წელს ქართლში ქრისტიანობა შემოიტანა, იქ დახვდა ადამიანთა მსხვერპლშენირვა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მან ბევრჯერ უშედეგოდ სცადა ყოველგვარი მსხვერპლშენირვის გაუქმება, მაგრამ მხოლოდ ადამიანთა მსხვერპლშენირვის შეწყვეტით შემოიფარგლა [ნინოს შემოსვლა ქართლში IV ს-ში ხდება – გ. გ.].

<sup>2</sup> ეს ცხადად გვახსენებს ე. წ. ქვის წრეებს, გიგანტთა ბეჭდებს – სადაც სამ ან ხუთ ქვაზე ძევს სამსხვერპლო ქვა, როგორც ეს ჩრდილო გერმანიასა და სკანდინავიაშია.

მიაქვთ სამადლობელი, როცა საქმე გამოუდით - უმეტესად ხორცი (საკლავი), თევზი და პური. ელიას გამოქვაბულების წინ, რომლებიც საკმაოდაა ზემოდასახელებული უმთავრესის გარდა, კლავენ თხებს, ხოლო მათ ტყავს ჰკიდებენ მალლა ხეებზე. ნახევრად ქრისტიანი ოსები მკაცრად იცავენ დიდ ქრისტიანულ მარხვებს და ასრულებენ მსხვერპლშენირვას უმთავრესად აღდგომისას. თუკი ლეგენდას (ებრაული) ნარდების შესახებ ნამდვილი საფუძველი აქვს, მაშინ ეს შენირვები ებრაულიდან მომდინარე ჩანს, რადგან მისი შესრულების წესი (იკვლება ცხვარი, უხუცესი ლოცვით ირგვლივ ჩამოურიგებს ხორცს, ძვლებს და ტყავს წვავენ და ა. შ.), რა თქმა უნდა, ებრაული ხასიათისაა. აგრეთვე ის, რომ ისინი მეშვიდე დღეს (შაბათს) შაბათ-თე-ს უწოდებენ და ამ და კვირადღესაც თავსაბურავს არ ატარებენ, ამასთან ამ ორივე დღეს არ ასრულებენ კურთხევას ან ზეიმობენ, მიუთითებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის შერევაზე. აღსანიშნავია, რომ ყოველ დიდ დღესასწაულს განსხვავებული შესანიერი ეკუთვნის. ახალ წელს კლავენ ღორს, აღდგომას - ცხვარს ან ბატკანს, [მთავარანგელოზ] მიხეილობას - ხარს, შობას - თხას. განსაკუთრებით პატივს სცემენ ოთხ წმინდანს - წინასწარმეტყველ ელიას, მთავარანგელოზ მიქაელს, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზს.<sup>1</sup> მათ აქვთ

<sup>1</sup> ტფილისში მე ვიპოვე კოლის „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში“ (ლაიფციგი, 1841), რომლის I ნაწილში, 292-ე გვერდზე გვანვდის ძალზე საინტერესო ცნობას ოსებზე და იქვეა მოცემული მეტად საყურადღებო მათი ლოცვა. მე ის ნავუკითხე ერთ ოსს, რომელმაც ის კარგად იცოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ოსური სიტყვების მართლწერაში დაშვებული იყო ბევრი შეცდომა. მე ვერ შევძელი მათი გასწორება ნაწილობრივ დროის სიმცირის, ნაწილობრივ მათი ხორხისმიერი და შიშინა ბგერების ჩვენი ასოებით გადმოცემის შეუძლებლობის გამო. ამ საოცარ ლოცვას მე აქ მოვიტან, რადგან ის უნდა იყოს ოსების ერთადერთი ლიტურგიული დოკუმენტი (ჩვენ გამოვტოვებთ ლოცვის ოსურ ტექსტს და მოვიტანთ მის თარგმანს - გ. გ.):

1. ღმერთო, გთხოვთ თქვენს წყალობას. შეგვიწყალებ ჩვენ!
2. წმინდაო გიორგი! გთხოვთ, დაგვეხმარეთ. შეგვიწყალებ ჩვენ!
3. დედაო ლეთისავ! გთხოვთ, შეგვიწყალებ ჩვენ!
4. მიქელ გაბრიელ! გთხოვთ, შეგვიწყალებ ჩვენ!
5. თქვენო მთის ეკლესიებო! შეგვიწყალებ ჩვენ!

შვიდდღიანი ქრისტიანული კვირა. კვირას უწოდებენ „ხატავიბრუნს“, ე. ი. ღმერთის დღე. ორშაბათს და პარასკევს ახალი საქმიანობა არ უნდა წამოიწყონ – ცრურწმენა, რომელიც ასევე ხშირია ევროპაში.

რამდენადაც გაუგებარია და განუვითარებელი ქრისტიანობა ხალხებში, მით მეტად წარმოჩნდება ცრუმორწმუნეობა. ოსები ძალზე ცრუმორწმუნეები არიან: მათ ჰყავთ წინასწარმეტყველები, ჯადოსნები, კუდიანები, რომლებიც მათ უწინასწარმეტყველებენ; აქვთ ჩვენებები და ესაუბრებიან გარდაცვლილებსა და წმინდანებს, რასაც შემდეგ გარშემო მყოფებს აცნობებენ. თუ ოსს რაიმეს ფარულად მოპარავენ (აშკარა ყაჩაღობა არ ითვლება ქურდობად), იგი მოძებნის ჯადოქარს, ბრძენ კაცს (კურისმეცოკ) და ძღვენის საფასურად თხოვს დახმარებას. ეს უკანასკნელი მიჰყვება მას იმ პიროვნების სახლთან, ვიზედაც აქვს ეჭვი. ბრძენს ხელში ჰყავს კატა და ყვირის: „თუკი ეს შენ წაიღე და პატრონს არ დაუბრუნებ, მაშინ ეს კატა შენი წინაპრების სულებს გატანჯავს!“ დარწმუნებული იყავით, რომ ქურდი ნაპარს დააბრუნებს. თუკი დაზარალებულს არა აქვს ეჭვი გარკვეულ პირზე, მაშინ ისინი დადიან კარდაკარ და ქურდი თვითონ გამოცხადდება.

6. ნარის წმინდა გიორგი! შეგვიწყალებ ჩვენ!

7. ბრუტსაბძელო (მაღალი მთები ოსეთში) და მასზე მსხდომნო მოციქულებო და ანგელოზებო! მოგესალმებით და გთხოვთ, შეგვიწყალოთ ისინი, ვინც თქვენ გესალმებიან და გეძიებენ!

8. ქართულო ეკლესიებო! შეგვიწყალებ ჩვენ და ყველა ხალხები, თქვენს გარშემო მცხოვრებნი!

9. ქრისტე! შეგვიწყალებ ჩვენ!

10. მონყალებო ღმერთო! გვიშველებ ჩვენ შენი სამართლით!

კოლი ამასთან შენიშნავს, რომ წმ. სამება არ ჩანს. ოსებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა მის შესახებ, მაგრამ რომ იციან, ამაზე მიუთითებს ზემოთ აღწერილი მოსალოცავი ადგილები სამების ეკლესიის ნანგრევებთან. საოცარია, რომ ამ ლოცვების ფორმა მთლიანად ემთხვევა ცნობილ კათოლიკურ ლიტანიას. მეექვსე პუნქტის შესახებ კოლი შენიშნავს: „ნარა უნდა იყოს ხეობა“, სადაც ძველად წმ. გიორგის ეკლესია იდგა. ეს შეიძლება მიუთითებდეს ნარდ-ის ამჟამად გამქრალ (ებრაულ) მოსახლეობაზე, რომელთაგანაც, ალბათ, მხარემ მიიღო სახელი.



კატა, ძალღი და ვირი ითვლებიან ჯადოსნურ (სასწაულებრივ) ცხოველებად. თუკი ვინმეს სხვის მიმართ აქვს რაიმე პრეტენზია, ან ნაწყენია და არა აქვს სათანადო ძალა, რომ სამართალი ნახოს, ან მიიღოს დაკმაყოფილება და ანაზღაურება, მაშინ ის შეურაცხმყოფელის წინაპრის საფლავზე კლავს კატას, ძალღს ან ვირს და თან აყოლებს სიტყვებს: „ამის და ამის სულისთვის და ა. შ.“ ამით დასახელებულთა სულებს ემუქრებათ ამ ცხოველებად გადაქცევა, თუკი მათი მემკვიდრე არ დააკმაყოფილებს დაზარალებულს. ეს არის ისეთი აუტანელი შეურაცხყოფა და საფრთხე, რომ შთამომავალი დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს დაზარალებულს (განაწყენებულს).

ოსები დიდ პატივს სცემენ წინაპართა საფლავებს. ბევრ ოსურ გვარს აქვს საკუთარი მემკვიდრეობითი საფლავები და საერთო საგვარეულო აკლდამები. მიცვალებულს პირით დასავლეთისკენ ასაფლავებენ. ცალკეულ საფლავებზე აწყობენ დიდ ქვებს, ხოლო თავთან დგამენ ოთხკუთხა, 6-8 ფუტი სიმაღლის ქვას. დასაფლავება დიდი ამბით მიმდინარეობს. დასაფლავებისას სამარესთან მოჰყავთ გარდაცვლილის ცხენი და ცოლი იმის ნიშნად, რომ ისინი იყვნენ გარდაცვლილის ნამდვილი საკუთრება, რომლებიც არავის გადაეცემოდა. ორივეს სამჯერ შემოატარებენ საფლავს. ცხენზე ველარავინ შეჯდება, ცოლი კი ველარ გათხოვდება. მეხით მოკლული ითვლება წმინდანად; მას მიიტანენ მეხის დაცემის ადგილას საყოველთაო ღებნითა და შეძახილებით: „ო, ელია, კლდიანი მთების მბრძანებელო!“ და მარხავენ, რადგან წინასწარმეტყველი ელია უშუალოდ თავისთან წაიყვანს. მისი ადგილი ხდება მოსალოცი ადგილი. აქ ჰკიდებენ შავი თხის ტყავს, როგორც ელიას გამოქვაბულებთან.

რაც შეეხება საქორწინო წესებს, მე შემდეგი მითხრეს:

სასიძოს მამა ან, თუ ეს უკანასკნელი გარდაცვლილია, უფროსი ნათესავი მიდის ქალის მშობლებთან და განუცხადებს სურვილს; თუკი ისინი დათანხმდებიან, შემდეგ შეეკითხებიან ქალიშვილს, რომლის უარის შემთხვევაში საქმე ჩაიშლება. ქალიშვილის თანხმობისას სასიძო მამასთან ერთად გამოცხადდება და მაშინვე მოხდება ნიშნობა; ამასთან ათანხმებენ გამოსასყიდს – მეტწილად საქონლის და





იარაღის სახით, რაც გადაეცემა სარძლოს მამას ან ძმას.<sup>1</sup> ქორწილის დღეს სასიძო თავის ნათესავებისა და მეგობრების ამალით მიდის პატარძლის სახლში, სადაც იშლება სუფრა. მეორე დღეს იგივე მეორდება ახლო მეზობელთან და ასე გადადის მთელ სოფელში სახლიდან სახლში. ამის შემდეგ სიძეს მიჰყავს პატარძალი თავის სახლში. კარებთან სოფლის ყველა ბიჭია შეკრებილი; ისინი ხელს კრავენ, ჩქმეტენ პატარძალს, რომელმაც წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს და ხმა არ ამოიღოს. ნათესავებს შეჰყავთ პატარძალი, სიძე კი წინაურდება და ხვდება ანთებული ჩირაღდნით (ცეცხლმოკიდებული ნაძვის კვარით).

პატარძალს სამჯერ შემოატარებენ კერიის ირგვლივ და სვამენ კერიის წინ ამაღლებულ ადგილას კუთხეში (კომ). ამის შემდეგ იკრიბება სოფლის ყველა ქალი, დგებიან პატარძლის წინ და მთელი ღამე მამლის ყივილამდე რიგრიგობით უმღერიან (რა სახისაა ეს სიმღერები, ვერ დავადგინე დროის სიმცირის გამო). მთელი ამ ხნის მანძილზე პატარძალი ხმაგაკმენდილი ზის. მამლის პირველ დაყივლებაზე შემოდის საგანგებოდ მონვეული ვაჟი, უახლოვდება პატარძალს, მოაძრობს ფატას (თავსაბურავს), შუაზე ხევს მას, ორივე ნაწილს ააფრიალებს ცაცხვის ჯოხით, რომელიც ხელში უჭირავს და შეუძახებს: „ცხრა ვაჟი და ერთი ქალი“! ამის შემდეგ პატარძალი ცხადდება ოჯახის დიასახლისად და იწყება მისი საქმიანობა. ოჯახი და სტუმრები სუფრას მიუსხდებიან, ის კი ემსახურება მათ. თუკი მოშივდება, მას შეუძლია ფარულად გვერდით ოთახში დაიკმაყოფილოს სურვილი. როცა პატარძალს მოხდინა ვუალს (თავსაფარს), კაკკასიური წესების მიხედვით, მას გამოუჩნდება თვალეზამდე დაფარული სახე.

ყველა ეს წესი, სახელდობრ, კერიას შემოტარება, დაჯდომა შემალლებულ ადგილას, ქალების სიმღერა, ფატას მოხსნა და ა. შ., მთელი თავისი ხასიათით, სიმბოლიკით, დიასახლისის მოვალეობების და უფლებების თვალთახედვით, შეიცავს რაღაც გერმანულს

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 53: ოსები ყიდულობენ ცოლებს. ყველაზე დაბალი ფასია 12 ძროხა; ეს რაოდენობა იზრდება 140 ძროხამდე ან 7 ცხენამდე. ქვრივი ნახევარ ფასად ღირს.

და შეიძლება წარმოიდგინო, რომ იმყოფები გერმანიის რომელიღაც კუთხეში!

როგორც წესი, ოსებს ჰყავთ ერთი ცოლი. თუმცა თითო-ოროლა მდიდარს – ორიც. აქ იგრძნობა მაჰმადიანური ჩვეულებების გავლენა, რადგან ხალხის ხასიათი და სხვა წეს-ჩვეულებები მიუთითებს ევროპული სახის საოჯახო ცხოვრებაზე – მონოგამიაზე. ქალთა ყიდვის აზიური წესი არ მიუთითებს მათ მონობაზე – ამას თუნდაც ქალიშვილის ქორწინებაზე თანხმობისას თავისუფალი არჩევანიც გვიჩვენებს. თითქმის ყველა კავკასიელი ხალხის საწინააღმდეგოდ, ოსებთან ურთიერთობა ორივე სქესს შორის თავისუფალია და ბუნებრივი (დაუძალებელი). ქალიშვილი გათხოვებამდე უბინობას არ არღვევს; სხვა ვითარებაა ქალებთან. პირველ ხანებში და სანამ ბავშვს გააჩენს, წესები მკაცრად მოითხოვს მისგან მორიდებულობას (თავშეკავებულობას). სომხების მსგავსად, ახალგაზრდა ქალი, გარდა ქმრისა, არავის უნდა ელაპარაკოს; თვით მშობლებსა და დამძმებს ესაუბრება პანტომიმის ენით. როგორც კი ბავშვს გააჩენს ან უშვილოდ რჩება, ოთხი წლის გავლის მერე ის მთლიანად ემანსიპირებულია. ოსი ქალების შესახებ ერთგულების მხრივ ბევრ ცუდს ამბობენ! წესია, თუ უფრო უწესობა, რაც შეიჭრა მათში, რაც ოჯახურ თუ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას-საფუძველში ანგრევს და ხრწნის: სახელდობრ, მამა თავის 6-8 წლის ვაჟისთვის ყიდულობს 14-16 წლის ცოლს (ყოველივე ზემოთქმული – ქალიშვილის თავისუფალი განწყობის და პირადი სურვილის, მკაცრი მოკრძალებულობის და დუმილის და ა. შ. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ილუზორულ სახეს იღებს!). მამა, რომელიც შემდგომ, ალბათ, და ნამდვილად მამაც აღარ არის, ცხოვრობს ეგრეთწოდებულ რძალთან, ალბათ იყოლიებს მისგან ვაჟს, რომლისთვისაც ნომინალური მამა კვლავ ექვსი წლის შესრულებისთანავე ცოლს იყიდის, რომელთანაც ისევ იცხოვრებს და ა.შ.!<sup>1</sup> ამასთან ოსებს აქვთ მკაცრი და შემზღუდავი შეხედულებები ქორწინების წესების შესახებ. ყოველი ბავშვი დაბადებული ქორ-

<sup>1</sup> რუსეთში რომ ორი თაობის წინ მთლად ასეთივე უწესობა სუფევდა, გვამცნობს ერნსტ ვიხელჰაუზენი თავის „მოსკოვის აღწერაში“ 1803 წელს.



ნინებით, მიუხედავად სისხლის აღრევისა და ღალატისა, ითვლება კანონიერ მოსახელედ და მემკვიდრედ. ცოლს, რომელმაც ქორწინებაში გააჩინა შვილები, ქმრის გარდაცვალების შემდეგ არ შეუძლია ხელახლა გათხოვება ოჯახის გარეთ, რადგან არის ნაყიდი და ითვლება ოჯახის საკუთრებად! ის შეუძლია შეირთოს გარდაცვლილის მამამ ან ძმამ. ეს ითვლება მოვალეობად, საპატიო საქმედ.<sup>1</sup> ოსების სამართლებრივი გაგებით, ეს ითვლება პირველი და ერთადერთი მუდმივი ქორწინების გაგრძელებად და ახალი შეუღლების ბავშვები ითვლებიან პირველი ქორწინების ბავშვებად და სარგებლობენ იმავე სახელით და ქონებით, როგორც პირველი ქორწინების ნამდვილი შვილები. მაგრამ ეს შეხედულება უფრო გავრცელებულია! თუ გარდაცვლილ ქმარს არ ჰყავს მამა და ძმა და ამდენად, ქვრივი შეიძლება გაუთხოვარი დარჩეს, მაშინ ამ უკანასკნელს არაფერი უშლის ხელს სხვა კაცთან იცხოვროს. ამ ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები ასევე ითვლებიან კანონიერ შვილებად სიკვდილის შედეგად დარღვეული ქორწინებისა! ამის მაგალითი თვალწინ გვქონდა: ჩვენი დიასახლისი იყო ქვრივი. გარდაცვლილ ქმართან მას ჰყავდა სამი ქალიშვილი და არცერთი ვაჟი. ქმარი ხუთი წლის წინ გარდაცვლოდა, მაგრამ ახლა ხელთ ეჭირა ვაჟი – არც კი ერთი წლის ძუძუთა ბავშვი! ეს ბიჭი იყო ერთადერთი მემკვიდრე კარ-მიდამოსი; ის ატარებდა გარდაცვლილის გვარს, ხოლო ნამდვილმა კანონიერმა ქალიშვილებმა არაფერი მიიღეს. ისინი უნდა გაყიდულიყვნენ ამ უკანონოს სასარგებლოდ! ეს დაემართა 13 წლის უფროს ქალიშვილს, რომლის საქმრომ უდიდესი გულუბრყვილობით და სისრულით განმიმარტა ურთიერთობები!

თუ ქვრივი უშვილოა და სურს ხელმეორედ გათხოვება, ახალმა ქმარმა მისი სყიდვის ნახევარი საფასური უნდა გადაუხადოს ოჯახს, საიდანაც იმუამად ის გამოდის. ბავშვი, რომელიც მისი ქმრის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში გაჩნდება, ეკუთვნის მის

<sup>1</sup> თუკი ეს წესები არ ეფუძნება საერთო სპარსულ-მიდოურ და იუდაურ რელიგიურ შეხედულებებს, მაშინ ისინი გადმოღებული უნდა ჰქონდეთ ებრაელებისგან. ცნობილია მოსეს კანონებით, რომ ძმა მოვალეა ძმის ქვრივი შეირთოს.

ოჯახს (ეს გამოიყურება როგორც ევროპული იურისპრუდენციის გამოძახილი!). თუკი სხვა ნაგერის ცოლს, რაც ხანდახან ხდება, ხოლო ქმარს არ შესწევს ძალა მის დასაბრუნებლად, მაშინ მეორე ქმარი პირველს აძლევს გადახდილ თანხას. აქა-იქ, თუმცა იშვიათად, კაცი ეყრება ცოლს, ალბათ ქალის მხრივ ჩადენილი ლალატის გამო. ამ შემთხვევაში ქმარი უბრუნებს ქალს მის ოჯახს და იბრუნებს გადახდილი საფასურის ნახევარს, რადგან მან ჩაიბარა ქალწული და დააბრუნა ქალად. თუ კაცი უმიზეზოდ გააგდებს ცოლს, მაშინ ის არაფერს მიიღებს.

სიყვარულობანას დიდი ადგილი უკავია ოსების საზოგადო ცხოვრებაში. რაც მეტი მთხოვნელი ჰყავს ქალიშვილს, მით მეტ პატივშია და მეტად ფასობს. თუ ქალიშვილს ერთი მთხოვნელიც არ ჰყავს, როგორც ქვრივს, რომელსაც აღარ ჰყავს პატივისმცემელი შეყვარებული, ისე მოიძულებენ, რომ საჯაროდ აფურთხებენ.

ოსებში, როგორც წესი, ქალი ბატონობს სახლში; კარგი ქმრები დაჯანებული ჰყავთ<sup>1</sup>, სამაგიეროდ ძალზე შრომისმოყვარენი არიან. ქალები მკიან თივას და პურეულს, მიაქვთ მარცვალი ნისქვილში, ზურგით მოაქვთ შეშა ტყიდან სახლში; ზოგიერთი კი ხნავს და ეწევა მინდვრის მთელ სამუშაოს. როცა ქმარი კვდება, ქვრივის ხელში გადადის ქონება და სახლის გამგებლობა, სანამ ვაჟი არ გახდება სრულწლოვანი (არ გაიზრდება); ამის შემდეგ ორივე მას გადაეცემა და მოვალეა წესიერად იზრუნოს მათზე. თუ ქვრივს არ ჰყავს შვილები და ხელმეორედ არ გათხოვდება, ის სიკვდილამდე ფლობს ქმრის ქონებას. ქვრივის გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი უბრუნდება მამრობითი ხაზით ქმრის სანათესაოს. ეს ყოველივე გვახსენებს გერმანულ კანონებს საგვარეულო ქონების, სამუდამო პენსიის და ა. შ. შესახებ.

<sup>1</sup> თუკი მართალია, რომ ოსები არიან ძველი სავრომატების თუ სარმატების, სახელდობრ, ამაზონების შთამომავალნი, რომლებიც სკვითების ერთ შტოს შეუერთდნენ და, ჰეროდოტეს მიხედვით, ახალი ხალხი წარმოიქმნა, მაშინ ქალების ეს ძალაუფლება სავსებით ასახსნელია. თუმცა არაა სავალდებულო იყო ამაზონი, რომ მამაკაცები დაიმორჩილო.





ვაჟი სრულწლოვნად ითვლება და გადაეცემა სახლის მემურნობა, როგორც კი შეძლებს ბალახის ცეღვას. ძმები უმთავრესად ერთად რჩებიან ერთ საკარმიდამო მემურნობაში, ხშირად ქონებრივ ერთობაში. მემკვიდრეობის განაწილებისას უფროსი ვაჟი იღებს ცხენს ან ძროხას, ან სხვებზე ათი ცხვრით მეტს და ასევე მამისეულ სახლს. უმცროს ვაჟს ეკუთვნის ზოგი იარაღი და პირუტყვი, რათა შეეძლოს ცოლის ყიდვა, თუკი მამის გარდაცვალებამდე ცოლი არ მოუყვანია. სხვა დანარჩენი თანაბრად ნაწილდება ყველა ძმას შორის. ქალიშვილებს არაფერი ეძლევათ; უკეთეს შემთხვევაში, გაიყიდებიან.

ნამდვილი და ყველაზე მყარი საფუძველი ოსების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა არის არა ხალხისა და სუსტი საზოგადოებრივი კავშირები, არამედ, უმთავრესად, გაბატონებული ოჯახური კავშირი. ეს ემყარება მხოლოდ მამაკაცთა ხაზს და იმავე გვარს. ნათესაობა დედის ხაზით არ არის პოლიტიკურად აღიარებული. ჩემი ნათესავი მემასე ხარისხის, რომელიც ჩემი გვარისაა, ჩემი ახლობელი ნათესავია და, საჭიროების შემთხვევაში, მოვალე ვარ სისხლი ავიღო, ან მოვითხოვო მისი მაგიერი. მაგრამ ჩემი დედის ძმა არაა ჩემი ნათესავი: მისი მოკვლისთვის მე არ მოვითხოვ საზღაურს. ერთი გვარის მეთაურისგან წარმომავალი, იმავე სახელის მატარებელი გვარი ყოველთვის საყოველთაოდ დაცულია სისხლით; ესაა ერთეულთა ერთადერთი პოლიტიკური დაცვა და მისი დამოუკიდებლობის გარანტია. მამას შეუძლია შეირთოს რძალი, ძმას თავისი მული, ვაჟს – დეიდა. ეს ყოველივე დაშვებულია და არ ეწინააღმდეგება წეს-ჩვეულებებს. მაგრამ რომ შეირთო იმავე გვარის ქალი, რაც არ უნდა შორეული ნათესავი იყოს, ოსებში ითვლება სისხლის აღრევად.<sup>1</sup>

ამ ხალხის ფენებად დაყოფის შესახებ მხოლოდ არასრულყოფილი ცნობები მივიღე. მაგრამ, უეჭველია, რომ ის იყოფა ორ ფენად: აზნა-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მთლად იგივე წესები და შეხედულებები საგვარეულო ურთიერთობების შესახებ გავრცელებულია ოსტიაკებში. მათ არასდროს მოჰყავთ ქალი მამის ხაზით ნათესავთაგან, რომლებიც იმავე გვარს ატარებენ. მაგრამ ხშირად ქორწინდებიან დედინაცვალზე, გერზე, დედინაცვლის შვილზე (ამათზე განსაკუთრებული სიამოვნებით!). მიუღერი, „უგრული მოდგმა“, I ნაწ. გვ. 308.



ურებად (წარჩინებულებად) და თავისუფალ ხალხად.<sup>1</sup> ჩანს, რომ წარჩინებულები დიდი პატივით სარგებლობენ, მაგრამ არა აქვთ პატივი ტიკური ძალაუფლება ან სამამულო ბატონობის უფლება, არც სხვა რეალური უპირატესობანი. ქართული მატრიანეები ასახელებენ შვიდ წარჩინებულ გვარს, რომელთა მიხედვითაც ოსებმა დაარქვეს თავიანთ ახალ კლდოვან ხეობებს, მას შემდეგ, რაც დაბლობებიდან მთებისკენ შეავინროვეს. ამ შვიდი გვარიდან ამჟამად ყველაზე პატივშია **სიდუმონი**-ს გვარი. დამისახელეს ოთხი ძლიერი და მრავალრიცხოვანი წარჩინებულთა გვარი: **სიდუმონი, ალგუზონი, კუსაგონი, სიმეთი**. ჩრდილოეთ ოსეთში უნდა იყოს განსაკუთრებით წარჩინებული გვარი, რომელიც შედგება თორმეტი მრავალრიცხოვანი ოჯახისგან, რომელთაც უწოდებენ **თაგაურელ**-ებს. ისინი თითქოს წარმოსდგებიან სომეხი თავადის თაგაორ-ისგან (გვირგვინოსანი (?)). მათ ამ ჩრდილოეთ მხარეების ყველა სოფელში მემკვიდრეობით უკავიათ სოფლის მამასახლისის თანამდებობა, რაც ეხმიანება სომხურს.

წარმართ ოსებს უნდა ჰყავდეთ რამდენიმე სასულიერო (ქურუმთა) გვარი, რომელთაც ევალებათ ზოგი წარმართული საკერპეს ზედამხედველობა. მაგრამ მათ შესახებ ვერაფერი შევიტყე.

ოსი წარჩინებულები ძალიან მკაცრად იცავენ სისხლის სინმინდეს. რომელი მათგანიც შეირთავს მეორე ფენის – თავისუფლების ქალიშვილს, მისი შვილები გადადიან მესამე ნოდებაში; ეს ნიშნავს, რომ ხდებიან მონები. თაგაურელთა ოჯახები ჩრდილო ოსეთში ყველა მაჰმადიანია და ქორწინდებიან უმეტესწილად ჩერქეზ თავადურ გვარებზე (**უზდენი**).

ოსებს ჰყავთ მონები, რომლებსაც ექცევიან როგორც ოჯახის წევრებს. მთავარს (წარჩინებულს) ჰყავს მოარენდე გლეხები (რომლებიც არიან თავისუფლები), ასევე დაქირავებული მოჯამაგირეები

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 47. „რუსულ ადმინისტრაციასთან მიმართებაში ოსები იყოფიან:

1. თავისუფალი, დამოუკიდებელი
2. უშუალოდ სახელმწიფოს ქვეშევრდომები
3. თავად-აზნაურთა (ერისთავთა და ა.შ.) ქვეშევრდომნი. პირველები ოჯახის გარდა არავის ძალაუფლებას, არავითარ სასამართლოს არ ცნობენ. ვინც ატარებს თოფს, მთლიანად დამოუკიდებელია“.



და მოახლეები. ტფილისშიც ვნახე ოსი მოახლეები მაშინ, როცა ნათქვამი რთველ ქალებს არ ქირაობენ. მაჰმადიანებს ჰყავთ მონა-ქალები, მაგრამ არა დაქირავებული მხევლები, რაც ეწინააღმდეგება რელიგიურსა და ხალხთა წეს-ჩვეულებებს.

ოსი წარჩინებულის სისხლი დიდად ფასობს. სისხლის ალებისას მას უფლება აქვს ორმაგი გამოსასყიდი და ჯარიმა მოითხოვოს, ვიდრე უბრალო ოსმა.

სისხლის ალების ჩვეულება და კანონი გვხვდება წარჩინებულ და თავისუფალ ოსებში ისევე, როგორც ყველა აღმოსავლურ და ძველ ჩრდილო-ევროპულ ხალხებში.<sup>1</sup> ასევე ძალზე ყურადსაღებია და საფუძვლიანი შესწავლის ღირსია ის, რომ ოსების მომრიგებელი და სამედიატორო სასამართლო წესი ჰგავს გერმანული ხალხებისას. სამწუხაროდ, ჩემი ხანმოკლე სტუმრობისას ეს ვერ მოვახერხე.

თუ ერთი ვინმე მეორეს მოკლავს, მოკლულის გვარის ყოველი წევრი უფლებამოსილია და ვალდებული აიღოს სისხლი, ე. ი. თვით მკვლელი მოკლას. თუ შურისძიება შედგა, ის მიდის თავისი მოკლული ნათესავის საფლავთან და ჩაჰყვირებს: „მე სისხლი ავიღე და შენი მკვლელი მოვკალი!“

ხშირად პიროვნება, რომელმაც მოკლა დიდი, ძლიერი გვარის წევრი, წლობით არ გამოდის სახლიდან, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობს, რადგან სახლი კანონით დაცულია. ვისაც არა აქვს საკუთარი ოჯახი, რომელიც მას დაიცავდა, ის თავშესაფარს ეძებს რომელიმე ძლიერ (ცნობილ) გვართან, ვისთანაც რამდენიმე წლით მსახურად დგება.

მე მოვისმინე, რომ უხსოვარი დროიდან ორ ოსურ ოჯახს (გვარს) შორის არსებობდა სისხლის ალება. ორივე გვარი თითქმის მთლიანად ამოწყდა. ბოლოს, ურთიერთშეთანხმებით, თითო გვარიდან თითო ობოლი ბიჭი ერთობლივად დაკლეს წარმართულ სამსხვერპლოზე და სამუდამოდ შერიგდნენ!

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 50. „სისხლის ალება გაბატონებულია როგორც ჩერქეზებთან და აფხაზებთან. ვინც შურს არ იძიებს, მას სამუდამო სირცხვილი ემუქრება“.



მკვლევლობისა და უნებლიე მკვლევლობისას არავინაა იძულებული გადაიხადოს ჯარიმა, ან მიიღოს სამომრიგებლო სასამართლოს მიწვევა. მას (დაზარალებულს) შეუძლია მოითხოვოს სისხლის აღება. ახალ დროებაში ხშირია, როცა დაზარალებული და მისი ოჯახი საქმის გარჩევას სამედიცინო სასამართლოს გადასცემენ; ამასთან წესადაა მიღებული, რომ ვითარებისა და ოჯახის პატივის მიხედვით, გარდაცვლილის ჭრილობები ორმაგად ფასდება, ვიდრე ცოცხლად დარჩენილისა. უნინ ხშირად წესად იყო, რომ მკვლელი დაზარალებულის ოჯახს გარკვეული დროის განმავლობაში, მაგ., ერთი წლის მანძილზე, საფასს გადაუხდიდა; თუმცა დროის ამ მონაკვეთში სისხლის აღება შეჩერებული იყო და არ სრულდებოდა.

ღია ჭრილობები და არასასიკვდილო დაშავება სახალხო და ჩვეულებითი ოსური სამართლით ფასდება ამისთვის განსაზღვრული გადასახადით. ამ ჯარიმას აწესებს არჩეული სამედიცინო სასამართლო. მე ვერაფერს გეტყვით დანვრილებით ამ სასამართლოს ორგანიზებისა და ფორმის შესახებ. ჩემს მიერ გამოკითხულმა ოსებმა მითხრეს, რომ თითოეული მხარე ირჩევს სამი ოჯახის უფროსს, რომლებიც ამ მხარეებს არ ენათესავებიან; ეს ექვსი შემდგომ ირჩევს მეშვიდეს - უფროსს. შემდეგ სასამართლო ორივე მხარეს საზეიმოდ აღიარებინებს, რომ ისინი დაემორჩილებიან განაჩენს; ამასთან თითოეული მხარე გამოყოფს სამ თავდებას. სასამართლო არჭობს მიწაში სარს როგორც სიმბოლოს, რომ მხარეები მკაცრად დაიცავენ დაპირებას და დაწყევლიან იმას, ვინც არ შეასრულებს განაჩენს. ამის შემდეგ მხარეები წარმოადგენენ თავიანთ ჩვენებებს და სასამართლო შეუდგება თათბირს (მეტწილად ამისთვის გამოყოფილ განსაკუთრებულ ადგილას ტყეებში). როცა მოსამართლეები შეთანხმდებიან, განაჩენი ეცნობება მხარეებს.

ყოველ ოსს სასამართლოსთვის აქვს გარკვეული წონა (ფასი), რაც, როგორც მე მეჩვენა, განსაზღვრულია საზოგადო აზრით: ოჯახის მამას მეტი წონა აქვს, ვიდრე უცოლშვილოს; ხოლო წარჩინებული ორჯერ მეტად ფასობს, ვიდრე თავისუფალი (მე ვერ შევიტყევა გადანყვეტილების - შეფასების პრინციპები). ასეთივე წესით ფას-





დება ტანის ყველა ნაწილი - მკლავი, ფეხი და ა. შ.<sup>1</sup> ღია ქრილობებს ზომავენ ხორბლის მარცვლებით და ამბობენ, რომ ქრილობა არის 10-12 ხორბლის მარცვლის სიგრძის და ა. შ.! მაგრამ თითო მარცვალი ღირს ერთი ძროხა, რაც უნდა გადაიხადონ ჯარიმის სახით. ეს გახლავთ ყველაზე მაღალი გადასახადი. თუკი ქრილობა არ არის სახიფათო და მცირე სიღრმისაა, სამედიცინო სასამართლო გაცილებით ნაკლები რაოდენობის მარცვლებს უჩვენებს, ვიდრე სინამდვილეში ეტევა.

ძროხა წარმოადგენს გადახდის ერთეულს ყოველი საფასისთვის; ის ოდითგანვე ოსებისთვის იყო ფული, როგორც რომაელებში და გერმანელებში. ამიტომ ამბობენ: საგანი ღირს ორი, სამი, ოთხი ძროხა, ან მხოლოდ 1/10, 1/100 ძროხის წონა. ხარი ამ შემთხვევაში უდრის ორ ძროხას. ოსებმა ასევე უკვე დიდი ხანია იციან მოჭრილი მონეტებიც. ქართლის (საქართველოს) მოსაზღვრე ოსურ მხარეებში ამბობენ, რომ ორი-სამი ძროხა გარკვეული მონეტის კურსს შეესაბამება. მაგრამ მე ვერ დავიდგინე ზუსტად. ზოგმა მითხრა, რომ ერთი ძროხა უდრიდა 1 მანეთს, სხვებმა თქვეს, რომ ძროხა 5 მანეთს ფასობდა. ალბათ პირველი ფასი არის სასამართლოსეული შეფასებით, მეორე კი სავაჭრო (საბაზრო) ფასი. სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმისას ხშირად ძროხის ფასს ადარებენ სხვა საგნებისას, რომლითაც ბრალდებულს შეუძლია გადაიხადოს ჯარიმა; მაგ., ხმალი, თოფი და ა. შ. ამასთან ეს საგნები ძალზე ძვირად ფასდება: ხშირად ორ-სამჯერ მეტად მათ ნამდვილ ფასზე.

როცა სასამართლოს გამოაქვს განაჩენი მკვლელობისას, მან უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება და ისე დააწესოს ჯარიმა. ამ ჯარიმის მაქსიმუმი ძველთაგანვეა დადგენილი (არ იციან, მეფის ბრძანებით თუ სახალხო გადანყვეტილებით); სახელდობრ, თავისუფალი ადამიანის მოკვლისათვის, რომელიც ჯერ არაა ოჯახის მამა,

<sup>1</sup> შდრ. ქართველი მეფის ვახტანგის კანონთა კრებული. დიუბუა, გვ. 51. „ჭრილობისათვის დადგენილი ჯარიმა თანდათან იზრდება 1 ცხვარიდან 3-ჯერ 18 ძროხამდე. სახის დაზიანება გაცილებით უფრო ძვირად ფასობს - ცხვირის 100 ძროხა; ხელის, თვალის ან ფეხის - ტოლფასია მოკვლის“.



დანესებულია ცხრაჯერ ცხრა ძროხა, ხოლო დიდი გვარის უფროსის მოკვლისათვის 18-ჯერ 18 ძროხა.<sup>1</sup> გარემოებათა შესაბამისად, სასა- მართლოს შეუძლია ამ საფასურის შემცირება.

დაშავების ან უმნიშვნელო ჭრილობების მიღებისას, ყოველი ოსი ვალდებულია არჩეული სასამართლოს განაჩენს დაემორჩილოს. ბო- ლოს, როცა საქმე ეხება ხალხური ჩვეულებების ან სახალხო უფლე- ბების ცნობას, და არავითარი პოზიტიური აუცილებლობა და არავი- თარი აღმასრულებელი ხელისუფლება არ არსებობს, მაშინ ხანდახან ჯიუტი და ძლიერი ოსი არ ემორჩილება, ან უარს ამბობს უკვე დად- გენილი ჯარიმის გადახდაზე. მაშინ დაზარალებულს არაფერი რჩება, გარდა თვითნებობისა და ეძებს მოწინააღმდეგეს დასაჭრელად. თუ მიყენებული ჭრილობა იგივე ზომისაა, როგორც თავისი, მაშინ საქმე მოთავებულია. მაგრამ, თუ ჭრილობა უფრო დიდი და მნიშვნელოვა- ნია, მაშინ ბრძოლას განაახლებს უკვე ეს მხარე.

მკვლელობისთვის არსებობს კიდევ სხვა დაკმაყოფილება, განსა- კუთრებით თუ მკვლეელი ღარიბია. ეს არის ორდალია (ღმერთის სამსჯავრო) ან დუელი (ორთაბრძოლა). დაზარალებული ოჯახი მოი- თხოვს, რომ მკვლეელი გამოვიდეს და თავი ტყვიას შეუშვიროს. სა- მედიატორო სასამართლო ადგენს, თუ ვინ უნდა ისროლოს – კენჭს უყრის ოჯახის ყველა წევრს ბიჭების ჩათვლით, რათა ოჯახის

<sup>1</sup> კოლი ამბობს, რომ ოსები ითვლიან და ანგარიშობენ ოქტოდეციმალ- ური სისტემით, ე. ი. 18-მდე, როგორც ჩვენ 10-მდე; შემდეგ აერთებენ 18-ს, როგორც ჩვენ 10-ს; შემდეგ 18-ჯერ და არა 10-ჯერ, როგორც ჩვენ ასეულს და ა. შ. ალბათ, ეს ხდებოდა ძველ დროში; ამჟამად ქა- რთულ საზღვრებთან ითვლიან ჩვეულებრივი დეციმალური (ათობითი) სისტემით (ეს მათ ქართველებისგან უნდა გადმოეღოთ). მე დამისა- ხელეს მათი რიცხვების სახელები, რომლებიც ჩვენს დეციმალურ სისტემას შეესაბამებიან. ესენია: 1 – ინ, 2 – დუა, 3 – ასტაჰ, 4 – სუჰპარ, 5 – ფუნც, 6 – ახზაც, 7 – აფტ, 8 – ასტ, 9 – ფარასტ, 10 – დასს, 11 – ივანდასს, 12 – დუსდასს, 13 – ასტენდასს, 14 – სუჰ- პარდასს, 15 – ფუნტასს, 16 – ახზარდასს, 17 – აფტდასს, 18 – ასტ- დასს, 19 – ნუდასს, 20 – ზაც, 21 – ივანმაზაც, 22 – დუზამაზაც, 30 – დაზამაზაც, 40 – დუიზაც, 50 – დაზამადუიზაც, 60 – არტიზაც, 70 – დაზამატიზაც, 80 – სუჰპარზაც, 90 – დაზამასუჰპარზაც, 100 – ფუნ- ზაც, 1000 – დასფუნზაც. საოცრად გამოთქვამენ ოსები 80-ს, როგორც ფრანგები – ოთხჯერ ოცი.



საუკეთესო მსროლელს არ ერგოს ის; შემდეგ ადგენს დროს, ადგენს ილს და დაშორების მანძილს ნაბიჯებით სროლის შესასრულებლად. საქმე წყდება ერთი გასროლით – მოკვდება, დაიჭრება მძიმედ თუ მსუბუქად, ან საერთოდ ასცდება – ამით ყველაფერი მოთავდება.<sup>1</sup>

არჩეული სამედიცინო სასამართლო საკუთრების უფლებებ-საც განიხილავს. სოფლის გარეთ ჩადენილი აშკარა ქურდობისას, რაც მაშინვე გაიგება, მოპარული საგანი ან დაბრუნდება, ან მისი შესაბამისი საფასური უნდა იქნას გადახდილი. ფარული ქურდობისას ხუთმაგი ფასია გადასახდელი. ყაჩაღობა და ქურდობა კანონით მუდმივად დაცულ სოფლის შიგნით, უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე მის გარეთ ჩადენილი. ერთი ასეთი სამართლებრივი გამოთქმაა: „რასაც შარაგზაზე ვიპოვით, ეს ღმერთის გზავნილია!“ ამ სიტყვებში, რა თქმა უნდა, გულისხმობენ გზაზე ძარცვასაც. თავისთავად ეს არ ითვლება დანაშაულად და მხოლოდ მაშინ უნდა ანაზღაურდეს, როცა გაძარცვული ამოიცინობს ყაჩაღს. როცა სასამართლო განაჩენს გამოიტანს, სანამ გამოაცხადებდეს, მოითხოვს ორივე მხარისგან ცაცხვის სარზე ნაჭდევის გაკეთებას. ეს სიმბოლურად ნიშნავს განაჩენისადმი მორჩილებას.

როცა განაჩენი გამოცხადდება და ჯარიმას გადაიხდიან, დამნაშავემ დაზარალებულს და მის ოჯახს სუფრა უნდა გაუშალოს. ეს იქნება საბუთი, რომ დაზარალებულმა ჯარიმა ხელახლა არ მოითხოვოს.

მოსამართლეები განეული შრომისათვის ორივე მხარისგან იღებენ საჩუქარს; ამასთან ფასს ზოგჯერ თვითონ ანესებენ – მეტწილად სადავო საგნის 1/20-ს.

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 50. „ჯარიმის სიდიდე სხვადასხვაა. ნარჩინებული გვარის უფროსის სისხლი შეფასებულია 18-ჯერ 18 ძროხით და სახნავით, რომლის ფასიცაა ორჯერ 18 ძროხა (გამოთვლისას ოსები 18-ს არ სცილდებიან. ეს რიცხვი მათთან ამოსავალია დიდი რიცხვებისას. ასე ითვლიან ისინი: 2-ჯერ 18, 6-ჯერ 18, 18-ჯერ 18, 2-ჯერ 18-ჯერ 18 და ა. შ.) თუ დამნაშავეს არ გააჩნია სათანადო რაოდენობის ძროხი ან სახნავი, მაშინ ჯარიმას იხდის ცხვრით, თოფით, საოჯახო ინვენტარით და თვით ბავშვებითაც. ამასთან ვაჟი ღირს 36 ძროხა, გოგო, ასაკისა და სილამაზის მიხედვით, 18-დან 30 ძროხამდე. მოკლული ქალი კაცის ნახევრად ფასდება!“



სტუმარ-მასპინძლობის წესს ოსები ისევე მკაცრად იცავენ, როგორც კავკასიის სხვა ხალხები. მასპინძელი (კუნაგ, კონაკ - როგორც მას ყველა კავკასიელიც უწოდებს) თავისი ქონებითა და სისხლითაა პასუხისმგებელი სტუმარზე. მისი მოკვლა ან დაჭრა იგივე დანაშაულად ითვლება, როგორც ნათესავისა, და ითხოვს სისხლის აღებას. სტუმარ-მასპინძლობის წესი იმდენად ნმინდაა, რომ, მაგ., როცა ოსი იღებს უცნობ სტუმარს და იგებს, რომ ის ყოფილა მისი მოსისხლე მტერი, რომლის სისხლიც მას უნდა აეღო, მაინც მეგობრულად უმასპინძლებს, ხოლო სოფლიდან გასვლის წინ, გამომშვიდობებისას ეტყვის: „ამიერიდან მიფრთხილდი, მე შენი მტერი ვარ!“

დაბლობში მცხოვრები ოსების არსებობის ძირითადი წყაროა მინათმოქმედება. აქ მე შევნიშნე სამმინდვრიანობა - პირველ წელს ხდება მინის განოყიერება და თესენ ხორბალს, მეორე წელს - ქერს, მესამე წელს კი ასვენებენ. ჭვავს ნაკლებად თესენ, შვრიას თითქმის არა; ხანდახან თესენ კავკასიურ წვრილ ფეტვს, რასაც აქ უწოდებენ გალმა-ს.

სიმინდი, კიტრი, ცერცვი და ლობიო მოჰყავთ ბალ-ბოსტნებში. პურს ჭრიან პატარა ნამგლით, ბალახს - ცელით. მთებში მინათმოქმედება ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი, იქ გავრცელებულია მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა. ასევე მრავლად ჰყავთ რქოსანი მსხვილფეხა პირუტყვი და თხები. ჰყავთ ჩერქეზული ჯიშის კარგი ცხენები.

მაშინ, როცა ქართველებმა თივა თითქმის არ იციან [? - გ. გ.], ოსებისთვის თივის მოპოვება უმნიშვნელოვანესი საქმიანობაა. თითქმის მინდვრის ყველა სამუშაოს, გარდა ბალახის თიბვისა, ქალები ასრულებენ. კაცები უმთავრესად ყაჩაღობენ, ნადირობენ ან სასიყვარულო თავგადასავლებით ერთობიან. სახლში ისინი ამზადებენ ყოველგვარ ტყავის ნივთებს, ცხენის აკაზმულობას, უნაგირებს, ფეხსაცმელებს; თითქმის ყველამ იცის დურგლობა, კალატოზობა, კერვა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 49. „მინის დამუშავება მძიმე საქმეა, რადგან მინდვრები განლაგებულია ტერასებად, დამრეც ფერდობებზე და გაფანტულად. გუთანი მსუბუქია. მაღალ ხეობებში თესენ ზამთრისა და ზაფხულის ხორბალს, ექვსნახნაგა (?) ქერს და ცოტა შვრიას (ქერი მთელ აღმოსავლეთში ცხენების მთავარი საკვებია). დაბლობში მრავლად მო-



ოსების გარეგნობა, აღნაგობა და მთლიანი შესახედაობა (ჰაბიტუსი) სავსებით განსხვავებულია ირგვლივ მცხოვრები სხვა კავკასიელებისაგან; განსაკუთრებით ქართველებისგან, რომლებიც კავკასიონზე გადამავალი გზის გასწვრივ სახლობენ ყაზბეგამდე – და ვინრო სოლივით არიან შეჭრილი ოსების სამფლობელოში. მაშინ, როცა ქართველები არიან ახოვანი, ტანადი, ამაყი და დიდებული შესახედაობის, ლამაზი, სახის სწორი ნაკვეთებით, შავი თვალებით, არწივისებური ცხვირით, თხელი ტუჩებით, შავგვრემნები, შავი თმებით და აქვთ ულამაზესი ადამიანური ფორმები; ოსები საპირისპიროდ არიან ჩაფსკენილი, ჯმუხი; სიმაღლით თითქმის არასდროს აღემატებიან ხუთ ფუტსა და 4 დიუიმს; აქვთ განიერი, გამხდარი პირი-სახე, თითქმის არასდროს შავი თვალები და შავი თმა, არამედ ცისფერი თვალები, ქერა, ბაცი ყავისფერი, ხშირად წითური თმა. ქალები არიან დაბლები, იშვიათად ლამაზები; აქვთ ბრტყელი ცხვირი, ხორციანი ტანი. კოლის სიტყვით, ოსებს, განსაკუთრებით ქალებს, ჰქონდათ პატარა, ლამაზი ფეხები.<sup>1</sup> მე ამას ვერც უარყოფ და ვერც დავემონმები, რადგან წვიმიანი ამინდისა და მძიმე, ჭუჭყიანი ფეხსამოსის გამო დასკვნის გაკეთება არ შემეძლო. ქალები და ქალიშვილები საკმაოდ ფეხმარდები არიან, მამაკაცები კი დადიან მძიმედ, მოხრილი, ბაჯბაჯით (რწევით), როგორც ჩვენი გერმანელი გლეხები. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მომხვდა თვალში, როცა

---

ჰყავთ ღომი და ფეტვის სხვადასხვა სახეობა. მსხვილფეხა საქონელს ნაკლებ აშენებენ თივის ნაკლებობის გამო; მით უფრო ბევრი ცხვარი ჰყავთ. ცხენები პატარა ტანისაა, მაგრამ ძლიერი“.

დიუბუა, გვ. 47. „ოსები არ იყოფიან ცალკე ტომებად, ყველას ერთი ჩვეულება და კანონები აქვთ. ყველა მისდევს მინათმოქმედებას და არა ხელოსნობასა და ვაჭრობას. მინდვრის კულტურების, საქონლის მოვლას უმეტესად ქალები მისდევენ“.

<sup>1</sup> დიუბუას (გვ. 47) მიხედვით „ოსები არიან საშუალო სიმაღლის, მკვრივები და გულ-ფიცხები, ხორციანები და მოუქნელები. აქვთ მრგვალი პირისახე, ქერა თმა, ცისფერი თვალები; იშვიათად არიან შავგვრემანი; ნაკვეთები უმეტესწილად და ხშირად ველური გამომეტყველების. ქალები არიან დაბლები და ულამაზო, მეტწილად ბრტყელი ცხვირებით. თავანუს (თაგაურის – ?) მხარეში ისინი უფრო ლამაზები არიან, ალბათ იქ ქართველებთან შერევის გამო“.

ჩემი კეთილი პეტერ ნოი მათ გვერდით მიმავალი დავინახე  
ნამდვილ შვაბ გლეხებსა და თანამემამულეებს ჰგავდნენ!

ოსების საკვებს შეადგენს ხორბლის ან ქერის დაუმჟავებელი  
პური გამომცხვარი ნაცარში. ისინი ხორცს ხარშავენ წყალში. ამას-  
თან მათ აქვთ წვნიანები (სუფები), რაც ქართველებმა არ იციან. რო-  
გორც მითხრეს, ოსები არასდროს წვავენ საქონლის, ცხვრის ან თხის  
ხორცს, არამედ მიირთმევენ ნანადირევს და ფრინველს. ქართველები  
კი ყოველგვარ ხორცს წვავენ ხის შამფურებზე. ზოგიერთი კერძის  
გერმანულად დამზადების შესახებ ოსებთან, მე ზემოთ მოგახსენეთ.<sup>1</sup>

კავკასიის მთელ ხალხებში გავრცელებულია ჩაცმულობის ორი  
ტიპი (სახე) – ჩერქეზული და სპარსული. ხალხებმა ერთი ან მეორე  
გადაიღეს. ოსებმა მიიღეს ჩერქეზული, მაგრამ ის მათ ტანზე არაა  
ისე ელეგანტური და ლამაზი (ისე არ უხდებათ), როგორც კოხტა  
(გრაციოზულ) ჩერქეზებზე. ოსები საკმაოდ სუფთები უნდა იყვნენ.  
ისინი ატარებენ მოკლედ და მრგვალად შემოკრეჭილ თმას, იპარ-  
სავენ წვერს, ზოგიერთი კი უშვებს უღვაშებს.

დიდ მზრუნველობას იჩენენ ოსები თავიანთი იარაღის მიმართ.  
ამათგან ზოგი ძალზე ძველია. ბევრი ხმალი და თოფების ლულა  
აშკარად იმ დროისაა, როცა გენუელები ბატონობდნენ შავ ზღვაზე.  
ამაზე მიგვანიშნებს ამოტივფრული ლათინური წარწერები, ვენ-  
ზელები (ასოები) და გერბები.<sup>2</sup>

ოსებს ძალიან უყვართ და პატივს სცემენ მშობლებს, საერ-  
თოდ უფროსებს და თავიანთ წინაპრებს. უყოყმანოდ აღიარებენ

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 49. „ოსების ძირითადი საკვებია პური და მოხარშული ხორცი. სიამოვნებით მიირთმევენ ჭვავის ბურღულის წვნიანს. ქერის პურს აცხობენ ნაცარში უმარილოდ, თხელი კვერის სახით. ღარიბები ჭამენ ღორის ხორცს; საქონლისა და ცხვრის ხორცი მხოლოდ მდიდრებისაა. დღესასწაულებზე აცხობენ ხორბლის პურს, სხვა საჭმელი ჩვეულებრივია, ოღონდ ლუდია და არაყი დიდი ოდენობით“.

<sup>2</sup> ოსებში შემორჩენილია გადმოცემა, რომ ფრანკებმა ხილაკ-გუტიათეს მხარეში გახსნეს მალაროები, რომელთა კვალი დღესაც ჩანს. ოსები თვითონაც მისდევენ ზოგიერთ მემთამადნეობას, იღებენ ტყვიას და ამზადებენ საბრძოლო მასალას, საფანტს და დენტს. ლეკებს კი აქვთ სპილენძის ტყვიები (საფანტი).

სახლის უფროსის, პაპის, ნამდვილი მამის, მამინაცვლის, ბიძის უფროსი ძმის პირველობას. ახალგაზრდა კაცი მათი ყოფნისას არასოდეს დაჯდება, ხმამალა არ დაილაპარაკებს და არ შეეპასუხება. საინტერესოა ერთი, მთლად ევროპული ჩვევა, რაც კავკასიის არც ერთ ხალხს არ ახასიათებს: პატივისცემის ნიშნად ოსი იხდის ქუდს, ან უახლოვდება და ხელზე ეამბორება მამას ან პატივცემულ პიროვნებას და ა. შ. (ასეთ დროს ქალები მხოლოდ წამოდგებიან, თუ სხედან).<sup>1</sup> მამის მკვლელს ელოდება უმკაცრესი სახალხო რისხვა; მთელი ქონებით ამწყვდევენ სახლში და წვავენ. წინაპრებისადმი პატივისცემა განსაკუთრებულია: მათ არა აქვთ უფრო ძლიერი და წმინდა ფიცი, ვიდრე წინაპრების საფლავებით. როცა დამნაშავე ვერაფრით შეძლებს დაზარალებულის დაკმაყოფილებას და გამოსასყიდის მიცემას, როგორც წესი, მას აიძულებენ. კერძოდ, დაზარალებული დაემუქრება, რომ შეუწუხებს წინაპრებს საფლავებში.

თითოეულ სოფელს, კაუ-ს (გაუ?) სათავეში უდგას არჩეული ან მემკვიდრეობითი ელდარი (მამასახლისი), რომელსაც ხალხით ემორჩილებიან. ისაა მოსამართლე და მომრიგებელი მცირე დავისას, ხოლო მეთაური მტრობისა და ომიანობისას.

ოსური ენა, როგორც გამოჩენილმა ენათმეცნიერმა შიორნმა მითხრა პეტერბურგში<sup>2</sup>, მიეკუთვნება ინდოგერმანულ ენათა ჯგუფს, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელია (თვითმყოფია). ის უფრო ახლოსაა სპარსულთან, ვიდრე გერმანულთან. როგორც ფინურ ენებს, მასაც ახასიათებს პოსტპოზიციები და არა წინდებულები.

საჭიროა თავის შეკავება, რათა მხოლოდ სიტყვების უღერადობით არ დაასკვნან ენების ნათესაობა. ხომ არსებობს სიტყვები საყოველ-

<sup>1</sup> დიუბუა, გვ. 55. „როცა ვინმე შევა სახლში, ქალები ისევე წამოდგებიან, როგორც კაცები; ესენი იხდიან ქუდს (რომელსაც ისევ იხურავენ), მოიხრებიან (ევროპელებივით; სხვა კავკასიელებს მისალმების ეს ფორმა არა აქვთ), ხელს მიიდებენ შუბლზე; თუკი შემოსული პიროვნებისთვის განსაკუთრებული პატივისცემა სურთ, ართმევენ ხელს და მიიდებენ პირთან და შუბლთან“.

<sup>2</sup> აკადემიკოსმა შიორნმა პეტერბურგში ოსური ენის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა „პეტერბურგის აკადემიის წერილებში“, რომლის მოპოვება ვერ შევძელი.





და ენათესავება. ნელი საუბარი (განსხვავებული სხვა კავკასიელთა ლაპარაკის მანერისგან), ხმოვანება (ტონი) და ხმის ინტონაცია, სიტყვების ჟღერადობა (ცალკე სიტყვები არა!), ყოველივე ამას აქვს რალაც გერმანულის, კერძოდ, ჩრდილოგერმანულის და არა სამხრეთგერმანულის. ასე რომ, შორიდან შეიძლება იფიქრო, რომ ერთმანეთს ელაპარაკებიან ქვემოსაქსონელი გლეხები. ოღონდ შორიდან სიტყვებს ვერ გაიგებ!

ასევე ოსურ სიმღერებსაც, რამდენადაც მოვისმინე, აქვს რალაც ევროპული. ქართველებისა და სომხების სიმღერა, კავკასიის ხალხთაგან ყველაზე კულტურული ხალხებისა, უმთავრესად ბგერებისგან შედგება, რომლებსაც ჩვენი ნოტები ვერ გადმოსცემენ; ისინი შეიძლება მხოლოდ ვიოლინომ გაიმეოროს, რადგან ისინი ჩვენს გამებს არ ემთხვევა; მოკლედ, ჩვენი გრძნობისა და სმენისთვის დისჰარმონიული და მცდარი ჩანს. სხვაა ოსური სიმღერა. ჩემს მიერ მოსმენილს აქვთ გარკვეული მელოდია და ჟღერადობა ჩვეულებრივი ჩვენი გამისა. ოსური სიმღერები იყო ანტიფონური. ერთ მომღერალს მიჰყავს მელოდია, ხოლო მეორე იჭერს ძირითად ტონს, რაც არ ჟღერს ცუდად და არაჰარმონიულად; შემდეგ მეორე მღერის სიმღერას (ლექსს), ხოლო პირველი იჭერს მთავარ ტონს (ტონიკას).

როგორც ჩემამდე ზოგ მოგზაურს, ისე მეც შემექმნა შთაბეჭდილება (დამებადა აზრი), რომ უნდა არსებულიყო უძველესი, ჯერაც თვალსაჩინო ნათესაობა და მრავალფეროვანი ურთიერთგავლენა ოსებსა და გერმანელებს შორის. მაგრამ თანამედროვე დაკვირვება გვთავაზობს მხოლოდ გამოცანას; ისტორია დუმს, არ გვაძლევს პასუხს. ნმინდა გადმოცემა ბუნდოვნად გვეუბნება, რომ ევროპელი ხალხები წარმომავლობენ შავსა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული მხარეებიდან, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ. სკანდინავიელი გერმანელების მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, აზების (Asen) მოდგმა აქედან ჩრდილოეთით გადმოსახლდა.<sup>1</sup> ისტორიული

<sup>1</sup> ბატონი ფონ ჰალბერგი თავის მოგზაურობისას გვაცნობს საოცარ ლეგენდას (გადმოცემას). ვლადიკავკაზსა და მოსტოვს შორის, გზის გასწვრივ, დაახლოებით 100 მილის მანძილზე, აღმართულია ყორღანები (მაღალი ბორცვები იშვიათი ამოუცნობი ქვის გამოსახულე-

ფაქტები გვამცნობს, რომ ხალხთა გადასახლებისას გერმანულ ტომები, კერძოდ გოთები, გადავიდნენ და დასახლდნენ ჩრდილოეთით ზედ კავკასიონამდე და შექმნეს ძლიერი სამფლობელო. შემდგომ ის გაანადგურეს აღმოსავლელმა ხალხებმა (ჰუნებმა) და იმ გერმანული ტომების დიდმა ნაწილმა დასავლეთისკენ გადაინაცვლა. ერთი ნაწილი კი ამ მხარეებში დარჩა. მრავალმა გოთმა მიაშურა თავრიდის ნახევარკუნძულის (ყირიმში) მთებს; მათი ნაშთები მოგვიანო ხანებშიც ჩანდნენ იქ და შესაძლოა, რომ კვალს ახლაც მივაგნოთ! ამდენად, არაა გამორიცხული, და უფრო უეჭველია, რომ იმ გერმანული ტომების ნაწილი ასევე შეეფარა კავკასიის მთებს.

ურთიერთკავშირის სამი ხაზიდან, რომლით შეიძლება დადგინილიყო ოსების გერმანელებთან წყობის მსგავსება და სისხლით ნათესაობა? არიან ოსები უძველესი დროიდან იქ მოსახლე ხალხი, რომელთაც ერთ დროს გერმანელები გამოეყვნენ? ამ შემთხვევაში ამ ორი ხალხის ენა უნდა დიდად ენათესავებოდეს ერთმანეთს. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ; ოსური უფრო მეტად სპარსულისკენ იხრება. შეიძლება მხოლოდ დაასკვნა, რომ გერმანული, სპარსული და ოსური ახლობელი ენებია (Schwestersprachen), რომელთა ფესვებიც ინდო-გერმანულია და, ამავე დროს, მისი დასავლეთის განშტოებებად იქცა.

მეორე შესაძლო, ზემოაღნიშნული დამაკავშირებელი ხაზი – აზების და მათი ხალხის გადაადგილება – საკმაოდ მისტიკურია და ბნელი, ისტორიულად ძნელად ასახსნელი. ამდენად, ვერ გამოდგება რაიმეს დასაადგენად. შემთხვევითი მსგავსება სახელების: ოსები, ასები, რომელთაც თითქოს ააგეს აზოვი მეოტიაზე, ჩრდილოელ აზებთან არაფერს ამტკიცებს. ამასთან ოსები საკუთარ თავს მეტწილად უწოდებენ ირ-ს და ირონ-ს; სახელი ოსები, ოსეთები მათ სხვა ხალხებმა შეარქვეს.

---

ბებით). მათ შესახებ ხალხი ამბობს, რომ ისინი გერმანელებმა დატოვეს ჩრდილოეთში გადასახლებისას, როგორც ნიშანი, რათა ოდესმე შესძლებოდათ დაბრუნებისას მათი პოვნა. არის ეს ლეგენდის ნაშთი აზების გადასახლების შესახებ?



რჩება მესამე შეხედულება, რომ ოსები წარმოსდგებიან **ჭიჭიჭის** მიერ კავკასიისკენ გამოყრილი გოთების ან სხვა, ამათთან დაკავშირებული გერმანული ტომებისგან. ამ შემთხვევაშიც ჩანს სრული სხვაობა ენებში, რათა გამოვიტანოთ დასკვნები. თუმცა გადმოსახლებული გერმანელებისთვის განმასხვავებელია, რომ მათ თავიანთ ახალ ქვეყანაში, ახალ სამშობლოში ერთგულად და მყარად შემოინახეს წეს-ჩვეულებები, საოჯახო წესები, ცხოვრებასა და ბუნებაზე თავიანთი შეხედულებები; რომ მათ ყოველივე ეს დაპყრობილი მხარეების დამორჩილებულ ხალხებს გადასცეს ან დაუდგინეს; რომ ისინი მათ შეერივნენ და იქცნენ ერთ ხალხად, რომელთაც შეინარჩუნეს საოჯახო, სამართლებრივი და ცხოვრებისეული წესებისადმი გერმანული ხასიათი. ამასთან, დამპყრობლებმა მთლიანად დაივიწყეს თავიანთი და შეითვისეს დაპყრობილთა ენა, ოღონდ შეინარჩუნეს ზოგი განახლებული გერმანული წყობა და ზოგიერთი გერმანული სიტყვა. განა იგივე არ დაემართათ ფრანკებსა და ბურგუნდიელებს გალიაში, გოთებსა და ვანდალებს ესპანეთში, ლომბარდებს იტალიაში, ნორმანებს გალიასა და იტალიაში? ამდენად, შესაძლებელია, რომ კავკასიაში შემოხვენილმა გოთების ტომებმა დაიპყრეს და დაიმორჩილეს კავკასიის უძველესი ხალხი ოსები ან ალანები, შემდეგ მთლიანად შეერწყნენ და შექმნეს ახალი ხალხი, რომელთაც დამპყრობელთა ენა შთანთქმეს, მაგრამ სისხლი, გარეგნობა, ხასიათი, კანონ-წესები, ჩვეულებები, საოჯახო ჩვევები ისეთი ოდენობით შეითვისეს, რომ ევროპელ მოგზაურს თვალში ეცემა გერმანული ტიპი...<sup>1</sup>

ვისაც სურს საფუძვლიანად გაეცნოს ამ ხალხის ურთიერთობებს, მან უსათუოდ უნდა წაიკითხოს **დიუბუა დე მონპერეს** შრომა. ჩემი მკითხველისთვის ამ ნაშრომიდან მოვიტან მოკლე ცნობებს, რაც ჩემ გამოკვლევებსა და შეხედულებებს ავსებს; ასევე, რათა მათ გაუვლვიძო ინტერესი დიუბუას ნაშრომის მიმართ.

<sup>1</sup> აქ ჩვენ ვტოვებთ ზღაპარს, რომელიც ჰაქსტჰაუზენს უამბო მასპინძელმა გვიან სალამოს (გვ. 40-41 - გ. გ.). სამაგიეროდ შემოკლებით მოვიტანთ ჰაქსტჰაუზენის მიერ დიუბუა დე მონპერესგან დასესხებულ ზოგ ცნობათა თარგმანს, რაც აღნიშნულ საკითხს ეხება - გ. გ.



დიუბუა ოსებში თუ ოსეთებში ხედავს მსოფლიო ისტორიის საოცარ გამოვლინებას. იგი ამბობს, რომ ამ ხალხს არავითარი ნათესაობა არ გააჩნია ირგვლივ მცხოვრებ კავკასიელებთან, რომ ის უნდა ქმნიდეს შუალედურ რგოლს აზიის ინდოევროპელ ხალხებსა და ევროპის ინდოგერმანელებს შორის....

ოსები სახლობენ უშუალოდ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში: სამხრეთით საქართველოს (ქართლის) მთისწინეთებამდე, ჩრდილოეთით კავკასიონის ფერდობებზე და თერგისა და მისი შენაკადების მაღალმთიან ხეობებში, ქვემოთ ყაბარდოს დაბლობებამდე. ეს მედიური თუ ინდოგერმანული ხალხი სოლივიტაა შეჭრილი მარცხნივ ჩერქეზებსა და მარჯვნივ ლეკებს შორის, რომელთაგან პირველნი ნამდვილად, ხოლო მეორენი ალბათობით მიეკუთვნებიან ფინურ ჯგუფს. ძველად ეს ხალხი უფრო ჩრდილოეთითაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული...<sup>1</sup>

... სახელწოდებასა და ხალხში ოს-ები გვხვდება საკვანძო პუნქტი უძველესი გადასახლებებისა და მითებისათვის!..<sup>2</sup>

კავკასიონის შუაში მდებარე დიდი გასასვლელი არის კარი, რომლითაც ინდოგერმანული ტომები (ხალხები) გავიდნენ ევროპაში. ოსების, ოსეთ-ების ქვეყანა იყო შეჩერების პუნქტი, ხოლო ოსები არიან ამ მიგრანტების ადგილზე დარჩენილი ძმები....

მათ არა აქვთ საკუთარი დამწერლობა, არამედ მიიღეს ქართული, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანობის შემოსვლისას გაჩნდა. ამ ენაზე დაინერა და დაიბეჭდა მხოლოდ ზოგი ქრისტიანული რელიგიური ტექსტის ფრაგმენტი. არა აქვთ მატრიანები. ხელშეკრულებებს საჭდეზე (ჩხირზე) აღნიშნავენ [ე. ი. ზეპირია, სინდისზეა დამოკიდებული]. ისტორიული მოვლენები ზეპირი გადმოცემებით შემოენახება

<sup>1</sup> შემდეგ მოყვანილია ცნობები პლანო კარპინის, რუბრუკვისის, ამიანე მარცელინეს, პეროდოტეს, ტაციტუსის, მითების, რომელთა მიხედვით აკავშირებს ოს-ს ას-თან, აზოვთან, აზიასთან, მცირე აზ-იასთან, კავკასია-სთან (=აზიის მთებს). გვ. 44. - გ. გ.

<sup>2</sup> განხილულია ადგილთა, მთების და მდინარეების სახელები და მათი დაბოლოებები, რაც საერთოა მთელი ევროპისა და აზიისთვისაც: დონ, შტადტ, დორფ, ბურგ, კერტ, გარტ, გორდ, გრად, გოროდ, კანდ, კანდა, კენტ და ა. შ. გვ. 45-46. - გ. გ.



შთამომავლობას; ასევე სალოცავებსა და სახლებზე გამოკიდებული ცხოველების თავები და რქებია მათ მოსაგონრად.

**ა. ფონ ჰუმბოლტისადმი 1839 წლის 23 სექტემბერს გაგზავნილ წერილში** დიუბუა აღნიშნავს, რომ ოსების ენა არის სპარსულის შტო და ევროპულისგან ყველაზე ახლოა ლეტიშური მოდგმის ხალხებთან – ლეტებთან, ლატვიელებთან, ლივებთან, კურებთან, რომლებიც წარმოადგენენ შუამავალს გერმანულ და სლავურ ენებს შორის...<sup>1</sup>

3 სექტემბერს, სალამოს ჩვენ დავბრუნდით ტფილისში. უკან გზაზე შევეყარეთ ჩერქეზების ჯგუფს, რომლებიც ცხენების დიდ ჯოგს მოერეკებოდნენ გასაყიდად ტფილისისკენ. ჩემი მეეტლე შეჩერდა, შეევაჭრა და იყიდა ორი ცხენი. ჩერქეზები ძალზე თბილად და მეგობრულად გვეპყრობიან ჩვენ, გერმანელებს.

---

<sup>1</sup> შემდგომ მოდის დიუბუასეული აღწერა ოსების, მათი ცხოვრების წესების, გარეგნობისა და ა. შ., რაც ზემოთ სქოლიოებში სათანადო ადგილებში მივუთითეთ – გ. გ.

## მეცამეტე თავი

ტფილისიდან გამგზავრება - ქალაქი კლდეში - უფლისციხე. - ცურვა რიონზე; ფოთი; რედუტ-კალე. - დაბრუნება ქერჩში. - ...

მე კიდევ ორი დღე დავრჩი ტფილისში, ძირითადად დრ. საბალოვის საზოგადოებაში. მასთან ვსადილობდი. ჩვენ გვიმასპინძლდებოდნენ მხოლოდ ძველ-ქართული საჭმელებით, რაც ჩემთვის სრული სიახლე იყო და საოცრად გემრიელი მეჩვენა. დრ. საბალოვმა ჩემი თავი გააცნო ზოგ ქართველ თავადს - ორბელიანს<sup>1</sup> (სამნუხაროდ, ავად იყო) და ციცვიანოვს. მათ მე მომანოდეს ცნობები ქართველ თავად-აზნაურთა ურთიერთობების შესახებ, რაც წინა თავში გადმოვეცი.

მე კვლავ შემომიერთდა ჩემი ორი ამხანაგი, ბ-ნი ადერკასი და ბ-ნი შვარცი. ორივემ ცალ-ცალკე შემოიარა კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი. მესამე ამხანაგი - თავადი ლივენი არ ჩანდა, რის გამოც ვწუხდით. ჩვენ უნდა დაგვეტოვებინა ტფილისი და რედუტ-კალეც, რადგან გვიცდიდა ხომალდი. საბედნიეროდ, თავადი ლივენი ვნახეთ ქერჩში. მან დაიგვიანა და ამიტომ უმოკლესი სახმელეთო გზით წამოვიდა ვლადიკავკაზის გავლით.

მე გავედი ტფილისიდან 6 სექტემბერს და ქუთაისამდე იმავე გზით ვიარე, რომლითაც ჩამოვედი; შემდეგ გავუხვავი სამხრეთისკენ და დავცურდი ნავით რიონზე. კოლონისტმა ზალცმანმა და პეტერ ნოიმ გამაცილეს გორამდე. დრ. საბალოვმა თავის მოგვარესთან,

<sup>1</sup> ორბელიანთა ცნობილი გვარის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დიუბუას (თ. II. გვ. 270).

რომელიც გორში ცხოვრობდა, გამატანა სარეკომენდაციო სურვილი. პატივცემულმა სომეხმა ჩვენ გულლიად მიგვიღო და როცა პეტერ ნოისგან შეიტყო, რომ ვიყავი სიძველეთა დიდი მოყვარული, მაჩვენა რამდენიმე ძველი საბუთი. მათ შორის იყო მეფე თამარ II (?) -ის სიგელი, რომელიც ადასტურებდა, რომ სომეხი საბალოვების გვარი ჯერ კიდევ 500 წლის წინ დასახლდა გორში და მიეცა სახლების საკუთრების უფლება. მე გამოვთქვი სურვილი, მენახა კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე; მოხუცმა გამაყოლა თავისი 18 წლის ვაჟი. ჩვენ შევუყევით მთის ბილიკს და როცა მივედით კლდეებამდე, ჩვენს თვალწინ დიდებული სანახაობა გადაიშალა! მარჯვნივ მოიკლაკნებოდა მდ. მტკვარი; ჩვენს წინ, ვიწრო ხეობის იქით, აღიმართებოდა უზარმაზარი კლდოვანი სიმაგრე, გამოკვეთილი მის ზედა ნაწილში; კლდოვან კედელში გამოჭრილი იყო უამრავი გამოქვაბული, რომლებიც რამდენიმე სართულად იყო რიგებად გაჭიმული. ახლოს მდებარე სომხური სოფლის ღარიბი ქოხები სრულიად უპირისპირდებოდა უძველესი დროის ამ დიდებულ სადგომებს. ჩვენ მივედით მთის ძირამდე, საიდანაც მტკვრის ნაპირიდან ადის დაკლაკნილი ბილიკი. ის გაჭრილია კლდეში და არის 4-5 ფუტი სიგანის, მდინარის მხარეს დატოვებულია 3 ფუტი სიმაღლის მიწაყრილი (ბრუსტვერი), ასე რომ, შეიძლებოდა უსაფრთხოდ შესვლა. პირველ შვერილზე იყო დიდი მოედანი უზარმაზარი ჭიშკრით, რომლითაც გზა თანდათან ადიოდა მთაში; მის ორივე მხარეს კლდეში გამოკვეთილია სწორი ოთახები (სათავსოები), რომელთა სიგანე გზის მხრიდან უდრის 10-15 ფუტს, აქვს იგივე სიღრმე, ხოლო სიმაღლით 8-10 ფუტია; ქუჩის მხრიდან გამოჭრილია კლდე კარებისთვის. მაგრამ ყველა ეს სათავსი (ოთახი) გამოკვეთილია არა ციცაბო კლდეზე, არამედ ზემოდანაა ამოჭრილი ისევე, როგორც მათ შორის 10 ფუტი სიგანის ქუჩაც. ეს გამოქვაბულები განსხვავებულია ქვემოთ აღწერილისგან, რადგან საცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ სახურავები. გადმოცემით, გამოქვაბულთა ამ ორ რიგს უწოდებენ ქალაქის ბაზარს. აქედან კლდის ყველა მიმართულებით მიდის უამრავი, ხშირად ერთმანეთის გადამკვეთი გზები და ბილიკები; ყველგან დიდი თუ მცირე ქვაბულებია გამოკვეთილი კლდის სიდიდისა და ხარისხის მიხედვით. მათი უმეტესობა, რომლებშიც ალბათ ღარიბობა ცხოვრობდა, შედგება უბრალო, არც თუ ვრცე-



ლი ქვაბულებისგან, რომელთა უკანა კედელში გამოჭრილია კარის მსგავსი ხვრელი, რითიც უფრო მომცრო სათავსში შევდივართ. ამათ გარდა, საკმაო რაოდენობითაა ქვაბულები, თითქოსდა ნარჩინებულთათვის განკუთვნილი. საოცარია, რომ აქ ვხვდებით უზარმაზარი ზომისა და განსხვავებული სტილის არქიტექტურას - მახვილწვერიან და მომრგვალებულ თალებს; ყველგანაა არქიტექტურული მორთულობანი (ორნამენტები), არაბესკები და როზეტები. კლდის შვერილზე, რომელიც ქმნის განიერ გალერეას, ვნახეთ ვრცელი დარბაზი, რომელშიც ოთხი უზარმაზარი კამარა ემყარებოდა შუაში აღმართულ სვეტს. კამარები მრგვალი თალების სტილში იყო გამოყვანილი. სხვა დარბაზებს ჰქონდათ მახვილ წვერიანი თალები; ერთგან გუმბათი მთავრდებოდა ლამაზად გამოკვეთილი როზეტით. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე მთლად ოთხკუთხა ქვაბულები კლდეში ნაკვეთი ორნამენტებით, ზოგან ჭერში გამოკვეთილია ძელები, თითქოს ჩვენი ოთახების ხის ჭერის მიმსგავსებულად. ამ სახის ულამაზესი დარბაზი მოთავსებულია პატარა ეკლესიის მარცხნივ, რომელიც ნაგებია აგურით; ის ალბათ უფრო მოგვიანებითაა ნაშენი და ამჟამად დანგრეულია. წინ არის დიდი პორტიკი 50-55 ფუტის სიღრმე-სიგანის; უკანა კედელი შედგებოდა სვეტებზე დაყრდნობილი სამი კამარისგან. მის უკან იყო დერეფანი, რომლიდანაც კარის ჭრილებით შეისვლება გვერდითა ოთახებში, რომლებსაც აქვთ კლდეში გამოკვეთილი ძელები, ჭერში გაჭრილია ხვრელი გუმბათის სახით, რომლითაც შუქი შემოდის. გზები და ქუჩები ქვაბულების წინ საგულდაგულოდაა გაჭრილი კლდეში, მისი (კლდის) ხარისხისა და დაქანების მიხედვით, ქუჩებს აქეთ-იქით ჩაუყვება ღარები, რომლითაც წვიმის წყალი

<sup>1</sup> ჩრდილოეთ გერმანიაში, ჰორნის ახლოს, ლიპპეს სამფლობელოში, ეკსტერნ-ის კლდეში არის ორი მსგავსი ქვაბული. გერმანიაში ეს ერთადერთი ამოუცნობი მოვლენაა; იტალიაში კი პირიქით - უამრავი ასეთი ქვაბულია; კერძოდ, სიცილიაში არის ტროგლოდიტური მთელი ქალაქი. ჯუზეპე სანჩესი თავის Campania Sottoterranea-ში შემდეგს აგვიწერს: „მოდიკის ახლოს, ისპიკეში არის 8 მილის სიგრძის ხეობა, რომელსაც ორივე მხარეს ეკვრის ფრიალო კლდეები. ამათში გამოკვეთილია უამრავი საცხოვრებელი (ოთახი), რომლებიც ერთი მეორეზე მდებარენი ქმნიან 10-12 სართულს“.



ჩადის ღრმა ავზებში. არსად იყო წყაროების კვალი – მხოლოდ შეგროვილი წვიმის წყალი და მტკვარი იძლეოდა სასმელ და მოსახარმ წყალს. როგორც ამბობენ, მტკვარზე ჩადის გვირაბი.

რა წარმოშობისაა, როგორია ამ უცნაური ქალაქის მნიშვნელობა და წარსული? ისტორიული კვლევა მოგვცემს შედეგს; გადმოცემა გვაძლევს მხოლოდ არამყარ, ურთიერთსაპირისპირო, არასრულყოფილ პასუხს. ყველგან, კავკასიის ქვეყნებში, აზიურ თურქეთში, სპარსეთში და ყირიმშიც, მდინარეთა კლდოვან კედელთა ნაპირებზე გვხვდება უამრავი ნაკვეთი ქვაბული, ხშირად რამდენიმე სართულად...

პირველი ნახვისთანავე ჩანს, რომ უფლისციხე იყო არა მარტო დროებითი თავშესაფარი, არამედ ხალხმრავალი საქალაქო თემის საცხოვრებელი; მათა მთელი სისტემა გარდაქმნილია ნამდვილ ქალაქად, რაც შეეფერებოდა ადგილობრივ ურთიერთობებს... ისტორიულმა ხალხებმა იქ თავიანთი საცხოვრებელი მოიწყეს... იქ ბატონობდა განათლება, ფუფუნება და ხელოვნებისადმი სიყვარულიც... უფლისციხეში ვხვდებით ძველ ბერძნულ და რომაულ არქიტექტურას, აგრეთვე ე. წ. გოთიკურსაც, რომლის კვალი მთელ მხარეში არსადაა. საინტერესოა, რომ ყველა ამ თაღს და ორნამენტებს არა აქვთ ქრისტიანობის ნიშანი, არც ქრისტიანული ემბლემა. ქვაბულები საკურთხეველებითა და მორთულობებით ალბათ რელიგიის კუთვნილებაა, მაგრამ წარმართულია. ეს თვალში საცემია, როცა მათ ვადარებთ აქვე 400-500 წლის წინ აგებულ და ამჟამად დანგრეულ ქრისტიანულ ეკლესიას.

გადმოცემის თანახმად, უფლისციხე აუშენებია უფლოსს, იაფეტის შვილთაშვილის თარგამოსის შვილთაშვილს (ნოედან მეშვიდე თაობა). მისგან მოდის სახელწოდება – ბატონი უფლოსის სასახლე. ქართული მატყანე ამბობს, რომ ეს ქალაქი აიღო დიდმა ალექსანდრემ. ქრისტეს დაბადებამდე მეფე არშაკმა ის მორთო... ქრისტეს შემდეგ ქალაქი ყოველთვის არ იყო დასახლებული. მაგრამ, გადმოცემის მიხედვით, XIII ს-ში თამარ მეფე ხშირად მოდიოდა აქ.

მეორე მატყანე ამბობს, რომ ქალაქი ააშენა უფლოსმა; ქართველთა მამამთავრის, ქართლოსის შვილიშვილია. უფლოსი ძმებს შორის პირველობდა. ამიტომ მას უწოდებენ მამასახლისს (გვარის უფროსს)



და არა მეფეს ან ერისთავს (ხალხის მეთაურს). მატყინე ამტკიცებს, რომ ქართველებმა თავიანთი დამპყრობელი სპარსელებისგან ქრისტეს დაბადებამდე 700 წლით ადრე ისწავლეს ქვით და კირით შენება (ამავე პერიოდში ხდება სკვითების შეჭრა აზიაში)...<sup>1</sup>

ამიერკავკასიაში, უფლისციხის გარდა არის მსგავსი ქალაქი, ასევე მტკვარზე, მის სათავეებისკენ. მე გამაცნეს გრაფ. გ. შტაკელბერგის „კავკასიის აღწერა“, საიდანაც მოვიტან შემდეგ ამონარიდს. ზედა-თმოგვიდან 5 ვერსზე არის ვარძია... მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მან თითქოს სახელი მიიღო ვარდების ბალისგან (ვარდების სასახლე). გამოქვაბულთა რამდენიმე რიგი, რომლებიც ერთმანეთზეა სართულებად განლაგებული და ერთი – ზედ კლდის კარნიზზე, ქმნის ქუჩას და შეადგენს ამ ქალაქის გულს, რომელიც თითქოს ჰაერშია გამოკიდული. კლდეში უხეშად გაჭრილ კიბეებს ავყევართ ერთი სართულიდან მეორეზე. კლდის მწვერვალის ახლოს არის მთავარი შენობები. უთითებენ სათავსებზე, რომლებშიც ზოგჯერ ზაფხულობით ჩერდებოდა თამარ მეფე. მისი სასახლე ნაკვეთია მოთეთრო მყარ ქვაში და ორ სართულს მოიცავს – დარბაზებით, ნიშებით და კაბინეტებით. თალიანი დიდი დარბაზი სიგრძით 30 ფუტია, სიგანით 20. კედელზე ირგვლივ დაბალი დივანია, შუაში კერია, რომელშიც ქართველთა ჩვეულებისამებრ ცეცხლს ანთებდნენ. გარე ფასადს ატყვია ხის აივნის კვალი. ვარძია მდებარეობს 5000 ფუტის სიმაღლეზე, საიდანაც არაჩვეულებრივი სანახაობა იშლება. სახლის ახლოს (გვერდით) არის მეფის მსახურთა ოთახები. შემდეგაა ეკლესია, რომლის წინაც კედელია, რაც კრიპტის დარბაზს გამოყოფს. მასში შევდივართ ორ სვეტს შორის მოთავსებული ვიწრო კარით. შიგნით ყოველივე უბრალოა; არაა ქანდაკებები, ორნამენტები (მორთულობა); კედლებზე შეინიშნება ფრესკების კვალი. ეკლესიის სატრაპეზოს აქვს 40 ფუტი სიმაღლე; უზარმაზარი ქვა წარმოადგენს საკურთხეველს. მის სიახლოვეს ჩანს მომლოცველთა შემონირულობები. ეკლესია ითვლება წმინდა ადგილად. ღრმად მოხუცი მღვდელი წელიწადში ორჯერ აღავლენს იქ წირვას ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი

<sup>1</sup> ვტოვებთ მკვდარი ზღვის იქით, ედემის მხარეში, კლდეში ნაკვეთი ქალაქის პეტრას შესახებ თხრობას – გ. გ.



ხატის წინ. უჩვენებენ თამარის საფლავსაც, როგორც ბევრს სხვა მონასტერში. თამარის სახე არის კავკასიური გადმოცემების საყვარელი საგანი; ყოველ ნაბიჯზე ისმის მისი სახელი; ყველა ციხე, ყველა ძველი ეკლესია მას მიეწერება.

საგარეჯოს დასავლეთით ასევე უზარმაზარი ქვაბულებია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მონასტრის მოვალეობას ასრულებდა. სოფელ ბოდორნასთან, დუშეთის ახლოს, არის ქვაბულთა რამდენიმე რიგი, ერთმანეთთან კიბეებით დაკავშირებული. ომიანობის დროს ისინი მიმდებარე მხარეთა მოსახლეობის თავშესაფარს წარმოადგენდა...<sup>1</sup>

გორისკენ უკანა გზაზე, ქალაქის ახლოს, მთიდან მე თვალწინ რუკასავით გადამეშალა გორის მთელი საირიგაციო სისტემა, უამრავი განტოტებებითა და სარწყავი არხებით. საუკეთესოდ დამუშავებული ყანები ამ მხარეში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. მიწის მნიშვნელოვანი ნაყოფიერებისა და მიწის გულდაგულ დამუშავების მიუხედავად, მოსავალი არასაიმედოა, არა იმდენად ჰავის, არამედ ოსთა ველური თავდასხმების გამო. ქალაქის მცხოვრებლები თვითონ არ ეწევიან მიწათმოქმედებას, არამედ ირგვლივ მოსახლეობას აძლევენ არენდით მიწებს. ხიფათის გამო არენდას ფულით კი არ უხდიან, არამედ მოსავლის ნაწილით. ქალაქის ახლოს, სადაც თავდასხმის საფრთხე ნაკლებია, მიწები საკმაოდ ძვირად ფასობს. ბალბოსტნის მეთაფი ღირს 80 მანეთი და მეტი.

გორში დავემშვიდობე ჩემს კეთილ პეტერ ნოის. ტფილისიდან ჩამოვიდა ჩემი ერთ-ერთი თანამგზავრი გ. შვარცი და ერთად გავემართეთ ქუთაისისკენ. შემდგომი ბნელი ღამე გავატარეთ კაზაკთა სადგურში და ქუთაისში ჩავედით 8 სექტემბერს დილით. სადილის შემდეგ შემოგვიერთდა ბ-ნი ადერკასი. თავად ლივენის შესახებ არაფერი ისმოდა. ტფილისში გაიცა ბრძანება მისი მოძებნის თაობაზე.

9 სექტემბერს ვიყავით რიონზე (არგონავტების ფაზისზე) მდებარე მარანში. მიწა აქ ყველგან კარგადაა დამუშავებული ცალკეუ-

<sup>1</sup> აქ ვტოვებთ ჰამილტონის სამოგზაურო ჩანაწერებიდან მოტანილ ცნობას, რაც არ ეხება საქართველოს - გ. გ.



ლი კომლემის მიერ. გზად მრავალი ადამიანი შეგვხვდა, გზაზე მომლოცველები. ჩვენი ყურადღება მიიქცია მდიდრულ სამოსში და სრული შეიარაღებით გამოწყობილმა ცხენოსანმა აზნაურმა თავისი ამალით. თმა და წვერი შეღებილი ჰქონდა აგურისფრად (ფხვნილი, რომელსაც იღებენ ინისგან, ყველა ბაზარზე იყიდება).

ჩვენი თხოვნით, მხარის მმართველმა ერთ თავის მოხელეს დაავალა ჩვენი გაცილება მდინარის გასწვრივ. ეს იყო ახალგაზრდა მეგრელი თავადი გრიგოლ გლახვამანობო (?), რომელიც საკმაოდ მეგობრულად გვექცეოდა. ჩვენ დავიქირავეთ ნავი, რომელიც თავადმა გრიგოლმა გადააქცია ვაზის ფარდულად: მან მოაჭრევინა გარეული ვაზი მნიფე ნითელი მტევნებით და მათგან გააკეთა წნული. ნაყოფი ტკბილი იყო, რაც საერთოდ არ შეიძლება თქვა გაველურებულ ვაზზე. ჩვენი მგზავრობა ძალზე სასიამოვნო იყო: საოცარი ბუნება, მშვენიერი მდინარე, ბორცვიანი ნაპირები დაფარული მდიდრული სამხრეთული მცენარეულით და ყოველივე ამასთან სულის ამალეღვებელი მოგონებები. ეს იყო ოქროთი მდიდარი კოლხიდა. აქ არგონავტები ეძებდნენ საიდუმლო ოქროს სანმისს; ამ ნაპირებმა იხილეს იაზონის სიყვარული და მედეას დანაშაულებანი. მაგრამ, რაც მე ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში სკოლაში გავიგე, ყოველივე ამისგან კვალიც არ დარჩენილა ამ მხარეების მცხოვრებთა მეხსიერებაში. ჩემს თანამგზავრ მეგრელ თავადს და მენიჩბებს არაფერი გაეგოთ თავიანთი წინაპრების, იაზონთან და ბერძნებთან მათი ბრძოლის, კოლხეთისა და მედეას შესახებ; მათ ისიც კი არ იცოდნენ, რომ რიონს ძველად ფაზისი ერქვა.

თუმცა თავად გრიგოლს არაფერი გაეგო თავის ნათესავ მედეას შესახებ, სამაგიეროდ ის აღმოჩნდა საკმაოდ გათვითცნობიერებული თავისი სამშობლოს თანამედროვე ურთიერთობებში. მე აქ მოვიტან ზოგიერთ ცნობას მისი მონაყოლიდან. ეს შეიძლება დავურთოთ ჩემს შენიშვნებს II თავში სამეგრელოს შესახებ. ისინი ნაწილობრივ შეავსებს მათ და თუ სადმე წინააღმდეგობას ნავანყდებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე ცნობა სწორია, ოღონდ სხვადასხვა მხარეშია მოქმედი.

სამეგრელო ძველად ერთიან საქართველოში შედიოდა, მაგრამ XVI საუკუნეში მაშინდელმა ნაცვალმა თავადმა ჩიქოვანმა და-



მოუკიდებლობა მოიპოვა და მისი შთამომავლები განაგებენ მხარეს (ქვეყანას). მათ უწოდებენ დადიანს; არ ვიცი გვარია ეს თუ ტიტული.<sup>1</sup> დიუბუა დე მონპერე (I, გვ. 519) ამტკიცებს, რომ პირველი ცნობილი დადიანი იყო გიორგი, გარდაცვლილი 1323 წელს.

მეგრელები იყოფიან სამ კლასად (ფენად): თავადებად, აზნაურებად და გლეხებად. თავადებად ითვლებიან (ძინიკი და დეზირნადი?) მემამულეები, რომლებიც მემკვიდრეობით ფლობენ მთელ სოფლებს; სხვა მემამულეებს (საკურ) აქვთ მხოლოდ ცალკეული მამულეები და გლეხები (მონიანი). თავადები და აზნაურები თითქმის დამოუკიდებლები არიან დადიანისგან და არაფერს უხდიან. მხოლოდ მამის სიკვდილისას უფროსი ვაჟი მიდის კარზე, როგორც ახალი ვასალი. უფროსი ვაჟი ხდება უძრავი ქონების მემკვიდრე, სხვები იყოფენ მოძრავ ქონებას და უფროსი არგუნებს მათ; დავის შემთხვევაში მიმართავენ სამედიატორო სასამართლოს.

მიწას გლეხები ამუშავებენ. ისინი მოვალენი არიან იხადონ მხოლოდ მეათედი; მაგრამ, ამავე დროს, განუკითხაობაცაა. თავადსა და აზნაურს მიაქვთ მისგან რამდენიც შეუძლიათ. არაა განსაზღვრული არიან ისინი ყმები თუ არა. გლეხს შეუძლია მეორე ბატონთან გადასვლა, ოღონდ პირველს უტოვებს თავისი ქონების ნახევარს. თუ გლეხი ფარულად წავა, შეიძლება მისი გამოთხოვა, სანამ სხვა თემზე არ იქნება მიწერილი. თუ ის 30 წელი იცხოვრებს ერთ ადგილზე, მაშინ თავისუფლდება ყოველგვარი მოთხოვნებისგან.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ძველი მოგზაური შარდენი და აშუამინდელი ერთ-ერთი საუკეთესო წყარო კავკასიისა, ამბობენ, რომ დადიანი სპარსულად ნიშნავს – სამართლიანობის მეთაურს. ის აგრეთვე ამბობს, რომ დადიანები, ისევე როგორც ქართველი მეფეები, წარმომავლობენ მეფე და წინასწარმეტყველ დავითისგან (მოგზაურობა სპარსეთში, ამსტერდამი, 1711, I – გვ. 254). აიხვალდი ამბობს, რომ დადიანი ქართულად ნიშნავს მელვინეთუხუცესს.

<sup>2</sup> თავადი ვახტანგი (=ვახუშტი – გ. გ.) გეოგრაფიაში ამბობს: დადიანი არ არის გვარი, არამედ რანგი ყაზის ქვეყანაში (არზრუმი და სომხეთი). თამარ მეფის შემდეგ ოდიშში ცხოვრობდა დადიანი, რომელსაც უბოძეს ერისთავის ტიტული; შემდეგ გამოჩნდა ცოტნე-დადიანი, რომლის გვარიც უცნობია, მაგრამ მისგან მოდიან სამეგრელოს დღევანდელი დადიანები.



დადიანი მხოლოდ თავისი საკუთარი მამულებისა და გლეხების შემოსავლით სარგებლობს. მას უფლება აქვს თითო კომლისგან აიღოს 9 სპილენძის მანეთი, მაგრამ ისეთი სიღარიბე სუფევს, რომ გადასახადებს იშვიათად თუ გაიღებენ სრულად.

თავადებსა და აზნაურებს შეუძლიათ თავიანთი მამულები მიჰყიდონ ერთმანეთს, ხოლო უცხოთ მხოლოდ დადიანის ნებართვით.

მხარე იყოფა მაზრებად, რომელსაც სათავეში უდგას სამხარეო უფროსი; ამათ აქვთ ასევე სასამართლო ძალაუფლება, თუ დავა 200 მანეთზე დაბალ საქმეს ეხება; ამავე დროს, მოქმედებს უმაღლესი სასამართლო, სადაც შეიძლება აპელაციის შეტანა (გასაჩივრება); მაგრამ ყოველივე ეს არის სუსტი მცდელობა ევროპული ფორმების შემოტანისა. ყველა ეს მოჩვენებითია, უმოქმედოა, რადგან ძნელია მათთან შეგუება (შეჩვევა). ამავე დროს, სასამართლოები უუნარონი არიან თავიანთი საქმის წარმოებაში; მათ მხოლოდ გარკვეული პოლიციური ქმედება შეუძლიათ.

სალამოს ჩვენ გადმოვედით ნაპირზე, სადაც გულლიად მიგვიღო მეგრელმა აზნაურმა. მისი სახლი შედგებოდა დაბალი დარბაზისგან, რომლის შუაში, დაბალ კერიაზე, მოგვიმზადეს გემრიელი ვახშამი, დარბაზის ორივე მხარეს იყო გვერდითი ოთახები. ერთ-ერთში, ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე ევროპული სანოლი, რომელიც სახლის პატრონს შეუძენია გერმანელი კოლონისტისგან.

მეორე დღეს განვაგრძეთ ცურვა რიონზე და სადილობისას პატარა სოფელთან გადმოვედით ნაპირზე. ღარიბმა მცხოვრებლებმა ყველაფერი მოგვიტანეს, რაც ჰქონდათ და მადლიერებით მიიღეს ჩვენგან საფასი; ჩვენ დავანთეთ ცეცხლი და თვითონ მოვამზადეთ საჭმელი. მეზობელი კოშკიდან მოგვესმა საყვირის ხმები. გვითხრეს, რომ ამ სიგნალებით (შვეიცარულის მსგავსია) ხალხს უხმობენ ღვთისმსახურებაზე. ომიანობის დროს ესაა ნიშანი, რათა ყველა მცხოვრები შეიკრიბოს სასაფლაოზე, რომელიც გარშემორტყმულია ქვის კედლით, სადაც, ჩვეულებრივ, შეუპოვრად და გულადად იცავენ თავს. აქ ჩვენ დავემშვიდობეთ თავად გრიგოლს და გვიან სალამოს ჩავედით მცირე სიმაგრე ფოთში. ჩვენ არ მოვისურვეთ ბინის მოძებნა და ზაფხულის მშვენიერი ღამე გავატარეთ ნავზე; მეორე დილით ცხენებით გავიარეთ 15 კერსი ზღვის ნაპირით რედუტ-კალემდე -



ჩვენი მოგზაურობის ამოსავალ პუნქტამდე. აქ ჩვენ უნდა დავლოდებოდით გენერალ ბუდბერგის გემს, რომლითაც დაგვპირდნენ ქერჩში გადაყვანას.

ჩვენ ვუცადეთ გემს ხუთი დღე, ე. ი. 16 სექტემბრამდე. ამ დილით ავედით გემზე, რომელმაც კურსი სამხრეთისკენ აიღო და სადილობის უამს მივადექით რუსული მფლობელობის უკიდურეს ზღვარს - წმ. ნიკოლოზის პატარა სიმაგრეს (ფორტს) გურიაში,<sup>1</sup> მცირე აზიის საზღვართან. ქარი ძლიერად უბერავდა ჩრდილო-დასავლეთიდან; ნავი, რომელიც ჩამოუშვეს გენერალ-ადიუტანტისა და სხვა ოფიცრის ფორტში მისაყვანად, ჩვენ თვალწინ გადაყირავდა. ეკიპაჟი გადაარჩინეს თურქი მეზღვაურების დახმარებით. რადგან მათ მოუწინათ თურქებთან შეხება, დაისვა საკითხი, ხომ არ მოეთავსებინათ კარანტინში. მაგრამ ისინი ამოვიდნენ რუსულ მიწაზე და ამდენად, გამოძვრნენ უბედურებისგან - როგორი იქნებოდა მათთვის 4 კვირა მჯდარიყვნენ ამ უდაბურ, თითქმის დაუსახლებელ მხარეში შემდეგი გემის მოსვლამდე? გენერალი მეორე დღეს გადმოვიდა ნაპირზე და გაემართა გურიის დედაქალაქისკენ. მეც სადილის შემდეგ დავტოვე გემი. გარემო ირგვლივ ძალზე ლამაზია, მხარე მთა-გორიანია; შორს ჩანს ანატოლიის მთები, დიდებული მცენარეული; ჰავა თბილი და ნოტიოა, რის გამოც კავკასიური ციება ჩვეულებრივი და შეუპოვარია. მე მგონი, მივიღე მისი სანყისი, რადგან ათი დღის შემდეგ ყირიმში ავად გავხდი. ერთი რუსი მოხელის სახლს ახურებდნენ ღუმლით 30° სითბოშიც, ვითომ ციების თავიდან ასაცილებლად. ყველაზე დამლუპველი თვეებია ივლისი და აგვისტო, როცა აქ აუტა-

<sup>1</sup> გურია ძალზე ნაყოფიერი მხარეა, მაგრამ მცირედ დასახლებული. ამის მიზეზი იყო თურქთა გამანადგურებელი შემოსევები და ბავშვების ტყვედ გაყიდვა, რაც დღესაც ფარულად გრძელდება. 37 კვ. მილზე ცხოვრობს 36.700 სული. წინათ, სამეგრელოს მსგავსად, ამ მხარეს ჰყავდა თავისი მმართველი მთავარი გურიელი. უკანასკნელი, მამია ნებაყოფლობით დამორჩილდა რუსეთს 1810 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ, 1829 წ. მაშინდელ კრიტიკულ საომარ დროს, მისი ქვრივი და მემკვიდრე, გაიქცნენ ანატოლიაში, თურქეთში. რუსული ხელისუფლება კარგა ხანს მართავდა ამ მხარეს მცირეწლოვანი პრინცის სახელით, მაგრამ ქალბატონი თავისი ვაჟით არ ბრუნდებოდა.

ნელი სიცხეა, რის გამოც დამპალი ფოთლები და ბალახი, დაწვრილი კედლების ჭრილები და ყოველ დილით უხვად დაცემული ცვარი გამოსცემს ნოტიო მომნამვლელ ანაორთქლს. რედუტ-კალესა და ფოთში სახლები ნაგებია ერთმანეთზე დაწყობილი ძელებით. მოკლე ხანში ხე, თუნდაც მუხა, ლპება თბილი სინესტისგან; ხის მღრღნელი ხოჭო საოცრად მრავლდება და ღამით მათი ხმა ისმის როგორც შორიდან ჩაქუჩის ცემა. უძლებს მხოლოდ ნაბლის ხე.

უკანა გზაზე ქერჩისკენ ჩვენ კიდევ მოვინახულეთ პატარა სანაპირო სიმაგრეები. საღამოს და ღამით გამუდმებით ისმოდა ტურების საშინელი კივილი. ისინი ჰგვანან მელიებს, მაგრამ აქვთ მოკლე კუდი, იკვებებიან მხოლოდ ლეშით, მაშინ, როცა მელია ამჯობინებს ცოცხალ ხორცს და სისხლს. ჩვენ გადავიტანეთ ძლიერი ქარიშხალი და 22 სექტემბერს დილით შევედით ქერჩის ნავსადგურებში.

რუსმა მოხელეებმა და მაცხოვრებლებმა მითხრეს, რომ გენერალ ნაიდჰარდტის ბრძანებით მათ მრავალი ცნობა შეაგროვეს სხვადასხვა ადგილებში. აღმოსავლეთის მხარეებში, კასპიის ზღვის სიახლოვეს მე თვით არ ვყოფილვარ, მაგრამ იქიდან მივიღე მრავალი ცნობა, ნანილობრივ ჩემი სამი თანამგზავრისგან, რომლებმაც მოინახულეს იქაურობა. განსაკუთრებით ვრცელია ეს ცნობები ყარაბაღის პროვინციის შესახებ...<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> შემდეგ მოდის ყარაბაღის შესახებ ცნობების გადმოცემა, რაც გამოვტოვებ - გ. გ.





ყანნი (გვ. 160)




ლუდის კათხახის (გვ. 160)



ლუდის ბოკალი (ხის) (გვ. 160)

კარაქის სადღეები (გვ. 159)



გურული გუთანი (=ორწვერა კავი) (გვ. 152)



გუთანი (ოსებში) (გვ. 160)



ფოცხი (გვ. 160)



გლეხის სახლი ანაგიდან, კახეთი (გვ. 151)



გურული გლეხის სახლი (გვ. 153)



სოფ. ანაგის ეკლესია (გვ. 140)



ქართლელი გლეხის სახლი (გვ. 150)




მინიატურა ქართული საბუთიდან (გვ. 137-138)




მინიატურა ქართული საბუთიდან (გვ. 137-138)





კერია და ქვაბის საკიდი კაუჭი (გვ. 158)




ოთხწვერა შამფური (გვ. 159)




გობი (გვ. 159)




საცეცხლე მაშა (გვ. 159)




ხის სანოლი (გვ. 159)




აკვანი (გვ. 159)



ოჯახის უფროსის  
სავარძელი (გვ. 159)



ჩვეულებრივი ზურგიანი მერხი  
(გვ. 159)



სამფეხა სკამი კაცებისთვის  
(გვ. 159)

## საკიებლები

### 1. პირთა სახელები

**აბას შირზა**, სპარსეთის ტახტის პრინცი 60

**აბაშიძე**, თავადთა ცნობილი გვარი 110

**აბოვიანი**, განათლებული სომეხი, ჰაქსტაუზენს ანვდის ცნობებს სომხების შესახებ 19, 92, 93

**აბრამი**, მისი თანამედროვეა ქართლოსი; ებრაელთა მითიური მამამთავარი 113

**ადამი**, ბიბლ. ადამიანთა მოდგმის წინაპარი 130

**ადერკასი**, ოტოკარ ფონ, მაიორი, გერმანული ენის მცოდნე, მიამაგრეს ჰაქსტაუზენს მოგზაურობისას 11, 31, 192, 197

**აზონი** 110

**აიეტი**, კოლხეთის მეფე, მედეას მამა 28

**აიხვალდი ედუარდ** (1795-1876), გერმანელი მოგზაური. იყო კავკასიაში 1825-26 წწ. 27, 199

**ალგუზონი**, ოსური წარჩინებული გვარი 176

**ალექსანდრე დიდი**, მაკედონელი 102, 113, 115, 144, 165, 195

**ალექსანდრე I**, რუსეთის იმპერატორი (1800-25) 12, 75, 146

**ალექსანდრე II**, რუსეთის იმპერატორი (1855-81) 15

**ალექსანდრე**, კახეთის მეფე (1574-1605) 137, 138

**ალექსიუს ურბანი**, მოგზაურის ოჯახის მოძღვარი და მდივანი 7

**ალი**, მუჰამედის სიძე 70

**ამიანე მარცელინე**, IV ს-ის რომაელი ისტორიკოსი 190

**ანდრონიკაშვილი** (იხ. ენდრონიკაშვილი)

**ანდრონიკოვი**, თავადი, თელავის მხარის მმართველის შოადგილე 18, 131, 135

**ანრეპი**, რუსი გენერალი 92, 103

**ანტიოქოზ პირველი** (=სოტერი, IV-III სს. ძვ. წ.) 110

**ანტონ I**, ქართველი კათალიკოსი, მეცნიერი (1720-88), ერეკლე II-ის ბიძაშვილი 143



**ანტონი**, ქართველი მოციქული 119

**არისტოტელი**, ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი 57

**არნვალდი**, ანნა ფონ, ჰაქსტ-ჰაუზენის და, რომლის სახლშიც გარდაიცვალა 16

